

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ირაკლი ბურდული

ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში

(განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში)

ქართული და ავსტრიული სამართლის მეგალითზე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი
2008

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა ჯერ კიდევ ზალცბურგის (ავსტრია) უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს 2000-2002 წწ. დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ძირითადი ნაწილიც სწორედ იქ შეიქმნა. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში უხვად არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობამ, საჭირო ინფორმაციის მიღებამ, პროფესორთა მხრიდან მოწოდებულმა საინტერესო და საჭირო რჩევა-დარიგებებმა ფაქტიურად შესაძლებელი გახადა ამ ნაშრომის შექმნა. 2007 წლის ნოემბერში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული რეფორმების შემდეგ, შედგა დისერტაციის საჯარო დაცვა (დისკუტაცია).

ნაშრომის დამუშავების დროიდან დღემდე გარკვეული ხანი გავიდა. საქართველოს კანონმდებლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ეს ცვლილებები ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონსაც შეეხო. გარკვეული სიახლეები გაჩნდა ასევე ავსტრიულ და გერმანულ იურიდიულ სფეროში. ამიტომ ნაშრომის გამოქვეყნების დროისათვის მოგვიწია უახლესი ცვლილებებისათვის და იურიდიულ ლიტერატურაში არსებული უახლესი მოსაზრებებისათვის ანგარიშის გაწევა და ნაშრომის შინაარსის მათთან შესაბამისობაში მოყვანა. ამან, გარკვეულწილად, განაპირობა ჩემი გამგზავრება გერმანიაში, სადაც მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო, სავაჭრო და შრომის სამართლის ინსტიტუტის საგნობრივ ბიბლიოთეკაში შესაძლებლობა მქონდა შესაბამისობაში მომეყვანა ნაშრომი თანამედროვე სამართლებრივ შეხედულებებთან, რის გარეშეც შესაძლოა ნაშრომს არააქტუალური შთაბეჭდილება შეექმნა.

აქვე, მადლობა მინდა გადაუხადო ყველა იმ ადამიანს, ვისაც გარკვეული წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ეს ნაშრომი მზის სინათლეს იხილავს. უპირველეს ყოვლისა სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ *ბესარიონ ზოიძეს* მისი ღირებული რჩევებისთვის, სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარეს, მის წევრებს, დისერტაციის შემფასებლებს. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი ოჯახის წევრებს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის...

ს ა რ ჩ ე ვ ი

შინაარსი	3
შემოკლებანი	11
შესავალი	15
ნაწილი I. სააქციო საზოგადოების, როგორც ქონების გაერთიანების შედეგად წარმომდგარი საზოგადოების ისტორიიდან	20
ნაწილი II. სააქციო საზოგადოება, როგორც ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის ქონებრივი წარმონაქმნი. მისი დაფუძნება: ჩვეულებრივი და კვალიფიციური დაფუძნება	41
ნაწილი III. ქონების მოზიდვა სააქციო საზოგადოებაში	83
ნაწილი IV. აქცია, როგორც ქონების სპეციფიკური სახეობა სააქციო საზოგადოებაში	127
დასკვნითი თეზისები	192
ბიბლიოგრაფია	201

შესავალი	15
ზოგადად	15
ნაშრომის მიზნის და საგნის შესახებ	17
ნაშრომში გამოყენებული მეთოდის შესახებ	18
ნაშრომის სტრუქტურის შესახებ	18
ნაწილი I. სააქციო საზოგადოების, როგორც ქონების გაერთიანების შედეგად წარმომდგარი საზოგადოების ისტორიიდან	20
შესავალი	20
§1. სააქციო კაპიტალიზმის შესახებ ავსტრიაში	22
ა) პირველი სს-ბები და სააქციო ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები ავსტრიაში	26
ბ) ერთიანი ნაციონალური საკანონმდებლო აქტის შექმნის მცდელობები სააქციო სამართალში	29
§2. კაპიტალიზმის გენეზისი და ქონებრივ-კორპორაციული საწყისი საქართველოში	31
ა) საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩამოყალიბების ისტორიიდან	31
ბ) სააქციო ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოში	35
§3. დასკვნის ნაცვლად	40
ნაწილი II. სს, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ქონებრივი წარმონაქმნი. მისი დაფუძნება: ჩვეულებრივი და კვალიფიციური დაფუძნება	41
შესავალი	41
ა) ზოგადად	41
ბ) სს-ის სავალდებულო და ნებაყოფლობითი სისტემის შესახებ ..	43
გ) მოკლედ საქართველოში თანამედროვე სს-თა „დაარსების“ თაობაზე	44
თავი I. ჩვეულებრივი დაფუძნება	46

§1. საზოგადოების ხელშეკრულების მნიშვნელობისათვის	46
ა) პარაფელები „საზოგადოებასა“ და „საზოგადოების ხელშეკრულებას“ შორის	46
ბ) სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და საზოგადოების ხელშეკრულების ურთიერთმიმართება	47
გ) სს-ის შექმნის განმაპირობებელი ელემენტები (იურიდიული ქმედება, როგორც სს-ის შექმნის სავალდებულო ფაქტორი)	48
დ) ინტერესთა სოლიდარობა, როგორც საზოგადოების ქონებრივი მიზანი	49
ე) წესდება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი აქტი	50
§2. აქციათა მიღება	52
ა) შესავალი	52
ბ) წინარე სახელშეკრულებო მდგომარეობის შესახებ	54
§§2.1. „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი ბუნების თაობაზე	56
ა) პარაფელები სპს-ს და „წინარე საზოგადოებას“ შორის	56
ბ) საპროცესო უფლებაინარიანობა	57
გ) საკონკურსო (გაკოტრება) უნარიანობა	59
დ) პერსონალური სტატუსი	59
ე) ქონება	60
ვ) წილის უფლებათა გადაცემა	62
§§2.1.1. შიდაურთიერთობანი „წინარე საზოგადოებაში“	63
ა) დამფუძნებელთა მოვალეობები	63
ბ) „წინარე საზოგადოების“ გადაწყვეტილებანი	66
გ) დაშლა	66
დ) დამფუძნებელი პარტნიორის გარდაცვალება	67
ე) ერთ-ერთი პირის გაკოტრება	67
§§2.1.2. გარეურთიერთობანი	68
ა) სახელის დაცვა	68

ბ) აქტიური საპროცესო ქმედუნარიანობა	68
გ) მეწარმის ხარისხი	69
დ) წარმომადგენლობის უფლებამოსილება	72
ე) პასუხისმგებლობა	72
§§2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკის შესახებ: წინარე ჩანაწერი „წინარე საზოგადოების“ სახელზე?!	74
§§2.3. დაფუძნების პროცესში პირთა ქონებრივი პასუხისმგებლობა	76
ა) საზოგადოების წინაშე დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა	76
ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის (დირექტორატის) წევრთა პასუხისმგებლობა	77
გ) სხვა პირთა პასუხისმგებლობა	77
§3. პირველადი ორგანოების ჩამოყალიბება	78
თავი II. კვალიფიციური დაფუძნება	80
ა) აქციონერისთვის უპირატესობის მინიჭება	80
ბ) დაფუძნებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება	80
აა) გასაღები	81
ბბ) გაწეული საქმიანობისათვის ანაზღაურება	81
ნაწილი III. ქონების მოზიდვა სააქციო საზოგადოებაში	83
თავი I. ქონების მოზიდვა და შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება	83
შესავალი	83
§1. საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების ქონება	83
§§1.1. სს-ის საწესდებო კაპიტალის შესახებ	83
ა) ზოგადად	83
ბ) საწესდებო კაპიტალის ფუნქციები	84
აა) საწესდებო კაპიტალი, როგორც ქონების შევსების სავალდებულო მინიმუმი	84

ბბ) საწესდებო კაპიტალი, როგორც მინიმალურ-აუცილებელი ქონება	85
გგ) საწესდებო კაპიტალი, როგორც პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარანტია	87
§§1.2. აქციონერის ქონებრივი (გარდა შენატანისა) პასუხისმგებლობისათვის	88
§§1.3. ქონებისა და საწესდებო კაპიტალის ურთიერთმიმართება	94
§§1.4. მოკლედ აქციათა ნომინალური და რეალური ღირებულების შესახებ	95
§2. სანივთო შესატანი	96
შესავალი	96
§§2.1. შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება (შესატანის განხორციელების ხელშეკრულება)	97
ა) შეტანის ხელშეკრულების კორპორაციული ხასიათი	97
ბ) პარალელი შეტანის ხელშეკრულებას და ნასყიდობის გარიგებას შორის	98
გ) მოიცავს თუ არა შეტანის გარიგება საპასუხო ქონებრივ ქმედებას?	100
დ) ხელშეკრულების ფორმის შესახებ	102
§§2.2. ფულადი შესატანი	103
§§2.3. არაფულადი შესატანი	104
ა) არაფულადი შესატანის მატერიალურ-სამართლებრივი დახასიათება	104
ბ) სანივთო შესატანის განმარტებისთვის	105
გ) მოკლედ საქართველოს კანონის ბოლოდროინდელი ცვლილების თაობაზე	107
დ) ფრენშიაზინგის საგანი, როგორც ქონებრივი შესატანი ...	107
ე) საწარმო, როგორც ქონებრივი შესატანი?!	108
ვ) მომსახურების გაწევა, როგორც სანივთო შესატანი	109

ზ) ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლება, როგორც სანიუთო შესატანი	110
თ) ჯერ არარსებული ნივთები და სამომავლო მოთხოვნები, როგორც ქონებრივი შესატანები	112
ი) ნივთის დათმობის უფლება, როგორც შესატანი	114
§§2.4. მსჯელობები შესატანის განუხორციელებლობის შესაძლო ქონებრივ-სამართლებრივი შედეგის შესახებ	115
§3. „ქონების (ქონებრივი სიკეთის) მიღება საზოგადოების მიერ“ ე.წ. Sachübernahme ავსტრიულ სამართალში და მისი პროტოტიპი ქართულ ცივილისტიკაში	120
§§3.1. საზოგადოების მხრიდან ქონების მიღების ცნების განმარტებისთვის	120
§§3.2. „მიღების ხელშეკრულების“ სამართლებრივი ბუნების შესახებ	121
§§3.3. „მიღების ხელშეკრულების“ საგნის შესახებ	122
§4. დასკვნის ნაცვლად	124
ნაწილი IV. აქცია, როგორც ქონების სახეობა სააქციო საზოგადოებაში	127
თავი I. აქცია: კაპიტალის არსებობის თავისებური ფორმა	127
§1. აქციის რაობა და ფუნქციები	127
ა) საემისიო ხელშეკრულების შესახებ	129
ბ) „მიმოქცევადი ქაღალდისთვის“ დამახასიათებელი თავისებურება	131
§2. აქციის ქონებრივი მნიშვნელობისათვის	131
ა) ზოგადად	131
ბ) წილი, როგორც ბირჟაუნარიანი ქაღალდი: განსხვავება წილსა და აქციას შორის	133
§§2.1. აქცია, როგორც უფლებამოსილებათა ერთობლიობა	134
ა) „აქციათა მიღების განმარტება“, როგორც უფლებამოსილებათა ერთობლიობის განმტკიცების წინაპირობა	134
ბ) მიღების განმარტება, როგორც კორპორაციული აქტი	135
§§2.2. აქცია, როგორც საწესდებო კაპიტალის წილი	137

ა) მოძღვრება ე.წ. Unterpari და Überpari-emission-ის შესახებ	137
აა) Unterpari-emission-ის, ანუ ნომინალურზე ნაკლები ზღვარის შესახებ	138
ააა) დარღვევის სამართლებრივი შედეგი სს-ის წარმოშობისთვის	138
ბბბ) დარღვევის სამართლებრივი შედეგი აქციისათვის	138
გგგ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	139
ბბ) ნომინალურზე მეტი ფასის შესახებ	140
გგ) აქციის „გაცემული ღირებულების“ შესახებ	141
დდ) აქციის საემისიო, საბაზრო, საბაღანსო ფასის შესახებ	141
§3. ცალობითი აქციები ავსტრიული სამართლის მიხედვით	142
§4. აქციათა კლასიფიკაცია	143
§§4.1. აქციათა ტიპები	144
ა) წარმომდგენის აქცია	144
აა) მინიმალური მოთხოვნები	145
ბბ) წარმომდგენის აქციის გასხვისება	146
ბ) სახელობითი აქციები	147
აა) სახელობითი აქციის განმარტებისთვის	148
ბბ) საზოგადოების მიერ აქციონერთა სტრუქტურის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ	149
გგ) ღონისძიება, რომელიც გარკვეულ შემოქმედებას ახდენს აქციონერის სტრუქტურაზე	152
ააა) ვინკულირებული აქციის გასხვისება: საზოგადოების ქონების „არამოსურნეთა“ ხელში ჩაგდების ერთადერთი აღმკვეთი მექანიზმი?!	153
(1) თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო	156
(2) გასხვისებისას გადახდის ღირებულების სავალდებულო მონაცემების შესახებ	156
დდ) დასკვნის მაგიერ	157
§§4.2. დროებითი მოწმობა	158

§§4.3. სააქციო მოწმობის შემადგენელი ნაწილი: მოგების წილის მოწმობა, „გლობალაქცია“	160
§§4.4. აქციათა სახეები	161
ა) შესავალი	161
ბ) ახდენს თუ არა აქციონერის ქონებრივ მდგომარეობაზე საზოგადოებაში „განსხვავებული“ სტატუსი	162
აა) აქციონერთა „თანაბარი მოპყრობის“ შესახებ	162
ბბ) საზოგადოებაში „სტაბილური“ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ	164
გგ) ჩვეულებრივი აქციის შესახებ	167
§5. აქციის უკან მდგარი უფლების ბოროტად გამოყენების ქონებრივი საკითხისათვის	168
ა) საზოგადოებიდან ქონების „გატანის“ ინსტიტუტი ქართულ რეალობაში	168
ბ) ქონების „გატანა“, როგორც აქციონერის ქონებრივი ინტერესის დაცვის უკიდურესი აუცილებლობა?!	171
გ) რეორგანიზაცია, ქონებრივი შენატანის უკან დაბრუნება თუ კაპიტალის შემცირება?	172
დ) ქართული სასამართლო პრაქტიკის ახლებურად ჩამოყალიბების და „ქონების გადასვლის“ შესახებ	174
§6. აქციიდან გამომდინარე უფლებები	176
ა) ზოგადი (საყოველთაო) წევრობის უფლება	177
(1) ქონებრივი უფლებები	177
(2) მმართველობის უფლებები	177
(3) ძირითადი და დამხმარე უფლებები	178
(4) სხვა (განსაკუთრებული) უფლებები	178
(5) კრედიტორთა უფლებები	178
ბ) უფლებათა ტრანსფორმაციის და აქციათა გამოსყიდვის შესახებ	179
გ) აქციათა სავალდებულო გაყიდვის დაწესება, როგორც ქონებრივი ბერკეტის ბოროტად გამოყენება	185
აა) მოკლედ აქციათა სავალდებულო გაყიდვის თაობაზე	185
ბბ) სატენდერო შეთავაზება საქართველოს კანონის მიხედვით ...	187
გგ) სავალდებულო მიყიდვა	189

§7. მოკლედ აქციათა გამოშვებისა და განთავსების შესახებ	190
დასკვნითი თეზისები	192
პირველ ნაწილთან მიმართებით	192
მეორე ნაწილთან მიმართებით	193
მესამე ნაწილთან მიმართებით	195
მეოთხე ნაწილთან მიმართებით	197

გამომც.	გამომცემლობა
გამოც.	გამოცემა
თსს	თბილისის საქალაქო სასამართლო
იხ.	იხილეთ
კს	კომანდიტური საზოგადოება
კსს	კომანდიტური სააქციო საზოგადოება
მუხ.	მუხლი
მთ. რედ.	მთავარი რედაქტორი
მაგ.	მაგალითად
სპს	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სს	სააქციო საზოგადოება
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსსგ	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები
სუსდპგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება
ქსსგ	ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება
შეად.	შეადარეთ
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ADHGB	Allgemeine Deutsche Handelsgesetzbuch (გერმანიის საყოველთაო სავაჭრო კოდექსი)
aF	alte Fassung (ძველი რედაქცია)

AG	სააქციო საზოგადოება
Anm	Anmerkung (აღნიშვნა)
ATS	ავსტრიის ფედერაციაში ადრე მოქმედი ფულადი ერთეული (ავსტრიული შილინგი)
Auf	Auflage (გამოცემა)
B-VG	Bundes-Verfassungsgesetz (ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია)
BGH	Bundesgerichtshof (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
dAktG	Aktiengesetz vom 6. September 1965 (გერმანიის ფედერალური კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ)
dHGB	Handelsgesetzbuch Deutschlands (გერმანიის სავაჭრო კოდექსი)
FBG	Firmenbuchgesetz (ავსტრიის ფედერალური კანონი ფირმათა რეგისტრაციის შესახებ)
f	folgende (მომდევნო)
ff	fortfolgende (მომდევნონი)
GG	Grundgesetz (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია))
GmbH	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
hrsg	herausgegeben (გამოცემული)
HS	Handelsrechtliche Entscheidungen (სამეწარმეო-(სავაჭრო) სამართლებრივი გადაწყვეტილებები, 1939 წლიდან. წელი, ნომერი)

Komm.	Kommentar (კომენტარი)
NJW	Neue Juristische Wochenschrift (ყოველკვირეული გერმანული იურიდიული ჟურნალი)
OG	Offene Gesellschaft (ღია საზოგადოება)
OGH	Oberster Gerichtshof (ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
OGHZ	Entscheidungen des obersten Gerichtshofes in Zivilsachen (ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები კერძო სამართლის საქმეებზე)
oHG	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
öAktG	Österreichisches Bundesgesetz vom 31. März 1965 über Aktiengesellschaften (ავსტრიის ფედერალური კანონი სააქციო საზოგადოებათა შესახებ)
öGmbHG	Österreichisches Gesetz vom 6. März 1906 über Gesellschaften mit beschränkter Haftung (ავსტრიის ფედერალური კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ)
öHGB	Handelsgesetzbuch Österreichs (ავსტრიის სავაჭრო კოდექსი)
öÜGB	Übernahmegesetz (კანონი საწარმოს მართვისა და კონტროლის ქვეშ მოქცევის შესახებ)
Rn, Rz	Randnummer, Randzahl (ნიშნავს ნომერს, რითიც აღინიშნება ტექსტის ნაწილები წიგნის გვერდის ველზე)
S	Seite (გვერდი)
UGB	Unternehmensgesetzbuch (Bundesgesetz über besondere zivilrechtliche Vorschriften für Unternehmen – ავსტრიის

ფედერალური კანონი საწარმოთა შესახებ – ავსტრიის
საწარმოთა კოდექსი)

- VersReg Versicherungsregulativ (1880/1896 წლებში ავსტრიაში
გამოცემული დირექტივა დაზღვევის შესახებ)
- WBL „Wirtschaftsrechtliche Blätter“ (Zeitschrift für österreichisches und
europäisches Wirtschaftsrecht - ეკონომიკურ-
სამართლებრივი ჟურნალი)
- WM Wertpapier-Mitteilungen (Zeitschrift für Wirtschafts- und
Bankrecht – ეკონომიკისა და საბანკო სამართლის
უწყებანი)
- WpÜG Wertpapiererwerbs- und Übernahmegesetz (კანონი ფასიანი
ქაღალდების შეძენის და საწარმოს დაუფლების შესახებ)
- ZfRV Zeitschrift für Rechtsvergleichung (შედარებითი სამართლის
ჟურნალი)
- ZGR Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht (სამეწარმეო
და საზოგადოებათა სამართლის ჟურნალი)
- изд. издание (გამოცემა)
- т. том (ტომი)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ზოგადად

საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებამ, რომელიც საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად წარმოიშვა, სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთად დღის წესრიგში დააყენა საკანონმდებლო ბაზის ცვლილების საკითხი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის დღიდან რამდენიმე წელი გავიდა. შესაბამისად, აღნიშნულ ნორმატიულ აქტში მრავალი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი. კანონმდებელმა ახლებურად განსაზღვრა ბევრი საკითხი, რომელიც ეხება როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზოგად ნაწილს, ისე სააქციო საზოგადოებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ კერძო ნაწილს. საქართველოში სააქციოსამართლებრივ ურთიერთობებს, ძირითადად, აწესრიგებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ნაწილობრივ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სააქციო საზოგადოებების შექმნასა და არსებობა-ფუნქციონირებას აწესრიგებს, ძირითადად, ცალკე ფედერალური კანონი, რომელშიც უფრო დეტალურად არის მოცემული უშუალოდ სააქციო სამართლისათვის დამახასიათებელი ნორმა-დებულებები (მისი ვიწრო გაგებით). წინამდებარე ნაშრომში კი წარმოადგენილია ავსტრიული სამართლის შედარებითი ანალიზი.

ქართული საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მაგრამ გერმანული სამეწარმეო და საზოგადოებათა სამართლის რეცეფციის შედეგად შექმნილ ლოგიკური სინთეზის ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ ავსტრიული და გერმანული საზოგადოებათა სამართალი¹ ურთიერთმსგავსია. ამიტომ, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი არა მხოლოდ ქართულ-ავსტრიულ, არამედ, გარკვეულწილად, გერმანულ ელემენტებსაც მოიცავს. ის, რომ გერმანული ელემენტების გამოყენება ნაშრომში აუცილებლად დაგვჭირდება, ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს² პრაქტიკაც მეტყველებს. კერძოდ, თუ თვალს გადავაგვლებთ დავინახავთ, რომ ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში უხვად უთითებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ იურიდიულ (სააქციოსამართლებრივ) ლიტერატურაზე.³ ამიტომ მისი გაუთვალისწინებლობა ნაშრომში მიზანშეუწონლად გვეჩვენება.

¹ ავსტრიული საზოგადოებათა სამართალი (ისევე როგორც გერმანული), როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უფრო მიესადაგება ქართულ საკორპორაციო სამართალს.

² მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის რესპუბლიკის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი არის უმაღლესი სასამართლო (OGH), მიზანშეწონილად მიგვაჩნია მას დავარქვათ ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო. ეს ავსტრიის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, „ავსტრია ფედერალური სახელმწიფოა“ (B-VG Art. 2 (1)).

³ ამის საილუსტრაციოდ ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების მაგალითად მოტანაც კმარა. იხ.: OGHZ 24. 04. 1992, Geschäftszahl 10b12/92; OGHZ 25. 06. 1996, Geschäftszahl 40b2078/96h; OGHZ 11. 03. 1996,

საინტერესო და აქტუალურია ნაციონალური კანონმდებლობისა და პრაქტიკისათვის ისეთი ახალი მოვლენა, როგორც გახლავთ „წინარე საზოგადოება“, მასში ქონების მდგომარეობა, ასევე, შიდა და გარეუროთიერთობანი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ეს პრობლემა მოაქციოს საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოში. ამიტომ იმ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, გაანალიზება და ვრცელი თეორიული მიმოხილვა, რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაო გამოცდილება აქვს, ვფიქრობთ, უმნიშვნელო არც ქართული საკორპორაციო სამართლისთვის უნდა იყოს.

ქვეყანაში სააქციო საზოგადოებების მომეტებული არსებობა საშუალო სოციალური ფენის სიძლიერის განმსაზღვრელიცაა. რაც უფრო მეტი კაპიტალი აქვს სააქციო საზოგადოებას (იგი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, როგორც წესი, ყველაზე უფრო დიდი ქონების მქონე წარმონაქმნია) და რაც უფრო მდგრადია მისი ქონება (საზოგადოების კაპიტალი), მით უფრო მეტი ადამიანია მასში დასაქმებული, რაც, თავისთავად, ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოში ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების კატალიზატორად შეიძლება არამერყევი კაპიტალის არსებობა მივიჩნიოთ. ამიტომ სააქციო საზოგადოების დაფუძნების პროცესშივე *კაპიტალის სწორმა ფორმირებამ და არსებობამ*, შესაძლოა, თვით ამ საზოგადოების მომავალი ფუნქციონირების რენტაბელობა განსაზღვროს. სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებს ეძღვნება ამ სადისერტაციო ნაშრომის დიდი ნაწილი. თავის მხრივ დღევანდელ საქართველოში, ზოგადად, მეწარმეობის განვითარება ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრიორიტეტად არის მიჩნეული. სააქციო საზოგადოება კი თავისი ქონებით სწორედ ის წარმონაქმნია, რომელსაც შესწევს უნარი, საკუთარი ქონების ზრდის მეშვეობით მატერიალური დოვლათი შექმნას ქვეყანაში. ამიტომ, ამ ქონებრივი უროთიერთობების სიღრმისეული თეორიული განხილვა და მართებული მოწესრიგება ხელს შეუწყობს სახელმწიფოში მნიშვნელოვანი მატერიალური საკითხების გადაწყვეტასაც. ნიშანდობლივია, რომ საწესდებო კაპიტალთან მიმართებით გარკვეული ცვლილებები შევიდა ნაციონალურ კანონმდებლობაში. ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს ამ ცვლილებათა ავ-კარგიანობის გამოკვეთა წარმოადგენს. ამიტომაც საწესდებო კაპიტალთან მიმართებაში ძირითადი ყურადღება ავსტრიულ და გერმანულ სამართალზე მახვილდება. პარალელურად აქცენტი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ადრე მოქმედ ნორმებზეც კეთდება.

აქცია სააქციო საზოგადოებაში ქონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა. აქციაზე მრავალი ქონებრივი საკითხია დამოკიდებული, ამიტომ აქციის, როგორც ქონების სახეობის, მისი რაობის, მოქმედების, მისთვის დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი თვისებების განხილვა ასევე საინტერესო და აქტუალური იქნება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ავსტრიულ სააქციო სამართალში აქციის ისეთი სახეობაც გვხვდება, რომელიც უცხოა

ქართული სააქციო საზოგადოებისათვის. მისი ძირითადი თავისებურებები კი წარმოდგენილ ნაშრომშია მოცემული.

აქტუალურია საკითხი ასევე საწესდებო კაპიტალში (ქონებრივი თუ არაქონებრივი (მატერიალური თუ არამატერიალური)) შესატანის განხორციელებლობის ან მისი არაჯეროვანი განხორციელების სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც ასევე განხილულია წინამდებარე ნაშრომში. იგი ამ საკითხის ახლებური, ნოვატორული მოწესრიგების ერთგვარ ცდას წარმოადგენს.

ნაშრომის მიზნისა და საგნის შესახებ

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანი და საგანი გახლავთ ქონებრივი (სანივთოსამართლებრივი) ურთიერთობის საკითხის განხილვა სააქციო საზოგადოებაში, უპირატესად, მისი დაფუძნების (დაარსების) პერიოდში. გამოკვლეულია „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი სტატუსი და ბუნება, მასში ქონებრივი, შიდა და გარე ურთიერთობები, ასევე საკითხი ქონების მოზიდვით სააქციო საზოგადოების დაფუძნების თაობაზე, განსაზღვრულია დამფუძნებელი პარტნიორის ცნება, ქონებრივი შესატანების განხორციელების, შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება, აქცია, როგორც ქონების ნაირსახეობა და ა.შ. მათი თავისებურებები მეცნიერულ-თეორიული თვალთახედვით შესწავლილი და გაანალიზებულია ზემოთ ნახსენებ ავსტრიულ სამეწარმეო სამართლის ინსტიტუტებთან შედარებით. ყოველივე ამის საფუძველზე კი ნაშრომის ამოცანაა ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების უფრო სიღრმისეული გაანალიზება, „წინარე საზოგადოების“ ფართო თეორიულ-მეცნიერული დამუშავება და მისი, როგორც ფაქტობრივი წარმონაქმნის, არსებობის პოპულარიზება, ასევე სააქციო საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობის, პარტნიორთა ქონებრივი პასუხისმგებლობის, შესატანის განხორციელებლობის სამართლებრივი შედეგების უფრო დეტალური ანალიზი. წინადადებების შემუშავება, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, ისე აქციათა კლასების, ტიპების, მათი ქონებრივ-შინაარსობრივი მხარის განსაზღვრა-დახასიათება. ნაშრომში განხილულია საკითხი კაპიტალრეზერვების შესახებ.

ნაშრომის აქტუალობა თავად სააქციო საზოგადოებაში ქონებრივი ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, იმდენად, რამდენადაც სააქციო საზოგადოებაში, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სხვა ფორმებთან შედარებით, განსაკუთრებით იგრძნობა საზოგადოების ქონების და მასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა. შესაბამისად, მისი მიღწევის ნებისმიერი საშუალება იურიდიულ საზოგადოებაში გარკვეულ ინტერესს იწვევს. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში დაგეგმილია მთელი რიგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელთა გარკვეული ნაწილი სწორედ იმ პრობლემებს ემთხვევა, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომშია წარმოჩენილი.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდის შესახებ

სადისერტაციო ნაშრომში გამოცემული საკითხები გამოკვლეულია შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური ანალიზის სინთეზის საფუძველზე, რათა უკეთ წარმოჩნდეს სააქციო საზოგადოებაში ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის საკითხი. დავესესხებით რაინერ შულცეს სიტყვებს და დავსძენთ, რომ „იურიდიული შემხებლობა (ამა თუ იმ საკითხისა)⁴ ყოველთვის მოიცავს შედარებას“.⁵ ამიტომ შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, როგორც ქართული, ისე ავსტრიული, ნაწილობრივ კი გერმანული სააქციო სამართლისა, მოცემულ თემაში ნამდვილად დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

ნაშრომის სტრუქტურის შესახებ

თემის პირველი ნაწილი ეხება ქონების დაგროვებისა და გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ სააქციო საზოგადოებებს, ამიტომ ნაშრომში აღწერილია ასევე სააქციო საზოგადოების, როგორც ქონებრივი წარმონაქმნის, ჩამოყალიბების ისტორიულ-სამართლებრივი კანონზომიერება, სააქციო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ქონებრივი საკითხები. ისინი ქართული და ავსტრიული სამართლის ისტორიული ევოლუციის ფონზეა ნაჩვენები, რაც, ვფიქრობ, ასევე სიახლედ უნდა იქნეს მიჩნეული. ნაშრომის ამავე ნაწილში გამოკვლეულია აგრეთვე ძველი ქართული სააქციო სამართლის პრობლემები. მეორე ნაწილი, ძირითადად, სააქციო საზოგადოებას, როგორც ქონებრივ წარმონაქმნს, მის დაარსებას, დაფუძნებას ეხება. განხილულია ჩვეულებრივი და კვალიფიციური დაფუძნების საკითხები, გამოკვეულია წინარე სახელშეკრულებო მდგომარეობისა და წინარე საზოგადოების პრობლემები, მოტანილია ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ნაშრომის მესამე ნაწილი სააქციო საზოგადოებაში ქონების მოზიდვას, შესატანის განხორციელებას, საზოგადოების ქონების მდგომარეობას, აქციონერთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, უმცირესობაში მყოფი აქციონერების, საზოგადოების მიერ ქონებრივი სიკეთის მიღების საკითხებს ეხება. მეოთხე ნაწილში მსჯელობაა აქციის, როგორც სააქციო საზოგადოებაში ქონების, კაპიტალის არსებობის თავისებური ფორმის შესახებ. განხილულია საემისიო ხელშეკრულების საკითხები, აქციათა კლასიფიკაციის, მათი გასხვისების და, აქედან გამომდინარე, აქციონერთა სტრუქტურის ფორმირების პრობლემები. დისერტაციის ამავე ნაწილში გაანალიზებულია თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლის პრობლემები: სააქციო საზოგადოებიდან ქონების „გატანის“, შესატანის უკან დაბრუნების, ქონებრივი ბერკეტების ბოროტად გამოყენებისა და სხვა მათთან დაკავშირებული პრობლემები. ხოლო ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი განხორციელებულია მცდელობა დასკვნითი თეზისების სახით წარმოჩინდეს ის სიახლეები, საკითხები, პრობლემები, რომლებზედაც ნაშრომშია საუბარი.

⁴ ფრანხილერში გაკეთებული შენიშვნა ავტორისაა.

⁵ R. Schulze, Vergleichende Gesetzesauslegung und Rechtsangleichung, ZfRV, 1997, S. 183-195.

და ბოლოს, წინამდებარე თემას საფუძველად უდევს ავსტრიულ, გერმანულ და ქართველ მეცნიერ-იურისტთა მოსაზრებები, ანალიზი ზემოთ აღნიშნულ და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან. მიუხედავად იმისა, რომ მათთან მიმართებით ქართული სასამართლო პრაქტიკა მეტად მწირია, ნაშრომში მაინც განხილულია ის მცირე პრაქტიკა, რაც ჩვენ ქვეყანას გააჩნია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაშრომი არ ეხება სააქციო საზოგადოებაში მმართველობით ურთიერთობებს. ზოგადად, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ბუნების, მასში არსებული ყველა ურთიერთობის განხილვას შეიძლება რამდენიმე ათეული ტომი მიეძღვნას. ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ერთგვარი ცდა, ამ საკითხებიდან გამოიყოს კონკრეტულად ერთი მიმართულება – ქონებრივი და შეძლებისდაგვარად ამომწურავად იქნეს იგი განხილული. ყურადღება ექცევა ავსტრიული კანონმდებლობის ანალიზს, დასავლეთის ქვეყნებში გაბატონებულ სასამართლო პრაქტიკას.

სააქციოსამართლებრივი ურთიერთობები თანამედროვე ქართული სამართლის სიახლეს წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები. ვინაიდან სააქციო საზოგადოება კაპიტალური ტიპის საზოგადოებას განეკუთვნება, მასში ყველაზე კარგად არის გამოკვეთილი საკითხი ქონების (კაპიტალის) მნიშვნელობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ მომხდარა ამ კუთხით (ქონებრივი ურთიერთობების კუთხით) ამ საკითხის სრული მეცნიერული კვლევა. მითუმეტეს, სააქციო საზოგადოებაში ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი საკითხების განხილვა შემოთავაზებულია ავსტრიული სამართლის მაგალითზე, რაც, ვფიქრობ, ასევე სიახლეს უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ, ნაჩვენებია მსგავსებები და განსხვავებები ავსტრიულ სამართალთან. უცხოურ სამართალთან შედარებითი კვლევის საფუძველზე გამოაშკარავებულია მისი პრიორიტეტები და დადებითი თვისებები. წარმოდგენილ ნაშრომში ბევრ მიმდინარე საკითხზეც არის მსჯელობა, რაც, ვფიქრობ, ასევე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს თემას და შინაარსობრივად ავსებს მას. იმის გამო, რომ თანამედროვე ქართული სააქციო სამართალი მისი ჩამოყალიბების მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის, ძალიან ძნელი იყო გარკვეული სამართლებრივი ინსტიტუტების ქართული შესატყვისის მოძიება ენობრივი თვალსაზრისითაც (მისი განუვითარებლობის გამო). შესაბამისად, გაგვიჭირდა ზოგიერთი სამართლებრივი ცნებისა თუ სამართლებრივი ტერმინის ქართული შემასადაგებლის გამონახვა. ამიტომ ნაშრომში ასევე ვცდილობთ გარკვეული, საქართველოს სამართლებრივი რეალობისათვის ახალი იურიდიული ტერმინების ქართული აღმნიშვნელის მისადაგებას და მისი ქართულენოვანი შესატყვისის დამკვიდრებას და განმარტებას. მოკლედ, შევეცადეთ წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილიყო, როგორც ინფორმაციულ-შემეცნებითი, შედარებით-სამართლებრივი ასპექტები, ისე დოგმატური, თეორიული და, რა თქმა უნდა, ანალიტიკური, პრაქტიკული საკითხები.

ნაწილი I. სააქციო საზოგადოების, როგორც ქონების გაერთიანების შედეგად წარმომდგარი საზოგადოების ისტორიიდან

შესავალი

სს-ის, როგორც მატერიალური (ქონებრივი) სიმდიდრის დაგროვების შედეგად შექმნილი კორპორაციის, გაჩენა უშუალოდ უკავშირდება კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას ევროპაში. ამიტომ იგი „დასავლეთ ევროპის პირმოა“.⁶ არსებობს რამდენიმე და საკმაოდ მყარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირველი სს-ბები ინგლისში გაჩნდნენ. საერთოდ, სს-თა გაჩენა-ჩამოყალიბება განპირობებულია შესაბამისი ეკონომიკური განვითარების მახასიათებლით.⁷ ეკონომიკის განვითარებასა და ახალ საწარმოო საშუალებათა გაჩენასთან, ასევე საზღვაო-სანაოსნო საქმის მომქადაგებასთან ერთად წარმოიშვება და ვითარდება აგრეთვე საზოგადოებათა (გაერთიანებათა) იურიდიული ფორმები. იქმნება ე.წ. საზღვაო-სანაოსნო ამხანაგობები. ასეთ ამხანაგობაში უფრო კარგად ჩანს ამ წარმონაქმნის კაპიტალისტური ხასიათი იმდენად, რამდენადაც პირადი ურთიერთობანი ამგვარი ტიპის ამხანაგობაში უკანა პლანზე გადადის და იგი იღებს უფრო კაპიტალის შექმნის, კაპიტალთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობების ხასიათს. კაპიტალს კი, ძირითადად, წარმოადგენს საზღვაო ხომალდი (გემი). ვაჭრობისა და მეწარმეობის მკვეთრ აღმავლობას განსაკუთრებით განაპირობებს საქალაქო ვაჭრობისა და საზღვაო-სანაოსნო ბრუნვის ზრდა.⁸ ამ პერიოდში აღმოჩენილ იქნა ახალი საზღვაო-სამგზავრო გზები და ქვეყნები. ამიტომ ვაჭრებს (კომერსანტებს) ახალი სავაჭრო შესაძლებლობები გაეხსნათ ინდოეთთან, ლათინური ამერიკისა და აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან.⁹ ერთპიროვნული ვაჭრობა კი ძალზე შეუსაბამო იყო იმ პირობებთან, რაშიც მოვაჭრეებს უხდებოდათ თავიანთი საქმიანობა. სრულიად ბუნებრივად დაიხვა საკითხი ამგვარი გაერთიანებების გაზრდის და სიმტკიცე-უსაფრთხოების გასამყარებლად. ეს კი გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებას მოითხოვდა. თანდათან იქმნებოდა საზღვაო-სანაოსნო კავშირები თავიანთი სამართლებრივი მოწესრიგების სპეციფიკური ფორმით. ასეთ გაერთიანებებში უკვე დიდი ქონება იყო თავმოყრილი. რამდენიმე მდიდარი ვაჭარი (კომერსანტი)¹⁰ საკუთარი უსაფრთხოებისათვის ქმნიდა სწორედ იმგვარ

⁶ F. Klein, Die neueren Entwicklungen in Verfassung und Recht der Aktiengesellschaft, Wien 1904, S. 10.

⁷ შეად.: S. Kalss, C. Burger, G. Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, Geschichte und Materialien, Linde Verlag, Wien 2003, S. 43.

⁸ ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნეოდა რომანულ ქვეყნებში, კერძოდ, იტალიაში, რომელიც შუასაუკუნეების ევროპაში „აყვავებული ვაჭრობის“ ქვეყნად იწოდებოდა. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: K. Wieland, Handelsrecht, I Band, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, München 1921, S. 10-12.

⁹ იხ.: R. Mayr, Lehrbuch des Handelsgeschichte, 3. Auf., Berlin 1907, S. 34-35. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ ასევე იხ.: A. Schaub, Handelsgeschichte der romanischen Völker des Mittelmeergebietes bis zum Ende der Kreuzzuge, L. 1906.

¹⁰ მიზანმიმართულად ვამატებთ კომერსანტის აღმნიშვნელს იმდენად, რამდენადაც გერმანული Kaufmann-ის ტერმინს ასევე კარგად შეესაბამება სიტყვა კომერსანტი.

გაერთიანებას, რომელიც მას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უკეთეს გარანტიას მისცემდა, ვიდრე განცალკევებული ვაჭრობა. საბოლოოდ, სამეწარმეო ურთიერთობის უფრო სტაბილურმა ხასიათმა და ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ, მოგების დიდი შესაძლებლობა შექმნა.

თავდაპირველად სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველთათვის სავალდებულო იყო ე.წ. სავაჭრო ჰილდიებში გაერთიანება. ქონებრივი თვალსაზრისით დიდი მეწარმეები და ბანკირები მიეკუთვნებოდნენ „უმაღლესი კატეგორიის ჰილდიებს“.¹¹ ასეთი ტიპის ჰილდიები განსაკუთრებით საზღვაო-სავაჭრო ქალაქებში არსებობდნენ (მაგალითად, ვენეცია, ანკონა). მათი ურთიერთობა არსებითად დამოკიდებული არ იყო სავაჭრო სახელოსნოებში გაწვევრიანების სავალდებულობაზე¹² და, შესაბამისად, საქალაქო მმართველობას მათ საქმიანობაზე ზემოქმედების ნაკლები ბერკეტები გააჩნდა.¹³ შეიძლება ითქვას, რომ ეს განპირობებული იყო ამგვარ (დიდ) ჰილდიებში არსებული ქონების განსაკუთრებული ოდენობით. თუმცა დიდ ჰილდიებსაც ჰქონდათ თავიანთი დამოუკიდებელი წევრთა სარეგისტრაციო ჟურნალი. ამ ჟურნალში გაერთიანების წევრად აღრიცხვარეგისტრაცია აუცილებელი იყო პირისთვის, რომელსაც საზღვაო საზოგადოებაში მეწარმის (ვაჭრის) სტატუსით გაწვევრიანება სურდა.¹⁴ მომდევნო წლებში დაწესდა სავაჭრო-საზღვაო ჰილდიებში შესატანის განხორციელების ვალდებულებაც. ასეთი კომპანიები (გაერთიანებები) დიდი მოგების შესაძლებლობას უზურნველყოფდა. თავდაპირველად საზოგადოებაში ახალი წევრების აყვანა და მისგან გასვლა ვადით იზღუდებოდა ე.ი. 10 წლის განმავლობაში მის წევრებს ასეთი უფლება მინიჭებული არ ჰქონდათ. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდებოდა და სრულიად სამართლიანად დაისვა საკითხი ახალ წევრთა მიღებისა და ძველთა გასვლის თაობაზე, რაც დადებითად გადაწყდა. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელი გახდა წევრთა მიერ თავიანთი წილის გადაცემა მესამე პირებისთვის. თავდაპირველად საზოგადოებაში მონაწილეობის უფლების წილი კაპიტალის მიხედვით არათანაბარი იყო. მაგრამ თანდათანობით გაერთიანების თითოეული წევრის მონაწილეობის უფლება საზოგადოებაში გათანაბრდა, ანუ მონაწილეობით-საქმიანობითი წილი თანაბრად დადგინდა, რაც, თავის მხრივ, საბირჟო ბრუნვის საგანი გახდა. ამგვარმა „თანაბარმა წილებმა“ მიიღეს აქციათა¹⁵ სახელწოდება. ამხანაგობებს ჰქონდათ

¹¹ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 11.

¹² ნიშანდობლივია, რომ ის პირი, რომელიც სავაჭრო-წარმოებითი ხელსაქმის განხორციელებას გადაწყვეტდა აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო სახელოსნო (საცეხო) ჰილდიაში (ე.წ. Zunftzwang). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვაჭრად (კომერსანტად) ვერ განიხილებოდა.

¹³ იხ.: Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 11-12.

¹⁴ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 11-12.

¹⁵ აქცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც განკარგულებას, მოთხოვნას, გამოყენებას ნიშნავს. მისი ფუძემდებელი ჰოლანდიაა, სადაც მე-17 საუკუნის დასაწყისში (1602 წელს), მრავალრიცხოვანი სავაჭრო ამხანაგობების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულმა საზოგადოებებმა ტერმინი „აქცია“ შენატანის დამადასტურებელი დოკუმენტის აღმნიშვნელად იხმარეს.

თავიანთი „წიგნები“, ანუ საზოგადოებათა რეესტრი, სადაც აისახებოდა საზოგადოების ყოველი წევრის მონაწილეობა და წილობრივი მაჩვენებელი გაერთიანებაში. აქციათა გასხვისება ხდებოდა საზოგადოების წიგნში უბრალო აღნიშვნის გაკეთებით. ეს პროცედურა კი ხორციელდებოდა კომპანიის დირექტორისა და კონტრაჰენტების წინაშე ხელმოწერის გზით. თავის მხრივ, საზოგადოებათა ეს წილები სპეკულირების ხელსაყრელ საგნად იქცა. ამის აღსაკვეთად სახელმწიფო ყველანაირ ღონეს ხმარობდა. ეს ძალისხმევა, ძირითადად, სახელმწიფოს ინიციატივისაგან მომდინარეობდა. ასე რომ, მაგალითად, ინგლისში¹⁶ სს-თა გაჩენას უკავშირებენ ჰენრი VII (დიდის) მოღვაწეობას, რომელმაც ოფიციალურად დართო ნება ვაჭრებს (კომერსანტთა გაერთიანებებს, ისინი, ძირითადად, ვაჭართა საზღვაო-სანაოსნო გაერთიანებები იყვნენ) ეწარმოებინათ მრავალმხრივი სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან, განსაკუთრებით კი იმასთან, რომელიც ინდოეთის გზის გაკვლევით გახდა დასავლეთში ცნობილი. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ თავდაპირველად სს-ბების ჩამოყალიბების ინიციატორი თავად სახელმწიფო იყო. შემდგომ წლებში ამან უფრო კერძოსამართლებრივი ხასიათი მიიღო. ასეთი საზოგადოებები, ძირითადად, ცალკეული მდიდარი ვაჭრების (კომერსანტების) ძალისხმევით ყალიბდებოდნენ, ხოლო სახელმწიფო კი ზრუნავდა მათთვის ეფექტური სამართლებრივი ჩარჩოების შექმნისთვის. რაც უფრო მოქნილი იქნებოდა საკანონმდებლო რეგლამენტაცია კაპიტალურ საზოგადოებებთან მიმართებით, მით უფრო სწრაფად და უსაფრთხოდ განვითარდებოდნენ ისინი. სს-თა შექმნის ძირითად სტიმულს კი ცალკეული მეწარმეების დაუღალავი ძალისხმევა, საკუთარი ქონების გაერთიანება ერთიანი საქმისათვის და, შესაბამისად, წილთა თავისებური გადანაწილება წარმოადგენდა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი სს-ბების ჩამოყალიბება-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საზღვაო-სანაოსნო საქმე. განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია).

§1. სააქციო კაპიტალიზმის შესახებ ავსტრიაში

კაპიტალურმა საზოგადოებამ დაანახვა მსოფლიოს, რომ ამგვარი სტრუქტურულ-ქონებრივი გაერთიანებები კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც ნათქვამია: „თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა წარმოუდგენელია სს-თა და ბირჟათა გარეშე“.¹⁷ ამიტომ იგი ხელს უწყობდა ძირითადად კაპიტალიზმის საერთო საწყისების ჩამოყალიბებას, მისი განვითარების სიმტკიცეს. ავსტრიასა და გერმანიაში მოხდა, უბრალოდ, ამგვარი „გამოგონების“ ტრანსფორმირება. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში

¹⁶ ინგლისი სს-ის ერთ-ერთ პირველჩამოყალიბებლად ითვლება. ამიტომ, როდესაც საუბარია პირველ სს-ბებზე, ყოველთვის ახსენებენ ხოლმე ინგლისს, როგორც ქვეყანას, რომლის ძალისხმევითაც კომერსანტებს ყოველმხრივი, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა მიეცათ სხვა, ძირითადად, აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

¹⁷ 3. Евзлинъ, Общепонятный отчетъ Акционерныхъ предприятий и его значение въ торгово-промышленной жизни, С-Петербург 1901, стр. 3.

(ასევე ჰოლანდიაში) სს-ბები ნელ-ნელა ჩნდებოდნენ და ვაჭრობის განვითარებით იყვნენ განპირობებულნი. ისინი თანდათანობით იცვლიდნენ სახეს და იხვეწებოდნენ. ამ სახელმწიფოთა ხელისუფლება არ იძლეოდა განკარგულებებს, თუ როგორ უნდა წარმართულიყო საქმიანობა კორპორაციის შიგნით. კომერსანტები თავადვე აყალიბებდნენ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს, შეიმუშავებდნენ რა ყველაზე უფრო მისაღებ წესებს კორპორაციის შიდა ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ავსტრიაში სიტუაცია, გარკვეულწილად, სხვაგვარი იყო. დიდი ხნის განმავლობაში აქ სს-ბებს თავად სახელწიფო ქმნიდა.

ძალიან ძნელია იმ პერიოდის ზუსტი დადგენა, როდესაც ავსტრიაში პირველი სს გაჩნდა.¹⁸ გაბატონებული შეხედულების თანახმად, ძირითადად, სს-თა შექმნის „ბუმი“ ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიაზე დაიწყო პროდუქციის მასიური წარმოების, ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი რკინიგზების მშენებლობით და ასევე საბანკო დაწესებულებათა მიერ ამ საწარმოების ქონებრივი დაფინანსებით.¹⁹ სს, ჩვეულებრივი სავაჭრო საზოგადოების მიზნებისაგან, ძირითადად, იმით განსხვავდებოდა, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, იქმნებოდა *სახელწიფოებრივი ინტერესის* გასატარებლად და სახელწიფოსათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის კაპიტალის (ქონების) შესაქმნელად (მოსაზიდად).²⁰

მას შემდეგ, რაც ავსტრიის ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქვეყანამ ერთგვარად დააგვიანა ჩართვა მსოფლიოს გადანაწილების პროცესში, მან თავადვე აიღო ამგვარი კორპორაციული სისტემის ჩამოყალიბების ინიციატივა. სახელმწიფო დეტალურად გაეცნო ინგლისისა თუ ჰოლანდიის გამოცდილებას და დაასკვნა, რომ კაპიტალის მოზიდვისა და აკრეფის ეს სისტემა და ამხანაგური საქმიანობის განვითარება, სწორედ სს-თა ფორმით, ქვეყნისათვის ძალზე სასარგებლო იყო. ამიტომ ავსტრიელები (ასევე გერმანელები) მას განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ სს-თა დაარსების ნებართვის გაცემა საკმარისი არ იყო. აუცილებელი იყო

¹⁸ თუმცა იაკობ შტრიდერი ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ავსტრიაში, კერძოდ, შტაიერმარკსა და ზემოავსტრიაში, რკინის სავაჭრო სს-ზეც საუბრობს. ვაჭრები (კომერსანტები) ლეობენიდან და შტაიერიდან, ფინანსური თვალსაზრისით უფრო ძლიერი რომ გამხდარიყვნენ, შეთანხმდნენ ერთ კაპიტალურ საზოგადოებად გაერთიანებულიყვნენ, რათა უფრო ეფექტურად განეხორციელებინათ რკინის წარმოება და მისი შემდგომი გასხვისება. ეს რკინის სავაჭრო-სამეწარმეო საზოგადოებები დაახლოებით მე-15-16 სს-ებში გაჩნდნენ (ლეობენში 1415 წ., შტაიერში 1582 წ.). იხ.: J. Strieder, Studien zur Geschichte kapitalistischer Organisationsformen; Monopole, Kartelle und Aktiengesellschaften im Mittelalter und zu Beginn der Neuzeit, 1914, S. 125-127. მაგრამ მათ, როგორც სააქციო-სამართლებრივ ფორმაზე საუბარი ნამდვილად საფუძველს მოკლებულია იმდენად, რამდენადაც ისინი, შესატანის განხროციელებაზე დაფუძნებულ, წმინდად კოოპერატიულ-კომანდიტურ საზოგადოებებს წარმოადგენდნენ.

¹⁹ K. J. Hopt, Ideelle und wirtschaftliche Grundlagen der Aktien-, Bank- und Börsenrechtsentwicklung im 19. Jahrhundert, in Coing/Wilhelm, Wissenschaft und Kodifikation des Privatrechts im 19. Jahrhundert, Bd IV, Frankfurt a.M. 1980, S. 148. ვუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 44.

²⁰ H. D. Assmann in Assmann/ Schutze, Handbuch des Kapitalanlagerechts, München 1997, §1, Rz 5. ასევე ვუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 44.

ამგვარი გაერთიანებების საქმიანობის რეალიზაციის გზების გამონახვა და მათი შიდა და გარე ურთიერთობათა მოწესრიგება.

საინტერესოა კითხვა: რატომ არ გაჩნდნენ მანამდე ავსტრიასა და გერმანიაში ასეთი სს-ბები? უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობა აქ სახელმწიფო პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა განცალკევებული ვაჭრობისათვის დამახასიათებელი სიძნელეების გადალახვას.²¹ სავაჭრო ჰილდები ამ ტერიტორიაზე ძალზე კომფორტულად და დაზღვეულად გრძნობდნენ თავს, ვიდრე, რასაკვირველია, სხვა შორეულ ქვეყნებში. ვაჭრობა და ქონების დაგროვება, ძირითადად, თვით ავსტრიის (იგივე შეიძლება ითქვას გერმანიაზე) ტერიტორიის შიგნით მიმდინარეობდა. ცალკეული ვაჭრები თავიანთი სახსრებით ეწეოდნენ სავაჭრო-სამეწარმეო საქმეს და კაპიტალის (ქონების) გაერთიანებაში ისინი დიდ აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. ამასთან, მკაცრად ემორჩილებოდნენ სახელმწიფოში აღიარებულ და შემუშავებულ საერთო მართლწესრიგს, რომელიც განმტკიცებული იყო სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობის განვითარების მეშვეობით. ხოლო იმდროინდელი სახელმწიფო სახელისუფლებო წრეების მხრივ ამ ურთიერთობათა მოწესრიგების მცდელობა ყოველთვის იწვევდა კერძოსამართლებრივი პლატფორმის განვითარების შეფერხებას. სს-ბების განვითარების საფუძველთა საფუძველი კი სწორედ კერძო ურთიერთობათა შეუზღუდაობა იყო. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არ ყალიბდებოდნენ ავსტრიასა და გერმანიაში²² მე-16-17 სს-ში მსხვილი კაპიტალური კორპორაციები, სს-ბები.

²¹ შეად.: Т. В. Кашанина, Корпоративное право, Москва 1999, ст. 104.

²² ეს პროცესი გერმანიაში (თავდაპირველად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ პროცესის დაწყებას გერმანიაში. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პირველად სწორედ გერმანიაში დაიწყო სს-ის ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგ კი მან ასახვა ავსტრიაში ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: Кашанина, Корпоративное право, ст. 104-107. თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია. ავსტრია, რომელიც იმ პერიოდში მრავალ ბალკანეთის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყანას მოიცავდა, კარგად განვითარებული ქვეყანა იყო. როდესაც ქვემოთ განვიხილავთ პირველი სს-ბების შექმნას ავსტრიის ტერიტორიაზე, დავინახავთ, რომ სს-ის გაჩენა ავსტრიაში, გერმანიის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოებისაგან, ერთგვარად, დამოუკიდებლად მოხდა.) მე-18 ს-დან დაიწყო, ძირითადად, სხვა ქვეყნების (ჰოლანდია, სფრანგეთი) გამოცდილების გაზიარებით. მე-18 ს-ის 20-იან წლებში გერმანიაში შეუმუშავეს კანონპროექტი სს-თა ჩამოყალიბების შესახებ. მაგრამ ხელისუფლებამ იგი არ დაამტკიცა. ცალკეული ვაჭრების (კომერსანტების), რომლებსაც უკვე გაველიანი ადგილი ეკავათ ქვეყანაში, ინიციატივამ 1750 წ. მოითხოვა ფრანგებისაგან (ტანჰე იმ დროისათვის ცნობილი პირი ყოფილა, რომლის სახელსაც უკავშირებენ საფრანგეთში კორპორაციათა, ძირითადად, სს-თა საკანონმდებლო რეგლამენტაციის შექმნას) ჩამოყალიბებინათ სს გერმანიაში. მან შექმნა აზიური (აღმოსავლური) კომპანია. აღსანიშნავია, რომ ეს კორპორაცია არასრულყოფილი იყო, ვინაიდან აქციას (აქციებს) არ ჰქონდა დამოუკიდებელი საბუთის, დოკუმენტის მნიშვნელობა. შემდგომში საზოგადოებებმა (აფრიკული, კერძოდ, ბრანდებურგის კომპანია) განავითარეს ეს იურიდიული ფორმა, მაგრამ მისი (სს-ის) სრული ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული ჯერ კიდევ არ იყო. ამ დროისათვის ქვეყანამ ვერ მიაღწია კორპორაციული განვითარების ისეთ საფეხურს, რომ სს-ის ამ ახალ იურიდიულ ფორმას აქ ადეკვატური გამოყენება ეპოვა და, თუმცა სს-ბები გერმანიაში არსებობდნენ, ამ ქვეყანაში მე-18 ს-ში ისინი მაინც გამონაკლისს წარმოადგენდნენ. საერთოდ, სს, როგორც პროფ. შმიტი ამბობს, „არის თანამედროვე დროის, კოლონიალიზმისა და ინდუსტრიული რევოლუციის პირმშო“. იხ.: K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 4. neubearbeitete Auf., Carl Heymanns Verlag

მოკლედ, ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, შეიძლება საუბარი ავსტრიაში სააქციო კაპიტალიზმის შექმნის და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მოტივების შესახებ. 1717 წლის სათამაშუქო მიმოქცევის შესახებ კანონისა და 1725 წლის კაიზერის დეკლარაციის თანახმად, ავსტრიაში ყველა მეწარმისათვის (კომერსანტისთვის) დაწესდა ოფიციალურ ორგანოში სავალდებულო რეგისტრაციის პრინციპი.²³ 1734 წლის გაკოტრების შესახებ კანონი ასევე შეიცავდა „ყოველისმომცველ“ ნორმებს ზოგადად კომერსანტებისა და, განსაკუთრებით კი, სავაჭრო საზოგადოებათა რეგისტრაციის თაობაზე.²⁴ სავაჭრო საზოგადოება ვალდებული იყო დამდგარიყო აღრიცხვაზე და რეგისტრაციაში გაეტარებინა მის მიერ არჩეული ფირმა, ხოლო რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოს კომერციული სასამართლო წარმოადგენდა.²⁵ იმდროინდელ ავსტრიაში საზოგადოდ მოქმედებდა კორპორაციის თავისუფალი შექმნის ძირითადი პრინციპი,²⁶ თუმცა სს-თან მიმართებით განსაკუთრებული მიდგომა გამოიყენებოდა.²⁷

KG, Köln 2002, S. 758. ამიტომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, როდესაც გერმანიამ (ანალოგიური ითქმის ავსტრიაზეც) რკინიგზათა მშენებლობას მიჰყო ხელი. 1838 წ. გამოიცა კანონი სარკინიგზო მშენებლობისა და საწარმოების შესახებ, სადაც მრავალი ნორმა სარკინიგზო სააქციო საწარმოთა ორგანიზაციის საკითხებს ეხებოდა. ამას შედეგად მოჰყვა 1843 წ. სს-თა შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელშიც კანონმდებელი ძირითად ყურადღებას უთმობს სს-ის საწესდებო კაპიტალის მოხიდევისა და ფორმირების საკითხს. აქვე აღსანიშნავია, რომ რკინიგზათა მშენებლობა ქონების გაერთიანების განსაკუთრებით დიდი ოდენობით იყო შესაძლებელი. ეს კი შესაძლებელი იყო საკუთარი ფულადი სახსრების ბრუნვაში მოქცევითა და მისგან მოგების მიღებით. იხ.: ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2002, გვ. 17. აი, ამიტომ კანონმდებელი თვლიდა, რომ საკითხი საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შესახებ კორპორაციის უმთავრესი პრობლემაა და ამიტომაც მისი გადაცემა თვითრეგულირებისათვის არაფრით შეიძლებოდა. რაც შეეხება სს-ის შიდაორგანიზაციულ სტრუქტურას, აქ კანონმდებლობა ისეთი მკაცრი არ იყო, როგორც ეს საწესდებო კაპიტალთან მიმართებით აისახებოდა, მაგრამ საკანონმდებლო რეგლამენტაცია ამ სფეროშიც, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საკმაოდ მკაცრია. ასე, მაგალითად, კანონში ჩამოყალიბებული იყო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდების შინაარსი, რომლის საჯაროდ გაცნობის მოვალეობაც საწარმოს ეკისრებოდა, ასევე ხარჯთაღრიცხვის წარმოება; ყოველწლიურად საბალანსო ანგარიშის წარდგენა, მმართველობის კომპეტენციის განსაზღვრა და ა.შ.

²³ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 47.

²⁴ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 47.

²⁵ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 47.

²⁶ იხ.: R. Ostheim, Zur Rechtfähigkeit von Verbänden in österreichischen bürgerlichen Recht, Wien 1967, S. 37.

²⁷ მხედველობაშია ოქტროის, ანუ პრივილეგიის სისტემა. სს-ის დაფუძნებისათვის სავალდებულო იყო სახელწიფოსაგან გარკვეული პრივილეგიის მიღება. ამიტომ, ისტორიულად, ადრე სს მხოლოდ პრივილეგიით იქმნებოდა. პრივილეგიას კანონის ძალა გააჩნდა, რომლის გამოცემაც მხოლოდ კანონმდებელს შეეძლო. პრივილეგია განმტკიცებული იყო გარკვეულ მოწმობაში, რომელიც მიმართული იყო ერთი ან რამდენიმე პირისადმი. იგი გარკვეულ უფლებებს განამტკიცებდა და ამით არა მხოლოდ სახელმწიფოსა და უფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობას აწესრიგებდა, არამედ, გარკვეულწილად, განკუთვნილი იყო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრივილეგია წარმოადგენდა კონკრეტული შემთხვევისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფორმაში გამოხატულ სამართლებრივ დებულებათა ერთობლიობას. სწორედ პრივილეგიის მიკუთვნება ანიჭებდა სს-ს სამართლის სუბიექტის სტატუსს. ამიტომ სს-ის

ა) პირველი სს-ბები და სააქციო ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები ავსტრიაში

ავსტრიაში პირველი სს შეიქმნა 1787 წელს. ეს იყო 1787 წლის 12 დეკემბრის კაიზერის დეკრეტის საფუძველზე, პრივილეგიით შექმნილი ვენის კომერციული ბანკი.²⁸ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბანკი შეიქმნა სამეფო კართან დაახლოვებული პირების ინიციატივით. თავად კაიზერი იყო დაინტერესებული ამ ბანკის შექმნით. ამიტომ საზოგადოების აქციონერებს, ძირითადად, პოლიტიკურად და ფინანსურად ძლიერი პირები წარმოადგენდნენ. სს-ის რეგლამენტი (წესდება) განსაზღვრავდა საზოგადოების ადგილსამყოფელსა და ხანგრძლივობას, საქმიანობის საგანს, ასევე ფილიალების შექმნის უფლებას. აქვე განსაზღვრული იყო საწესდებო კაპიტალის ოდენობა – 1 მლნ. გულდენი, ძირითად პარტიციპანტთა²⁹ მხრიდან მისი შემდგომი გადიდების უფლებით, მოცემული იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვის საკითხები, ყველა აქციონერისათვის „თანაბარი მოპყრობის“ (ამ პრინციპზე ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი) პრინციპის საკითხი და სხვ.³⁰ მნიშვნელოვანია, რომ რეგლამენტით განისაზღვრა საწესდებო კაპიტალის მთლიანად გახარჯვის დაუშვებლობა.³¹ ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა საზოგადოების პასუხისმგებლობაუნარიანობის განმტკიცებას, რადგან დაწესებული იყო ქონების შენარჩუნების მოვალეობა. ნაწილობრივ განხორციელებული შენატანებისათვის შესაძლებელი იყო დროებითი მოწმობების დარიგება, მაგრამ მათი სახელობით ქალაქდებად გაცემა დაუშვებელი იყო. ვენის კომერციულმა ბანკმა არსებობა 1830 წელს შეწყვიტა.

ავსტრიაში მეორე სს-ის ჩამოყალიბება 1816 წლით თარიღდება.³² ეს გახლავთ ავსტრიის „ნაციონალური ბანკი“,³³ რომელიც ასევე კაიზერის დეკრეტის საფუძველზე შეიქმნა და დღესაც ფუნქციონირებს. საზოგადოების წესდება აგრეთვე აწესრიგებდა ბანკის დაფუძნებასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, საზოგადოების ამოცანებს, უფლებებს, კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფო მმართველობასთან. შესაძლებელი იყო ობლიგაციების გაცემა, რაც საზოგადოებაში დიდი ფულადი მასის შემოდინებას უწყობდა ხელს. ობლიგაციების განადღება შეიძლებოდა გარკვეული, ბანკის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. აქცია უზრუნველყოფდა ერთ ხმას, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას გადამწყვეტი ხმა კაიზერის მიერ დანიშნულ უმაღლეს კომისარს ენიჭებოდა და საერთო კრების კომპეტენცია (იმ გაგებით, რომელი გაგებითაც იგი დღევანდელი

თავისუფალი დაფუძნება (შექმნა) იმდროინდელ ავსტრიაში დაუშვებელი იყო. შეად.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 47-48.

²⁸ ე.წ. „Commerzial-, Leih- und Wechselbank“. იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 50.

²⁹ პარტიციპანტი არის სავაჭრო გარიგების მონაწილე ძირითადი სუბიექტი, ე.წ. Hauptpartizipant.

³⁰ ამასთან დაკავშირებით შეიძლიათ იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 50-51.

³¹ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 51.

³² Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 52.

³³ ე.წ. „privilegierte österreichische Nationalbank“.

კანონმდებლობის მიხედვით არსებობს), ძალიან შეზღუდული იყო.³⁴ ბანკი, ძირითადად, სავაჭრო საზოგადოებებზე სესხების გაცემითა და საბანკო ოპერაციებით იყო დაკავებული.

1830 წელს ავსტრიის იმპერიაში შეიქმნა 9 სს, მათ შორის ორი სადაზღვევო სს და დონაუს (დონის) გემთმშენებელი სს.³⁵ 1836 წელს კაიზერის მიერ გაცემული პრივილეგიით დაფუძნდა პირველი სარკინიგზო სს-ბები: „Triester Lloyd“-ისა და იმპერატორ ფერდინანდის ჩრდილოეთის რკინიგზის საზოგადოება.³⁶ ავსტრიაში ინდუსტრიული საწარმოები, 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, უმეტესწილად, სწორედ სს-ის ფორმით ყალიბდებოდნენ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ სს-თა რიცხვი ავსტრიის ტერიტორიაზე ნელი ტემპით იზრდებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა საწარმოების სს-ის ფორმით დაარსების ტენდენცია. ეს ალბათ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ამ პერიოდში ევროპა მოიცვა რკინიგზათა მშენებლობის ბუშმა. რკინიგზათა მშენებლობას კი დიდი კაპიტალის მოზიდვა ესაჭიროებოდა. ამიტომ განსაკუთრებით გაიზარდა სს-ის, როგორც დაფინანსების ყველაზე ეფექტური საშუალების, როლი და ფუნქცია. საყოველთაო სავაჭრო კოდექსმა³⁷ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საზოგადოების დაფუძნებასა და კაპიტალის კონცენტრაციის ფორმებზე გაამახვილა.³⁸ გაიზარდა ბირჟების როლი იმდენად, რამდენადაც სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა კაპიტალის ძირითადი მასის მოზიდვა. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ სს-ბების შექმნაზე დიდი როლი იქონია ლიბერალიზმის იდეამ. ამ პერიოდში ლიბერალებმა საზოგადოების უდიდესი ნაწილი მოიცვეს. ლიბერალიზმი თავის გამოსატყულებას ასევე ეკონომიკურ სფეროში პოულობდა, რაც, სამართლებრივი კუთხით, მისთვის (ეკონომიკური, სამეწარმეო საქმიანობისთვის) მოხერხებული და თანასწორი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას მოითხოვდა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს უნდა გამხდარიყო ნორმატიულ სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი საწინდარი. თავის მხრივ, ნორმატიული სისტემა გაცილებით ხელსაყრელი იყო ეკონომიკური

³⁴ შეად.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 54-56.

³⁵ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 45.

³⁶ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 45.

³⁷ საუბარია გერმანიის საყოველთაო სავაჭრო კოდექსზე (ADHGB), რომელიც ავსტრიაში 1863 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა (გამონაკლისს, მოქმედების თვალსაზრისით, წარმოადგენდა იმპერიის ნაწილი – უნგრეთი, სადაც ეს კანონი არ მოქმედებდა). ამის შესახებ იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 463-464. სხვა საკითხებთან ერთად, საყოველთაო სავაჭრო კოდექსი ასევე სს-თა მომწესრიგებელ ნორმებსაც შეიცავდა (მაგალითად, სს-ის დაფუძნების, აქციათა კლასიფიკაციის და ა.შ. მომწესრიგებელ ნორმებს. იხ.: Franz W. Schmitz, Die Umstellung von Inhaber- auf Namensaktien durch deutschen Aktiengesellschaften: Gründe und Rechtsprobleme der aktuellen Entwicklung unter besonderer Berücksichtigung des NaStraG, Verlag TENEA, Berlin 2002, S. 12-13.). თავდაპირველად ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მარეგულირებელი დებულებები სწორედ საყოველთაო სავაჭრო კოდექსში იყო მოცემული, ხოლო შემდეგ, გარკვეული პერიოდი, უკვე სავაჭრო კოდექსში (HGB). მოკლედ გერმანიის საყოველთაო სავაჭრო კოდექსის (ისტორიის) შესახებ შეგიძლიათ იხ.: A. Baumbach/K. J. Hopt (Hrsg.), Handelsgesetzbuch (Kommentar), 30. neu bearbeitete Auf., Verlag C.H.Beck, München 2000, S. 4; C.W. Canaris, Handelsrecht, 23. Aufl., Verlag C. H. Beck, München 2000, S. 20-21.

³⁸ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 127.

თვითგამორკვევისა და სამეწარმეო საზოგადოების თავისუფალი დაფუძნებისათვის.³⁹ ვფიქრობთ, რომ საბოლოო ჯამში ამან სს-ის განვითარების სისწრაფეზე და ეფექტურობაზეც იქონია გავლენა.

მე-19 ს-ის მეორე ნახევარი ხასიათდება მრეწველობის აღმავლობით, რამაც ბოლო მოუღო სს-ის შექმნის კონცესიის პრინციპს (სახელმწიფო ნებართვითა სისტემის საკანონმდებლო წესით გაუქმება დაიწყო პირველად ინგლისში და ეს პროცესი შემდეგ გაგრძელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში).⁴⁰ დაიწყო ფასიანი ქაღალდების მასობრივი გამოშვება. აუცილებელი გახდა ღონისძიებათა გატარება სახელმწიფოს მხრიდან, რათა სიტუაცია კონტროლსა და ზედამხედველობას დაქვემდებარებოდა. მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან სწრაფი ტემპით განვითარდა გერმანიის სააქციო სამართალი, რომელმაც საბოლოო ჯამში უდიდესი გავლენა მოახდინა ავსტრიაზე. 1870 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც აცხადებდა, რომ სს-ის შესაქმნელად სპეციალური სახელმწიფო ნებართვის მიღება საჭირო აღარ იყო.⁴¹ მაგრამ აქაც გამონაკლისს წარმოადგენდა ბანკებისა და რკინიგზათა სამშენებლო კორპორაციათა შექმნა. ამით, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაეყარა კონცესიის (ნებადართულობის) სისტემის აღმოფხვრასა და ნაწილობრივ გაუქმებას, რამაც უდიდესი როლი ითამაშა კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებაში. მაგრამ ამ სისტემის გაუქმება სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ სახელმწიფო ხელს იღებდა აქციონერების უფლებათა დაცვის გარანტიებზე. ამიტომ ყველა სს-ისთვის შემოღებულ იქნა კონტროლის სისტემა, რომელიც განაწილდა, ერთი მხრივ, თვით აქციონერთა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს, რომელიც მოითხოვდა სს-თა აუცილებელ რეგისტრაციას, შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, რაც სს-თა შემდგომ განვითარებას შეეხო, არის 1884 წელს მიღებული აქტი.⁴² კერძოდ, ოფიციალურად განისაზღვრა დამფუძნებელთა ცნება, ასევე დაფიქსირდა, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი მთლიანად უნდა იქნეს განხორციელებული, რაც, თავისთავად, პასუხისმგებლობის განაწილებას აღიარებდა და ხელს უწყობდა მესამე პირთა დაცვის უზრუნველყოფას.⁴³ პარალელურად აღნიშნული იყო სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის წრის, მისი საჯაროობისა და კონტროლის გამკაცრების მექანიზმების შესახებ, საერთო კრების ჩატარების აუცილებლობის პროცედურის თაობაზე და სხვ.⁴⁴ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ 1884 წლის ნოველა გერმანიასა და ავსტრიაში (რადგანაც საბოლოო ჯამში, გერმანიის მიერ ავსტრიის დაკავების შემდეგ ავსტრიაში სრული მოცულობით ამოქმედდა გერმანული სააქციო კანონმდებლობა) სააქციო სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

³⁹ თუმცა ავსტრიაში კონცესიის სისტემა დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა, თითქმის 1937 წლამდე, სანამ ძალაში გერმანიის სააქციო საზოგადოებათა კანონი არ შევიდა.

⁴⁰ ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2002, გვ. 17.

⁴¹ W. Schubert, Die Abschaffung des Konzessionssystems durch die Aktienrechtsnovelle von 1870, Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrechts (ZGR) 1981, S. 287.

⁴² Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 144.

⁴³ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 145-147.

⁴⁴ Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 761-762.

ბ) ერთიანი ნაციონალური საკანონმდებლო აქტის შექმნის მცდელობები სააქციო სამართალში

ავსტრიის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა შეექმნა ცალკე საკანონმდებლო აქტი, რომელიც სს-სთან დაკავშირებულ პრობლემებს ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევდა. თუმცა მხოლოდ სს-ის დამფუძნებელთა (ისინი ამ დროს უკვე საკმაოდ ძლიერ და მდიდარ ფენას წარმოადგენდნენ) და პარტნიორთა სურვილი ასეთი ერთიანი აქტის მიღებისა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო კანონმდებლის მიერ გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ სააქციოსამართლებრივ ნორმებზე ინტენსიური მოლაპარაკებები თითქმის ყოველდღიურად მიმდინარეობდა პარლამენტის დებატების დროს, მაგრამ ნოველირება, ანუ საჭირო და ყოველისმომცველი ცვლილებების მიღება მაინც ვერ ხერხდებოდა.⁴⁵ 1872 წლის 6 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა შიდა ბრძანება კაპიტალის მომატების თაობაზე.⁴⁶ საქმე იმაშია, რომ მანამდე მოქმედი წესით, საწესდებო კაპიტალში შესატანის სრული განხორციელება არ წარმოადგენდა კანონისმიერ წინაპირობას კაპიტალის მომატებისათვის და ავსტრიის სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილნი ზემოაღნიშნული პირობა რეგისტრაციის განხორციელების აუცილებელ წინამდგურად გამოეყენებინათ. თუმცა კაპიტალის მომატება წესდებაში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებდა და, აქედან გამომდინარე, ნებართვის მიღებას ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ბრძანებით, შესატანის სრულყოფილი განხორციელება უკვე ნებართვის მიღების სავალდებულო პირობად იქცა.⁴⁷ ამით დადგინდა, რომ კაპიტალის გაზრდისას საწესდებო კაპიტალი სრულად უნდა შეესებულებიყო და კაპიტალის მომატების ნებართვის მიღებისას (წესდებაში ცვლილებების შეტანისას) ეს რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობა უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ გამოცემულ იქნა ასევე 21. 6. 1873 წლის კაიზერის დადგენილება, რომელიც შეეხო სს-ის ლიკვიდაციას.⁴⁸ 1880/1896 წლებში გამოიცა დაზღვევის შესახებ დირექტივა,⁴⁹ რომელიც შეიცავდა გარკვეულ ნორმებს სადაზღვევო სს-ისთვის. მნიშვნელოვანია, რომ იგი განსაზღვრავდა სადაზღვევო საწარმოს ფილიალისათვის წესდებით გათვალისწინებულ სავალდებულო მინიმალურ კაპიტალს, რომელიც 100 000 ავსტრიულ გულდენს შეადგენდა და იგი აუცილებლად ფულადი თანხით უნდა შეესებულებიყო.⁵⁰ დადგინდა, რომ 5%-ზე მეტი მოგების გაცემა აქციონერებზე დაუშვებელი იყო. ასევე დადგინდა, რომ სს-ის წესდებით აუცილებლად უნდა განსაზღვრულიყო გამგეობის შემადგენლობა, მისი წევრები, აგრეთვე წევრთა ხმის უფლების,

⁴⁵ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 155-156.

⁴⁶ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 156.

⁴⁷ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 156.

⁴⁸ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 156.

⁴⁹ ე.წ. „Versicherungsregulativ“.

⁵⁰ §3 VersReg 1880, §3 VersReg 1896. უუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 157.

ხმის უფლების განსაზღვრის, წევრთა მიერ საერთო კრების მოწვევის საკითხები.⁵¹

ამ სამართლებრივი აქტების პარალელურად ავსტრიაში სისტემატურად მიმდინარეობდა მუშაობა სს-ის შესახებ კანონის პროექტზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1869 წლის კანონპროექტი, რომელიც სს-სა და კსს-ს⁵² შეეხებოდა. მას საყოველთაო საჯარო კოდექსის პარალელურად უნდა ემოქმედა. დიდი ხნის განმავლობაში ავსტრიის პარლამენტში ამ მონახაზზე მიმდინარეობდა მსჯელობა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, დამოუკიდებელ ავსტრიას იმ პერიოდში არ ეღირსა სს-ის შესახებ ერთიანი ნაციონალური, ცალკე კანონის მიღება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1869 წლის კანონპროექტი სს-ბებთან მიმართებით ძალიან პროგრესულ ნორმებს შეიცავდა. აქ მოწესრიგებული იყო ბალანსის დადგენის, მისი განაწილების, საერთო კრებაში აქციონერთა მონაწილეობის, საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები.⁵³ განისაზღვრა კონცესიის სისტემიდან ნორმატიულ სისტემაზე გადასვლის წესები. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სს-ის დაფუძნებას, მის სტადიებს, ხერხებს, საწესდებო კაპიტალს და, საერთოდ, საზოგადოებაში ქონებრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგალითად, მოგების გამოყენების წესებსა და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კანონპროექტში დადგენილი დებულებები საბოლოო ჯამში ჯერ გერმანიის 1884 წლის ნოველაში, მოგვიანებით კი თვით გერმანულ სს-ის შესახებ კანონში აისახა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ავსტრიამ გერმანულენოვანი ქვეყნების სააქციო სამართალში აგრეთვე გარკვეული როლი ითამაშა. მნიშვნელოვანია ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ 1874 წელს შექმნილი კიდევ ერთი

⁵¹ §5 Z 5 VersReg 1880. ვუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 157.

⁵² კომანდიტური სააქციო საზოგადოება არის კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომლის, სულ მცირე, ერთი პარტნიორი მაინც საზოგადოების წინაშე პერსონალურად პასუხისმგებელი პირია, ხოლო დანარჩენები კი, რომლებიც, თავისთავად, მონაწილეობენ აქციებად დაყოფილ საწესდებო კაპიტალში, საზოგადოების ვალებისათვის პასუხისმგებელი არ არიან. კსს-ის შესახებ შეგიძლიათ იხ.: E. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht, 11. Auf., Verlag Vahlen, München 1999. S. 202-203. თუმცა საწარმოს ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ავსტრიის დღევანდელი კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული არ არის. ამგვარი საზოგადოებების (კსს-ის) მნიშვნელობა, მაგალითად, დღევანდელ გერმანიაში ძალიან მცირეა. ეს ფორმა გერმანიასა და ავსტრიაში, უმეტესწილად, მე-19 საუკუნეში იყო გამოყენებადი, იმდენად, რამდენადაც კომერსანტები, ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ცდილობდნენ კონცესიის რთული სისტემისათვის თავის არიდებას და, შესაბამისად, ისეთი მოქნილი საზოგადოების დაარსებას, რომელსაც კაპიტალის მოზიდვაც შეეძლო და, ამასთანავე, არ დაქვემდებარებოდა სს-ის დაარსებისათვის გათვალისწინებულ ნებადართულობის მეტად რთულ პროცედურას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ასეთი ფორმის „პროტოტიპს“ იცნობს დღევანდელი ავსტრიული საზოგადოებათა სამართალი. კერძოდ, საუბარია ე.წ. კომანდიტურ შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე (GmbH & Co KG). ეს საზოგადოება, ერთგვარად, ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა ძირითად შერეულ ფორმას შეადგენს, ისე, რომ მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული არ არის, თუმცა როგორც კერძო, ისე საგადასახადოსამართლებრივად აღიარებულია. ამ საკითხის შესახებ დაწერილებით შეგიძლიათ იხ.: C. Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, Linde Verlag, Wien 2000, S. 383-399.

⁵³ Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 170.

კანონპროექტი, რომელიც სს-სა და კსს-ს შეეხებოდა. ბედის უკუღმართობით ვერც ამ კანონპროექტმა მიიღო კანონის სახე.

1938 წელს ავსტრიაში, გერმანიის ჯარების შესვლის შემდეგ, ძალიან სწაფად დაისვა საკითხი ავსტრიის სააქციო სამართლის გერმანულთან ჰარმონიზაციის თაობაზე. საბოლოოდ, ავსტრიაში ძალაში შევიდა გერმანული კანონი სს-თა შესახებ, რომელიც ცვლილებებითა და დამატებებით დღესაც მოქმედებს.

§2. კაპიტალიზმის გენეზისი და ქონებრივ-კორპორაციული საწყისი საქართველოში

„კაპიტალიზმის გენეზისის“⁵⁴ საკითხი საქართველოში ისევ ინარჩუნებს თავის აქტუალობას. ჩვენთვის საინტერესოა ამ გენეზისის საკითხი იმდენად, რამდენადაც მასზე უშუალოდ არის დამოკიდებული პირველი კაპიტალისტური საწარმოების (სს-ის) ჩამოყალიბება თბილისსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში. ამიტომ ამ საკითხის კვლევა ჩვენი თემისთვის ასევე მიზანშეწონილად გვეჩვენება.

ა) საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩამოყალიბების ისტორიიდან

კაპიტალისტური წარმოების გაჩენა შეიძლება პირობითად ორ ეტაპად დავეყოთ: რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი პერიოდი. რეფორმამდელი პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო რეფორმის შემდეგი პერიოდი კი – მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს. ჩვენთვის კი განსაკუთრებით საინტერესოა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, რადგანაც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება უშუალოდ კაპიტალური კორპორაციების⁵⁵ ჩამოყალიბება საქართველოში. მე-19 საუკუნის დასაწყისი, ძირითადად, ამქრულ-ცეხური ორგანიზაციების, ხელოსნობის დომინირებულ მდგომარეობას და წვრილ-წვრილი მანუფაქტურული საწარმოების⁵⁶ დაარსებას უკავშირდება. ამ პერიოდისთვის

⁵⁴ წინამდებარე სიტყვები მოყვანილია ლ. ეძგვერადის სტატიიდან სახელწოდებით: „ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში (ამქრობის რეორგანიზაცია და განვითარების ტენდენციები)“. იხ.: კრებული - საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), ავტორთა ჯგუფი: შ. ლომსაძე, გ. ბერძენიშვილი, მ. მირიანაშვილი და სხვ., ლ. ეძგვერადე, ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში (ამქრობის რეორგანიზაცია და განვითარების ტენდენციები), გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1973, გვ. 132.

⁵⁵ თუმცა ივანე ჯავახიშვილი კორპორაციების წარმოშობას უკავშირებს ადრინდელ საქართველოში, ზოგადად, გაერთიანებების ჩამოყალიბებას, და კორპორაციებში მოიაზრებს ორგანიზაციებს, რომელთაც საჯარო ხასიათი ჰქონდათ. „ასეთ კორპორაციათაგან შეიძლება დასახელებულ იქნეს ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები, ასნაფები, ანუ ამქრები, სვანეები, ასევე მონასტრების ძმობანიც“. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ. 1984, გვ. 235.

⁵⁶ ამქრების, ხელოსანთა გაერთიანებების შესახებ შეგიძლიათ იხ.: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II ტომი, თბ. 1983 წ., გვ. 532-543; გ. გამყრელიძე, ხელოსნობა ტფილისში, გამომც. „შრომა“, ტფილისი 1926, გვ. 21-27, 100-114; ლ. ლაზარაშვილი, სავაჭრო სამართლის განვითარების გზა, ჟურ. „სამართალი“, 1997 წ. №11-12; და ა.შ.

საქართველოში ნაკლებად შეიმჩნევა მძლავრი კაპიტალის კონკრეტული კომერსანტების ხელში თავმოყრის ტენდენცია. წვრილი კაპიტალი კი არ არის ის საშუალება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მსხვილი კაპიტალური საზოგადოების დაფუძნება. თუმცა უკვე მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან აშკარად თვალშისაცემია სამრეწველო კაპიტალის ზრდა.⁵⁷ ამ პერიოდში ადგილი აქვს წარმოებითი პროდუქციის გამოშვებას და ბაზრისათვის საქონლის წაროებაზე გადასვლას.⁵⁸ საერთოდ, კაპიტალისტური ელემენტების შემოჭრის პროცესს ხელი ამქართა რღვევამაც შეუწყო,⁵⁹ რაც ხელსაყრელად შრომის ერთიან საწარმოებში გაერთიანებას ამკვიდრებდა. თავის მხრივ, ეს განაპირობებდა ახალი სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას, რუსული და ევროპული ნაწარმის გაჩენასა და მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდას.⁶⁰ ამ პერიოდში, საქართველოში შედარებით მშვიდობიანი კლიმატის დამკვიდრების გამო, საგრძნობლად იზრდება მოსახლეობის რიცხვიც. უცხოურ პროდუქციაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესებამ (1821 წ.) კი ხელი შეუწყო როგორც უცხო საქონლის შემოზიდვას საქართველოში, ისე საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის განვითარებას. ამიტომ უცხოეთთან შეღავათიანი სავაჭრო პოლიტიკის შემოღებით ქართველმა ვაჭრებმა შეძლეს დიდი ფულადი კაპიტალის დაგროვება.⁶¹

კაპიტალის დაგროვების შედეგად ყალიბდებოდა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა, რომელიც მოგების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა, რაც, თავის მხრივ, ასევე ხელს უწყობდა ბაზრიდან ხელსაქმისა და ხელის ნაწარმის გაძევებას. ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ ევროპაში (ავსტრიაში) მასობრივი პროდუქციის გამოშვების ტენდენციას, რომლის დროსაც კომერსანტებს, ეს მოგების მიღების გაცილებით დიდ ალბათობას აძლევდა, ვიდრე წვრილი ვაჭრობა ან წვრილი მეწარმეობა.

მე-19 ს-ის მეორე ნახევრის თბილისი უკვე წარმოადგენდა საქართველოს მრეწველობის მნიშვნელოვან ცენტრს. მე-19 ს-ის 70-ანი წლებიდან თბილისში ჩნდება პირველი მსხვილი ფაბრიკები, ქარხნები, საწარმოები.⁶² აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პირველი „ფაბრიკის“ აშენება საფრანგეთიდან შემოსულ კაპიტალს უკავშირდება. კერძოდ, ისტორიული წყაროები საუბრობენ კაპიტალურ მანუფაქტურულ საწარმოზე, რომელიც 1827 წელს საფრანგეთიდან ჩამოსული ვაჭრის კასტელას ძალისხმევით აშენდა.⁶³ ასე რომ, უკვე მე-19 ს-ის პირველ ნახევარში შეიმჩნევა უცხო კაპიტალის საქართველოში შემოღინება და გარკვეული საწარმოს დაარსების ტენდენცია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სავაჭრო და სავაჭრო (სასესხო) კაპიტალი იმ დროს ვაჭრებსა და

⁵⁷ ებგვერაძე, ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში, გვ. 134.

⁵⁸ ებგვერაძე, ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში, გვ. 133.

⁵⁹ ებგვერაძე, ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში, გვ. 137.

⁶⁰ ებგვერაძე, ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში, გვ. 134.

⁶¹ გ. ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, კრებულში: თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, სტალინის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბ. 1958, გვ. 263.

⁶² ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 261.

⁶³ ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 267.

მევასშეებს შორის რჩებოდა. ამიტომ ეს უკანასკნელი ნელ-ნელა მდიდრდებოდნენ, ხელში იგდებდნენ ქონების დიდ ოდენობას, რასაც შემდეგ ყიდდნენ და ფულად აქცევდნენ.⁶⁴ თანდათანობით ისინი ფიქრობდნენ თავიანთი კაპიტალის მოზიდვისა და გაერთიანების ხარჯზე ისეთი მსხვილი წარმოების შექმნას, რომელიც მასიური პროდუქციის გამოშვებას მიჰყოფდა ხელს და დიდი მოგების შესაძლებლობას გამოიწვევდა. ამისათვის კი საჭირო იყო დაქირავებული მუშა ხელის დასაქმება, რაც, ძირითადად, ჩამოსული და ადგილობრივი კონკურენციისაგან განდევნილი ხელოსნების ხარჯზე მიმდინარეობდა.

ისევე როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია), საქართველოშიც კაპიტალისტური ურთიერთობის გაღრმავებას და ქონების ცალკეული პირების ხელში ჩაგდებას დიდად შეუწყობდა ხელი რკინიგზის მშენებლობამ და ამოქმედებამ. რკინიგზის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სავაჭრო გზების უფრო ადვილი და სწრაფი დაკავშირება, რამაც საქონლის მიმოქცევის და, საერთოდ, პროდუქციის ბრუნვის დაჩქარება გამოიწვია. მე-19 ს-ის დასასრულს განსაკუთრებით მრავლდება, მაგალითად, სახერხი, ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოები, შენდება ავეჯის პროდუქციის მწარმოებელი ქარხანა. კაპიტალიზაციის ამ სფეროში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფოთი-თბილისის რკინიგზა. ქართველ კომერსანტებს, მაგალითად, ფოთის პორტის მეშვეობით შემოჰქონდათ უცხოური საქონელი. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართველ მეწარმეებს სწორედ ამ პერიოდში ურთიერთობა აქვთ ავსტრიელებთან, კერძოდ, ცნობილია, რომ ბათუმში ხის ყუთების დამამზადებელი ქარხნები იყო აშენებული, რომელნიც „მშრალი კარგი ხარისხის, ყუთების გარკვეული რაოდენობისათვის საჭირო განსაზღვრული ზომის“ ფიცრებს, ძირითადად, ავსტრიიდან იღებდნენ.⁶⁵ როგორც ისტორიული მასალები იტყობინებია, ავსტრიიდან შემოტანილი მასალისაგან დამზადებული ხის ყუთი უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ადგილობრივი მასალისაგან წარმოებული.⁶⁶ ამ სფეროში ყურადღების ღირსია ოქრომჭედლიშვილის საწარმო, რომელშიც მე-19 ს-ის დასასრულისათვის სამოცზე მეტი მუშა მუშაობდა და საწარმოს წლიური ბრუნვა კი დაახლოებით 100 000 მანეთს შეადგენდა.⁶⁷ ვფიქრობთ, რომ ოქრომჭედლიშვილის საწარმო აუცილებლად ატარებდა კაპიტალური საზოგადოების ხასიათს. მასში გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა, საზოგადოებას შექმნილი ჰქონდა საბრუნავი კაპიტალი, თუმცა მისი (კორპორაციის) დამფუძნებელი, ფაქტობრივად, ერთი პირი იყო და პასუხისმგებლობაც, ძირითადად, მისი ქონებით შემოიფარგლებოდა.

⁶⁴ ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 270.

⁶⁵ ქ. მუშკუდიანი, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX ს. 90-იან წლებში, კრებულში: საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), ავტორთა ჯგუფი: შ. ლომსაძე, გ. ბერძენიშვილი, მ. მირიანაშვილი და სხვ., გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1973, გვ. 178.

⁶⁶ მუშკუდიანი, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX ს. 90-იან წლებში, გვ. 178.

⁶⁷ მუშკუდიანი, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX ს. 90-იან წლებში, გვ. 186.

არსებობს მოსაზრება, რომ „კაპიტალისტური მრეწველობა თბილისში, ძირითადად, აღმოცენდა სწორედ ბატონყმობის გადავარდნისა და რკინიგზების გაჩენის შემდეგ, მისი სწრაფი განვითარება ხდება 80-იან, განსაკუთრებით კი 90-იან წლებში“.⁶⁸ თუმცა ასევე არსებობს აზრი იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ მე-19 ს-ის 30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში „აქციონერული კომპანიის“ დაარსებას სახელწოდებით: „კავკასიის სავაჭრო დეპო“.⁶⁹ ხოლო ეს საზოგადოება, თავის მხრივ, ვაჭრობის ამიერკავკასიისა და ირანში რუსული საქონლის და პროდუქციის უფრო ეფექტური ბრუნვისა და გასაღებისათვის, აარსებდა „კომერციულ სახლს – ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს“.⁷⁰ მისი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) თბილისში უნდა ყოფილიყო. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ეს საზოგადოება „ეწყობოდა როგორც აქციონერთა კომპანია“.⁷¹ საბოლოო ჯამში, მისი შექმნის ინიციატივა კრახით დასრულდა. ასე რომ, მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, თუმცა იყო მცდელობები ჩამოყალიბებინათ სს-ბები, მაინც უშედეგო აღმოჩნდა. ვფიქრობთ, რომ პირველი სს-ბების დარსება საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირველი სს-ის დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაინც უფრო მე-19 ს-ის მეორე ნახევარში დაიწყო. თუკი შევადარებთ ავსტრიაში (ცენტრალურ ევროპაში) პირველი სს-ბების გაჩენას, დავინახავთ, რომ მათი ჩამოყალიბება ძირითადად განპირობებული იყო რკინიგზათა მშენებლობით. ამიტომ ჩვენეული ხედვით უფრო მისაღებია, რომ საქართველოშიც პირველი წმინდა სახის სს-ბები სწორედ მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ისტორიული წყაროები საუბრობენ აგრეთვე „ქართული ღვინის კომპანიის შექმნის პროექტის“ შესახებ.⁷² მას ასევე სს-ის ფორმით უნდა ემუშავა, თუმცა ამ საზოგადოების შექმნის საქმეც უშედეგოდ დამთავრდა. ამ პერიოდში თბილისში ბევრი „კომპანია“ გაიხსნა, მაგალითისთვის მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: ფრანგი ვაჭრის კაკსტელას აბრეშუმსახვევი ქარხანა; ავსტრიელი ვაჭრის ზეტცერის ავეჯის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც თბილისში 1847 წელს ამუშავდა; რუსი კომერსანტის კორლანოვის თუჯის ქარხანა; 1858 წელს მუშაობა დაიწყო ასევე ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმომ; თბილისში არსებობდა აგრეთვე სპირტის სახდელი ქარხანა საწარმო ორთქლის ძრავით და ა.შ.

ისევე როგორც ავსტრიაში, საქართველოშიც კაპიტალისტური კორპორაციების დამაარსებლებად (დამფუძნებლებად), ძირითადად, საიმპერატორო კართან დაახლოებული პირები და სამხედრო მოხელეები გამოდიოდნენ. როგორც ჩანს ისინი, ერთი მხრივ, განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, ადვილად იღებდნენ

⁶⁸ ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 276.

⁶⁹ პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, VI ტომი, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1979, გვ. 260.

⁷⁰ გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, გვ. 261.

⁷¹ გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, გვ. 263.

⁷² გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, გვ. 268.

სავალდებულო ნებართვას კაპიტალისტური საწარმოების ასამუშავებლად და, მეორე მხრივ კი, თავად იყვნენ დიდი ქონების მფლობელები იმდროინდელ ქვეყანაში.

მშვიდობამ საქართველოს საქალაქო ცხოვრების აღმავლობა მოუტანა. საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვიც. მრავალი საცხოვრებელი თუ სხვა სახის შენობა-ნაგებობა შენდებოდა. გამომდინარე აქედან, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა სამშენებლო მასალებზე მოთხოვნილებაც. ამიტომ სამშენებლო მასალების წარმოება მეტად სარფიან საქმედ იქცა. ამასთანავე, ამ პროდუქციის მწარმოებელი ქარხნები, თითქმის გაკოტრების პირას მისულ ამქრებში დასაქმებულ ხელოსნებს (ხუროებს, კალატოზებს და სხვ.) თავისთან ეპატიუებოდნენ, სადაც საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებასაც უხდიდნენ.⁷³

„მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან თბილისის მრეწველობაში ადგილი აქვს მფლობელობის ერთპიროვნული ფორმებიდან აქციონერულ ფორმებზე გადასვლის შედარებით ძლიერ პროცესს. ოფიციალური ცნობებით, 1900 წელს აქციონერულ საზოგადოებათა რიცხვი თბილისში შეადგენდა 14-ს, მათი წლიური ბრუნვა უდრიდა 959 000 მანეთს, ხოლო მუშების რიცხვი კი 1906 კაცს“.⁷⁴

ბ) სააქციო ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოში

ისევე როგორც ავსტრიაში, საქართველოშიც სს-ის დაფუძნებისათვის საჭირო იყო სავალდებულო სახელმწიფო ნაბართვა.⁷⁵ ასე რომ, საქართველოშიც სს-ის დაარსებასთან მიმართებით კონცესიის პრინციპი მოქმედებდა. ამას ნათელყოფენ ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც წარმოების სხვადასხვა პროფილის სს-ის დაფუძნებას შეეხება. მე-19 ს-ის მიწურულს, კერძოდ, 1896 წელს, ფუძნდება გ. ადელხანოვის ტყავისა და ბეწვის საწარმო. ამავე საწარმოს წესდების მიხედვით, ეს ქარხანა წარმომდგარია სს-ის სამართლებრივი ფორმით. წესდების დასაწყისშივე, მის პირველ გვერდზე, ვკითხულობთ, რომ მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ იმპერატორმა განიხილა წინამდებარე წესდება სს-ის შექმნის შესახებ, მოიწონა იგი და

⁷³ მაგალითად, 1880 წელს თბილისში 95 აგურის ქარხანა ითვლებოდა, სადაც 300-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული, საწარმოთა წლიური ბრუნვა 63 000 მანეთის პროდუქციის ბრუნვით გაისაზღვრებოდა. ამასთან, თითო მუშას აქ დღიურად დახლოებით მანეთიდან ორ მანეთამდე უხდიდნენ. იხ.: ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 277.

⁷⁴ „Сборник статистических сведений по закавказскому краю“, ч. 1, Тифлиси 1902, ст. 238-240. ვუთითებ: ბაქრაძე, მრეწველობის განვითარება თბილისში, გვ. 282. ნიშანდობლივია, რომ სოციალური რეჟიმის დამყარებამდე, საქართველოში შეიმჩნეოდა კაპიტალის ზრდის ტენდენცია და ამ თვალსაზრისით სს-ბების დაარსების ტემპის სწრაფი ზრდა. სს-ბები იქმნებოდა სამთო-სამადნო წარმოებებში, მაგალითად, გერმანელი „გელზენიკიზენის სამთო-სამრეწველო სს“. იხ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ირ. აბაშიძე (მთ. რედ.), ტომი VIII, თბ. 1984, გვ. 540. თუმცა სოციალური რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს ტენდენციაც, რასაკვირველია, თითქმის საერთოდ დასამარდა.

⁷⁵ საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ რეგიონში, სს-ის დასაფუძნებლად სავალდებულო „სამთავრობო ნებართვის“ მიღება იყო საჭირო. შეად.: Большая советская энциклопедия, 2-ое издание, Том II, ст. 26.

დართო მას ნება ფუნქციონირებისათვის.⁷⁶ იგივე შეიძლება ითქვას 1899 წელს დაფუძნებულ ამიერკავკასიის მანუფაქტურულ სს-ზე,⁷⁷ ასევე 1900 წელს დაარსებულ ამიერკავკასიის ასანთისა და ხისმჭრელ სს-ზეც⁷⁸ და ა.შ.

ზემოთ მოყვანილ საწარმოთა წესდებების პირველი პარაგრაფებით აუცილებლად განისაზღვრებოდა საზოგადოების დაფუძნების ძირითადი მიზანი და ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), ასევე მისი საფირმო სახელწოდება.⁷⁹ საინტერესოა ის ფაქტი, რომ წესდებებით ასევე წესრიგდებოდა საზოგადოების საკუთრებაში მის დაფუძნებამდე არსებული ქონების (ფაბრიკა, მანუფაქტურები) გადასვლა, მისი სამართლებრივი მდგომარეობა,⁸⁰ ანუ ამ საწარმოთა კაპიტალური ხასიათი იმთავითვე იყო გამოკვეთილი. ქონების მესაკუთრე თავად საზოგადოება იყო.⁸¹ ხოლო კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობა განისაზღვრებოდა როგორც საზოგადოების მთელი ქონებით, ისე ნაწილობრივ „ადრინდელი მფლობელის“ (დამფუძნებლის) ქონებით. ყოველგვარი დავა საზოგადოებასთან დაკავშირებით, გადაწყდებოდა რუსეთის იმპერიაში მოქმედი კანონების საფუძველზე.⁸² სამართლებრივი დოკუმენტი ითვალისწინებდა „საზოგადოების საჯარო ინფორმაციას“, ანუ მისი დაარსების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების სავალდებულობას. ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო სამთავრობო მაცნეში, კერძოდ, საფინანსო, სამრეწველო და სავაჭრო მაცნეში.

იმდროინდელი სამართლებრივი ნორმები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საზოგადოების კაპიტალს, აქციებს და აქციის მფლობელთა უფლება-მოვალეობებს. საწესდებო კაპიტალს წესდებები „ძირითად კაპიტალს“ უწოდებდნენ და სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ (მაგალითად, 1 500 000 რუბლად,⁸³ 600 000 მანეთად⁸⁴ და. ა.შ.). თითოეული აქციის (ნომინალური) ღირებულება, მაგალითად, ადელხანოვის ტყავის სს-ის წესდების მიხედვით 250 მანეთი იყო, მათი რიცხვი კი 6000. ამავე წესდების მე-9 პარაგრაფის თანახმად, აქციების რაოდენობა იყოფოდა როგორც საზოგადოების

⁷⁶ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, ст. 1.

⁷⁷ იხ.: Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, ст. 1.

⁷⁸ იხ.: Уставъ Акционерного общества закавказского спичечнаго и льсопильнаго производства, Тифлисъ 1900, ст. 1.

⁷⁹ მაგალითად, ამიერკავკასიის მანუფაქტურული სს იქმნებოდა ამიერკავკასიაში ბამბისა და ქალაღლის წარმოების მხარდასაჭერად, ამიტომ მისი ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო. Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §1.

⁸⁰ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, ст. 1.

⁸¹ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §2; Уставъ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §2.

⁸² Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §3, გვ. 2.

⁸³ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §8; Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §6.

⁸⁴ Уставъ Акционерного общества закавказского спичечнаго и льсопильнаго производства, Тифлисъ 1900, §8.

დამფუძნებელზე, ისე გარეშე მოწვეულ პირებზე, რომლებიც, დამფუძნებლისაგან განსხვავებით, აქციებს მიიღებდნენ მათსა და დამფუძნებლებს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასად.⁸⁵ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოებისათვის კაპიტალის მოსაზიდად, წესდების მე-10 პარაგრაფი ითვალისწინებდა აქციებისთვის წესდების დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში თანხის გადახდას არა მხოლოდ დამფუძნებელთა მიერ, არამედ მესამე, მოწვეული პირების მიერ.⁸⁶ აქციონერთა ნების შესაბამისად, აქციები შეიძლება დარიგებულიყო (განთავსებულიყო) სახელობით ან საწარმდგენლო ფორმით (§14). ჩვეულებრივ, საზოგადოება ვაღდებული იყო ეწარმოებინა საზოგადოების წიგნი, სადაც აქციონერთა სტრუქტურა იქნებოდა დაფიქსირებული. ყოველ აქციას თან ერთვის „კუპონის ფურცელი“,⁸⁷ რომელიც უზრუნველყოფდა 10 წლის განმავლობაში დივიდენდის მიღების შესაძლებლობას.⁸⁸ მე-16 პარაგრაფი განსაზღვრავდა სახელობითი აქციის გასხვისების წესს. რაც შეეხება ასეთი ტიპის აქციის გასხვისებას, იგი რთულ პროცედურას მოიცავდა და სასამართლოს დადგენილებას მოითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ აქცია საბირჟოუნარიანობას (საჯაროდ ვაჭრობისათვის გატანის უნარიანობას) იძენდა მხოლოდ საზოგადოების დაფუძნებიდან „ერთი საოპერაციო წლის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ“.⁸⁹ საზოგადოების წესდების მე-18 პარაგრაფი განამტკიცებდა აქციის (როგორც მოწმობის) და მის უკან მდგარი უფლების განუცალკავებლად არსებობის პრეზუმფციას იმდენად, რამდენადაც ამავე პარაგრაფის მიხედვით, კუპონი (ტალონი)⁹⁰ არ შეიძლება გადაცემოდა სხვა პირს სახელობითი აქციის გადაცემის გარეშე, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ წარმოდგენილი იყო აქციის, როგორც მოწმობის გასხვისება სხვა პირზე, ხოლო იმ უფლების, რაც მის უკან იდგა, ცალკე სხვა პირისთვის გადაცემა. ეს ორი ელემენტი რეალურად ერთობლიობას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაპირველად აქციის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ და მის ქონებაზე უფლებამონაცვლის, მზრუნველის⁹¹ დადგენის შემდეგ, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა საზოგადოების მართვაში რაიმე განსაკუთრებული უფლება. შესაბამისად, ეს იძლევა იმის საშუალებას, ადელხანოვის სს-ის წესდების მე-20 პარაგრაფი განიმარტოს იმგვარად, რომ საზოგადოების დამფუძნებელი საზოგადოებაში განსაკუთრებული სტატუსით და უფლებებით სარგებლობდა.

⁸⁵ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §9, გვ. 3-4.

⁸⁶ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §10, გვ. 4.

⁸⁷ შეიძლება მას ტალონიც ვუწოდოთ. ავსტრიულ სამართალში ასეთ დამატებით ქადაღდს სწორედ ტალონი ჰქვია.

⁸⁸ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §15, გვ. 6.

⁸⁹ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §17, გვ. 6.

⁹⁰ რომელიც აქციის განუყოფელი ნაწილი იყო.

⁹¹ წესდება ხმარობს ტერმინს „опекун“.

სამართლებრივად განისაზღვრებოდა ასევე საზოგადოების მმართველობის, ზოგადად, მისი მართვის საკითხები (მაგალითად, ადელხანოვის საწარმოს წესდების 21-83-ე პარაგრაფები). წინამდებარე საზოგადოებას არ ჰყავდა სამეთვალყურეო საბჭო და ღირეპქტორთა სისტემურ კონტროლს ქონებრივი თვალსაზრისით, ძირითადად, აქციონერთა საერთო კრება ახორციელებდა.

39-48-ე პარაგრაფები საზოგადოების მოგებისა და დივიდენდა განაწილებას აწესრიგებდა. ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება ის, რომ, მაგალითად, 44-ე პარაგრაფი თავისებურად საზოგადოებისთვის სარეზერვო ფონდის შექმნას ითვალისწინებდა იმდენად, რამდენადაც ამავე მუხლით განისაზღვრებოდა, რომ დაუშვებელია მოგების განაწილება, თუ „დამატებით კაპიტალში“⁹² ჩარიცხული თანხა არ შეადგენს იმ თანხის 5%-ს, რომელიც ბალანსის შედგენის შედეგად საზოგადოების პასივების დაფარვის შემდეგ აქტივს არ მიემატება. უფრო მეტიც, 45-ე პარაგრაფი უშუალოდ სარეზერვო კაპიტალის არსებობის სავალდებულობას განსაზღვრავდა. კერძოდ, თანხის (ბრუნვიდან შემოსული ქონების) ჩარიცხვა „დამატებით კაპიტალში“ წარმოებს მანამ, სანამ იგი ძირითადი კაპიტალის 1/3-ს არ მიაღწევს. დივიდენდების გაცემის შესახებ საზოგადოება ვალდებული იყო საჯაროდ გამოეკვეყნებინა ინფორმაცია.⁹³ (§47)

49-61-ე პარაგრაფები აქციონერთა საერთო კრებას, უფლებამოსილებას, მის მუშაობას აწესრიგებდა. ხოლო ბოლო 62-67-ე პარაგრაფები საზოგადოების შიგნით დავების გადაწყვეტას, საზოგადოების პასუხისმგებლობასა და ლიკვიდაციას შეეხებოდა. აქვე წესრიგდებოდა სალიკვიდაციო პროცედურასთან და ლიკვიდატორებთან დაკავშირებული საკითხები (§65).

იმდროინდელი სააქციო სამართალი დროებით მოწმობებსაც იცნობდა, მაგრამ მათ გასხვისებას კრძალავდა.⁹⁴ შესაბამისად, ისინი სახელმწიფო ბანკის ნომინალურ მფლობელობაში იმყოფებოდა და მათი გამოტანა აქციონერს პირველი საოპერაციო წლის გასვლის შემდეგ შეეძლო.⁹⁵ მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ აქციათა მიღება დამოკიდებული არ იყო იმაზე, თუ ვინ იქნებოდა შეტანილი (რეგისტრირებული) საზოგადოების დამფუძნებლად წესდებაში,⁹⁶ ანუ შესაძლებელი იყო დამფუძნებელსა და მესამე პირს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საკუთრების უფლება აქციაზე საზოგადოების დაარსების (დაფუძნების) პროცესშივე სხვა მესამე პირზე, მოწვეულ პირზე გადასულიყო. ეს კი, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება თანამედროვე ქართულ და ავსტრიულ სააქციო სამართალს.

კაპიტალის შევსების უზრუნველსაყოფად, თითოეული აქციისთვის გადასახდელი თანხის მთლიან გადახდამდე აქციები არ გაიცემოდა. ისინი სახელმწიფო ბანკის მფლობელობაში იმყოფებოდა მანამ, სანამ საზოგადოების ძირითადი კაპიტალი არ შეივსებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება არ შემდგარად

⁹² წესდება ხმარობს ტერმინს „запасний капитал“.

⁹³ Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896, §47.

⁹⁴ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §7.

⁹⁵ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §7-ის შენიშვნა.

⁹⁶ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §7.

განიხილებოდა.⁹⁷ შესაბამისად, უნდა განვმარტოთ, რომ პრივილეგიაც უქმდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ფინანსთა მინისტრს წარედგინებოდა ანგარიში იმის თაობაზე, რომ თანხა შეტანილია, საზოგადოებას ეძლეოდა უფლება „გაეხსნა თავისი საქმიანობა“.⁹⁸ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება არ შემდგარად გამოცხადდებოდა, შეტანილი თანხა პირებს უკან უბრუნდებოდათ.⁹⁹ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, ძირითადად, უშუალოდ იყო დაკავშირებული დამფუძნებლების მიერ შესატანის შეტანასთან, რომელიც ორი წლის განმავლობაში ან, შეთანხმებისამებრ, უფრო მცირე ვადაში სრულყოფილად უნდა შეესრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო საზოგადოების ლიკვიდაცია.

საინტერესოა, რომ იმდროინდელი ქართული სააქციო სამართალი განსაზღვრავდა იმ შემთხვევას, როდესაც პირის მიერ დათქმულ ვადაში შესატანი სრულყოფილად არ იქნებოდა განხორციელებული. ამ დროს ასეთ პირს დამატებით ეძლეოდა ერთი თვე თანხის გადასახდელად. მაგრამ ამავდროულად მას საზოგადოების სასარგებლოდ ეკისრებოდა 1%-ის (დარჩენილი თანხის, დარჩენილი შესატანის) ჯარიმის სახით გადახდაც¹⁰⁰ (შეიძლება ეს ე.წ. კონვენციონალურ საჯარიმო სანქციასაც შევადაროთ. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად საზოგადოებას უფლება ჰქონდა გამოეშვა ასევე აქციათა დამატებითი რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს პირველდაწყებითი კაპიტალისა.¹⁰¹ კაპიტალის გაზრდა კი ნებადართული იყო მხოლოდ ფინანსთა მინისტრის თანხმობით. კაპიტალის გაზრდისას გამოშვებული აქციის ფასი, ზოგადად, ნომინალურ ფასს უდრიდა, თუმცა მის შემძენს ნომინალურ თანხაზე მეტი უნდა გადაეხადა, კერძოდ, ეს იყო ე.წ. საპრემიო თანხა, რომელიც საზოგადოების სათადარიგო კაპიტალიდან გამოიანგარიშებოდა.¹⁰² ახლადგამოშვებული აქციების შესყიდვის უპირატესობით, ძირითადად, ამავე საზოგადოების აქციონერები სარგებლობდნენ. ხოლო ის აქციები, რომელთა შესყიდვაც აქციონერთა მხრიდან არ მოხდებოდა, ფინანსთა მინისტრის ნებართვით, საჯარო ვაჭრობისათვის გაიტანებოდა.¹⁰³

1900 წელს დაფუძნდა ასევე ტაიროვის, ალიხანოვისა და ტოლლეს სახელით ცნობილი ზეთის, საპნისა და სანთლის მწარმოებელი სს.¹⁰⁴ ასე რომ, უკვე გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში განსაკუთრებით შეიმჩნევა საწარმოთა სს-ის ფორმით დაფუძნების მზარდი ტენდენცია.¹⁰⁵

⁹⁷ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §8.

⁹⁸ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §8 მე-3 წინადადება.

⁹⁹ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §8.

¹⁰⁰ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §9.

¹⁰¹ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §11.

¹⁰² Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §11-ის დამატება.

¹⁰³ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899, §12.

¹⁰⁴ Уставъ Акционерного общества маслoбойныхъ, мыловаренныхъ и свчъныхъ заводовъ въ Тифлисъ, Тифлисъ 1900.

¹⁰⁵ თუმცა ეს ტენდენციაც სოციალური რეჟიმის დამყარებისთანავე საერთოდ შეჩერდა.

§3. დასკვნის ნაცვლად

აღსანიშნავია, რომ ავსტრიისაგან განსხვავებით, საქართველო, სააქციოსამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების თვალსაზრისით, ჩამორჩენილი ქვეყანაა. იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა რაიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა სს-ბებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამიტომ ეს ურთიერთობა, ძირითადად, წესდებების მეშვეობით წესრიგდებოდა. თუმცა წესდებათა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ საქართველოც, სს-თა ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ზოგადად, იმ ისტორიულ კანონზომიერებას ექვემდებარება, რაც ევროპის ქვეყნებში არსებობდა. პრინციპში წესდებებსაც უფრო „კანონების“ ფორმა და შინაარსი ჰქონდათ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშიც სს-ის დაარსება არა მხოლოდ კერძოსამართლებრივ მიზანს ემსახურებოდა, არამედ, გარკვეულწილად, საჯარო, საერთო საზოგადოებრივი დატვირთვაც გააჩნდა.

ნაწილი II. სააქციო საზოგადოება, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ქონებრივი წარმონაქმნი, მისი დაფუძნება: ჩვეულებრივი და კვალიფიციური დაფუძნება

შესავალი

ა) ზოგადად

საერთოდ აღიარებულია, რომ ქონებრივი ურთიერთობა არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს შორის და რომელიც დაკავშირებულია საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებათა წარმოშობა, განხორციელებასა და შეწყვეტასთან.¹⁰⁶ „ქონებრივი ურთიერთობა წარმოიშვება აგრეთვე გარკვეული გარიგების დადებით ან სხვა რომელიმე ვალდებულებით (მაგალითად, დელიქტი - ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულება)“.¹⁰⁷

სააქციო საზოგადოებაში შესაძლოა, გამოიყოს ქონებრივ ურთიერთობათა ძირითადად სამი ჯგუფი:

პირველი – ეს არის ის ქონებრივი ურთიერთობა, რომელშიც თავად სააქციო საზოგადოება მონაწილეობს როგორც სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივი სტატუსის მქონე დამოუკიდებელი სუბიექტი. როგორც არაერთხელ იქნება ნათქვამი, სააქციო საზოგადოება წარმოადგენს სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს და შეუძლია დადოს გარიგებები, დამოუკიდებლად აგოს პასუხი თავის ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე, მიაყენოს სხვა პირს ზიანი, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ პროცესში და ა.შ., ანუ მას მართლწესრიგით მინიჭებული აქვს სრული უფლება, სუვერენულად წარდგეს სამოქალაქო ბრუნვაში.

მეორე ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ამ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თავისებურებებთან. ქონებრივი ურთიერთობის მეორე ჯგუფის ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება არის ის ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვება იურიდიული ფაქტების მოქმედების ძალით და, რომელსაც, თავის მხრივ, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებსა და მხოლოდ სს-ბებში აქვს ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის ქონებრივი ურთიერთობა დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ სს-ისთვის. ასე, მაგალითად, ის აქციონერი, რომელიც საერთო (აქციონერთა) კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სს-ის რეორგანიზაციის თაობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება, იძენს განსაკუთრებულ სუბიექტურ უფლებას მოითხოვოს საზოგადოებისაგან მისი ყველა აქციის ან მისთვის ნაწილობრივ მიკუთვნებული აქციების გამოსყიდვა.¹⁰⁸ რაც შეეხება თავად სს-ს, მას წარმოეშობა ამ აქციის (აქციათა) „მეწარმეთა შესახებ“ კანონით (ასევე „öAktG“) დადგენილი წესით შესყიდვის (აქციის მფლობელისაგან აქციის გამოსყიდვის) კორესპონდენციული იურიდიული ვალდებულება. ასე რომ, ზემოაღნიშნულმა შემთხვევამ კონკრეტულად დაგვანახვა ქონებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ის მაგალითი, რაც, შესაძლოა, მხოლოდ სს-ში

¹⁰⁶ Ионцев М. Г., Акционерные общества, Москва 2002, ст. 35.

¹⁰⁷ Ионцев, Акционерные общества, ст. 35.

¹⁰⁸ Ионцев, Акционерные общества, ст. 36.

არსებობდეს და რასაც სხვა საწარმოზე (საწარმოს სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე) ვერ ვიტყვით.

რაც შეეხება მესამე ჯგუფს – იგი, ძირითადად, დაკავშირებულია ადმინისტრაციულ საკითხებთან. კერძოდ, ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს საზოგადოების იურიდიული ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა და გამომდინარეობს ადმინისტრაციულსამართლებრივი, საგადასახადო, შრომითსამართლებრივი და სხვა ურთიერთობებისაგან. ასეთ ვალდებულებებად შესაძლოა, ვადიაროთ გადასახადების გადახდა საწარმოს მიერ, ჯარიმის, აქციების გადახდა, შრომის ხელფასების ანაზღაურება და სხვ.¹⁰⁹

რადგანაც წინამდებარე ნაშრომის სათაურია ქონებრივი ურთიერთობა სს-ში და, ძირითადად, ქონებრივ მოვლენებთან დაკავშირებულ ნიშნებზეა საუბარი, მიზანშეწონილია, ჩამოვყალიბოთ ქონებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე კრიტერიუმები, კერძოდ, ისინი, რომლებიც შეეხება: სს-ის დაარსებას, დაფუძნებას, ქონების მოზიდვას, საწესდებო კაპიტალსა და მის შექმნას, სს-ის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, საზოგადოების აქციებს, მათ შექმნას, შექმნას, გასხვისებას, ასევე იმ თავისებურებებს, რომლებიც ეხება სს-ის გარკვეულ გარიგებებს (როგორც საზოგადოების შიდა (მაგალითად, ქონებრივი შესატანები, დამფუძნებელთა ვალდებულებები, ქონების მიღება საზოგადოების მხრიდან (ე.წ. Sachübernahme), დამფუძნებელ-პარტნიორთა ურთიერთობანი და სხვ.), ისე მის გარე ურთიერთობებს). სწორედ ეს და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები იქნება განხილული ამ ნაშრომში.

სს, საკორპორაციო სამართალში, კაპიტალურ საზოგადოებათა კატეგორიას მიეკუთვნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს „ინდუსტრიულ საჯარო საზოგადოებას (საწარმოს)“.¹¹⁰ მასში ყველაზე მკაცრად არის გავლებული ზღვარი კაპიტალის მესაკუთრესა (ე.წ. აქციონერთა დემოკრატია) და მენეჯმენტს (ე.წ. უცხო ორგანო) შორის. ძირითადი სს-ის არსებობა-ფუნქციონირებაში სწორედ განცალკევებული ქონება (მისი წევრების ინდივიდუალური ქონებისაგან განყენებული კაპიტალი) გახლავთ. ამასთან, იგი კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილ იურიდიულ პირებში, როგორც წესი, ყველაზე უფრო დიდი მოცულობის, დიდი ქონების მქონეა.

ამხანაგური ტიპის საწარმოთაგან განსხვავებით სს-ის დაფუძნება უფრო რთულ პროცედურებს მოიცავს, რასაც საქართველოში, ძირითადად, აწესრიგებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სს-ის საქმიანობას ცალკე ფედერალური კანონი არეგულირებს, რომელშიც დეტალურად არის რეგლამენტირებული მისი დაფუძნების სტადიები.

¹⁰⁹ Ионцев, Акционерные общества, ст. 36.

¹¹⁰ Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 770.

ბ) სს-ის საგაღმწესლო და ნებაყოფლობითი სისტემის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური ტიპის საზოგადოების (სს-ის), დაფუძნებისათვის მოქმედებს ნორმატიული სისტემა, რომლის წინამორბედიც ისტორიულად ე.წ. კონცესიის სისტემა იყო.¹¹¹ ოკტროის პრინციპი ძირითადად განვითარდა მე-18 საუკუნეში. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სს უნდა შექმნილიყო აუცილებლად სახელმწიფოს სპეციალური ნებართვის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაუქმებულად ჩაითვლებოდა. ეს პროცესი ეკონომიკური ასპექტით იყო გამოწვეული. მე-18-19 სს-ში სს-ბები უკვე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდნენ, რათა დიდ საწარმოებს საქმიანობისათვის აუცილებელი კაპიტალი შეეძინათ. ასევე არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, სასარგებლო იქნებოდა თუ არა ეკონომიკის ყველა სფეროში ასეთი დიდი საწარმოების არსებობა. ჩნდებოდა ასევე შიში იმისა, რომ ეს დიდძალი ქონების მქონე საზოგადოებები „შთანთქავდნენ“ მცირე მეწარმეებს (კომერსანტებს), რაც მონოპოლური პლატფორმის საწინდარიც იქნებოდა. ამიტომ ამ დიდი საწარმოების საქმიანობა სახელმწიფოს განსაკუთრებული მეთვალყურეობით უნდა წარმართულიყო, რამაც განაპირობა კიდევ სს-ის დაფუძნებისათვის სახელმწიფოს აუცილებელი ნებართვის შესახებ დებულების შემოღება.¹¹²

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევა საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობაში ერთგვარად ხელყოფდა კიდევ სამეწარმეო თავისუფლების პრინციპს. ამის გარდა, ინდუსტრიალიზაციამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ სააქციო საზოგადოების, როგორც საწარმოს ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, გამოყენება მკვეთრად აუცილებელი გახდა. ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ თანდათანობით მოითხოვა კონცესიის სისტემის გაუქმება. დროთა განმავლობაში მსხვილ მეწარმეებს უფრო მეტი თავისუფლება მიეცათ სააქციო საზოგადოებათა შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სახელმწიფომ დაინახა სააქციო საზოგადოების დადებითი თავისებურებებიც, როგორც ეკონომიკის, ისე სოციალურ სფეროში. ნიშანდობლივია, რომ სამეწარმეო საქმიანობის რენტაბელურობას გონიერებასა და პროფესიონალიზმთან ერთად მეტწილად საჭირო სახსრები და კაპიტალი განაპირობებს. ეს უკანასკნელი კი,

¹¹¹ საერთოდ, საგაღმწესლო ნებართვათა სისტემა ორად იყოფა: ოკტროისა და კონცესიის სისტემად. ოკტროის სისტემა, კონცესიის სისტემად შეიცვალა. ეს უკანასკნელი კი ნორმატიულმა (ანუ ნებადართულობის) სისტემამ ჩაანაცვლა. საერთოდ ავსტრიაში (და არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ ევროპის კონტინენტის ბევრ ქვეყანაში) სააქციო სამართლის განვითარება – ჩამოყალიბების წინაპირობების მიხედვით – სამად იყოფა: ოკტროის სისტემა (მას სხვაგვარად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრივილეგიის სისტემას უწოდებენ), კონცესიის სისტემა და ნორმატიული სისტემა. ისტორიულად პრივილეგიას კანონის ძალა გააჩნდა. შესაბამისად, სამართლებრივად სს-ებები სწორედ ამგვარი პრივილეგიის, ანუ კანონის საფუძველზე იქმნებოდნენ. კომერციული საბჭოს კომისიის 1821 წლის დეკრეტის შემდეგ ავსტრიაში შემოღებულ იქნა კონცესიის სისტემა. ხოლო ამ უკანასკნელს კი ნორმატიული სისტემა ჩაენაცვლა. ამ პროცესმა ავსტრიაში თითქმის მე-20 ს-ის მეორე ნახევრამდე გასტანა. იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 47-49, 56-60. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ ასევე იხ.: Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 761.

¹¹² ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 1997, გამომც. „სამართალი“, გვ. 287-288.

საწარმოს სხვა ფორმებისაგან შედარებით, სს-ისთვის ყველაზე მეტად იყო დამახასიათებელი. დიდ ქონებას, მის ბრუნვასა და აქედან მოგების მიღებას მრავალი მუშახელის ძალისხმევა სჭირდება. სს-ის მუშაობაში გაცილებით მეტი ადამიანი იყო დასაქმებული, ვიდრე ვთქვათ, სპს-ში ან რომელიმე სხვა ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სს-ის არსებობა საზოგადოებაში საშუალო ფენის გაჩენასა და გამრავლებას ემსახურებოდა, რაც დემოკრატიული და სოციალურად სამართლიანი ქვეყნის არსებობის ქვაკუთხედი. მაგრამ სახელმწიფო, სს-ის შექმნასთან დაკავშირებით, კონტროლის მექანიზმებზე მთლიანად ხელის აღებას არ აპირებდა, ამიტომ თანდათანობით ჩამოყალიბდა ე.წ. ნორმატიული სისტემა, რომლის დაცვაც, რასაკვირველია, აუცილებელი წინაპირობა იყო კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებისათვის. კანონმდებლობა საჭირო რეკვიზიტებს ადგენდა საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც წესდებაში უნდა ასახულიყო.

ასე რომ, ნორმატიული სისტემა სახელმწიფოს სპეციალურ ნებართვას არ მოითხოვდა, იგი საზოგადოების დაფუძნებისას მეწარმეებს ანიჭებდა არჩევანის თავისუფლების შესაძლებლობას, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ემოქმედათ, მაგრამ პარალელურად ნორმატიულად განსაზღვრავდა იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელი იყო აქციონერებისა და მესამე პირების დასაცავად და ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოებისათვის.

თანამედროვე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, დღემდე მოქმედებს მე-19 ს-ში შემოღებული ნორმატიული სისტემა.¹¹³

გ) მოკლედ საქართველოში თანამედროვე სს-თა „დაარსების“ თაობაზე

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სს შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს (წარმოდგეს, შეიქმნას, დაარსდეს) ან დაფუძნების ან გარდაქმნის მეშვეობით.¹¹⁴ საგულისხმოა, რომ „საწარმოს შექმნის ნაცვლად ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინს საწარმოს დაარსება“.¹¹⁵ საწარმოს შექმნა გულისხმობს როგორც მის პირველად შექმნას, ისე მის შექმნას რეორგანიზაციის გზითაც, ხოლო დაარსებაში იგულისხმება მხოლოდ პირველი.¹¹⁶ ნიშანდობლივია, რომ სს-ის დაარსება არ არის ისეთი ხშირი მოვლენა, როგორც ეს რომელიმე საწარმოს სს-დ გარდაქმნის დროს ხდება. გასული საუკუნის 90-იან წლებში ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო სს-ის დაფუძნება გარდაქმნის მეშვეობით. ეს, ალბათ, იმ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა

¹¹³ ნიშანდობლივია, რომ კონცესიის სისტემის გამოყენების ვალდებულება, მაგალითად, ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მხოლოდ განსაკუთრებული სფეროს კაპიტალური საზოგადოებებისათვის გამოიყენება (მაგალითად, საპენსიო კორპორაციები, რკინიგზა, საზღვაო-საჰაერო მიმოსვლა). ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: P. Mader, Kapitalgesellschaften, 3., neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1998, S. 66.

¹¹⁴ Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 349.

¹¹⁵ ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბ. 2001, გვ. 106.

¹¹⁶ ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართლის შესავალი, გვ. 106.

ბირჟებზე საწარმოთა წილების (აქციების) ყიდვა-გაყიდვის მოთხოვნილება (ავსტრიაში წინა საუკუნის ეს მონაკვეთი ხასიათდება ბირჟებზე სადილერო-საბროკერო კომპანიების მიერ წარმოებული ოპერაციების განსაკუთრებული მოზღვავეებით). სწორედ ამიტომ უკვე დაარსებული, დიდი კაპიტალრეზერვების მქონე საზოგადოებები ყველანაირად ცდილობდნენ, თავიანთი წილები საჯარო ვაჭრობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადათ. მაგალითად, თუკი წარმატებული შპს-ის პარტნიორები მოისურვებენ თავიანთი საწარმოსათვის უკეთესი საინვესტიციო გარემოს მოძიებას, დღის წესრიგში, ჩვენი აზრით, უეჭველად უნდა დადგეს ამ საზოგადოების გარდაქმნა ისეთ კორპორაციად, რომლის წილების კოტირება გაცილებით ხელსაყრელად და უკეთესად მოხდება საფონდო თუ სხვა სახის ბირჟებზე. სწორედ ასეთი ტენდენციით უნდა წარმართულიყო პრივატიზაციის შედეგად საქართველოში საწარმოთა სახელმწიფოსაგან გამოსყიდვა და რეორგანიზაცია. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, მეტად არასასურველი გარემოებების გამო, დასავლეთის ქვეყნების ამ რეალობას ასცდა. მართალია, საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი საწარმოს პრივატიზაცია განხორციელდა (და სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილიც სწორედ სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა), მაგრამ საბოლოო ჯამში ბირჟებისა და საინვესტიციო კლიმატის არარსებობამ ყველსათვის ცხადი და სავალალო შედეგი გამოიღო. ამ შედეგს ისიც განაპირობებდა, რომ საწარმოთა პრივატიზების, ანუ მათი განსაზოგადოებრიობის დროს არ მომხდარა რეალური ინვესტიციების დაბანდება და სახელმწიფოს გაყიდული საწარმოების შედეგად არანაირი ფინანსური „ხეირი“ არ მიუღია. საწარმოთა უმეტესობის პრივატიზება დახურული პრივატიზაციის საფუძველზე განხორციელდა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საწარმოთა პრივატიზებას ნიადაგშივე არაკეთილსინდისიერი ზრახვები ედო. საერთოდ, გეგმურ-გუნდური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ საწარმოთა „მფლობელები“ ძირითადად მათი დირექტორები იყვნენ. ამიტომ პრივატიზებით სწორედ ამ უკანასკნელებმა ისარგებლეს.¹¹⁷ თავის მხრივ, ისინი მარტონი დარჩნენ იმ უცხო კაპიტალისტურ გარემოსთან, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. გარდა იმისა, რომ ასეთ პრივატიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელი პირები კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედ მოქნილ და პროფესიონალ მენეჯერულ სისტემას ვერანაირად ვერ უწევდნენ კონკურენციას,¹¹⁸ მათ არც სათანადო სახსრები, ქონება აღმოაჩნდათ იმისათვის, რომ განსაზოგადოებული, კერძო საკუთრებაში გადასული საწარმო რენტაბელურად აემუშავებინათ. შესაბამისად, რეორგანიზაციის გზით ჩამოყალიბებულ საწარმოებს არანაირი ახალი კაპიტალდაბანდება უნახავთ, რაც აუცილებელია სამწარმოო სულისკვეთების ასამაღლებლად, საზოგადოების გასაჯანსაღებლად და, შესაბამისად, მის კონკურენტუნარიან გარემოში წარსადგენად. სწორედ პრივატიზებულ საწარმოთა ქონებრივი მდგომარეობის საფუძველშივე არასწორმა ფორმირებამ

¹¹⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, თბ. 2006, გვ. 47-49.

¹¹⁸ შეად.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, გვ. 48.

და მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ბევრმა მათგანმა (პრივატიზაციის შედეგად შექმნილმა კერძო სამართლის სს-მ) ვერ გაუძლო კონკურენციას (განსაკუთრებით უცხოურს) და გაკოტრების რეჟიმში მოექცა. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სს-ბები, ძირითადად, სწორედ პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ, რაც მათი არა დაარსება (ახალი დაფუძნება), არამედ „რეორგანიზაცია“ იყო.

დაფუძნებისას ძირითადად განასხვავებენ ჩვეულებრივ და კვალიფიციურ დაფუძნებას.¹¹⁹

თავი I. ჩვეულებრივი დაფუძნება

§1. საზოგადოების ხელშეკრულების მნიშვნელობისათვის

ა) პარაფლები „საზოგადოებასა“¹²⁰ და „საზოგადოების ხელშეკრულებას“ შორის

პირველი და უმთავრესი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, არის „საზოგადოების ხელშეკრულების“, ანუ წესდების დამტკიცება.¹²¹ საერთოდ, იურიდიული ენა ტერმინს „საზოგადოება“ იყენებს სამგვარი მნიშვნელობით. ამით შესაძლოა მოვხაზოთ: 1. გარკვეული სახელშეკრულებო ფაქტობრივი გარემოებები (Tatbestand).¹²² აქედან შეიძლება პარაფლისა და მსგავსების გაკეთება საზოგადოებასა და საზოგადოების ხელშეკრულებას შორის; 2. საზოგადოების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მონაწილეებს შორის დაფუძნებული სამართალურთიერთობა.¹²³ ამ შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა, იდენტური იყოს საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობა, და 3. თავად საზოგადოების წევრების კავშირი ერთმანეთთან. ამ მოსაზრებით საზოგადოება კოლექტიურობის, კოლექტიური გაერთიანების აღმნიშვნელიცაა.¹²⁴ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სამი ელემენტი ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოების ხელშეკრულებაში ვლინდება.

¹¹⁹ Einfache und Qualifizierte Gründung. იხ.: Mader, Kapitalgesellschaften, S. 66.

¹²⁰ სამართლის ფილოსოფიის მიხედვით, საზოგადოება სწორედ იმისგან შედგება, რომ პირთა უმრავლესობის ძალისხმევით, „კაპიტალის კაპიტალთან, კაპიტალის სამუშაოსთან ან სამუშაოს (მომსახურების) სამუშაოსთან ურთიერთმიმართებით (ზემოქმედებით), ხდება საერთო მიზნის მიღწევა (დაკავშირება)“. ამიტომ ის, რაც ერთი პირის მიერ დამოუკიდებლად ვერ მიიღწევა, მიიღწევა საერთო (გაერთიანებული) ძალისხმევით. ხოლო ამ ძალისხმევაში, ძირითადად, კაპიტალის და სამუშაოს ურთიერთმიმართებას ასახელებენ, იმდენად, რამდენადაც მათი ურთიერთქმედებით იქმნება სწორედ „ახალი და არაგანჭვრეტადი (დაუგეგმავი) სიკეთე“. იხ.: Josef Kohler, Lehrbuch der Rechtsphilosophie, Berlin 1909, S. 123. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას (ფართო გაგებით) და საზოგადოებას (კორპორაციულ-სამართლებრივი გაგებით) შორის ძალიან დიდი მსგავსებაა.

¹²¹ ე.წ. Gesellschaftsvertrag.

¹²² Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 452.

¹²³ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 452.

¹²⁴ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 452-453.

საზოგადოების დაფუძნება (შექმნა), უწინარეს ყოვლისა, საჭიროებს იმ პირთა შესაბამისი ნების არსებობას, რომელთაც სურთ თავიანთი პირადი, ქონებრივი ძალების გაერთიანება ერთიანი საფორმო სახელწოდების ქვეშ, მოგების მიღების მიზნით, ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.¹²⁵

კაპიტალური ტიპის საზოგადოება იარსებებს მასში წევრთა შემდგომი ცვლილებების მიუხედავად. ამიტომ საზოგადოებაში მოგვიანებით შემოსული პარტნიორებისაგან განსხვავებით, პირებს, რომელთა შეთანხმებითაც ხდება საზოგადოების დაარსება, ეწოდებათ დამფუძნებელი პარტნიორები – აღნიშნავს ევგენი კლუნცინგერი.¹²⁶ სწორი იქნებოდა, თუკი ჩვენ დამფუძნებელ პარტნიორად არა მხოლოდ საზოგადოების შექმნის შესახებ შეთანხმების დამდებ პირს ჩავთვლიდით, არამედ ამასთანავე იმას, ვინც ამ მოქმედებასთან ერთად „პირველადი აქცია მიიღო“. სს-ში დამფუძნებელ პარტნიორად ყოფნა აუცილებლად დაკავშირებულია პირველადი აქციების მიღებასთან. ამიტომ აქციის ყოველი შემდგომი შემქმენი არის ამ საზოგადოების უბრალოდ წევრი და არა მისი დამფუძნებელი-წევრი, როგორც ამას ხშირად მოიხსენიებენ ქართულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში. იგივე შეიძლება ითქვას შპს-ის მიმართაც, სადაც მისი დამფუძნებელი-წევრი არის მხოლოდ ამ საზოგადოებაში თავდაპირველი (დაფუძნებისას წესდებით განსაზღვრული წილის პირველი მიმღები) წილის შემქმენი.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების შეთანხმება საზოგადოების დაარსების თაობაზე საჭიროა გარკვეული ფორმით გამოიხატოს. ავსტრიელი იურისტები ასეთ გამოხატულებად მიიჩნევენ, ძირითადად, სადამფუძნებლო ხელშეკრულებას და ითვალისწინებენ მის დადებას როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმითაც.¹²⁷

ბ) სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და საზოგადოების ხელშეკრულების ურთიერთმიმართება

უნდა აღინიშნოს, რომ „სადამფუძნებლო ხელშეკრულება“ და „საზოგადოების ხელშეკრულება“¹²⁸ თავისთავად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მქონე დოკუმენტებია. „სადამფუძნებლო ხელშეკრულება“ მომავალ პარტნიორთა შეთანხმებაა, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას საწარმოს დაარსების

¹²⁵ ლ. ლაზარაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბ. 2003, გვ. 79.

¹²⁶ E. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht, 14. Auf., Verlag Vahlen, München 2006, S. 165.

¹²⁷ მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ასეთი ხელშეკრულებები ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით იდება, ამხანაგური ტიპის საზოგადოებებშიც ეს გარიგება, ძირითადად, წერილობით ფორმდება. ხელშეკრულების დადებით წერილობითი ფორმით, დამფუძნებლები მრავალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ განმარტებით და მტკიცებით სიძნეელებს იშორებენ თავიდან. იხ.: Sieglinde Gahleitner, Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, Die österreichischen Rechtsformen im Überblick, WRM, 2006, S. 7.

¹²⁸ საზოგადოების ხელშეკრულებას სხვაგვარად „ხელშეკრულების სპეციალურ (სპეციფიკურ) სახეობად“ მოიხსენიებენ. F. Scholz, Kommentar zum GmbH-Gesetz, 6. völlig neubearbeitete Auf., I. Band, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln 1978/1983, §2, Rn. 2.

თაობაზე. იგი სავალდებულო ძალის მქონე პარტნიორთათვის. ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად კიდევ ერთხელ შევეხებით. რაც შეეხება წესდებას¹²⁹ – იგი, ძირითადად, განსაზღვრავს საზოგადოების ორგანიზაციულ მოწყობას, ადგენს საზოგადოების ორგანოების შექმნის პირობებსა და წესს და მათ კომპეტენციას, აწესრიგებს საზოგადოების მართვის ორგანიზაციას (ხვაგვარად რომ ვთქვათ, წესდება საზოგადოების „კონსტიტუცია“).¹³⁰ გამორიცხული არ არის, რომ ამ საყოველთაო, ზოგად პირობებთან ერთად პარტნიორებმა წესდებაში გაითვალისწინონ ასევე რაიმე სპეციალური ან განსაკუთრებული შეთანხმებები როგორც ურთიერთშორის, ასევე თუნდაც საზოგადოებასთან მიმართებით (მაგალითად, ცალკეული აქციონერებისათვის განსაკუთრებული უპირატესობის (უპირატესობების) დამტკიცება და სხვ.).¹³¹ განსხვავებით ხელშეკრულებისაგან, რომელსაც დებენ პარტნიორები, წესდებას ამტკიცებენ დამფუძნებლები და სავალდებულო ხდება არა მხოლოდ პარტნიორების (ან ვთქვათ საზოგადოების მომავალი წევრ-აქციონერთათვის), არამედ საწარმოს კონტრაქტი მესამე პირებისთვისაც. ხოლო როდესაც არსებობს წინააღმდეგობა სადამფუძნებლო გარიგებასა და წესდების დებულებებს შორის, უპირატესობას და მეტ იურიდიულ ძალას წესდებას ვანიჭებთ. ეს საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა.

გ) სს-ის შექმნის განმაპირობებელი ელემენტები (იურიდიული ქმედება, როგორც სს-ის შექმნის სავალდებულო ფაქტორი)

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოების (ვგულისხმობთ საზოგადოების ხელშეკრულებას) ცნებას უნდა დაუკავშირდეს აუცილებლად იურიდიულ ქმედებათა განხორციელების სავალდებულობა. კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქმედებათა (მოქმედებათა) განხორციელება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ერთიანი მიზნის (საკორპორაციო მიზნის) მისაღწევად. წინააღმდეგ შემთხვევაში „საზოგადოებაზე“ მინიშნება და მისი საზოგადოების ხელშეკრულებასთან იდენტიფიცირება, უბრალოდ, აზრს მოკლებული იქნება. საკორპორაციო სამართლის თეორიაში საზოგადოება (საკორპორაციოსამართლებრივი გაგებით), „ვალდებულებითი სამართლის უმაღლეს კატეგორიას“¹³²

¹²⁹ წესდების განსაზღვრებას აქვს მატერიალური და ფორმალური მნიშვნელობა. ფორმალური გაგებით წესდება „საწესდებო დოკუმენტის“ (Satzungsurkunde) მთლიან შინაარსს მოიცავს. შესაბამისად, მასში იგულისხმება არა მხოლოდ ის მონაცემები, რომლებსაც კანონი ადგენს, არამედ, მაგალითად, ე.წ. „აქციის მიღების განმარტება“, ან განსაკუთრებული (სპეციალური) შეთანხმებები აქციონერებს, აქციონერებსა და საზოგადოებას შორის. ამასთან, წესდების ფორმალური დებულებები (შემთხვევითი, ინდივიდუალური, არაკორპორაციული) განსხვავდება წესდების მატერიალური ნორმებისაგან (ამ უკანასკნელში მოიაზრება, მაგალითად, კორპორაციულსამართლებრივი, ორგანიზაციული, ნორმატიული და ა.შ.). საერთოდ, სააქციო სამართალი წესდებასა და საზოგადოების ხელშეკრულებას ერთი და იგივე სამართლებრივი მნიშვნელობით ხმარობს. ამის შესახებ იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 122.

¹³⁰ გ. ლილუაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბ. 2005, გვ. 103.

¹³¹ იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 123.

¹³² Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 453.

განეკუთვნება. ამიტომ იურიდიული სიტყვა „ქმედება“ განვრცობითი მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ. იგი მოიცავს, კერძოდ, მოქმედების განხორციელებას (მაგალითად, გარკვეული მატერიალური ნივთის, ობიექტის გადაცემას საზოგადოებისთვის), მომსახურების გაწევას (მაგალითად, იურიდიული კონსულტაციის გაწევას წესდებისა და მისი პირობების შედგენისას) და სხვა. ამასთან ერთად, მაგალითად, ნებისმიერი შესატანის განხორციელება არის ქმედების (მომსახურების) განხორციელება საკორპორაციოსამართლებრივი თვალსაზრისით.¹³³ გერმანული ტერმინოლოგიით საქმე გვაქვს ე.წ. „Leistung“-თან, რომელიც იხმარება, როგორც ქმედების (მოქმედების განხორციელების), ისე მომსახურების გაწევის მნიშვნელობით. მიგვაჩნია, რომ საზოგადოების დაფუძნებისას, ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებათა ერთობლიობა გამიზნულია მხოლოდ და მხოლოდ კორპორაციის შექმნისათვის. ამიტომ ხდება, ერთგვარად, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების გადმოტანა სანივთოსამართლებრივ ტერიტორიაში. მაგალითად, შესატანის განხორციელების ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ხელშეკრულება სწორედ საზოგადოების შექმნას ემსახურება და სხვა დატვირთვა მას არ აქვს. საწესდებო კაპიტალის ჩამოყალიბება სს-ის დაფუძნებისა და მისი მომავალი ფუნქციონირებისათვის, როგორც არაერთხელ აღინიშნება, არის აუცილებელი ელემენტი. ამ ელემენტს კი, ძირითადად, სანივთო გარიგება განაპირობებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სანივთოსამართლებრივ და ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებათა ერთობლიობა განაპირობებს საზოგადოების ხელშეკრულებას. საზოგადოების პარტნიორის (აქციონერის) ყოველგვარი ქმედება (მაგალითად, შესატანის განხორციელება), დაკავშირებულია სწორედ კორპორაციის შექმნასთან, ხოლო კორპორაციის (სს-ის) შექმნას საფუძვლად საზოგადოების ხელშეკრულება უდევს. ამ უკანასკნელის გარეშე კი კორპორაციული საზოგადოების, სს-ის არსებობა წარმოუდგენელია.

დ) ინტერესთა სოლიდარობა, როგორც საზოგადოების ქონებრივი მიზანი

საზოგადოების ხელშეკრულებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მიზანს, ანუ თუ რა მიზანს ემსახურება დაარსებული საწარმო. ასეთი ძირითადი მიზანი, შესაძლოა, იყოს მხოლოდ ქონებრივ-სამართლებრივი მიზანი – მოგების მიღება. სწორედ მოგების მიღების (ქონებრივი) სურვილი ამოძრავებს სს-ის დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) და მისი ყველა ქმედება მიმართულია ამ მიზნის მიღწევისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სს-ზე, როგორც სამეწარმეოსამართლებრივ სუბიექტზე, საუბარი საფუძველს მოკლებულია. რაც მთავარია, ქონებრივი მიზანი უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების წევრთა ერთობლივი ნების გამოვლენას. ამიტომ სრულიად სამართლიანი აღნიშვნაა კარლ ვილანდის მხრიდან, რომ „საზოგადოების ხელშეკრულება აფუძნებს

¹³³ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 453.

ინტერესთა სოლიდარობას“.¹³⁴ სოლიდარულ, საერთო ინტერესში, ძირითადად, ქონებრივი ინტერესი იგულისხმება (მაგალითად, საწარმო დებს გარიგებებს იმისათვის, რომ ამ გარიგებებმა მოგება მოუტანოს მას, აქედან კი მის პარტნიორებს, აქციონერებს). ამიტომ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელიც რომ იყოს წინააღმდეგი ამ „ინტერესთა სოლიდარობისა“, საზოგადოების ხელშეკრულება ბათილად უნდა ჩაითვალოს. თავის მხრივ „ინტერესთა სოლიდარობა“, რომელიც თუმცა დამფუძნებელთა ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს, მაინც საზოგადოების შექმნისაკენ მიმართული ელემენტია, ანუ საზოგადოების დამფუძნებლები, საზოგადოების დაფუძნების პროცესში მხოლოდ საზოგადოებისათვის „სასარგებლო“ ქმედებებს ახორციელებენ. ხოლო ეს ქმედებები, ძირითადად, ემთხვევა ასევე საზოგადოების „კაპიტალინტერესს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ინტერესთა სოლიდარობა“ საზოგადოების ქონებრივი ინტერესის სფეროსაკენ არის მიმართული. ამას ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც ცხადყოფს, რომლის მიხედვითაც ეს ე.წ. სოლიდარული ინტერესი განსაკუთრებით ვლინდება სს-ის დაფუძნების პროცესში („წინარე საზოგადოების“ დროს). ამ დროს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება დაარსების პროცესშია, დამფუძნებელთა მოქმედებები არა საკუთარი „კაპიტალინტერესისაკენ“ უნდა წარიმართოს (როგორც ეს ფაქტობრივად სს-ის ან „სამოქალაქო საზოგადოების“¹³⁵ დროს ხდება ხოლმე), არამედ მომავალი კორპორაციის ქონებრივი ინტერესისაკენ.¹³⁶

ე) წესდება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი აქტი

ნიშანდობლივია, რომ წესდება წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას, რომელიც დამყარებულია კერძო ავტონომიისა და ნების გამოვლენის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე. წესდებით კაპიტალური ტიპის საზოგადოების (სს-ის) დამფუძნებლები ავლენენ თავიანთ ნებას და დებენ კერძოსამართლებრივ გარიგებას, რომელიც საზოგადოების დაფუძნებას ეხება. ამიტომ, გარიგება დადებულად (ნამდვილად) ჩაითვლება, თუკი მას ხელს მოაწერს სს-ის ყველა დამფუძნებელ-პარტნიორი და ერთ-ერთი მათგანიც რომ იყოს წინააღმდეგი, გარიგება ბათილად უნდა ჩავთვალოთ. ამ შემთხვევაში გარიგების დადებისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. საზოგადოების დაფუძნების, როგორც გარიგების მიმართ, გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმა-დებულებები გარიგებათა შესახებ (ამ პრინციპს ითვალისწინებს როგორც ქართული, ისე ავსტრიული სამართალი).

სამეწარმეო სამართალში წესდება არის „საზოგადოების ხელშეკრულების“ აღმნიშვნელი, მისი სინონიმი.¹³⁷ შესაძლოა ითქვას, რომ კაპიტალური საზოგადოების დამფუძნებელთა მხრიდან

¹³⁴ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 459.

¹³⁵ GesbR.

¹³⁶ ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: OGHZ, 24. 04. 1992, Geschäftszahl 10b12/92.

¹³⁷ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (1999), S. 113.

წესდების დამტკიცება გახლავთ აგრეთვე საკორპორაციოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელსაც, თავის მხრივ, სავალდებულო და ფაქულტატიური შინაარსი აქვს.¹³⁸

კანონმდებლობა მოითხოვს, რომ წესდებაში ჩამოყალიბებული იყოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი სს-ის დაფუძნებისას. წესდება ოფიციალურად მოწმდება ნოტარიუსის მიერ. სს-ის წესდების სავალდებულო შინაარსი მოითხოვს, რომ იგი შეიცავდეს მონაცემებს საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საფორმო სახელწოდების შესახებ, ასევე საზოგადოების იურიდიულ მისამართს, ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, საწესდებო კაპიტალის ოდენობას (მისი შევსების ფორმას), ყოველი პარტნიორის შესატანის ოდენობას, სამეწარმეო საქმიანობის საგანს („სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის მიხედვით¹³⁹ და არა საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“), რომელშიც იკვეთება საზოგადოების ძირითადი მიზანი – მოგების მიღება. ასე რომ, საწარმოს საქმიანობის საგანი აღნიშნავს პარალელურად ამისა იმ საშუალებას, რომლითაც მიღწეული უნდა იყოს საზოგადოების მიზანი. სამეწარმეო საქმიანობის საგანი უნდა იყოს ინდივიდუალიზებული, რომ შესაძლებელი და გასარკვევი იყოს, თუ რა მისიას ემსახურება კაპიტალური საზოგადოება,¹⁴⁰ წესდებაში ასევე დგინდება მონაცემები აქციათა სახეებისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ. თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 2005 წლის 24 ივნისს განხორციელებულმა ცვლილებამ ბრუნვიდან ამოიღო საქმიანობის საგანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სს-ის დამფუძნებელ დოკუმენტებში საწარმოს საქმიანობის საგნის აღნიშვნის საჭიროება აღარ არსებობს.¹⁴¹ ავსტრიის ფედერალური კანონი „სააქციო საზოგადოების შესახებ“ მოითხოვს დამატებით წესდებაში საზოგადოების საჯაროდ გამოქვეყნების ფორმის მითითებას.¹⁴²

სს-ის წესდებასთან დაკავშირებით, უბრალოდ, დასამატებელია, რომ მას ძირითადად ორი ფუნქცია გააჩნია: პირველ რიგში იგი წარმოადგენს დამფუძნებელთა მხრიდან მიღებულ ურთიერთშეთანხმებას საზოგადოების დაარსების თაობაზე, და მეორეც, უკვე წარმომდგარი (დაფუძნებული) საზოგადოებისათვის გვევლინება დამფუძნებელი პარტნიორების სურვილიდან გამომდინარე სამართლებრივად დამოუკიდებელი დოკუმენტი ე.წ. Unternehmensverfassung (ანუ კორპორაციული კონსტიტუცია, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, სადაც საწარმოს საქმიანობისა და ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურაა ჩამოყალიბებული).¹⁴³

¹³⁸ წესდების სავალდებულო და ფაქულტატიური შინაარსის შესახებ შეგიძლიათ იხ.: Scholz, Kommentar zum GmbH-Gesetz, (1978/1983), §2, Rn. 5.

¹³⁹ öAktG §17, 2 (წესდების შინაარსი).

¹⁴⁰ H. P. Verspay, A. Sattler, Die kleine AG, Eine Rechtsform für das mittelständische Unternehmen, 2. aktualisierte und erweiterte Auf., München 2000, S. 18.

¹⁴¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მე-53 მუხლი.

¹⁴² öAktG, §17, 6.

¹⁴³ გ. ლილუაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბ. 2005, გვ. 17.

§2. აქციათა მიღება

ა) შესავალი

„აქციათა მიღებით (მინიჭებით)“¹⁴⁴ დამფუძნებლები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შესატანთა განხორციელება: ამ შემთხვევაში დამფუძნებელთა მხრიდან ფორმდება ე.წ. მიღების განმარტება, რაც ნოტარიულ დამოწმებას მოითხოვს.¹⁴⁵ სწორედ მიღების განმარტებით წარმოიშება შესატანის განხორციელების ვალდებულება.¹⁴⁶ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მიღების განმარტება წესდების დებულებებშია გაბნეული, რასაც ითვალისწინებს სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

„აქციათა მიღებით“ სს დაარსებულია,¹⁴⁷ მაგრამ არა რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება ე.წ. „წინარე (წინა) საზოგადოება“ (Vorgesellschaft), რომლის ფორმის (სამართლებრივი ნატურის) შესახებ კანონი არაფერს ამბობს. ამით სს იურიდიულად ჯერ არ წარმოდგება და არ არის სრული ქმედუნარიანობის მქონე სამართალსუბიექტი.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ მოხდეს ტერმინების „აქციათა მიღებისა“ და „აქციათა გაცემის“ ერთმანეთში აღრევა. ეს ორი სხვადასხვა სამართლებრივი ბუნების მქონე მოვლენაა.¹⁴⁸ ქვემოთ დეტალურად იქნება ამაზე საუბარი, მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ „აქციათა მიღებით“ დამფუძნებლები ვალდებული არიან განახორციელონ შესატანები, ხოლო „აქციათა გაცემისას“ ასეთი კორესპონდენციული ვალდებულება არ წარმოიშება.

აღსანიშნავია, რომ „წინარე საზოგადოების“ დროს მნიშვნელოვანია საკითხი თვით ამ საზოგადოებაში (წინა საზოგადოებაში) ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ამიტომ საჭიროა „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი ბუნების, იურიდიულ ლიტერატურაში მისი სტატუსის, მისი შიდა და გარე ურთიერთობის განსაზღვრა, რათა კარგად იქნეს დანახული „წინარე საზოგადოების“, ასე ვთქვათ, აღიარების საჭიროება ქართული იურისპრუდენციის მიერაც. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის ოქტომბერში მოწყობილ პრეზენტაციაზე წარდგენილ იქნა კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის, კერძოდ კი მის ზოგად ნაწილში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, სადაც განხორციელებულია „წინარე საზოგადოების“, გარკვეულწილად, საკანონმდებლო მოწესრიგების მცდელობაც.¹⁴⁹

¹⁴⁴ übernahme der Aktien. ამის შესახებ მაგ.: Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 205, Rn. 24.

¹⁴⁵ öAktG, §16. იხ.: Doralt in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 560, Rn. 200.

¹⁴⁶ Bayer in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 427, Rn. 2.

¹⁴⁷ Eckardt in: Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 362. ასევე შეად.: Schmidt in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 23, Rn. 39.

¹⁴⁸ Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 786.

¹⁴⁹ მართალია, კონტინენტური სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების უმრავლესობა საკანონმდებლო დონეზე ზუსტად არ განსაზღვრავს „წინარე საზოგადოებას“, ანუ კონკრეტულად არ იძლევა მის მომწესრიგებელ ნორმა-

რა არის საერთოდ „წინარე საზოგადოება“ და რა მნიშვნელობა აქვს მას სამეწარმეოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის? საქმის გახლავთ, რომ სს სრულ უფლებაუნარიანობას (ასევე ქმედუნარიანობას) და, აქედან გამომდინარე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსს მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ იძენს (ეს სყოველთაოდ აღიარებული დებულებაა). მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც საზოგადოების წევრთათვის აუცილებელია (ან სასურველია) გარკვეული სამეწარმეო-სავაჭრო საქმიანობის განხორციელება საწარმოს რეგისტრაციამდე და გარკვეული გარიგებების დადება.

გარიგების დადების თავისუფლების (და ასევე კერძო ავტონომიის) პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების დამფუძნებლებს ასეთი მოქმედებების განხორციელების უფლებას, ცხადია, ვერ ჩამოვართმევდით. ასე რომ, სამეწარმეო გარიგების დადება საზოგადოების დაფუძნების და რეგისტრაციამდე პერიოდში შესაძლებელია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „წინარე საზოგადოება“ – ეს ფაქტობრივი მდგომარეობაა (ფაქტობრივი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წარმონაქმნია). იგი მოიცავს, უბრალოდ, დროის იმ მონაკვეთს, როდესაც სს ფორმალურად უკვე დაარსდა, მაგრამ როგორც იურიდიული პირი იგი ჯერ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.¹⁵⁰ ავსტრიული, ასევე გერმანული სამართალი ამ საზოგადოებას (შეგვიძლია ვთქვათ მდგომარეობას) „მომავალ სააქციო საზოგადოებასაც“ უწოდებს.¹⁵¹

ქართული სამეწარმეო სამართალიც არ უარყოფს მოძღვრებას „წინარე საზოგადოების“ შესახებ, მაგრამ იგი მას, ძირითადად, სპს-ის სტრუქტურულ ერთეულთან აიგივებს. რეგისტრაციამდელ პერიოდში პარტნიორები სოლიდარულად მოქმედებენ და დადებულ გარიგებებზეც ანალოგიურად აგებენ პასუხს – აღნიშნულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარში.¹⁵²

აღრე ავსტრიელი და გერმანელი იურისტები მიიჩნევენ, რომ „წინარე სააქციო საზოგადოება“ ზუსტად იგივე წესებს ემორჩილებოდა და იგივე წარმონაქმნი იყო, როგორც, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დღესდღეობით ეს მოსაზრება უკვე უარყოფილია და მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს თავისებურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ წარმონაქმნთან. ამ სტადიაზე საზოგადოების ძირითადი საქმიანობა მიმართულია სს-ის რეგისტრაციისაკენ და მისთვის ოფიციალური იურიდიული პირის სტატუსის შექმნისაკენ. აქვე, პარალელურად კი სხვა სამეწარმეოსამართლებრივი გარიგებების დადებაც მიიღება მხედველობაში. რასაკვირველია, ახლაც დაგვებადება კითხვა, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული შიდასამართლებრივი

დებულებებს, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი მოწესრიგება კანონმდებლობით ზუსტად არის რეგლამენტირებული.

¹⁵⁰ F. Richter, Handelsrecht, Rechtskurse, III/1 Aktiengesellschaft, Wien 1997, S. 14.

¹⁵¹ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (1999), S. 146-147; Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 349; ამ მდგომარეობას „მომავალ კაპიტალურ საზოგადოებასაც“ უწოდებენ იხ.: NJW 1992, (Heft 29), S. 1824. (Zulässigkeit der Gründung von Vorrats-Aktiengesellschaften S. 1824-1826).

¹⁵² ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II გამოც. თბ. 1998, გვ. 35.

ურთიერთობები საზოგადოებაში და ვინ აგებს პასუხს დროის ამ მონაკვეთში განხორციელებული გარიგებებისათვის?

ბ) წინარე სახელშეკრულებო მდგომარეობის შესახებ

სანამ ზემოთ დასმულ კითხვას გაეცემა პასუხი, უნდა აღინიშნოს, რომ „წინარე საზოგადოების“ საკითხის განხილვამდე ავსტრიელი იურისტები საუბრობენ ე.წ. Vorgründungsgesellschaft-ზე, რომელიც უფრო ადრინდელ ეტაპზე გვხვდება, ვიდრე „წინარე საზოგადოება“. ზემოთ აღნიშნული შეიძლება წინარე ხელშეკრულების იდენტური აღმოჩნდეს. წინ საუბარი იყო სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესახებ: ეს ის გარიგებაა, რომლითაც პარტნიორები (ერთად შეამხანაგებული, ერთიანი საფორმო სახელწოდების ქვეშ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველი პირები) ურთიერთშორის დებენ. ბუნებრივია მათ, სანამ წესდებას მიიღებენ და (სანოტარო წესით) დაამტკიცებენ, შეუძლიათ ურთიერთშორის დადონ გარიგება სს-ის ჩამოყალიბების (ამ შემთხვევაში შესაძლოა ვიხმართ ტერმინი დაფუძნების) თაობაზე. საერთოდ სს-ის შექმნისას შესაძლოა განვასხვაოთ სამი სხვადასხვა სტადია: თავდაპირველად მხედველობაში მიიღება „წინარე სადამფუძნებლო (დაფუძნებითი) სტადია“ (ე.წ. Vorgründungsstadium). ამ დროს შესაძლებელია დაიღოს წინარე სადამფუძნებლო გარიგება რა დროსაც, პრინციპში ჩამოყალიბდება კიდევ „წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება“ (ე.წ. Vorgründungsgesellschaft). ამიტომ პირველ სტადიას ხშირად სწორედ რომ წინა სადამფუძნებლო საზოგადოებამდე მივყავართ. შემდეგ მოდის პერიოდი საზოგადოების (შეიძლება აქ ვიხმართ სწორედ ტერმინი) დაფუძნებას და მის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას შორის, რომლის დროსაც ვიღებთ „წინარე საზოგადოებას“, და ბოლოს (მესამე), საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით ხდება სს-ის, როგორც სრულფასოვანი იურიდიული პირის ჩამოყალიბება, რაც შეიძლება მისი (სს-ის) დაფუძნების მესამე (დამასრულებელ) სტადიად მოვხაზოთ.¹⁵³

Vorgründungsgesellschaft-ის მდგომარეობა სს-ის დაფუძნების წინა სტადიას მოიცავს.¹⁵⁴ მართალია, სს მისი წესდების დამტკიცების შემდეგ დაფუძნებულია, მაგრამ წესდების დამტკიცებამდე ხომ არსებობს ურთიერთობა საზოგადოების მომავალ წევრებს შორის?! სწორედ ამ ურთიერთობას შეიძლება დაერქვას „წინარე ხელშეკრულების (წინარე დაფუძნების)“ სტადია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რაიმე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას წინ უძღვის, ასე ვთქვათ, „სამზადისი“ და მოლაპარაკებები ამგვარი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თაობაზე. მიზანშეწონილია, რომ სს-ის შექმნა (ჩამოყალიბება) უთუოდ მოითხოვდეს ამგვარ მოლაპარაკებებს, რასაც უმეტესად შედეგად

¹⁵³ Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 301, Rn. 17; Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000) S. 847, Rn. 8.

¹⁵⁴ შეად.: Mader, Kapitalgesellschaften, S. 68.

მოპყვება ხოლმე წინარე ხელშეკრულების დადება, რომლითაც წარმოიშევა მომავალი (ძირითადი) ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ამას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ამიტომაც ე.წ. Vorgründungsgesellschaft-ის დროს ავსტრიელები მის პროტოტიპზე მიუთითებენ, რომელიც ABGB-ს¹⁵⁵ 936-ე პარაგრაფში ვლინდება.¹⁵⁶ სხვაგვარად სააქციო საზოგადოების დაარსების მსვლელობას ავსტრიელი იურისტები „დაფუძნებით კონსორციუმსაც“¹⁵⁷ უწოდებენ.

წინარე ხელშეკრულება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომლითაც მხარეები კისრულობენ სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რომელსაც ძირითად ხელშეკრულებას უწოდებენ.¹⁵⁸ სწორი იქნებოდა, თუკი ამ გარიგებაში კორპორაციულ-სამართლებრივ ნიშნებსაც დავინახავდით, ვინაიდან ზემოთ ნახსენები, ძირითადად, კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის იქმნება. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „წინარე ხელშეკრულებას“ იცნობს, უპირველესად, როგორც სამოქალაქო სამართალი, ისე საკორპორაციო სამართალიც. უნდა აღინიშნოს, რომ წინარე ხელშეკრულება არის სახელშეკრულებო კონტრაქტების იძულების სამართლებრივი საფუძველი და სწორედ პარტნიორები ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდგომ ერთგვარად ვალდებულნიც არიან, „საქმე ბოლომდე მიიყვანონ“ და ჩამოაყალიბონ სს. ამიტომაც არის აღნიშნული კომენტატორულ ლიტერატურაში, რომ დამფუძნებელ-პარტნიორებს შეუძლიათ დადონ ე.წ. წინარე სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლითაც წარმოდგება სს-ის დაფუძნების ორმხრივი ვალდებულება.¹⁵⁹ ეს წინარე ხელშეკრულებაც, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სანოტარო დამოწმებას (notarielle Beurkundung) მოითხოვს.¹⁶⁰

განსხვავება ზემოთ მოყვანილ „წინარე საზოგადოებასთან“ ის გახლავთ, რომ ამ სტადიაზე (ანუ წინა ხელშეკრულების სტადიაზე) განხორციელებული მოქმედებანი, თავისთავად, სს-ის სახელით დადებულად არ ჩაითვლება და მათ არავითარი სამართლებრივი შედეგი (კორპორაციისთვის) არ მოპყვება (არც მომავალში), მაშინ, როდესაც „წინარე საზოგადოების“ პერიოდის გარიგებათა შედეგები ავტომატურად გადადის რეგისტრირებულ სს-ზე.

ახლა შეგვიძლია მივუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას და ვუპასუხოთ კიდევ. ამ კითხვას ზოგადად უპასუხებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, უფრო კონკრეტულად კი იგი განხილულია ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“

¹⁵⁵ ABGB – ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი (სჯულება), რომელიც 1811 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა. ამ სამართლებრივი აქტის მიღებას დიდი ავსტრიელი სამართალმცოდნის ფრანც ზაილერის სახელსაც უკავშირებენ. K. Zweigert, H. Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3. neubearbeitete Auf., Verlag J.C.B. Mohr (Paul Siebeck), Tübingen 1996, S. 156, 158. უფრო დაწვრილებით ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიის და მისი განვითარების შესახებ შეგიძლიათ იხ.: Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, S. 156-164.

¹⁵⁶ Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 349.

¹⁵⁷ Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 349.

¹⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ. 2001, გვ. 96.

¹⁵⁹ Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 301, Rn. 18.

¹⁶⁰ Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 847, 849, Rn. 9, 14.

ფედერალური კანონის 21-ე, 29-ე, 34-ე პარაგრაფებში. აქ ნათქვამია: თუკი საზოგადოების სახელით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე დაიდო გარიგებები, მაშინ პასუხს ამ ხელშეკრულებებისათვის პირები (საზოგადოების დამფუძნებელი პირები) აგებენ პერსონალურად (როგორც ერთობლივი მოვალეები, ანუ Gesamtschuldner). შემდგომ კი უკვე რეგისტრაციით შექმნილი (რეგისტრირებული) სს კანონის ნორმების საფუძველზე რეგისტრაციის წინ არსებული ვალდებულებებისათვის ჩვეულებრივად აგებს პასუხს (ანუ ეს საკითხი ავტომატურად გადადის უკვე სასამართლო წესით¹⁶¹ რეგისტრირებულ სს-ზე და პასუხისმგებლობის პრობლემა ისევე წესრიგდება, როგორც ეს დამახასიათებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის). ასე რომ, პრინციპულად საზოგადოების ამგვარი სახე ყველაზე მეტად მიაგავს სპს-ს, სადაც საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს მისი წევრები აგებენ პერსონალურად, მთელი თავიანთი ქონებით, პირადად. მაგრამ „წინარე საზოგადოების“ იდენტური იგი მაინც არ არის.

აღსანიშნავია ის, რომ ზემოთ ნახსენებ კანონპროექტში „წინარე საზოგადოება“ იქმნება (ყალიბდება) საზოგადოების წესდების სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და მისი საქმიანობის მიზანს მხოლოდ საზოგადოების დაფუძნება წარმოადგენს. ამ პერიოდში ურთიერთობის დროს „წინარე საზოგადოება“ ატარებს წესდებით გათვალისწინებულ სახელწოდებას დანამატით „დაფუძნების პროცესში“. „წინარე საზოგადოება“ უფლებაუნარიანია მხოლოდ იმ ურთიერთობაში, რომელიც ემსახურება მის მიზანს, ანუ რეგისტრაციაში გატარებას (ეს და სხვა საკითხები ავსტრიული იურიდიული ლიტერატურის მიერ სხვაგვარადაა განხილული, რომელზედაც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი).

§2.1. „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი ბუნების თაობაზე

ა) პარალელები სპს-ს და წინარე საზოგადოებას შორის

კანონი დეტალურად არ განსაზღვრავს ამ საზოგადოების („წინარე საზოგადოების“) სამართლებრივ ბუნებას.¹⁶² იგი, უმეტესწილად, განმარტების მეშვეობით უნდა იქნეს ახსნილი.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ საქმე გვაქვს ორგანიზაციული წარმონაქმნის განსაკუთრებულ (თავისებურ) სახეობასთან და მისი სრული იდენტიფიკაცია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან არ შეიძლება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში მოცემულია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლეგალური დეფინიცია, რომლის მიხედვით, „პარტნიორები ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევიან დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას“. აქ ნათლად ჩანს, რომ „ერთიანი საფირმო სახელწოდება“, უპირველესად სოლიდარული

¹⁶¹ საქართველოს შემთხვევაში ვიხმართ ადმინისტრაციული წესით რეგისტრირებულ სს-ს იმდენად, რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ბოლო ცვლილებებით რეგისტრაცია არა სასამართლოთა, არამედ საგადასახადო ორგანოთა კომპეტენციას დაექვემდებარა.

¹⁶² S. Godin, H. Wilhelmi, Kommentar zum AktG, 3. Auf., I Band, Berlin 1968, S. 189, §41, Anm. 2.

პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახელწოდებაა, მაშინ, როდესაც „წინარე სააქციო საზოგადოება“ სხვა მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიიღტვის სს-ის, როგორც იურიდიული პირის შესაქმნელად და საფუძველშივე იგი სს-ის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საქმიანობის განხორციელების სააქციოსამართლებრივ ფორმას ემსახურება. ეკარდი კომენტარში ამბობს, რომ მაშინაც კი, როდესაც „წინარე სს“ სამეწარმეო საქმიანობას მისდევს (ანუ დებს გარკვეული ტიპის სამართლებრივ გარიგებებს), იგი სააქციო საზოგადოების ფორმით მოქმედებს.¹⁶³ სრულიად ვეთანხმებით ამ შეხედულებას. მაგრამ, პარალელურად ამისა, აქ იკვეთება ისეთი პრობლემა, როგორცაა, ვთქვათ, კრედიტორთა დაცვისა და გარანტიის მექანიზმების უზრუნველყოფა. ის, რომ წინარე საზოგადოების პერიოდში შეიძლება გამოყენებული იყოს ნორმა-დებულებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ, არც თუ უმართებულოა. უნდა აღინიშნოს, რომ „წინარე საზოგადოება“ ავსტრიული სამართლის მიხედვით, არ არის იურიდიული პირი (კორპორაცია, მისი ვიწრო გაგებით) და არ ექვემდებარება სააქციო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის პრინციპს, არადა დროის ამ მონაკვეთში შესაძლებელია დადებულ იქნეს გარიგებები. მაშ ვის ეკისრება ამაზე პასუხისმგებლობა? რა თქმა უნდა, ძირითადად, დამფუძნებელ-პარტნიორებს. ამის გარდა, „წინარე საზოგადოება“ საჭიროებს მხარეთა უფლებაუნარიანობის სტატუსს და საკონკურსოუნარიანობას (ანუ გაკოტრებაუნარიანობას). ზემოთ ხსენებული კი ყველაზე ახლოს დგას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ დამფუძნებლები აღარ მოისურვებენ სს-ის შემდგომ შექმნას, ან თუკი საზოგადოებას უარი განეცხადება რეგისტრაციაზე, მაშინ უმრავლეს შემთხვევაში პარტნიორების საქმიანობის (თუ გააგრძელებენ სამეწარმეო საქმიანობას) და მოქმედებათა მიმართ უთუოდ იქნება გამოყენებული ნორმები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ.

ბ) საპროცესო უფლებაუნარიანობა

დაარსებული საზოგადოება პასიური უფლებაუნარიანია, მიუხედავად იმისა, იგი უახლოეს მომავალში განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას (დადებს სამეწარმეო გარიგებებს) თუ არა. თუმცა ეკარდი სხვაგვარად ფიქრობს და გაბატონებული მოსაზრების მიუხედავად, დაარსებულ საზოგადოებას ასევე აქტიურ უფლებაუნარიანობას ანიჭებს, და არა აქვს მნიშვნელობა მის (წინარე საზოგადოების) ცნებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაკუთრებული სახეობის, თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დეფინიციას მივაკუთვნებთ. მას მიაჩნია, რომ „წინარე საზოგადოება“ ორივე შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს აქტიური საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმონაქმნად. იგი ყოველივე ზემოთქმულს შემდეგნაირად ასაბუთებს: როდესაც წინარე საზოგადოებაში ქონებრივი შესატანის

¹⁶³ Eckardt in: Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 363-364.

სახით განხორციელებული იქნება საწარმო, მაშინ აქტიური პროცესუალური უფლებაუნარიანობის მინიჭებით „წინარე საზოგადოებას“ შესაძლებლობას მივცემთ იმ პროცესებში მიიღოს მონაწილეობა, რომელშიც მოსარჩელის (ან მოპასუხის ანდა მესამე პირის) სახით გამოდიოდა არაფულად შესატანად (როგორც ობიექტად) განხორციელებული საწარმო.¹⁶⁴ ყოველი შემთხვევისთვის ეს მოსაზრება დღესაც ძალზე საეჭვოა და ერთიანი დასაბუთებული პასუხი ამაზე არ არსებობს. ჩვენი აზრით, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ავსტრიული კერძო სამართალი არ იცნობს იურიდიული პირის ერთიან ლეგალურ დეფინიციას,¹⁶⁵ რაც მასთან გაიგივებულ, იდენტურ წარმონაქმნთა არსებობაზე გვაფიქრებინებს. იურიდიული პირი, ანუ „მორალური პირი“¹⁶⁶ მხოლოდ კორპორაციულად ორგანიზებული წარმონაქმნია¹⁶⁷ (მისი სრული გაგებით). ამიტომ, ყველა კაპიტალური ტიპის საზოგადოება განიხილება როგორც კორპორაცია და, შესაბამისად, როგორც იურიდიული პირი.¹⁶⁸ ეს უფრო მიაგავს ფიქციის თეორიას ავსტრიულ სამართალში, რომელიც თავის დროზე სავინიმ განავითარა, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი გაბატონებულ მოსაზრებად არ იქცა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე იურიდიული პირი არის გარკვეული ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი. ეს უკანასკნელი განმარტება კი ყველაზე უფრო მიესადაგება კაპიტალური ტიპის საზოგადოებას.

საერთოდ, ავსტრიულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ აქტიურ და პასიურ უფლებაუნარიანობას. აქტიური უფლებაუნარიანობა, ზოგადი შეხედულების თანახმად – ეს არის უნარი, იყო მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში. პასიური უფლებაუნარიანობა კი ესაა უნარი, იყო მხოლოდ მოპასუხე და დაიცვა თავი სარჩელისაგან, მაგრამ არ შეიძლება იყო მოსარჩელე. აქედან გამომდინარე, პასიური უფლებაუნარიანობით აღჭურვილი საზოგადოების (გაერთიანების) წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სარჩელი, მაგრამ ასეთ საზოგადოებას თავად არ შეუძლია აღძრას სარჩელი. აქ ძირითადად მხედველობაში მიიღება ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმ საწარმოთა და საზოგადოებათა მდგომარეობის შესახებ, რომელნიც ადრე იყვნენ რეგისტრირებულნი როგორც იურიდიული პირები, მაგრამ შემდგომ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გაეკლათ რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ისინი არ გაივლიდნენ რეგისტრაციას, მაშინ მათი რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმებულად ჩაითვლებოდა. შესაბამისად,

¹⁶⁴ იხ.: Eckardt in: Gessler/Hefermehl/Eckardt/ Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 364.

¹⁶⁵ P. Bydliniski, Grundzüge des Privatrechts, Manzsche Verlag, 4. Auf., Wien 2000, S. 53-54.

¹⁶⁶ ასე უწოდებს იურიდიულ პირს ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი. იხ.: ABGB § 26.

¹⁶⁷ ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: F. Gschnitzer, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 2. neubearbeitete Auf., Springer-Verlag, Wien 1992, S. 286-300.

¹⁶⁸ მართალია, იურიდიული პირი (კორპორაცია) სრული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მატარებელია, მაგრამ ავსტრიის სასამართლო პრაქტიკა, მაგალითად, უცხოურ იურიდიულ პირებს მხოლოდ ნაწილობრივ უფლებაუნარიანობას მიაკუთვნებს. უცხოური სს-ებები ავსტრიაში სრული საპროცესოუნარიანობის მატარებელნი არიან. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: HS, (Hrsg.) von Stanzl, Friedl, Steiner, 1964, №4419.

რეგისტრაციის გაუქმება ნიშნავს იმას, რომ ეს საზოგადოება აღარ არის იურიდიული პირი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი წარმონაქმნი შეიძლება გამოვიდეს მხარედ სასამართლოში მისი სწორედ პასიური უფლებაუნარიანობის ხარისხიდან გამომდინარე. ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების ანალიზიდან ვფიქრობთ, რომ „წინარე საზოგადოებას“ უთუოდ გააჩნია პასიური უფლებაუნარიანობა, ანუ იგი შესაძლოა, წარდგეს სასამართლოს წინაშე როგორც მოპასუხე. რაც შეეხება მის აქტიურ უფლებაუნარიანობას – ეს მეტად რთული საკითხია და მას, ალბათ, სასამართლო პრაქტიკა განაგრძობს.

ვ) საკონკურსო (გაკოტრება) უნარიანობა

„წინარე საზოგადოება“ გააკოტრებაუნარიანია. ეს უკვე გაბატონებულ მოსაზრებას წარმოადგენს. საზოგადოებას გააჩნია ამგვარი უნარიანობა მაშინაც, როდესაც იგი სამომავლოდ არ განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ჩვენთვის ერთგვარად გაუგებარია ეკარდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი წინარე საზოგადოების გაკოტრების წარმოებას უკავშირებს ნორმა-დებულებებს სააქციო საზოგადოების გაკოტრების შესახებ და არა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ. ეს, ალბათ, იქიდან გამომდინარეობს, რომ „წინარე საზოგადოება“ დაწყებით ეტაპზევე სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ხასიათით მოქმედებს. ყველა შემთხვევისათვის ნაციონალური სამეწარმეო კანონმდებლობისთვის ეს სავსებით მიუღებელია, ვინაიდან კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელი, ძირითადად, დამფუძნებელი პარტნიორები არიან. (გაკოტრების წარმოების საფუძველი შესაძლოა იყოს, როგორც გადაუხდელობა, ისე ზედავალიანება – ამბობს ეკარდი). თუმცა არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, „წინარე საზოგადოებას“ არ გააჩნია გაკოტრებაუნარიანობა. აქ მოქმედებს ის პრინციპი, რომ საზოგადოების დაფუძნების სტადიაზე „წინარე საზოგადოების“ კორპორაციული ორგანიზაცია, საზოგადოების ქონება და მიზანი მიმართულია მხოლოდ თავად კაპიტალური საზოგადოების (კორპორაციის) რეგისტრაციისაკენ. სხვა დანიშნულება მას არ აქვს. ამიტომ ამ პროცესში გამოყენებული უნდა იყოს სპს-ის მოქმედი ნორმა-დებულებები.

დ) პერსონალური სტატუსი

„წინარე საზოგადოების“ პერსონალური სტატუსი ანუ მართლწესრიგი, რომლის ქვეშაც ექცევა საზოგადოება, ემორჩილება იმ სამართალს, რომელიც მაშინ იქნებოდა გამოყენებული, საზოგადოება რეგისტრირებული და იურიდიულ პირად ჩამოყალიბებული რომ ყოფილიყო. აქ ის გარემოებაა მნიშვნელოვანი, რომ პერსონალურ (საზოგადოების პირად) სტატუსს განაპირობებს უმთავრესად საზოგადოების, როგორც *სააქციო საზოგადოებად* დაარსება და მისი რეგისტრაციაში გატარების მოვალეობა. იგივე დანაწესი მოქმედებს, მაგალითად, შეხედული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართაც. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, „წინარე სააქციო საზოგადოება“ არის

პირთა სპეციფიკური გაერთიანება, *sui generis*, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად შეიძლება იყოს უფლება-მოვალეობათა მატარებელი და ამით ურთიერთობათა განმახორციელებელი.¹⁶⁹ იგი არ არის კორპორაცია (კორპორაციულად მოწყობილი საზოგადოების სამართლებრივი ფორმა), მაგრამ ექცევა „სს-ის შესახებ“ კანონის რეგულირების ქვეშ.¹⁷⁰

ე) ქონება

გაბატონებული შეხედულების თანახმად, „წინარე საზოგადოება“ იძენს საერთო საკუთრებას¹⁷¹ (აქ, ძირითადად, მოიაზრება საწარმოს რეგისტრაციამდე საზოგადოებისადმი გადაცემული ქონებრივი საგნები (ნივთები), განსაკუთრებით კი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი და/ან არაფულადი შენატანები. ძირითადად, ეს ხორციელდება სანივთოსამართლებრივი გარიგებების გზით, თუმცა შესაძლებელია, რომ გადაცემა მოხდეს ასევე ვალდებულებითსამართლებრივი გზითაც. აქ მოიაზრება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, როგორც არის ვთქვათ, მოთხოვნის დათმობა (ცესია).¹⁷²

ავსტრიულ სამართალში საინტერესოა ის, რომ „წინარე საზოგადოება“ შესაძლებელია საჯარო რეესტრშიც იქნეს რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე (ანუ გარკვეული ქონების მფლობელი), მაგალითად, როგორც მიწის ნაკვეთის ან სხვა რაიმე უძრავი (თუ მოძრავი) ქონების მესაკუთრე, ვინაიდან „იგი მეტია, ვიდრე სამოქალაქო სამართლის (სამოქალაქოსამართლებრივი) საზოგადოება და სამოქალაქო სამართლის საზოგადოების დროს სულ ცოტა საზოგადოების წევრები ერთიანად შეიძლება იყვნენ საჯარო რეესტრში წარმოდგენილი“¹⁷³ (რეგისტრირებულნი).¹⁷⁴

¹⁶⁹ შეად.: Prof. Dr. W. Timm, Fallrepetitorium zum Gesellschaftsrecht, Fallsammlung mit Lösungen zur Gesellschaftsrecht, 4. überarbeitete Auf., WS 2002/2003, S. 43. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.uni-muenster.de/jura.deu/GesR-Skript>. ეს მოსაზრება გატარებულია ასევე კომენტარებში, სადაც ნათქვამია, ნორმის (§34 öAktG, §41, dAktG) განმარტების შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ამ დროს ყალიბდება სწორედ „უფლებაუნარიანი საზოგადოება“ (ე.წ. rechtsfähige Gesellschaft) ანუ „წინარე საზოგადოება“, თუმცა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე ჯერ არ წარმოადგენს (სრულყოფილ) სს-ს. იხ.: Drygala in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 513, Rn. 3; ასევე Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 303, Rn. 27.

¹⁷⁰ W. Timm, Fallrepetitorium zum Gesellschaftsrecht, Fallsammlung mit Lösungen zur Gesellschaftsrecht, S. 43. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.uni-muenster.de/jura.deu/GesR-Skript>.

¹⁷¹ ე.წ. Gesamthandseigentum. Pentz in MünKomm. zum AktG, (2000), S. 847, Rn. 9.

¹⁷² საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, გერმანული BGB-სგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტი სანივთო სამართლის თავში მოათავსა, ვინაიდან აქ საუბარია უშუალოდ საკუთრების უფლების გადასვლაზე, რაც უთუოდ სანივთოსამართლებრივ გარიგებას წარმოადგენს. რაც შეეხება ავსტრიულ სამოქალაქო კოდექსს, მოთხოვნის დათმობა (ამ კოდექსის ინსტიტუციური სისტემის ავტოულებიდან გამომდინარე) მოქცეულია იმ თავში, რომელიც ზოგადად ეძღვნება „საკუთრების უფლების გადასვლის გზებს“ (Eigentumsübertragungsgang).

¹⁷³ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი გამოჰყოფს სამოქალაქო საზოგადოებებს (გაერთიანებებს). ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1175-ე პარაგრაფი ამბობს: „სამოქალაქო სამართლის საზოგადოება არის ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებული საზოგადოება, სადაც ორი ან რამდენიმე პირი შეთანხმების საფუძველზე თავიანთ შრომას ან/და ნივთებს ერთიანი სარგებლობისათვის წარმართავენ“. ასეთი საზოგადოება ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების

შემდგომ კი უკვე ეს ქონება ავტომატურად გადადის რეგისტრირებული სს-ის ხელში და „წინარე საზოგადოების“ მთელი ქონება ხდება სს-ის კუთვნილება. რა თქმა უნდა, საჯარო რეესტრშიც საერთო საკუთრების ნაცვლად ადგილს რეგისტრირებული საზოგადოების, იურიდიული პირის საკუთრების უფლება იკავებს. იგივე ვრცელდება ასევე იმ ქონებრივი საგნების მიმართ, რომელიც რეგისტრაციამდე დადებული გარიგებებიდან იქნა მიღებული. რაც შეეხება თვით საკუთრების უფლების გადაცემის აქტს „წინარე საზოგადოებიდან“ რეგისტრირებულ სს-ზე, ქონების გადასვლისას სავალდებულო არაა, ვინაიდან ეს ორი წარმონაქმნი პრინციპში ერთიანობას წარმოადგენს. თუკი „წინარე საზოგადოება“ საჯარო რეესტრშია მესაკუთრედ რეგისტრირებული, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მაშინ საკუთრების უფლების გადაცემისა და საჯარო რეესტრში აღრიცხვის სამართლებრივი აქტიც, ავსტრიული სამართლის მიხედვით, აწ რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებისათვის არასავალდებულოა, ანუ თვით საკუთრების უფლების გადაცემის რაიმე სპეციალური ფორმა (ან კანონით დადგენილი ფორმა, მაგალითად, უძრავ ნივთებთან მიმართებაში) აუცილებელი არ არის. ამ შემთხვევაში ასახვას ჰპოვებს მხოლოდ საკუთრების კონსტიტუციური ფუნქცია, ანუ საკუთრების უფლება აღრიცხება (ლეგიტიმირდება) მის სრულფასოვან მესაკუთრეზე.

ზემოთ ნახსენები კანონპროექტის მიხედვით (მე-2¹.3 მუხლის შესაბამისად), „წინარე საზოგადოებას“ შეუძლია საკუთარი სახელით გახსნას ანგარიში საბანკო დაწესებულებაში, შეტანილ იქნეს საჯარო რეესტრში, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრე, იყოს პროცესის მხარე. თუმცა კანონპროექტი არ განსაზღვრავს, თუ ვის და რა სამართლებრივი საფუძვლით ეკუთვნის ქონება. კანონის ტექსტის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ქონება სწორედ წინარე საზოგადოებას ეკუთვნის (ანუ ქონების მესაკუთრე ფიქციური საზოგადოება იქნება და ეს მდგომარეობა უფრო მიესადაგება ავსტრიულ სამართალში გაბატონებულ იურიდიული პირის ფიქციის თეორიას). თუ ვიტყვით, რომ ქონება წინარე საზოგადოებას არ ეკუთვნის, მაშინ იგულისხმება, რომ იგი ერთობლივად ეკუთვნით საზოგადოების დამფუძნებლებს (დამფუძნებელს). ამიტომ თუ ეს პროექტი ამ სახით იქნება მიღებული, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქონების მესაკუთრე (მფლობელი) არა მისი დამფუძნებელი (დამფუძნებლები), არამედ თავად „წინარე საზოგადოება“ იქნება. თუკი საზოგადოების დამფუძნებლის პროცესში საჯარო რეესტრში ქონების მფლობელად (მესაკუთრედ) წინა საზოგადოება იქნება რეგისტრირებული, მაშინ საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ ამ ქონების უკვე რეგისტრირებულ სს-ზე გადასვლისათვის რაიმე

დასრულების მომენტიდან. იხ.: G. Schummer, Personengesellschaften, 3. überarbeitete Auf., Verlag Orac, Wien 2000, S. 11. საზოგადოება, გაერთიანება შესაძლოა არც იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც გამოიყოს სამოქალაქო სამართლით რეგულირებულ საზოგადოებებს (გაერთიანებებს). ასეთი, მაგალითად, შესაძლებელია იყოს ჩვეულებრივი „გაერთიანებები“, რომელნიც რაიმე ერთიან ქონებას საკუთრების უფლებით ფლობენ, ან, მაგალითად, რამდენიმე პირის საერთო საკუთრება მიწის ნაკვეთზე და სხვ. იხ.: Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (1999), S. 13 ff; H. Sprau in: Palandt (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, (2003), S. 1079 ff.

¹⁷⁴ W. Kastner, P. Doralt, C. Nowotny, Grundriss des österreichischen Gesellschaftsrechts, 5. Auf., Wien 1990, S. 207.

დამატებითი სამართლებრივი აქტის მიღება საჭირო აღარ იქნება. ამიტომ „მომავალი“ ქართული კანონის მოცემულობა სრულად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ნორმა შემდეგნაირად განიმარტოს: ქონების მესაკუთრე, თუკი „წინარე საზოგადოება“ საჯარო რეესტრში იქნება ასეთად რეგისტრირებული, იქნება სწორედ „წინარე საზოგადოება“. მიმაჩნია, რომ ასეთი განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ავსტრიული სამართლისაგან, გარკვეულწილად, განსხვავდება, მართებული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ წინარე საზოგადოება არ არის კორპორაცია და რეგისტრირებული იურიდიული პირი, ვფიქრობთ, რომ იგი თავისუფლად შეიძლება იყოს ქონების მესაკუთრე და, შესაბამისად, რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ე) წილის უფლებათა გადაცემა

დაფუძნების დროის განმავლობაში დამფუძნებელი პარტნიორები „წინარე საზოგადოების“ წევრებად გვევლინებიან და, აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ მოითხოვონ წესდების დამტკიცებისას „მიღებულ (მინიჭებულ) აქციათა დარიგება“ (გაყოფა - Zuteilung). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „წინარე საზოგადოებაში“ წევრობის გადაცემა სხვა პირებზე დასაშვებია. წინამდებარე აბზაცის პირველი წინადადება ეხება მხოლოდ საზოგადოების ვალდებულებას დამფუძნებელი პირებისათვის წევრობის მიკუთვნებისა, ანუ ცალსახად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ წევრობის (მოიაზრება საზოგადოების წევრობის უფლებამოსილება)¹⁷⁵ უფლების გადაცემა „წინარე საზოგადოების“ (მომავალი სს-ის) პერიოდში დაუშვებელია (არ შეიძლება ასევე მისი დაგირავება). ამ სტადიაზე აქციათა ან დროებით მოწმობათა გადაცემა (განთავსება) დაუშვებელია – ამბობს როგორც ავსტრიული, ისე ქართული კანონმდებლობა (ავსტრიის „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის 34-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი). ნებადართულია მხოლოდ ერთ-ერთი დამფუძნებლის შეთანხმება სხვა დამფუძნებელ პარტნიორთან ან მესამე პირთან იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულებას იკისრებს, საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მას წილის უფლება ნაწილობრივ ან მთლიანად გადასცეს.¹⁷⁶

¹⁷⁵ ავსტრიული იურისტები ამგვარ უფლებამოსილებათა ერთობლიობას უწოდებენ Mitgliedschaft-ს.

¹⁷⁶ იხ.: Eckardt in: Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 369-370.

§2.1.1. შიდაურთიერთობანი „წინარე საზოგადოებაში“

ა) დამფუძნებელთა მოვალეობები

წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საზოგადოების დამფუძნებლები მოვალენი არიან საწარმოს დაფუძნებისათვის განახორციელონ ყველა საჭირო მოქმედება. საზოგადოების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავს იჩენს, უწინარესად, საზოგადოების ბოლომდე ჩამოყალიბებისა და რეგისტრაციაში გატარების ვალდებულება. ძირითადად, კაპიტალური ტიპის საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორთა უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს საჭირო და სავალდებულო ქონებრივი შესატანების განხორციელება. დამფუძნებელთა შემდეგ ვალდებულებას შესაძლოა, მივაკუთვნოთ პირველ ორგანოთა ჩამოყალიბების მოვალეობა, დაფუძნების პროცესის მოხსენების წარდგენისა და საზოგადოების სარეგისტრაციოდ დადგომის ვალდებულება.¹⁷⁷

¹⁷⁷ უნდა აღინიშნოს, რომ სს-ის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცესს (მოსამზადებელ ეტაპს), ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, დიდი ყურადღება ეთმობა. დამფუძნებელ პარტნიორებს უნდა გააჩნდეთ საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებით არა მხოლოდ ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია, არამედ ისინი ვალდებული არიან თავად „საზოგადოების დაფუძნების მსვლელობაზე“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ვალდებული არიან საზოგადოების შექმნის „საფეხურების“ შესახებ იქონიონ ანგარიში (მოხსენება). წინამდებარე ეკონომიკური ასპექტითაა გამოწვეული – სს რთული სტრუქტურული ერთეულია. აქ, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან განსხვავებით, უმრავლეს შემთხვევაში თავმოყრილია დიდი ქონება. მისი წევრები, ასევე მესამე პირები, საჭიროებენ თავიანთი ინტერესების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფას. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბებული (შექმნილი) იქნება გამგეობა (დირექტორატი), სს-ის დამფუძნებელი (დამფუძნებლები) ვალდებულია გააჩნდეს წერილობითი მოხსენება საზოგადოების დაფუძნების მოვლენათა შესახებ (ე.წ. Gründungsbericht). იხ.: öAktG §24; Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 535-536. ამგვარი წერილობითი მოხსენებისათვის კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს ერთ უმთავრეს წანამდგარს: ამ დროისათვის გამგეობა (მისი წევრებით) შექმნილი (ჩამოყალიბებული) უნდა იყოს. ასეთი ტიპის მოხსენებას (რომელიც, შესაბამისად, სასამართლოს წარედგინება) ხელს ყველა დამფუძნებელი პარტნიორი უნდა აწერდეს. ეს პროცესი, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, დაკავშირებულია სასამართლოს წინაშე საზოგადოების აღრიცხვაზე დადგომასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეგისტრაციის ეტაპზე საზოგადოების განცხადებასთან. იხ.: öAktG §28; Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 541-542; დაფუძნების მსვლელობის (ე.წ. Gründungsbergang) შემოწმების შესახებ დაწერილებით იხ.: Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 352-353. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეფორმაში ასევე გარკვეული ადგილი უკავია რეგისტრაციის ეტაპზე საზოგადოების განცხადების ვალდებულებას. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრება (ძირითადად, კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისათვის) საზოგადოების მმართველობასთან, კაპიტალთან, ქონებასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ამ მხრივ, მიუახლოვდება ავსტრიულ (და არა მხოლოდ ავსტრიულ, არამედ ევროპულ) კანონმდებლობას, რომელიც ითვალისწინებს რეგისტრაციის ეტაპზე წარსადგენ ინფორმაციის სავალდებულოობას „წინარე საზოგადოების“ მხრიდან. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ძირითადი სს-თან მიმართებით, განცხადებაში საზოგადოების ქონებასთან დაკავშირებული საკითხები იქნება (შეგვიძლია მოვიტანოთ კანონპროექტის მე-3.3.2. მუხლი, სადაც სს-თან მიმართებით, ძირითადად, არაფუულადი შესატანის შეფასების ანგარიშზე მახვილდება ყურადღება. ასე, მაგალითად, ანგარიში უნდა მოიცავდეს: იმ აქციის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც გაიცემა არაფუულადი შესატანის

ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს „წინარე საზოგადოების“ პერიოდში.

აქვე სასურველია ხაზი გაესვას, ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საზოგადოების დამფუძნებელს (და მის ლეგალურ დეფინიციას) შეეხება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს ცალკე ნორმას საზოგადოების დამფუძნებლის ცნების შესახებ. აქ საუბარია და ხაზგასმულია მხოლოდ საზოგადოების პარტნიორის თაობაზე. დამფუძნებლის ლეგალურ დეფინიციას ეძღვნება ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-2 პარაგრაფი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადრე ნორმატიულ აქტში (ავსტრიაზეა საუბარი), რომელიც სს-ის შესახებ შეიცავდა რეგულირებად ნორმებს, ჩამოალიბებული არ იყო დამფუძნებლის დეფინიცია. მაგრამ 1937 წელს გერმანელებმა განახორციელეს ცვლილება, რომელმაც განაპირობა საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორის ცნების განსაზღვრა. ეს ცვლილებები შესაბამისად აისახა ავსტრიულ კანონმდებლობაზეც. კერძოდ, ამჟამად ავსტრიისა და გერმანიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონებში (ავსტრ. §2, გერ. §28,) ნათქვამია: „აქციონერები, რომელთაც წესდება მიიღეს (დაამტკიცეს), არიან საზოგადოების დამფუძნებლები“. ამ სიტყვების ჩამატება სამართლებრივად ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მანამდე საზოგადოების დამფუძნებელ პირად იმასაც მიიჩნევდნენ, ვინც მხოლოდ შესატანს განახორციელებდა, მაგრამ წესდების დამტკიცებაში არ მონაწილეობდა. უმნიშვნელოა ის გარემოება, თუ დამფუძნებელმა როგორი (ფულადი თუ არაფულადი) შესატანის განხორციელების ვალდებულება იკისრა და ასევე ის, იგი პირადად, თუ მისი წარმომადგენლის მეშვეობით მიიღებს მონაწილეობას წესდების დამტკიცებაში. გამომდინარე აქედან, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ კანონიერი ან გარიგებითი წარმომადგენელი (უფლებამოსილების მქონე პირი), რომელიც აქციონერის მაგივრად მონაწილეობს ზემოაღნიშნულ პროცესში, არ ჩაითვლება (გახდება) საზოგადოების დამფუძნებელ პირად. ხოლო ის პირი, ვინც წინამდებარე პროცესში (წესდების დამტკიცებაა მხედველობაში) გამოდის როგორც მინდობილი მესაკუთრე (Treuhand), ან, მაგალიათად, გარიგებითი წარმომადგენელი (Strohmann) საკუთარი

სანაცვლოდ; ნამატი თანხის ოდენობას; არაფულადი შესატანის თითოეული ობიექტისა და შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდის აღწერას და შეფასების თარიღს და ა.შ.). რეფორმას კვლავ შემოაქვს საწარმოს საქმიანობის საგანი, რომელიც ასევე მიეთითება განცხადებაში. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ საქმიანობის საგნის გაუქმება ნაადრევი და გაუმართლებელია. ამის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქვა კიდევ აზრი. იხ.: ი. ბურდული, სამეწარმეო სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), გამომც. „თობალისი“, თბ. 2007 წ., გვ. 46. სს-ს ასევე ევალება საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭირო ყველა ხარჯის მიახლოებითი გაანგარიშების წარდგენაც და სხვ. ზემოთ მოყვანილი საკითხები შევიძლიათ შეად.: ნ. ჩოხელი/ა. სვანიძე/შ. პაპუაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის რეფორმა, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2005 წ. №1-2, გვ. 10-16. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე მიგვაჩნია, რომ ნაციონალური კანონმდებლობა სს-ის რეგისტრაციის ძალზე მცირე ვადას ითვალისწინებს, რაც, მითუმეტეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეფორმის შემდეგ, აუცილებლად უნდა გაიზარდოს. საწარმოს რეგისტრაციის ვადა კი, ჩემი აზრით, განცხადების წარდგენიდან უნდა აითვალოს და სულ მცირე ორ კვირას მაინც უნდა შეადგენდეს.

სახელით, მაგრამ სხვისი ხარჯით – იგი, უკვე უნდა განიხილებოდეს როგორც საზოგადოების დამფუძნებელი.¹⁷⁸ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ზემოაღნიშნული პირი სხვის მაგივრად ასრულებს ამ მოქმედებას. მნიშვნელოვანია ის, რომ იგი სწორედ საკუთარი სახელით გამოდის ამგვარ ურთიერთობაში და, შესაბამისად, განიხილება როგორც დამფუძნებელი. თეორიულად ასევე შესაძლებელია, რომ იმ აქციონერებთან ერთად, რომელთაც „აქციები მიიღეს“, წესდების დამტკიცებაში სხვა პირებიც მონაწილეობდნენ – ისინი არ მიეკუთვნებიან დამფუძნებელთა კატეგორიას, რადგანაც მთავარი ამ შემთხვევაში ორი მოვლენაა: 1 – წესდების დამტკიცებაში მონაწილეობა (საკუთარი ნების გამოვლენა, ვინაიდან წესდება კორპორაციულ აქტთან ერთად სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებაა), და 2 – აქციათა მიღება.¹⁷⁹ ამიტომ მართებული იქნებოდა, თუკი ქართული კანონმდებლობა გაითვალისწინებდა დამფუძნებელი პირის ცნებას და ნორმა ჩამოყალიბებოდა შემდგენაირად (უპირველეს ყოვლისა, სს-ის დამფუძნებელთან მიმართებით): სააქციო საზოგადოების დამფუძნებლად ჩაითვლება ის პირი (პირები), რომელიც წესდების დამტკიცებაში საკუთარი სახელით მონაწილეობდა და მიიღო პირველადი აქციები (დროებითი მოწმობები).

თუ ის დამფუძნებელი, რომელიც წესდების დამტკიცებაში მონაწილეობდა, წესდების დამტკიცების შემდეგ გარდაიცვლება, მაშინ მის ადგილს მისი მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) დაიკავებს ისე, რომ მისი მონაწილეობა წესდებაში საჭირო აღარ იქნება.¹⁸⁰

საინტერესოა საკითხი ამ შემთხვევაში დამფუძნებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაძლო სამეწარმეო ხარისხთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ დამფუძნებელი არ იძენს მეწარმის ხარისხს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ იგი წესდების დამტკიცებაში მონაწილეობს და წილს (აქციებს) იღებს.¹⁸¹ საზოგადოების დამფუძნებელი მხოლოდ მაშინ იძენს მეწარმის ხარისხს, როდესაც ისინი დაფუძნების მსვლელობას წყვეტენ და აღარ წარმართავენ პროცესს საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი დებენ სამეწარმეოსამართლებრივ გარიგებებს. ასე რომ, პრაქტიკულად მეწარმის ხარისხს, რეგისტრაციის შემდეგ, თვით კაპიტალური საზოგადოება იძენს.¹⁸²

¹⁷⁸ შეად.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, 2. Auf., (1988), S. 34-36.

¹⁷⁹ W. Happ (Hrsg.), Aktienrecht, Carl Heymans Verlag KG, Köln 1995, S. 189-190.

¹⁸⁰ Happ in Happ, Aktienrecht, (1995), S. 189-190.

¹⁸¹ თუკი წინარე საზოგადოება ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ანუ თუკი იგი ახორციელებს საწარმეო საქმიანობას (დებს სავაჭრო-სამეწარმეო გარიგებებს), მაშინ იგი განიხილება როგორც სავაჭრო-კომერციული საზოგადოება. იხ.: Scholz, Kommentar zum GmbH-Gesetz, (1978/1983), §11, Rn. 4. თავისთავად ცხადია, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას დამფუძნებლები, ძირითადად, საზოგადოების სახელით მოქმედებენ და სწორედ მისთვის დებენ ამგვარ გარიგებებს. ამიტომ მეწარმის ხარისხს საზოგადოებას აქვს და არა მის პარტნიორს (აქციონერს).

¹⁸² კორპორაციის სამეწარმეო ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ასევე იმაზე თუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად თუ სუბიექტად მიიჩნევა იგი. ამიტომ ავსტრიულ სამართალში დღესაც არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა საწარმო იყოს სამოქალაქო-სამეწარმეო ბრუნვის ობიექტი, თუ სუბიექტი. მკვეთრი დიფერენციაციის ზღვარი

ბ) „წინარე საზოგადოების“ გადაწყვეტილებანი

„წინარე საზოგადოების“ სტადიაზე საზოგადოების წევრები (დამფუძნებელი პარტნიორები) გადაწყვეტილებების მეშვეობით მოქმედებენ. ხოლო თუ რომელი, ერთხმიანი¹⁸³ (Einstimmigkeit) თუ მრავალხმიანი (Mehrheitsprinzip), გადაწყვეტილებები მოქმედებს, უმეტესწილად, დამოკიდებულია თვით ამ გადაწყვეტილების საგანზე. მაგალითად, საზოგადოების ხელშეკრულების ცვლილება მოითხოვს ყველა დამფუძნებელი პარტნიორის ერთხმოდან (ერთსულოდან) გადაწყვეტილებას, ერთ-ერთი მათგანიც რომ იყოს ამის წინააღმდეგი, გადაწყვეტილებას სამართლებრივი ძალა არ მიეცემა (შესაძლოა, დაისვას მისი ბათილობის საკითხი და იგი ჩაითვლება როგორც უთუოდ (არარა) ბათილ გარიგებად). საზოგადოების ხელშეკრულება, როგორც ვახსენეთ, სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებასაც წარმოადგენს (კორპორაციულთან ერთად), რომლის ძალაში შესვლაც ყველა მონაწილე პირის ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება უბრალოდ, საზოგადოების (თუნდაც „წინარე საზოგადოების“ სტადიაზე) საქმიანობიდან გამომდინარე, საზოგადოების ჩვეულებრივ ურთიერთობებს, ამ შემთხვევაში ყველა პარტნიორის ნების გამოვლენა საჭირო არაა, ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილებები უბრალო უმრავლესობითაც მიიღება.

გ) დაშლა

„წინარე საზოგადოების“ გაუქმება ანუ დაშლა ყოველთვისაა შესაძლებელი დამფუძნებელთა ერთსულოდანი გადაწყვეტილების

მათ შორის არ არსებობს. თეორიულად ორივე შემთხვევაა დასაშვები და ამის განსაზღვრა, უმეტესწილად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობას აქვს ადგილი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან ანსხვავებენ საწარმოს და საწარმოს სუბიექტს (შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტს). არა ყოველგვარი საწარმოა კომერციულად მოწოდებული სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი. ამიტომ საწარმოსა და სამეწარმეო სუბიექტის სრული გათანაბრება არ შეიძლება. ისინი იდენტურ კატეგორიებს არ წარმოადგენენ. საწარმოსა და საწარმოს სუბიექტის განცალკევებას მნიშვნელობა აქვს ასევე საწარმოს შიდაურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის. ამასთან, სამართალურთიერთობას (სამართალბრუნვას) შეხება აქვს საწარმოს სუბიექტთან და არა საწარმოსთან: „საწარმოს მატარებელ“ საზოგადოებასთან ან ინდივიდუალურ მეწარმესთან. ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: K. Schmidt, Handelsrecht, 5. neubearbeitete Auf., Carl Heymanns Verlag KG, Köln 1999, S. 80-82. თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, საწესდებო კაპიტალის ნებადართული მომატების დროს, ხდება მთლიანი საწარმოს ან საწარმოს ცალკეული ორგანიზაციული ნაწილის შექმნა (ე.წ. Unternehmensakquisitionen). ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საწარმო სწორედ სამართალურთიერთობის ობიექტად უნდა განიხილებოდეს. შეად.: Thomas Talos/Christopher Schrank, Zur Haftung bei überbewerteten Sacheinlagen in Aktiengesellschaften, ecoloex, Fachzeitschrift für Wirtschaftsrecht, Dezember 2004, (12), S. 948.

¹⁸³ შესაძლოა ასეთ გადაწყვეტილებას ერთსულოდანი, ერთნებიანი გადაწყვეტილებაც ვუწოდოთ. ივ. ჯავახიშვილი „დასავლეთ ევროპის სამართლის კანონისტების მოძღვრებათა“ გასაოცარ მსგავსებაზე საუბრობს, და „თანადგომასა და ერთნებობას“ „unanimis“ (ერთსულობას) ეძახის. იხ.: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ. 1984, გვ. 241.

საფუძველზე (ამას რაიმე სპეციალური ფორმა არ სჭირდება). თუკი ერთ-ერთი დამფუძნებელი საკუთარი ნებით გადის „წინარე საზოგადოებიდან“, მაშინ საზოგადოება ყველა შემთხვევაში იშლება (ამასთან მიგვაჩნია, რომ თუკი ასეთ დამფუძნებელს გადაცემული აქვს საზოგადოების მფლობელობაში რაიმე სახის ქონება, მას შესაძლოა დაუბრუნდეს ეს ქონება). სხვაგვარად გვაქვს საქმე, როდესაც ერთ-ერთი მათგანი გადის საზოგადოებიდან, ხოლო მის ადგილს კი ახალი პირი იკავებს. უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებლის გასვლით საზოგადოება ფორმალურად დაიშლება და დამტკიცდება ახალი წესდება ახალი პარტნიორის ხელმოწერის გათვალისწინებით (რომელიც სავალდებულოა). ეს მოსაზრება, ძირითადად, იქიდან გამომდინარეობს, რომ წევრობის უფლებამოსილებათა გადაცემა „წინარე საზოგადოების“ პერიოდში არ დაიშვება.

დ) დამფუძნებელი პარტნიორის გარდაცვალება

ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორის გარდაცვალებას არ მიეყვართ „წინარე საზოგადოების“ დაშლამდე. „წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობა“ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, მომავალი წევრობის უფლება) გარდაცვლილი პირის მემკვიდრეზე გადადის. თუ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელია იურიდიული პირი, მაშინ მისი სრული ლიკვიდაციის შემდეგ „წინარე საზოგადოება“ იშლება, ხოლო თუკი იგი გარდაიქმნება – დამფუძნებელი პარტნიორის ადგილს ამ იურიდიული პირის სამართალმემკვიდრე და უფლებამონაცვლე დაიკავებს. ასე რომ, ძირითადად, გარდაცვლილის ადგილს მისი მემკვიდრე, უფლებამონაცვლე იკავებს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს, უარი განაცხადოს წევრობაზე (დამფუძნებელი პირის სტატუსზე) და საზოგადოება დაიშლება, ან კიდევ სრულად დაიკავოს მამკვიდრებლის სამართლებრივი ადგილი საზოგადოებაში, რომლითაც წესდებას დამატებით მისი აუცილებელი ხელმოწერა აღარ დასჭირდება (იმის შესახებ, რომ პარტნიორი ვინმეს უფლებამონაცვლეა, ჩვეულებრივ აღინიშნება საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტში).

ე) ერთ-ერთი პირის გაკოტრება

ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრა (მიქცევა) არ იწვევს საზოგადოების დაშლას, თუ არ არსებობს სხვა განსაკუთრებული საფუძველები. ერთ-ერთ ასეთ საფუძველად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გარემოება, როდესაც ეს პირი „წინარე საზოგადოების“ ქონების უმეტესი წილის მფლობელია, ეს კი აუცილებელია საზოგადოების სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის შესავსებად.

§2.1.2. გარეურთიერთობანი

ა) სახელის დაცვა

შეიძლება ითქვას, რომ თვით „წინარე საზოგადოება“, საკუთარი ორგანიზაციით, ფორმალურად კორპორაციული ორგანიზაციის მატარებელია. მას შესწევს უნარი, მესამე პირებთან დაამყაროს ურთიერთობა (მაგალითად, დადოს გარიგებები). თუკი „წინარე საზოგადოება“ ამ სტადიაზე სარგებლობს (იყენებს) დამოუკიდებელი აღნიშვნით,¹⁸⁴ მაშინ არანაირი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ მასზე შეიძლება გავრცელდეს სახელის დაცვის მომწესრიგებელი ნორმები (მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლი; ABGB-ის 43-ე პარაგრაფი).¹⁸⁵

ბ) აქტიური საპროცესო ქმედუნარიანობა

საერთოდ, აქტიური საპროცესო ქმედუნარიანობა, ძირითადად, მის უფლებაუნარიანობაზეა დამოკიდებული. ნიშანდობლივია ის, რომ ამხანაგური ტიპის საზოგადოება (მაგალითად სპს¹⁸⁶), ავსტრიული სამართლის მიხედვით, არ წარმოადგენს კორპორაციას, იურიდიულ პირს (იგი მხოლოდ ფიქციაა), თუმცა კანონი ასეთი ტიპის საზოგადოებას ანიჭებს უფლებას, წარდგეს საკუთარი სახელით მოსარჩელედ ან მოპასუხედ.¹⁸⁷ თუმცა ასეთი საზოგადოება სამართლებრივ ურთიერთობებში, სამოქალაქო ბრუნვაში განიხილება როგორც იურიდიული პირი.¹⁸⁸ წინამდებარე

¹⁸⁴ ამას ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეფორმა. კერძოდ, ამ პერიოდში, ანუ წინარე საზოგადოების პერიოდში, საზოგადოება ვალდებულია, საფირმო სახელწოდებას დაურთოს დანამატი „დაფუძნების პროცესში“. იხ.: ნ. ჩოხელი/ა. სვანიძე/შ. პაპუაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის რეფორმა, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2005 წ. №1-2, გვ. 6. ამიტომ, სრულიად მართებული იქნება, თუკი ჩვენ, „წინარე საზოგადოებას“ მოვაქცევთ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სახელის დაცვის ნორმების მოწესრიგების ქვეშ.

¹⁸⁵ უფრო ვრცლად სახელის დაცვის შესახებ შეგიძლიათ იხ.: Gschnitzer, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, S. 191.

¹⁸⁶ აღსანიშნავია, რომ რეფორმის შედეგად გარკვეულწილად შეიცვალა საზოგადოებათა შესახებ მომწესრიგებელი ნორმები. ეს ცვლილება სპს-საც შეეხო. კერძოდ, ავსტრიულ სამართალში ძველად მოქმედი ღია სავაჭრო საზოგადოება, რაც საქართველოში მოქმედი სპს-ის იდენტურია, შეიცვალა ღია საზოგადოებად (იგივე ღია ამხანაგურ საზოგადოებად). ამას ითვალისწინებს მეწარმეთა (საწარმოთა) კოდექსის 105-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც, ღია (ამხანაგური) საზოგადოება, შესაძლებელია, შეიქმნას ყოველი ნებადართული საქმიანობისათვის, იქნება ეს სამეწარმეო, ეკონომიკური თუ იდეალური საქმიანობა. ასე რომ, განხორციელებული რეფორმის შედეგად, სპს შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ამხანაგური სამეწარმეო საზოგადოება, ანუ Personen Handelsgesellschaft, არამედ ჩვეულებრივ სამეწარმეო ან არასამეწარმეო მიზნის მქონე საზოგადოება. იხ.: Gahleitner, Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, S. 17. იგივე უნდა ითქვას ასევე კს-ზეც, ვინაიდან შეიცვალა მისი ცნების განმსაზღვრელი ნორმაც. კერძოდ, მეწარმეთა კოდექსის 161-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც, „ეს არის საკუთარი სახელით მოქმედი საზოგადოება...“. (UGB §161, Abs. 1). ძველი რედაქციის მიხედვით, „ეს იყო საზოგადოება, რომლის მიზანი მიმართული იყო კომერციულად მოწყობილი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისაკენ...“, ანუ „auf Betrieb eines Handelsgewerbes...“ (HGB (aF.) §161, Abs. 1)

¹⁸⁷ გერმანულად, რომ გამოვხატოთ: unter ihrem Namen zu klagen. იხ.: Schummer, Personengesellschaften, S. 22.

¹⁸⁸ იხ.: OGH 29. 8. 1995, WBL 1996, 81.

ვახსენეთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ „წინარე საზოგადოება“ სწორედ სპს-თან ყველაზე ახლოს მდგომი წარმონაქმნია. ამიტომ, მოქმედებს თუ არა იგივე პრინციპი „წინარე საზოგადოებასთან“ მიმართებით – ძალზე სადავოა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ „წინარე საზოგადოება“ ექვემდებარება ამ პრინციპს, ხოლო ნაწილი კი არ ეთანხმება შეხედულების ამ კუთხეს. მიგვაჩნია, რომ „წინარე საზოგადოებას“ ასევე უნდა ჰქონდეს აქტიური საპროცესოუნარიანობა, ანუ წარდგეს მოსარჩელედ სასამართლოში.¹⁸⁹ თუკი შეიძლება „წინარე საზოგადოება“, როგორც კერძო სამართალბრუნვის სპეციფიკური სუბიექტი, რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში გარკვეული ქონების მესაკუთრედ, მაშინ, რატომ უნდა მოვუსპოთ მას უფლება ამ ქონებასთან დაკავშირებით დაიცვას თავისი შესაძლო ან სადავოდ გამხდარი უფლება სასამართლოსთვის მიმართვის გზით?¹⁹⁰

გ) მეწარმის ხარისხი

„წინარე საზოგადოება“, როგორც ასეთი, არ გახლავთ მეწარმე (ანუ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა). მაგრამ თუკი „წინარე საზოგადოება“, ავსტრიის საწარმოთა კოდექსის პირველი პარაგრაფიდან გამომდინარე, სამეწარმეო (საწარმოს, მეწარმეთა) საქმიანობას ახორციელებს (მაგალითად,

¹⁸⁹ დღეს ეს უკვე წარმოადგენს გაბატონებულ მოსაზრებას იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში. იხ.: Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 303-304, Rn. 28; Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 861, Rn. 51, 52.

¹⁹⁰ უბრალოდ, ჩვენი აზრით, აქ ვაწყდებით ერთ ასეთ „წინააღმდეგობას“: საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად (42-ე, 45-ე მუხლები), სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია ყველა პირისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა საუბრობს პირზე, იურიდიულ პირზე, იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსი იცნობს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი იძლევა იურიდიული პირის ცნებას. იმისათვის, რომ პირმა შეიძინოს იურიდიული პირის სტატუსი, იგი სათანადო წესით უნდა იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. გამოდის, რომ „წინარე საზოგადოება“ იურიდიულ პირად ვერ განიხილება. თუმცა პიპოთეტურად იგი სამართალურთიერთობის „პირია“, სპეციფიკური სუბიექტი. ამიტომ, ჩვენი აზრით, მასაც უნდა ჰქონდეს სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის უფლება. მაგალითად, ამხანაგობა, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის მიხედვით, არ არის სამართალურთიერთობის სუბიექტი, განა მას არ აქვს უფლება სარჩელი აღძრას სასამართლოში? ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობაც, თავისი სამართლებრივი ბუნებით, საზოგადოების კატეგორიას განეკუთვნება (სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის ადრინდელი რედაქცია. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული რეფორმის შედეგად, რომელიც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას შეეხო, ახლებურად ჩამოყალიბდა ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები და ცალკე კანონში აისახა. ამ კანონს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი დაერქვა. თუმცა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ლეგალური დეფინიცია, ფაქტიურად, უცვლელი დარჩა). თუმცა იურიდიულ პირს იგი არ წარმოადგენს. მაგრამ სასამართლოში აქტიური საპროცესო ქმედუნარიანობა ნამდვილად გააჩნია. ეს რომ ასე არ იყოს, ამხანაგობა, როგორც საზოგადოება (და არა იურიდიული პირი), უფლების რეალიზაციას სასამართლო წესით ვერ მოახდენდა.

დებს სავაჭრო-სამეწარმეო გარიგებებს და ა.შ), მაშინ იგი, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, უკვე მეწარმედ უნდა მივიჩნიოთ.¹⁹¹ შესაბამისად, მასზე მოქმედებს საწარმოთა (სავაჭრო) კოდექსის ნორმა-დებულებები მეწარმეთა შესახებ. მოცემულია თუ არა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, საწარმოთა (სავაჭრო) კოდექსის პირველი, მე-2 და მე-3 პარაგრაფების მიხედვით, წყვეტს ასევე დაფუძნების სტადიაზე არსებული სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამეწარმეო ხარისხი,¹⁹² ანუ აქაც ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, მისდევს თუ არა წინარე საზოგადოება სამეწარმეო საქმიანობას (მაგალითად, დებს თუ არა სავაჭროსამართლებრივ გარიგებებს და სხვ.). სამეწარმეო, მეწარმის ხარისხი, ანუ ე.წ. Kaufmannseigenschaft (Unternehmerseigenschaft), დამოკიდებული არ არის საზოგადოების სამართლებრივ ფორმაზე.¹⁹³ „წინარე სს“ კანონის ძალით არ არის მეწარმე, იგი მისი საქმიანობიდან გამომდინარე იქნეს ასეთ ხარისხს.¹⁹⁴ ამიტომ ქართულმა სამეწარმეო სამართალმაც უნდა გაითვალისწინოს დასავლეთის ქვეყნების ეს მიდგომა და სს-ს, დაფუძნების სტადიაზე, თუკი იგი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, უნდა მიაკუთვნოს მეწარმის ხარისხი. თუმცა იმ პირობებში, როდესაც სააქციო საზოგადოების დაფუძნება და მისი სამეწარმეო რეესტრში გატარება საქართველოში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებებით მხოლოდ რამდენიმე დღეს მოიცავს, ამის პრაქტიკული აუცილებლობა, ალბათ, არც იარსებებს. თეორიული თვალსაზრისით კი ეს ყურადსაღებია. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „გ. გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით“. საკითხი შეეხო დეპუტატისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას სწორედ იმ მოტივით, რომ მან პარლამენტის წევრისათვის შეუსაბამო საქმიანობა განახორციელა და პარლამენტმა მას სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყვიტა. პრინციპში პარლამენტის საპროცედურო კომიტეტმა თავის დადგენილებაში ერთ-ერთ საფუძველად ის მიუთითა, რომ დეპუტატი სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა, რაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტის წევრისათვის დაუშვებელი იყო. საკონსტიტუციო სარჩელის ავტორებს მიაჩნდათ, რომ სამეწარმეო ხარისხი პირმა შესაძლებელია შეიძინოს მხოლოდ გარკვეულ ფორმაში გამომხატული საქმიანობის საფუძველზე, ანუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლიდან გამომდინარე ეს უნდა იყოს მხოლოდ გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნი. ეს გადაწყვეტილება ერთგვარად არის ქართულ

¹⁹¹ UGB, §1.

¹⁹² შეად.: C.W. Canaris, Handelsrecht, 23 Auf., Verlag C. H. Beck, München 2000, S. 48.

¹⁹³ C.W. Canaris, Handelsrecht, 24 Auf., Verlag C. H. Beck, München 2008, S. 37-38.

¹⁹⁴ Canaris, Handelsrecht, (2008), S. 38.

იურისპრუდენციაში ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის კარგი მაგალითიც.¹⁹⁵ გადაწყვეტილებაში არსებითად ყველა კითხვაზე პასუხი გაცემული, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის კერძოსამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ გამოვლინებას ეხება. აღნიშნული გადაწყვეტილება სავსებით სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებაა და თითოეული პუნქტი ამომწურავად ეხება და განმარტავს ყველა იმ საკითხს, რომელიც პროცესის მსვლელობისას იქნა დაყენებული. მაგრამ გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება და დავძინოთ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ერთ-ერთ პუნქტად, ჩვენ მიერ ზემოთ განვითარებული პოზიცია იქნებოდა დაფიქსირებული, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა ასახული, რომ მოსარჩელეთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს სამეწარმეო საქმიანობა, აქედან გამომდინარე კი, მეწარმის ხარისხი ვლინდება მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში, არასწორია. მეწარმის ხარისხი შესაძლოა ფორმისაგან დამოუკიდებლადაც არსებობდეს. ფორმას, სამეწარმეო ხარისხთან მიმართებით, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს. გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო პირობა სამეწარმეო ხარისხის მიკუთვნებისა. მას (რეგისტრაციას), ამ შემთხვევაში, კონსტიტუციური მოქმედება გააჩნია და ფაქტობრივ სინამდვილეზე (სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე) იგი გავლენას ვერ მოახდენს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ობიექტურ რეალობაში სამეწარმეო ხარისხი ფორმისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ასე რომ, წინარე საზოგადოებაც თავისუფლად შესაძლოა იყოს სამეწარმეო ხარისხის მატარებელი თავისებური სუბიექტი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დღეს უკვე გაბატონებული შეხედულების თანახმად, სამეწარმეო ხარისხის ამოქმედებას უშუალოდ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.¹⁹⁶ ამიტომ, მაგალითად, სავაჭრო საზოგადოების დაფუძნება საზოგადოების ხელშეკრულების მეშვეობით ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამეწარმეო ხარისხის, ასე ვთქვათ, ამოქმედებას, მის დაწყებას.¹⁹⁷ ამოქმედება იწყება წინამოსამზადებელი გარიგებების განხორციელებით (დადებით) გარე ურთიერთობებში, ან მესამე პირთა ჩაბმა ასეთ გარიგებებში.¹⁹⁸ თავის მხრივ, ეს სწორედ წინარე საზოგადოებისათვის დამახასიათებელ პერიოდს მოიცავს.

შესაძლოა ფორმაზეც იყოს დამოკიდებული სამეწარმეო ხარისხი. ამის შესაძლებლობას იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.2-ე მუხლი. ამ შემთხვევაში კანონმდებელი თავად სთავაზობს პირს აირჩიოს გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და გატარდეს რეგისტრაციაში. აქ წინა პლანზე გამოდის პირის კერძო ავტონომია და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ნება.

¹⁹⁵ იხ.: სსსკ ვ. გელაშვილის საქმეზე, 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378.

¹⁹⁶ ანუ ე.წ. „betreiben des Handelsgewerbes“.

¹⁹⁷ Hopt in Hopt/Baumbach/Duden, Handelsgesetzbuch Kommentar mit GmbH & Co., (2000), S. 47.

¹⁹⁸ Hopt/Merkt in Baumbach/Hopt, Handelsgesetzbuch, Kommentar, (2008), S. 54, Rn 51, 52; ასევე იხ.: Koller/Roth/Morck/, Handelsgesetzbuch, Kommentar, 6. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007, S. 19-20, Rn. 25.

ყველა საქმიანობა, რომელიც ექცევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის რეგულირების ქვეშ, არის სამეწარმეო საქმიანობა. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ამავე კანონის დისპოზიციური 1.2 მუხლი, სადაც იმ საქმიანობის აღწერაა, რომელიც არ ჩაითვლება სამეწარმეოდ. თუმცა რეგისტრაციაში გატარებისას მისი მფლობელი ავტომატურად ხდება მეწარმე და, აქედან გამომდინარე, მისი საწარმო უკვე რეგისტრაციით იძენს სამეწარმეო ხარისხს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აქ პირის არჩევანის უფლება კონსტიტუციურსამართლებრივ რანგშია აყვანილი¹⁹⁹ იმდენად, რამდენადაც კერძო ავტონომიის პრინციპი, ზოგადად, კონსტიტუციურსამართლებრივად არის უზრუნველყოფილი.²⁰⁰

დ) წარმომადგენლობის უფლებამოსილება

სანამ „წინარე საზოგადოებაში“ დირექტორატი რეალურად არ ასრულებს თავის ფუნქციებს, მის მიმართ მოქმედებს წარმომადგენლობისა და მმართველობის შესახებ ის ნორმები, რომლებიც სპ-თვისაა მისაღები. დირექტორატის დანიშვნისა და ამოქმედების შემდეგ კი „წინარე საზოგადოების“ საქმეებს ახორციელებს და მესამე პირებთან (საგარეო) ურთიერთობებში საზოგადოებას წარმოადგენს დირექტორატი. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე თავად დამფუძნებელთა ნებაზეა დამოკიდებული – ან ისინი ერთობლივად წარუძღვებიან საქმიანობას, ან კიდევ დირექტორატს მიანდობენ. როდესაც კაპიტალური ტიპის საზოგადოებას მხოლოდ ერთი ან ორი დამფუძნებელი ჰყავს, ისინი საქმეებს ამ ეტაპზე ერთობლივად წარმართავენ, ხოლო როდესაც მათი რიცხვი გაზრდილია, საქმიანობის წარმართვას, როგორც წესი, ერთ წარმომადგენელს (იგულისხმება ერთ დირექტორს ან რამდენიმეს) მიანდობენ ხოლმე.

თუკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეფორმის შედეგად ცვლილებები შევა კანონში და ისეთ სახეს მიიღებს, როგორც ეს დღეს არსებობს მისი „მონახაზის“ ფორმით, მაშინ მიზანშეწონილი იქნება საზოგადოების განცხადების რეგისტრაციის ეტაპზე „წინარე საზოგადოებას“ უკვე შექმნილი, ჩამოყალიბებული კჰონდეს დირექტორატი (და სამეთვალყურეო საბჭო). სამართლებრივად უფრო სწორი იქნება განცხადება საზოგადოების სახელით შევიდეს, ვიდრე მისი წევრების. გარდა ამისა, თუ ჩვენ დავამკვიდრებთ ანგარიშის ჩაბარებისა და წარდგენის ვალდებულებას, მაშინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს ანგარიში სწორედ საზოგადოების წარმომადგენლობითმა ორგანომ განახორციელოს (საზოგადოების სახელით), ვიდრე დამფუძნებელმა (დამფუძნებლებმა).

ე) პასუხისმგებლობა

იმ გარიგებებზე, რომელთაც „წინარე საზოგადოება“ დებს, დამფუძნებელი პარტნიორები პასუხისმგებელნი იქნებიან როგორც ერთიანი მოვალეები (სოლიდარული მოვალეები). ასეთი დასკვნა კეთდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის განმარტებიდან. მართალია,

¹⁹⁹ შეად.: P. Bosek, P. Pani, Grundzüge des Verfassungsrechts, 2. neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1998, S. 91.

²⁰⁰ იხ.: Canaris, Handelsrecht, (2000), S. 39-40.

ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია საზოგადოების წევრთა საერთო პასუხისმგებლობა, მაგრამ არც პიროვნული პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს. ეს კი, კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარე, შეფასების საკითხია. ამასთანავე, შესაძლებელია საკითხი დადგეს იმ ქონებიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების თაობაზე, რომლის მფლობელიც არის „წინარე საზოგადოება“.

საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ დამფუძნებლის პირადი (პიროვნული) პასუხისმგებლობა ქრება, რადგან „წინარე საზოგადოების“ მიერ დადებული გარიგებები და მათგან გამომდინარე შედეგები ავტომატურად გადადის აწ რეგისტრირებულ საზოგადოებაზე, როგორც სრულფასოვან კორპორაციულ იურიდიულ პირზე. თუმცა დღეს არსებული მოსაზრებების თანახმად, წინარე საზოგადოებაში, უფრო სწორედ, მესამე პირებთან ურთიერთობაში, პასუხისმგებლობის საკითხი ერთსულოვნად მაინც არ არის გადაწყვეტილი. ამასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე აზრი, რომელთაგან ზოგი დამფუძნებელთა მხოლოდ პირად პასუხისმგებლობას ემხრობა, ზოგიც მთლიანად წინარე საზოგადოების (და არა მისი წევრების) პასუხისმგებლობას, ზოგი მოსაზრება წინარე საზოგადოებაში სწორედ კომპლემენტარულ პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და ა.შ.²⁰¹ თუმცა, ასევე, საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, როდესაც წინარე საზოგადოებაში გამგეობა ჩამოყალიბებულია და იგი რეალურად (ფაქტობრივად) ასრულებს თავის ფუნქციებს. ამ შემთხვევაში საუბრობენ უკვე ე.წ. ორგანულ პასუხისმგებლობაზეც (Organhaftung). ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის მატარებელი სწორედ გამგეობაა, ანუ საზოგადოების ორგანოა და არა მისი (საზოგადოების) რომელიმე წევრი. ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება სამეთვალყურეო საბჭოც, თუკი იგი საზოგადოებისთვის გარკვეულ ფუნქციებს (უფლებამოსილებას) ახორციელებდა.²⁰²

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სს-ის რეგისტრაციამდე (ძირითადად) გვაქვს ორი წინა სტადია: პირველი - ეს არის სს-ის დაფუძნებამდე, ანუ წესდების სანოტარო წესით დამოწმებამდე არსებული პერიოდი (რასაც „წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება“, ანუ წინარე სადამფუძნებლო მდგომარეობა ეწოდა), და მეორე - დაფუძნების შემდგომი პერიოდი, ანუ სს-ის წესდების დამოწმების შემდეგ მის საგადასახადოში (სასამართლოში) რეგისტრაციამდე, ანუ „წინარე საზოგადოების“ მდგომარეობა. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ საზოგადოების შექმნაში, მის დაფუძნებაში რამდენი პირი იღებს მონაწილეობას. მოგეხსენებათ, სს-ის დაფუძნება შესაძლებელია ერთი პირის მიერაც.²⁰³ ამ შემთხვევაში სს-ის დაფუძნებისას წინარე

²⁰¹ ამის შესახებ მაგ.: Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 862-864, Rn. 55, 56.

²⁰² იხ.: Drygala in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 520, Rn. 24.

²⁰³ ამას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა. ავსტრიასა და გერმანიაში, რეფორმის შემდეგ (ვინაიდან მანამდე ავსტრიული და გერმანული სააქციო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ერთი პირის მიერ სს-ის დაფუძნებას), შესაძლებელი გახდა ასევე „ერთი პირის სს-ის“ შექმნა (ე.წ. EinpersonenAG). ამ დროს წესდების დამტკიცება მხოლოდ ერთი პირის ნების გამოვლენაზეა

ხელშეკრულების დადებას, ბუნებრივია, მნიშვნელობა არ ექნება (ნების ფორმირება და, შესაბამისად, საზოგადოების დაფუძნება (ჩამოყალიბება) ერთი პირის ხელშია). მაგრამ დაფუძნების პროცესში ორი ან მეტი პირის მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ რომ წინარე დაფუძნებითი საზოგადოების ჩამოყალიბებით იწყება, რა დროსაც იქმნება, როგორც ზემოთ ითქვა, „წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმი“, ანუ სს-ის მომავალ პარტნიორებს შორის ფორმდება წინარე ხელშეკრულება. ეს, რა თქმა უნდა, თავად დამფუძნებელ პარტნიორებზე დამოკიდებული მოვლენაა: ისინი ერთმანეთში ან გააფორმებენ წინარე ხელშეკრულებას, რომლითაც წარმოადგება ცალმხრივი მავალდებულებელი გარიგება სს-ის დაფუძნებისა, ან სს დაფუძნდება ამ გარიგების დადების გარეშე. თუმცა, კიდევ ერთხელ რომ აღინიშნოს, დასავლეთის პრაქტიკაში სს-ის დაფუძნება (ანუ მისი წესდების დამტკიცება), წარმოუდგენელია ე.წ. „წინარე დაფუძნებითი საზოგადოების“ შექმნის გარეშე.

§§2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკის შესახებ: წინარე ჩანაწერი „წინარე საზოგადოების“ სახელზე?!

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ საკითხებთან მიმართებით მეტად საინტერესო იქნებოდა იმ სასამართლო „მიდგომის“ გაანალიზება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა. საკითხი ეხება სასამართლოს მიერ საზოგადოებათა რეგისტრაციის თაობაზე განხორციელებულ სამართლებრივ მოსაზრებას. 2005 წლის მაისამდე რაიონული სასამართლოების პრაქტიკაში დანერგილი იყო პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტების ჩამონათვალში ფიგურირებდა აუდიტორული ფირმის დასკვნა საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი შენატანის თაობაზე (ეს, რა თქმა უნდა, რეგისტრაციის განხორციელების აუცილებელი ატრიბუტია). მართლაც, მეტად გავრცელებულია საზოგადოების დაფუძნება ქონებრივი შესატანების მეშვეობით და ამით საზოგადოების მინიმალური (თუ მეტი) საწესდებო კაპიტალის შევსება. ამის შესაძლებლობას იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი. სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ფირმის სამეწარმეო რეესტრში დასარეგისტრირებლად (სხვა ფორმალურ წინაპირობებთან ერთად), საკმარისი იყო სწორედ ასეთი აუდიტორული დასკვნა პარტნიორთა ქონებრივი შესატანების მოცულობის (ღირებულების) შესახებ. ბოლო დროს სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა არაერთი განჩინება²⁰⁴ ხარვეზის შევსების შესახებ საზოგადოების რეგისტრაციისას იმ მოტივით, რომ ნაჩვენები არ იყო, შეტანილი ქონება რეალურად საზოგადოებას

დამოკიდებული და მხედველობაში ცალმხრივი გარიგება მიიღება. ამის შესახებ მაგ.: U. Eisenhardt, Gesellschaftsrecht 13. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007, S. 295-296; Mader, Kapitalgesellschaften, 6. Auf., (2006), S. 70 f.

²⁰⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: თსს-ს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 ივნისის განჩინება №31/05; 2005 წლის 26 ივლისის განჩინება №304/05; 2005 წლის 5 აგვისტოს განჩინება №224/05.

ეკუთვნოდა თუ არა, ანუ კანონის მე-5.3 მუხლის საფუძველზე სასამართლო საზოგადოების დამფუძნებლებს უთითებდა ხარვეზის თაობაზე და სთხოვდა, შეტანილი ქონებრივი შესატანები ნაჩვენები ყოფილიყო საჯარო რეესტრში. სასამართლოს მოსაზრებით, განსახორციელებელი შესატანის დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ აუდიტის დასკვნა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო ასევე პარტნიორთა ნების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, ანუ ე.წ. წინასწარი ჩანაწერის გაკეთება საჯარო რეესტრში განხორციელებული შესატანის თაობაზე. სასამართლოს ამ სამართლებრივ განმარტებას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა საზოგადოებაში. საქმე იმაშია, რომ, თავის მხრივ, საჯარო რეესტრი უარს ამბობდა ქონებრივი შესატანის დარეგისტრირებაზე იურიდიული პირის (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჯერ არ არსებული იურიდიული პირის) სახელზე. არსებობს ასევე საჯარო რეესტრის შესახებ ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც, ქონების დარეგისტრირება არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე დაუშვებელია. ბოლოს კომპრომისი გამოინახა იმაში, რომ საჯარო რეესტრი განახორციელებდა წინასწარ ჩანაწერს. წინასწარი ჩანაწერი შეეხებოდა პარტნიორთა (აქციონერთა) ნების დარეგისტრირებას იმ ქონებრივი შესატანის თაობაზე, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ საწესდებო კაპიტალში და საზოგადოებას გადასცემდნენ. ერთი მხრივ, არარეგისტრირებული იურიდიული პირის სახელზე ქონების დარეგისტრირება არასწორად გამოიყურება, მეორე მხრივ კი, თითქოს გარანტიის გარეშე რჩება ის ქონებრივი შესატანი, რომელიც პარტნიორის მიერ არის განხორციელებული, ვინაიდან სასამართლო, რომელსაც ერთგვარად კონტროლის ფუნქცია ენიჭებოდა საწარმოთა რეგისტრაციის საკითხთან მიმართებით, ვერ უზრუნველყოფდა კონტროლს, მართლაც იყო შეტანილი თუ არა საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანი. აუდიტის დასკვნა ქონებრივი შესატანის ღირებულების შესახებ მხოლოდ შეფასებას წარმოადგენს და არა იმის მტკიცებას, რომ შესატანი განხორციელებულია. ჩვენი აზრით, სასამართლო უფლებამოსილია, ამგვარად ჩამოაყალიბოს პრაქტიკა,²⁰⁵ ვინაიდან ამ სტადიაზე წინა პლანზე სწორედ რომ „წინარე საზოგადოება“ გამოდის. ამიტომ, შესაძლებელია, გაკეთდეს წინასწარი ჩანაწერი საჯარო რეესტრში ქონებრივი შენატანის თაობაზე. ამ შემთხვევაში ქართულმა საკორპორაციო სამართალმაც უთუოდ უნდა აღიაროს „წინარე საზოგადოების“ მნიშვნელობა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, შეიტანოს იმ ნორმატიულ აქტში, რომელიც ამ საკითხს ეხება,²⁰⁶ დასაშვებად მიიჩნიოს წინასწარი ჩანაწერის გაკეთება ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელ იურიდიულ პირზე. თუკი რეგისტრაცია არ განხორციელდება, ჩვენი აზრით, შესაძლებელი უნდა იყოს კრედიტორთა დაკმაყოფილება ჯერ „წინარე საზოგადოების“ ქონებიდან, ხოლო შემდეგ პასუხისმგებლობა უნდა განაწილდეს პარტნიორებზე, როგორც ერთობლივ (სოლიდარულ)

²⁰⁵ თუმცა ეს პრაქტიკა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 2005 წლის ივნისის ცვლილებების შემდეგ, საგადასახადო ორგანოებმა უნდა ჩამოაყალიბონ. მითუმეტეს, რომ ამ კუთხით კანონში შეიცვალა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხაც.

²⁰⁶ მხედველობაშია საქართველოს იუსტიციის მინისტრის №835 ბრძანება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულება).

მოვალეებზე. ასე რომ, წინასწარი ჩანაწერის მიზანი ამ შემთხვევაში უნდა იყოს კერძო მოთხოვნების სანივთო უზრუნველყოფა. მაგალითად, ვინც ვალდებულებითი ხელშეკრულებით სანივთო უფლებაზე მოთხოვნას შეიძენს (ამ შემთხვევაში საზოგადოება), იგი, შეძლებისდაგვარად, მაშინ იქნება დაცული, თუკი საჯარო რეესტრში მოახდენს ამ მოთხოვნის რეგისტრაციას. ამას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 315-ე მუხლი. ამასთანავე, წინასწარი ჩანაწერი ეხება სამომავლო და პირობითი მოთხოვნების უზრუნველყოფას.²⁰⁷ აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ წინასწარი ჩანაწერით შესაძლებელი ხდება უფლების მფლობელის დადგენა.²⁰⁸ უფლების მფლობელი კი ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში შეიძლება სწორედ საზოგადოება მივიჩნიოთ. ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, წინასწარი ჩანაწერის გაკეთების აუცილებლობა არ არსებობს. შენატანებისთვის პასუხისმგებელი არიან უპირველეს ყოვლისა დამფუძნებელი, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრები, სააუდიტო კომპანიები, საქმისიო ბანკი და ა.შ.

§2.3. დაფუძნების პროცესში პირთა ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის

ა) საზოგადოების წინაშე დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

ის დამფუძნებელ-პარტნიორები, რომლებმაც კაპიტალური საზოგადოების (სს-ის) წესდება მიიღეს (დაამტკიცეს), დაფუძნების პროცესის (და საერთოდ დაფუძნებისათვის) მსვლელობისათვის პასუხისმგებელი არიან, უპირველეს ყოვლისა, თვით საზოგადოების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ნორმები დამფუძნებელთა პასუხისმგებლობის შესახებ, ძირითადად, მიზნად ისახავს კაპიტალის შეტანის უზრუნველყოფას. დამფუძნებლები ვალდებულნი არიან, პასუხი აგონ საზოგადოების დაფუძნების პროცესის მსვლელობის გამო არასწორი და არასრულყოფილი მონაცემების მიცემასთან დაკავშირებით. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიხატებოდეს აქციათა მიღების, აქციისათვის საჭირო თანხების გადახდის საკითხებში, ასევე განსაკუთრებულ უპირატესობათა მინიჭების (ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი), დაფუძნების ხარჯების ანაზღაურებაში, არაფულადი (სხვა ქონებრივი) შესატანების განხორციელებაში. აგრეთვე პასუხისმგებელი იქნებიან შეტანილი სახსრების დირექტორატის თავისუფალი განკარგულების ქვეშ გადაცემისთვის. თავისთავად, ზემოთ ჩამოთვლილი (ეს ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი) მონაცემების უზუსტობამ შესაძლოა, არასასურველი შედეგი მოუტანოს თვით საზოგადოებას და ზიანი მიადგეს მას. „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონი ითვალისწინებს ასევე დამფუძნებელთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუკი შესატანების განხორციელების (ფულადი თუ არაფულადის დროს) ან დაფუძნების ხარჯების არასწორი გადანაწილების დროს საზოგადოებას ზიანი მიადგება

²⁰⁷ იხ.: ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, II გამოცემა, თბ. 2003, გვ. 375-376.
²⁰⁸ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 378.

დამფუძნებელთა განზრახვი ან მიმიკ გაუფრთხილებელი მოქმედებით.²⁰⁹ ეს შესაძლოა, მოხდეს ქონების არასწორი შეფასების, დაფუძნების ხარჯების არასწორად განხორციელების დროს და სხვ. აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: თუნდაც მხოლოდ ერთმა დამფუძნებელმა რომ იმოქმედოს ამგვარად და მისმა ქმედებამ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველა დამფუძნებელ-პარტნიორს, რომელმაც იცოდა ამ ფაქტობრივი გარემოების შესახებ ან არ იცოდა, მაგრამ მოვალე იყო, სცოდნოდა ამის თაობაზე. ნიშანდობლივია ის, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნის მფლობელი თავად საზოგადოებაა და არა ზოგადად საწარმოს კრედიტორი – ეს აშკარაა, თუკი დაფუძნებისას დამფუძნებელმა არასწორად იმოქმედა, ზიანი პირველ რიგში საზოგადოებას მიაღებება და მისი ანაზღაურების მომთხოვნი თავად ეს უკანასკნელი იქნება.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის (დირექტორატის) წევრთა პასუხისმგებლობა

დამფუძნებელ-პარტნიორებთან ერთად საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი არიან ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრები,²¹⁰ თუკი ისინი მეწარმისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და გულისყურით არ მოეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. კანონი ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით იმაზე, როდესაც საზოგადოებას ზიანი მიაღებება (ფულადი შენატანების დროს) არაშესაბამისი, არასათანადო საკრედიტო ინსტიტუტის არჩევასთან დაკავშირებით, და ასევე იმაზე, რომ შესატანი სახსრები დირექტორატის თავისუფალი განკარგულების ქვეშ იმყოფებოდეს.

გ) სხვა პირთა პასუხისმგებლობა

საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელია ასევე, მაგალითად, საემისიო ბანკი, რომელმაც საზოგადოების რეგისტრაციამდე ან რეგისტრაციის შემდგომ პირველი ორი წლის განმავლობაში აქციები საჯარო წარმოებისთვის (საჯაროდ) გასცა. იგი პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ საწარმოს დაფუძნებისას არასწორი ან არასრული მონაცემები (ინფორმაცია) იქნა მიწოდებული ან საზოგადოებას ზიანი მიაღება არასრულყოფილი სანივთო შენატანებისას და ამ გარემოების შესახებ საემისიო ბანკმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა.²¹¹

პასუხისმგებელია ასევე სააუდიტო ფირმა.²¹² თუკი საზოგადოებას ზიანი მიაღებება ამ უკანასკნელის განზრახვი ქმედებით, მაშინ იგი შეუზღუდავად აგებდა პასუხს. ხოლო გაუფრთხილებლობისას კი თანხა მხოლოდ 50 000 ევროთი

²⁰⁹ öAktG § 39.

²¹⁰ öAktG § 41.

²¹¹ Richter, Handelsrecht, Rechtskurse, III/1. AG, S. 22-23.

²¹² öAktG § 40. თუმცა ბოლოდროინდელი ცვლილებებით აუდიტორთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელმა ნორმებმა ასახვა სავაჭრო კოდექსში (საწარმოთა კოდექსში) პპოვეს, კერძოდ, 275-ე პარაგრაფში (UGB §275, Abs 1, 4). იხ.: BGBl I 2001/97.

შემოიფარგლებოდა.²¹³ აუდიტორები პასუხს აგებენ, ძირითადად, საზოგადოების დაფუძნებისას არასწორი ინფორმაციის დაფარვაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონი სიტყვა-სიტყვით არ აწესრიგებს აუდიტორის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს კაპიტალის მომატების დროს,²¹⁴ იგულისხმება, რომ კაპიტალის მომატების დროსაც, აუდიტორი პასუხისმგებლობის საკითხი ისევე წესრიგდება, როგორც ეს საზოგადოების დაფუძნებისას.²¹⁵

„სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის 44-ე პარაგრაფი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადას პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით და ამბობს, რომ საზოგადოების რეგისტრაციიდან 5 წლის შემდეგ საკითხი სააქციო საზოგადოების დაფუძნების პასუხისმგებლობის შესახებ, ზოგადი წესის მიხედვით, აღარ დგება.

§3. პირველადი ორგანოების ჩამოყალიბება

რა თქმა უნდა, სს წარმოადგენს კორპორაციულ სტრუქტურას და როგორც ევგენი კლუნცინგერი ამბობს: იმისათვის, რომ მან იარსებოს, აუცილებელია მისთვის (გარდა ქონებრივი უზრუნველყოფისა) „თავისა და ხელ-ფეხის“ შექმნა.²¹⁶ ამიტომ სააქციო საზოგადოება ბოლომდე შექმნილად ვერ ჩაითვლება, თუკი დამფუძნებელი პარტნიორები სავალდებულო ორგანოებს არ ჩამოაყალიბებენ. წინამდებარეს ითვალისწინებენ ავსტრიისა და გერმანიის ფედერალური კანონები „სააქციო საზოგადოების შესახებ“ (§23 - ავსტ. და §30 - გერმ.), ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კი მე-5 მუხლში, სადაც წესდების სავალდებულო რეკვიზიტებზეა საუბარი. შესაბამისად, აქ ჩამოთვლილია ყველა ის სავალდებულო მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს „საზოგადოების ხელშეკრულება“, ანუ თვით ორგანოების მონაცემების (გამგეობის (დირექტორატის), ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მონაცემები) შესახებ მოცემულია საზოგადოების წესდებაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ საკორპორაციო სამართალში ეს საკითხი იგივეა ზემოთ თქმულ პირველ ორგანოთა ჩამოყალიბების საკითხთან (დირექტორატი და

²¹³ „სს-ის შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის ძველი რედაქციის მე-40 პარაგრაფი. 2001 წლის ცვლილებებით, ის აუდიტორი (სააუდიტო ფირმა იგულისხმება), რომელიც სანივთო (არაფულად) შესატანს აფასებს, პასუხისმგებელია, მისი გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის 2 მლნ. ევროს ფარგლებში. შესაძლოა, მას აგრეთვე დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობაც, რომელიც 10 მლნ. ევროთი შემოიფარგლება (ეს პასუხისმგებლობა კონკრეტული შემთხვევის შეფასების საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამ დროს აუცილებლად გათვალისწინებული იქნება ამ პირის უხეში გაუფრთხილებლობის ხარისხი). თუმცა აუდიტორებისათვის უფრო მაღალი პასუხისმგებლობის ზღვარიც არის დადგენილი. ეს, ძირითადად, იმ საწარმოებს ეხებათ, რომელთა აქციებიც „დარეგულირებულ (რეგულირებულ) ბაზარზე“ არის გატანილი (ე.წ. geregelter Markt). ზემოთ მოყვანილი საკითხის შესახებ შეგიძლიათ იხ.: Talos/Schrank, eolex, 2004, 12, S. 950.

²¹⁴ იგულისხმება: §AktG §§ 150 Abs 3 (საწესდებო კაპიტალის რეგულარული გაზრდა); 172 Abs 3 (ნებადართული კაპიტალის მომატება).

²¹⁵ შეად.: Talos/Schrank, eolex, 2004, 12, S. 948-949.

²¹⁶ Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (2006), S. 169.

სამეთვალყურეო საბჭო კი სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანოებს წარმოადგენენ, რომელთა არსებობის გარეშეც წარმოუდგენელია თვით ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არსებობა).

ავსტრიული იურისტები სს-ის ქმედუნარიანობას პირდაპირ უკავშირებენ პირველ ორგანოთა ჩამოყალიბებას. ავსტრიული სამართლის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შესახებ სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების პრეროგატივაა. ისინი პირველი სამეურნეო წლისათვის ქმნიან (აყალიბებენ) პირველ ორგანოებს. გერმანელი იურისტი ზატლერი ამბობს, რომ გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და ჩამოყალიბების შესახებ მიიღება უბრალო უმრავლესობით, სადაც ყველა დამფუძნებელი პარტნიორის მონაწილეობა სავალდებულო არ არის.²¹⁷ ჩვენი აზრით, ანდრეას ზატლერის ეს მოსაზრება მცდარია, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბება პრინციპულად დროის იმ მონაკვეთს ემთხვევა, როდესაც წესდება ბოლომდე მტკიცდება. ამ პროცესს კი ყველა დამფუძნებელი პარტნიორი უნდა ესწრებოდეს, ანუ ეს დაკავშირებულია, როგორც წესი, პირდაპირ საზოგადოების დაფუძნების დამთავრების სტადიასთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავსტრიული და გერმანული ფედერალური კანონები ითვალისწინებენ ასევე პირველ ორგანოთა, ასე ვთქვათ, კატეგორიაში აუდიტორთა (რევიზორთა) ინსტიტუტს,²¹⁸ მათი ჩართვა ამ პროცესში ემსახურება, ძირითადად, სააქციო საზოგადოების დაფუძნების სტადიის შემოწმებას. აუდიტორები უფრო მეტად ეკონომიკისა და სამართლის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისაგან შედგება. რაც შეეხება ღირექტორატს, *გამგეობას*,²¹⁹ მისი ჩამოყალიბება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილებაა. იგი ყალიბდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ნოტარიულ დამოწმებას არ მოითხოვს.

ნიშანდობლივია ასევე ისიც, რომ თუკი კაპიტალური საზოგადოების დაფუძნებისას ღირექტორატი მასზე დაკისრებულ სავალდებულო ამოცანებს განზრახ (საკუთარი ბრალით) არ შეასრულებს და, აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება ზიანი, მაშინ ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე. ამ დროს ღირექტორატი (*გამგეობა*) განსაკუთრებით იმისათვისაა მოწოდებული, რომ ყურადღება გაამახვილოს კაპიტალის შეტანის სამართლებრივ მდგომარეობაზე და რომ შეტანილი ფულადი თუ არაფულადი საშუალებები მისი თავისუფალი განკარგვის (განკარგულების) ქვეშ იმყოფებოდეს.²²⁰

²¹⁷ H. P. Verspay, A. Sattler, Die kleine AG, Eine Rechtsform für das mittelständische Unternehmen, 2. aktualisierte und erweiterte Auf., München 2000, S. 23.

²¹⁸ ავსტრიელები მას უწოდებენ Abschlussprüfer.

²¹⁹ მიზანმიმართულად ვხმარობთ სიტყვას „გამგეობა“, ვინაიდან იგი უფრო შეესატყვისება გერმანულ Vorstand-ს. აქვე დავძენთ, რომ ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, გამგეობის წევრად შესაძლოა დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი (§75, Abs 2; §86 Abs 2 AktG). იგივეს ითვალისწინებს გერმანული კანონმდებლობაც (§76, Abs 3 AktG).

²²⁰ Verspay/Sattler, Die kleine AG, S. 25.

თავი II. კვალიფიციური დაფუძნება

სს-ის, ასე ვთქვათ, დაფუძნების მეორე სახეობას წარმოადგენს ე.წ. საზოგადოების კვალიფიციური დაფუძნება. კვალიფიციური დაფუძნება არის საწარმოს დაფუძნება განსაკუთრებული (გარკვეული სახის) შეთანხმებების გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებლად წესდებაში უნდა აისახოს. მხედველობაში მიიღება ასევე საზოგადოების მხრიდან გარკვეული ქონებრივი სიკეთეების მიღება, რომლებიც ასევე საზოგადოების წესდებაში აისახება.²²¹

საკორპორაციო სამართალი განასხვავებს ამგვარი დაფუძნების შემდეგ წანამძღვრებს, რომელნიც მხედველობაში მიიღება:

ა) აქციონერისთვის უპირატესობის მინიჭება

პირველი ეს არის, მაგალითად, ცალკეული აქციონერისთვის (აქციონერებისათვის) გარკვეული უპირატესობის დამტკიცება (Sondervorteile).²²² ამ უკანასკნელში იგულისხმება მათთვის პერსონალურად უპირატესობის მიკუთვნება (ეს უპირატესობა აქციონერის მხრიდან საზოგადოებისათვის საპასუხო, ეკვივალენტური მომსახურების, მოქმედების გაწევას მიზნად არ ისახავს). შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო პერსონალური ხასიათის მატარებელია. ამგვარი უპირატესობა აქციასთან უშუალოდ დაკავშირებული არ არის. სწორედ ეს განასხვავებს მას ე.წ. პრივილეგირებული აქციისაგან. მაგალითად: მოგების განსაკუთრებული წილი, სს-ის კუთვნილებაში არსებული რაიმე მოწყობილობის გამოყენების უფლება, (განსაზღვრული) საქონლის შესყიდვის განსაკუთრებული, უპირატესი უფლება და ა.შ.²²³ ეს უპირატესობანი შეიძლება მოცემული იყოს (შეტანილ იქნეს) ასევე გარკვეული გამოყენების უფლების მოწმობაში ანუ ე.წ. Genusschein-ში. შესაძლოა, ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ: ხელსაწყოს დამამზადებელი ქარხნის (სს-ის) ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ ფოლადის მწარმოებელი საწარმო. თუკი ქარხანასა და ამ დამფუძნებელს შორის (ამ ქარხნის დაფუძნებისას) გაფორმდება ვალდებულება ამ ფოლადის ქარხნის მიერ შეღავათიან ფასში მიღების თაობაზე, მაშინ ეს წესდებაში უნდა აისახოს (უეჭველია, რომ ამ გარიგებაში სს-ის აღნიშნული დამფუძნებლის განსაკუთრებული ინტერესი არსებობს).

ბ) დაფუძნებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

მეორე ეს არის საზოგადოების დაფუძნების ხარჯების ანაზღაურება. მასში მოიაზრება დამფუძნებელთათვის ან მესამე პირებისთვის საზოგადოების დაფუძნების პროცესში განხორციელებული მოქმედებებისათვის (მომსახურებისთვის) ანაზღაურების გაწევა, რომელიც, ზოგადი წესის მიხედვით, თვით საზოგადოების სახსრებიდან უნდა იქნეს გადახდილი.

ამგვარ ხარჯებს, ძირითადად, განეკუთვნება:

²²¹ Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 351.

²²² Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 351.

²²³ A. Hueck, Gesellschaftsrecht, München 1998, S. 196.

ა) გასაველები

ე.წ. Gründungskosten, ეს არის, მაგალითად, ის გასაველები, რომელიც აუცილებელი იყო სანოტარო მომსახურებისთვის, ასევე სასამართლო, საჯაროდ გამოქვეყნების ხარჯები, აქციათა (როგორც მოწმობათა) დაბეჭდვისათვის გაწეული გასაველები და სხვა.²²⁴ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი ხარჯები პირის პერსონალურობასთან (პირად თვისებებთან), ზოგადი წესის მიხედვით, დაკავშირებული არ არის (მაგალითად, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თავად გაიღო ხარჯი (საზოგადოების საქმეებისთვის გახარჯა მგზავრობის ფული და ა.შ., რაც მას საზოგადოებამ შემდგომ უკან უნდა დაუბრუნოს). ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით წინამდებარე საკითხი გარკვეულწილად მოწესრიგდა, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.8 მუხლი ამბობს, რომ პარტნიორთა შეთანხმებით შესაძლოა, წესდებაში ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცალკე ხელშეკრულებით, მათ (პარტნიორებს) მიერ განხორციელებული შენატანებისაგან დამოუკიდებლად, განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ხარჯს დამფუძნებელი პარტნიორები თავად გაიღებენ, ხოლო შემდეგ შესაძლოა, მათ, მანამაღე დადებული შეთანხმების საფუძველზე, ეს გასაველები აუნაზღაურდეთ (მაგალითად, გ-მ საკუთარი სახსრებით გადაიხადა აქციების დაბეჭდვისათვის გათვალისწინებული ხარჯი. ეს უკანასკნელი კი საგრძობლად აღემატება საზოგადოების დაფუძნებისათვის პარტნიორთა მიერ პროპორციულად გაღებულ ფულად თანხას. ასე რომ, გ-სა და საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს შორის შესაძლოა, შედგეს ცალკე შეთანხმება წინამდებარე ხარჯის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით).

ბ) გაწეული საქმიანობისთვის ანაზღაურება

ეს არის ე.წ. Grundenlohn, ანუ პირებისათვის (დამფუძნებელი პარტნიორებისთვის, მესამე პირთათვის) საზოგადოების დაფუძნებისას, მისი მომზადებისას გაწეული საქმიანობისათვის (განხორციელებული მომსახურებისათვის) ანაზღაურების გაწევა. აქ უკვე შეიძლება ითქვას, რომ იგი უმეტესწილად დაკავშირებულია პირად თვისებებთან. კერძოდ, იგი შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პირის პროფესიულ თვისებებთან, მაგალითად, საზოგადოების ერთ-ერთი წევრის, დამფუძნებელი პარტნიორის იურიდიული განათლება ან მისი ეკონომიკური გამოცდილება, რომლის ცოდნაც აუცილებელია საზოგადოების დაარსების პროცესში და სხვა, ან, მაგალითად, ერთ-ერთი დამფუძნებლის შუამდგომლობით საზოგადოებამ ხელსაყრელ პირობებში შეიძინა მანქანა-დანადგარები. მას შეიძლება მიეცეს პროვიზია (სამაკლერო მომსახურებისათვის). თუკი საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტში (წესდებაში) მითითებული არ იქნება ამგვარი ხარჯებისა და მათი ანაზღაურების შესახებ, მაშინ ამ ხარჯებს, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოების

²²⁴ Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 351.

დამფუძნებლები თავადვე გაიღებენ და მათი მოთხოვნის უფლება საზოგადოების მიმართ მათ არ წარმოეშვებათ. რაც შეეხება „მეწარმეთა შესახებ“ კანონს, თანახმად მე-3.8 მუხლისა, ამგვარი ხარჯების (ასევე პარტნიორის მიერ საზოგადოებისათვის შენატანისაგან განსხვავებული შესრულების) სანაცვლოდ წერილობითი ფორმით შესაძლოა, დადგინდეს განსხვავებული (გარკვეული) უფლება-მოვალეობები.

ნაწილი III. ქონების მოზიდვა სააქციო საზოგადოებაში

თავი I. ქონების მოზიდვა და შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება

შესავალი

ფულადი და არაფულადი საშუალებების მოზიდვა სააქციო საზოგადოებისათვის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. განცალკევებული ქონების არსებობა, რაც კორპორაციის წევრებისაგან დამოუკიდებელია, კაპიტალურ საზოგადოებაში, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის შინაარსის განსაზღვრასაც ემსახურება. მხოლოდ დამფუძნებელთა სურვილი, დააარსონ კაპიტალური ტიპის საზოგადოება და წარმართონ მისი საქმიანობა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ამისათვის, საზოგადოების დამფუძნებელმა პარტნიორებმა შესაბამისი კაპიტალი უნდა შეაგროვონ (მოიზიდონ) და საზოგადოებას გადასცენ (ავსტრიული სამართალი შპს-ს და სს-ს, როგორც კორპორაციული ტიპის იურიდიულ პირებს განიხილავს, ისინი არ წარმოადგენენ ე.წ. Gesamthandsgemeinschaft-ს, ანუ სპს-ს (ღია საზოგადოებას (ღია სავაჭრო საზოგადოებას), როგორც ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ზოგადად, ავსტრიული და გერმანული კანონმდებლობა უწოდებს) და კს-ს). კორპორაციები კაპიტალის (ქონების) განცალკევების მაღალი ხარისხის გამო კერძოსამართლებრივ ბრუნვაში გამოდიან სრული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე წარმონაქმნებად, განსხვავებით სპს-ის ან კს-ისაგან. ასეთი კორპორაცია თავისი ქონებით (კერძოდ კი საწესდებო (ძირითადი) კაპიტალით) ცალკე „სხეულია“, კრედიტორების წინაშე დამოუკიდებლად აგებს პასუხს. რაც შეეხება მის წევრებს, ისინი საზოგადოების ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან სწორედ იმ შენატანების მოცულობით, რაც მათ გაიღეს საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შედგენისას.

ასე რომ, თუკი თვალს გადავავლებთ საზოგადოების დაფუძნების მსურველთა სამართლებრივ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ აქ მთავარია ორი თანმხვედრი მოვლენა: 1 – სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, და 2 – საზოგადოებისათვის აუცილებელი საწესდებო კაპიტალის შედგენა.

§1. საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების ქონება

§§1.1. სს-ის საწესდებო კაპიტალის შესახებ

ა) ზოგადად

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იმპერატიული დანაწესით უთითებს, რომ სააქციო საზოგადოებისათვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა, რაც

15 000 ლარით გამოიხატება²²⁵ (ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით ეს ციფრი შეადგენს 70000 ევროს,²²⁶ ხოლო გერმანული სამართლის მიხედვით სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს 50 000 ევროზე ნაკლები²²⁷). ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ არ შეიძლება იქონიოს ამ ციფრზე მეტი ღირებულების ქონება. ეს, რასაკვირველია, სასურველიცაა და პრაქტიკაში სწორედ ასეც ხდება: მაგალითად, ავსტრიის ფედერაციაში შექმნილი 12 სააქციო საზოგადოებიდან თერთმეტის საწესდებო კაპიტალი, როგორც წესი, აჭარბებს ხოლმე კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას.²²⁸ აუცილებელია, რომ ამ დროს იგი (საწესდებო კაპიტალი) არ იყოს მინიმალურზე ნაკლები. საწესდებო კაპიტალის შესახებ მითითებული უნდა იყოს სააქციო საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტში. გამომდინარე აქედან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამბობს, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ყოველი შემდგომი ცვლილება თავისთავად გულისხმობს წესდებაში ცვლილებების შეტანას (წესდების შეცვლას, მუხლი მე-3.3, მე-2 აბზაცი).

სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია აქციებად ე.ი. აქციათა ნომინალური ღირებულების ერთიანობა (ჯამი) შეადგენს სწორედ საზოგადოების საწესდებო კაპიტალს (მუხლი 51), ხოლო აქციათა ნომინალური ღირებულების ეს ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე.²²⁹

ბ) საწესდებო კაპიტალის ფუნქციები

საზოგადოების საწესდებო კაპიტალს მრავალი ფუნქცია აქვს, რომელთაგან რამდენიმე და უმთავრესია გამოსაყოფი:

აა) საწესდებო კაპიტალი, როგორც ქონების შევსების სავალდებულო მინიმუმი

„Anfangs-Sollvermögen“, ანუ საწესდებო კაპიტალი საზოგადოების ე.წ. „დაწყებით-სავალდებულო“ (საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელი ქონების შევსების თვალსაზრისით) ქონებაა,²³⁰

²²⁵ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 51.1.

²²⁶ öAktG §7.

²²⁷ dAktG §7.

²²⁸ ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობა ტენდენცია სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით კომერციული საქმიანობის საწარმოების დაფუძნებისა. მაგალითად, 2005 წელს ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაახლოებით 30 000-ამდე საწარმო დაფუძნდა (იხ.: ავსტრიის ეკონომიკური პალატის სტატისტიკა. ხელმისაწვდომია შემდეგ მის.: <http://www.wko.at/statistik/>). აქედან კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ბატონობს სს-ის ფორმით საწარმოთა დაფუძნების ტენდენციაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ ავსტრიაში დაფუძნებული 100 კაპიტალური საწარმოსაგან 60% ირჩევს სს-ის ფორმით დაფუძნებას, ხოლო 31% კი შს-ის ფორმით. იხ.: Gahleitner, Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, S. 3.

²²⁹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოცემა, თბ. 2002, გვ. 314.

²³⁰ G. H. Roth, Handels- und Gesellschaftsrecht, Verlag Orac, Wien 2000, S. 178.

იმიტომ, რომ დამფუძნებლები (აქციონერ-პარტნიორები) მოვალენი არიან, საზოგადოებას შეუქმნან და გადასცენ მინიმალური, კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ქონება (მინიმალური საწესდებო კაპიტალი).

საწესდებო კაპიტალი გამოსათვლელი (გამოთვლადი)²³¹ და უცვლელი სიდიდეს, მაგალითად, აქციათა დაყოფის, გადანაწილების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია იგი სუფთა (წმინდა) მოგების გამოსათვლელად, აქციონერების წილთა გამოსათვლელად საზოგადოების ლიკვიდაციის დროს და კრედიტორებისათვის, როგორც მინიშნება იმაზე, თუ რა მოცულობითი ქონებით დაფუძნდა საზოგადოება და როგორი პასუხისმგებლობაუნარიანია იგი.²³²

ბბ) საწესდებო კაპიტალი, როგორც მინიმალურ-აუცილებელი ქონება

საწესდებო კაპიტალის მეორე ფუნქცია გამომდინარეობს ზემოთ განხილული პირველისაგან. იგი არის ე.წ. „Mindest-Sollvermögen“, ანუ მინიმალური სავალდებულო ქონება. როდესაც საზოგადოების „წმინდა ქონების“ ღირებულება – აქტივს გამოკლებული საზოგადოების ვალები – კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს გადააჭარბებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება საზოგადოებაში შემოსული ქონება მოგების სახით უკვე აქციონერებზე განაწილდეს. „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიული კანონის ასეთი ზუსტი მოთხოვნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული არ არის. „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის 187-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი ამბობს: მოგების განაწილება არ დაიშვება, სანამ რეზერვები საწესდებო კაპიტალის 10%-ს არ მიაღწევს. წინამდებარე პარაგრაფის მიხედვით, რეზერვებში, ძირითადად, მოიაზრება კაპიტალური ტიპის საზოგადოების სარეზერვო ფონდი. თავის მხრივ, სარეზერვო ფონდს აერთიანებს ე.წ. კანონისმიერი რეზერვი და კაპიტალრეზერვი.²³³ ისინი ერთობლივად სარეზერვო ფონდს ქმნიან.²³⁴ სწორედ ამ სარეზერვო ფონდზეა საუბარი ავსტრიის კანონის წინამდებარე პარაგრაფში. იმისათვის, რომ საზოგადოებაში მოგება განაწილდეს, საზოგადოების კანონისმიერმა და კაპიტალრეზერვმა უნდა მიაღწიოს საწესდებო კაპიტალის 10%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების განაწილება დაუშვებელია. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიის სააქციო კანონის 233-ე პარაგრაფი აწესრიგებს ასევე ზემოაღნიშნულ საკითხს, მაგრამ მიუთითებს როგორც კანონისმიერ, ისე კაპიტალურ რეზერვებზე ცალ-ცალკე და ამბობს, რომ მოგების განაწილება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც კანონისმიერი და კაპიტალური რეზერვების ჯამი საწესდებო კაპიტალის 10%-ს გადააჭარბებს). თავის მხრივ, კანონისმიერი და კაპიტალრეზერვების შესახებ მოცემულია ავსტრიის „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის §130-ში (გერმანული სააქციო კანონის §150). წინამდებარე პარაგრაფი ეხება კანონისმიერი

²³¹ Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (2006), S. 158.

²³² Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 356.

²³³ ე.წ. gesetzliche Rücklage und Kapitalrücklage.

²³⁴ იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 1165, Rn. 1.

რეზერვების შექმნის ვალდებულებას და არეგულირებს მის დოტაციასა და გამოყენებას. აღნიშნული ნორმის მოთხოვნა ემსახურება კაპიტალის მდგრად შენარჩუნებასა და კრედიტორთა დაცვას იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით იქმნება საზოგადოებისათვის შეკავშირებული (დაკავშირებული) ქონება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოაღნიშნული ერთგვარად წარმოადგენს ბუფერულ მატერიალურ ზონას საწესდებო კაპიტალის უზრუნველყოფის აუცილებელი ქონების თვალსაზრისით. საერთოდ, რეზერვი საზოგადოებაში პასიურ ადგილს იკავებს და იმ საკუთარ კაპიტალს აღნიშნავს, რომელიც საწესდებო კაპიტალს არ გამოხატავს (არ მიეკუთვნება მას. წინამდებარე საკითხი განისაზღვრება უკვე ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოთა კოდექსის (აღრე სავაჭრო კოდექსის)²³⁵ 229-ე პარაგრაფით²³⁶). ძირითადად, ისინი განეკუთვნებიან საზოგადოების რისკის ფაქტორებს და გაუთვალისწინებელ დანახარჯებს, ამიტომაც მათ (რეზერვს) სხვაგვარად იურიდიულ ლიტერატურაში „უცხო კაპიტალს“ უწოდებენ.²³⁷ კანონისმიერი რეზერვი ერთგვარად უფრო საზოგადოების მოგების რეზერვს განეკუთვნება. რაც შეეხება კაპიტალრეზერვებს, ისინი, ძირითადად, გაუთვალისწინებელი (თავისუფალი) შემოსავლების ან აჯიოს (მასზე ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი), დანამატების გადახდის შედეგად წარმოქმნილი რეზერვებია. კანონისმიერ და კაპიტალრეზერვებს, ძირითადად, განასხვავებენ მათი წარმომავლობის გზების მიხედვით.²³⁸

აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარის მესამე გამოცემაში ზემოთ განმარტებული საკითხი განხილულია და ნათქვამია, რომ „დაუშვებელია მოგების განაწილება, ვიდრე საზოგადოების ქონება არ მიაღწევს საზოგადოების მინიმალურ საწესდებო კაპიტალს“.²³⁹ სარეზერვო ფონდების უფრო ზუსტი, კონკრეტული საკანონმდებლო რეგლამენტაცია აუცილებელია ნაციონალური კანონმდებლობისთვისაც.²⁴⁰ მთლად სწორი არ უნდა

²³⁵ საქმე ის გახლავთ, რომ ავსტრიაში (2004-2007 წწ.) განხორციელდა სავაჭრო სამართლის გრანდიოზული რეფორმა (ნოველირება), რომლის საფუძველზეც HGB გარდაიქმნა UGB-დ, ანუ სავაჭრო კოდექსს შეეცვალა სახელწოდება და იგი ამჟამად ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცნობილია როგორც მეწარმეთა (საწარმოთა) კოდექსი. ცვლილებები და დამატებები განხორციელდა სავაჭრო კოდექსის „ჩონჩხზე“, ამიტომ მასში (სავაჭრო კოდექსში) ძალიან ბევრი ცვლილება შევიდა. ასე რომ, ნუ გაგვიკვირდება, თუკი სავაჭრო კოდექსის ნაცვლად შეგვხვდება მეწარმეთა (საწარმოთა) კოდექსი, რომელიც საწარმოთა სპეციალურ კერძოსამართლებრივ ნორმებს მოიცავს. კანონი ძალაში 2007 წლის 1 იანვარს შევიდა.

²³⁶ Kodex des österreichischen Rechts, 23. Auf., Verlag Orac, Wien 2000, S. 49.

²³⁷ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (1999), S. 721.

²³⁸ იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 819, Rn. 2.

²³⁹ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც. (2002), გვ. 62.

²⁴⁰ „მეწარმეთა შესახებ“ კანონიც 52.5-ე მუხლში ხმარობს ტერმინს „სარეზერვო ფონდი“ და მას ფაქტიურად მხოლოდ ორ შემთხვევაში იყენებს. პირველი, როდესაც ხდება საზოგადოების დაფუძნება და არაფულადი შესატანის დროს მისი ღირებულება აღემატება აქციის ნომინალურ ღირებულებას. შესაბამისად, ნამატი თანხა ჩაირიცხება საზოგადოების სარეზერვო ფონდში (მუხ. 52.5, მე-3 წინადადება). მეორე, როდესაც საწარმო ახალ აქციებს განათავსებს (გამოუშვებს), რომელთა ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა მიემატება

იყოს ამ დროს პირდაპირი მნიშვნელობით სიტყვა „ქონების“ ხმარება. რასაკვირველია, თავად საზოგადოების რეზერვიც (სარეზერვო ფონდი) საწარმოს ქონებას წარმოადგენს, მაგრამ არა ვიწრო, არამედ ზოგადი, ფართო მნიშვნელობით. ქონება საზოგადოების ყოველგვარი ქონებაა. რაც შეეხება რეზერვს – ეს ის სახსრებია, საიდანაც უნდა განაწილდეს საზოგადოების მოგება წილების საფუძველზე დივიდენდების სახით. ამიტომ, ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საწესდებო კაპიტალს საბალანსო ფუნქციაც აქვს.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეტანის ვალდებულებასაც საზოგადოების დამფუძნებელი ერთობლივად კისრულობენ, და რომელიც ზუსტადაა მოწესრიგებული ნორმატიული გზით. საწესდებო კაპიტალის თანხა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ოფიციალურად მომატების ან შემცირების დროს იქნეს შეცვლილი („მეწარმეთა შესახებ“ კანონი მუხლი 59).²⁴¹ მართალია, ავსტრიის კანონმდებლობა მიუთითებს საზოგადოების მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე (და, შესაბამისად, ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა), მაგრამ ზოგიერთი სახის საზოგადოებისათვის შეიძლება დაწესებული იყოს სხვა მოთხოვნებიც, მაგალითად, ე.წ. „სათამაშო“ საზოგადოებისთვის, ანუ სამორინეებისათვის უფრო მეტი ოდენობის საწესდებო კაპიტალი (3000000 ATS), „საპენსიო საღაროთათვის“ – 70 მილ. შილინგი (ეკვივალენტი ევროში), სადაზღვევო კომპანიებისათვის – 100 მილ.²⁴² საქართველოში ამ საკითხს ზოგადად აწესრიგებს ეროვნული ბანკი, რომელიც თავის დადგენილებაში განსაზღვრავს, მაგალითად, ბანკებისათვის აუცილებელი მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობას (საქართველოში ეს მაჩვენებელი თითქმის ყოველწლიურად იცვლებოდა. ასე მაგალითად, ბანკებისათვის დაწესდა მოთხოვნა მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე, რომელმაც 2005 წლის ბოლოს შეადგინა 15 მლნ. ლარი).

გვ) საწესდებო კაპიტალი, როგორც პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარანტია

შემდეგი ფუნქცია, რომელიც ასევე გვინდა გამოვეყოთ, წარმოადგენს ე.წ. „საფონდო პასუხისმგებლობას“. საწესდებო კაპიტალი სს-ის კრედიტორთათვის ერთგვარად პასუხისმგებლობის გარანტიაა. მთავარი აქ მაინც მესამე პირთა მხრიდან გამოვლენილი ნდობის ფაქტორია. ბუნებრივია, კრედიტორებისთვის გაცილებით მისაღებია იმ საწარმოსთან ურთიერთობა, რომელსაც უფრო მეტი საწესდებო კაპიტალი გააჩნია, უფრო დიდი ქონება აქვს, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული

სარეზერვო ფონდს (მუხ. 52.5, მე-2 წინადადება). აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა კანონში სარეზერვო ფონდის სტრუქტურისა და შექმნის შესახებ უფრო კონკრეტული მინიშნებები. მაგალითად, სარეზერვო ფონდის განმარტება, შექმნის წესი და სხვა.

²⁴¹ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 447.

²⁴² M. Schwimman, Einführung in das Privatrecht, 3. neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1997, S. 105.

და სავესებით გასაგებია, რომ საზოგადოების შესაძლო არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში, კრედიტორს გაცილებით დიდი ალბათობა აქვს „დიდი ქონებიდან“ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ვიდრე მცირე სახსრებიდან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ ფუნქციიდან გამომდინარე, საწესდებო კაპიტალი ერთგვარად განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების სიმყარის გარანტიასაც.

§§1.2. აქციონერის ქონებრივი (გარდა შენატანისა) პასუხისმგებლობისათვის

საწესდებო კაპიტალის წინამდებარე ფუნქციები, სააქციო საზოგადოების კაპიტალური ბუნებიდან გამომდინარე, წარმოაჩენენ და უზურნველყოფენ სააქციო სამართალში დამკვიდრებულ ყველაზე მთავარ პრინციპს (და არა მარტო სააქციო სამართალში, არამედ ზოგადად კორპორაციულად მოწყობილი საზოგადოებების სამართალში): ეს გახლავთ ის, რომ საზოგადოება, როგორც არაერთგზის იქნა აღნიშნული, სწორედ თავისი ქონებით აგებს პასუხს და კრედიტორების წინაშე საკუთარი კაპიტალით (ფართო გაგებით)²⁴³ არის პასუხისმგებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტნიორები, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი-წევრები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ თავიანთი შენატანების მოცულობით. დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში აქტუალური იყო კითხვა – არსებობს კი საერთოდ კაპიტალური ტიპის საწარმოთა პარტნიორების პასუხისმგებლობა? ან მათ მიერ განხორციელებული შენატანების გარდა ხომ არ არიან ისინი კიდევ რამეზე პასუხისმგებელნი? როგორც ავსტრიის სააქციო საზოგადოების ფედერალური კანონი, ისე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად განსაზღვრავენ, რომ საზოგადოების ვალდებულებებზე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოება თავისი ქონებით, დამოუკიდებელი კაპიტალით. ამიტომ ასეთი ტიპის საწარმოს სამართლებრივი ბუნება და არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების წევრმა, რომელსაც თავად არ ესაჭიროება ფინანსური საშუალებები, აქციათა შექმნით ისინი მომგებიანად დააბანდოს ისე, რომ პასუხს აგებდეს მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ შესრულებული შენატანით. ამიტომ შესაძლოა დაისვას კითხვა, უნდა დგებოდეს თუ არა, გამონაკლის შემთხვევაში მაინც, პარტნიორის პასუხისმგებლობა?

თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა, დადგეს პარტნიორის, აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხი. ამისათვის შეგვიძლია გირმესის სახელთან დაკავშირებულ ცნობილ გადაწყვეტილებასთან ერთად, გამოვიყენოთ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილება ლინოტიპის საქმეზე.²⁴⁴

სს „გირმესი“, გარკვეული ვალდებულებების შედეგად, გადახდისუუნაროდ იქნა მიჩნეული. მძიმე ეკონომიკური

²⁴³ ვიწრო გაგებით საზოგადოების კაპიტალში ვგულისხმობთ საზოგადოების მხოლოდ საწესდებო კაპიტალს, ხოლო ფართო გაგებით კი საზოგადოების მთელ ქონებას.

²⁴⁴ იხ.: NJW 41. Jahrgang 1988, C.H.Beck'sche VerBuch. München/Frankfurt. S. 1579-1583.

მდგომარეობის დასაძლევად კრედიტორებმა დასახეს რეაბილიტაციის პროგრამა და დაიწყეს საწარმოს გაჯანსაღების გზების ძიება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სააქციო საზოგადოების კრედიტორთა სიმრავლე, ძირითადად, საბანკო დაწესებულებებით შემოიფარგლებოდა, სწორედ ამ ბანკებმა შეუმუშავეს გაჯანსაღების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მათი მხრიდან სააქციო საზოგადოების მიმართ მოთხოვნაზე უარის თქმას, ასევე კაპიტალის შემცირებას პროპორციით 5/2-ზე. ეს საკითხი დადგა საერთო კრების დღის წესრიგში, რომელიც „გირმესთან“ წინამოლაპარაკებების შემდეგ უნდა განხილულიყო და მიღებულიყო შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგრამ მოხდა ისე, რომ საერთო კრების ჩატარებამდე რამდენიმე ხნით ადრე საბირჟო-საინფორმაციო კომპანიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, საკრედიტო ბანკებისათვის შესაძლებელი იყო მოთხოვნაზე უარის თქმა გაცილებით დიდი ოდენობით და საკმარისი იქნებოდა თუკი მოხდებოდა კაპიტალის შემცირება 10/9 პროპორციით. ამიტომ, მან მოუწოდა სააქციო საზოგადოების აქციონერებს, მისთვის გადაეცათ მათი ხმის უფლება. მაშინ ის საერთო კრებაზე უარს იტყოდა კაპიტალის შემცირებაზე 5/2-ზე პროპორციით, ხოლო კრედიტორ ბანკებს მოუწოდებდა რეაბილიტაციისთვის უფრო მაღალი შესატანისაკენ. ამის შემდეგ აქციონერთა 40%-მა მიანიჭა მას ხმის უფლება.²⁴⁵ მაგრამ მოხდა ისე, რომ საქმე ჩაიშალა და სააქციო საზოგადოება, მიუხედავად ძალისხმევისა, გაკოტრდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ კრედიტორმა ბანკებმა უარი განაცხადეს გაჯანსაღების შესატანის მომატებაზე, რაც გახდა კიდევ საქმის ჩაშლის საფუძველი. ამ საქმეში აღსანიშნავია ის, რომ სააქციო საზოგადოება „გირმესი“-ს ერთ-ერთი აქციონერი თავიდანვე არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. სარჩელი აღძრა სასამართლოში საინფორმაციო ფირმის წინააღმდეგ და დაადანაშაულა იგი არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოუსწორებელი შედეგი მოუტანა საზოგადოებას. მოთხოვნის ავტორი აპელირებდა იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, კერძოდ, აღნიშნულ კომპანიას, მიუძღვის პირდაპირი, უშუალო ბრალი საზოგადოების გაკოტრებასა და მის აქციითა დაკარგვაში, რის გამოც, შესაბამისად, უნდა დამდგარიყო მისთვის უპირობოდ ზიანის ანაზღაურების საკითხი. სწორედ ამაში შეიძლება დავინახოთ ჩვენ მიერ ზემოთ დასმული კითხვისაგან გამომდინარე პრობლემა. შესაძლოა, გაკეთდეს ამ გადაწყვეტილების გარკვეული ინტერპრეტაცია და ეს საკითხი ასე დაისვას: დაეკისრებათ კი, მაგალითად, 40%-ის მქონე აქციონერებს ქონებრივი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ კომპანიას სამართავად გადასცეს მათ მფლობელობაში არსებული აქციები. მათმა ხმის მიცემამაც გამოიწვია საზოგადოებისა და მომჩივანი აქციონერისათვის მეტად არასასურველი შედეგი? თავისთავად ცხადია, თუკი სააქციო საზოგადოების კაპიტალი შემცირდებოდა 5/2-ზე პროპორციით, საწარმო გაკოტრებას გადარჩებოდა, რაც მის გაჯანსაღებას გამოიწვევდა და აქციონერს (როგორც მომჩივანს, ისე მის მოწინააღმდეგე აქციონერებსაც) შეუნარჩუნდებოდა ის

²⁴⁵ ბ. კროფტ, პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბ. 2003, გვ. 249-261.

ქონებრივი ინტერესი, რაც მისი აქციის უკან იდგა. მართალია, ლიკვიდაციის შემთხვევაში (რაც შედეგად მოჰყვა „გირმესი“-ს საწარმოს გაკოტრებას) მომჩივანი აქციონერი, დარჩენილი ქონებიდან გარკვეულ საზღაურს მისი აქციის პროპორციულად მიიღებდა, მაგრამ ესეც იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საერთოდ რაიმე ქონება დარჩებოდა. ხოლო გამოჯანსაღების პირობებში კი სააქციო საზოგადოება დაიბრუნებდა აქციათა იმ კურსს, რაც გაცილებით მეტი იქნებოდა ლიკვიდაციის პირობებში აქციონერისათვის მისი კუთვნილი აქციიდან გამომდინარე დარჩენილი ქონების განაწილების შემთხვევაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი შეხედვით უდავოა, რომ აქციონერებს შეეძლოთ კასატორისათვის (მომჩივანი აქციონერისათვის) გარკვეული ზიანი მიეყენებინათ.²⁴⁶ მაგრამ კაპიტალური საზოგადოების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, პარტნიორს არ შეიძლება დაეკისროს არანაირი პასუხისმგებლობა („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.1-ე მუხლის თანახმად, „სს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით“.²⁴⁷ სს-ის აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. იგივე დანაწესს ითვალისწინებს როგორც ავსტრიის, ისე გერმანიის ფედერალური კანონები „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“). გარკვეული მსჯელობა მიმდინარეობდა იმის შესახებ, ეკისრება თუ არა აქციონერს მთავარ კრებაზე ხმის მიცემის დროს კეთილსინდისიერების ვალდებულება პირველ რიგში საზოგადოების და მათი თანააქციონერების მიმართ, რომლის დარღვევაც მას ზიანის ანაზღაურებას დაავალდებულებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ პარტნიორთა ამ სახის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა, მათი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. საზოგადოების პარტნიორების ასეთი კეთილსინდისიერების პრინციპი დიდი ხანია დამკვიდრებულია ავსტრიის სამართალში. მაგრამ ძირითადად, ეს შეეხებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, კომანდიტურ, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც კი. მაგრამ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ეს პრინციპი დამკვიდრდა უკვე სააქციო საზოგადოებასთან მიმართებითაც. შეგვიძლია თვალი გადავაავლოთ ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს პარტნიორთა კეთილსინდისიერების ვალდებულებების შესახებ,²⁴⁸ რომელთაც შეიძლება ქონებრივი შედეგები გამოიწვიონ. თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ კეთილსინდისიერების ვალდებულება ამ შემთხვევაში, ავსტრიის სასამართლო

²⁴⁶ ამასთან დაკავშირებით ასევე შეგიძლიათ შეად.: კროპფ, პარტნიორის პასუხისმგებლობა, გვ. 249-261.

²⁴⁷ öAktG §48.

²⁴⁸ ამ შემთხვევაში პარალელის გავლება შეიძლება ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებასთან, სადაც საკითხი, მართალია ძირითადად, გამგეობის წევრთა (ამასთან ერთად პარტნიორთა) კეთილსინდისიერების ვალდებულებას შეეხებოდა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსიდან კეთდება ასევე დასკვნა, რომ ეს კეთილსინდისიერების ვალდებულება მოიცავს პარტნიორის კეთილსინდისიერებასაც (პარტნიორის კეთილსინდისიერება კი, უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ უკავშირდება ქონებრივ შედეგებს). შეად.: OGHZ 03. 07. 1975, Geschäftszahl 20b356/74.

პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად, ეკისრებათ მსხვილ პარტნიორებს,²⁴⁹ ანუ საზოგადოებაში უმრავლესი წილის მფლობელ პირებს. მათ შესაძლოა, თავისუფლად იმოქმედონ ე.წ. მცირე მეწილეთა²⁵⁰ წინააღმდეგ და მიიღონ გარკვეული სახის გადაწყვეტილებები, რომლებიც შელახავენ მცირე მეწილეების არსებით ქონებრივ ინტერესებს. ამისათვის უნდა დადგინდეს თავდაცვითი ბერკეტი უმცირესობისათვის, რაც გამოხატულებას სწორედ ქონებრივი კეთილსინდისიერების ვალდებულებაში ჰპოვებს და რისი დარღვევაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, გახდეს მცირე მეწილეთათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველიც კი. ეს პასუხისმგებლობა, ძირითადად, გამომდინარეობს ხმის მიცემის უფლების განხორციელებაში ქონებრივი დატვირთვის თვალსაზრისით. აქ გატარებულია აზრი, რომ აქციონერებს ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ კეთილსინდისიერების ვალდებულება, როდესაც საკითხი ეხება მათ მიერ ხმის მიცემას და რამაც შესაძლოა, გარკვეული ქონებრივი შედეგი გამოიწვიოს როგორც თავად სააქციო საზოგადოებისათვის, ისე მისი აქციონერებისათვის. სააქციო საზოგადოებაში დამკვიდრებული ეს მოთხოვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ საწარმოს მსხვილმა აქციონერმა (აქციონერებმა) არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აშკარად შელახავს მცირე აქციონერთა ქონებრივ ინტერესებს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ სააქციო საზოგადოებაში, გარკვეულწილად, გასათვალისწინებელია აქციონერთა შორის პირადი თუ სხვა ტიპის ურთიერთობები. ეს უდავოდ არის დამოკიდებული თვით ამ საზოგადოების რეალურ სტრუქტურაზე, ანუ პარტნიორთა პირადი კავშირებისა და თანამშრომლობის ხარისხზე. მაგრამ დღესდღეობით სააქციო საზოგადოებებში, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ, აქვთ დიდი შემოსავლები, მათი აქციები (ლიკვიდურობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე) თითქმის ყოველდღიურად კოტირდება საფონდო ბირჟებზე, აქციონერთა ასეთი ტიპის ურთიერთობები ხშირად გამორიცხებულია, ანუ ისინი ერთმანეთის მიმართ შესაძლოა, სულ უცხო პირებს წარმოადგენდნენ და მეტად ძნელი წარმოსადგენია, თუ რატომ და როგორ უნდა ევალებოდეს მხოლოდ კაპიტალით დაკავშირებულ აქციონერს მისთვის უცნობი თანააქციონერების მიმართ ერთგულება და ანგარიშის გაწევა. ჯანსაღი კონკურენციის პირობებში აქციონერმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ გაითვალისწინოს მხოლოდ საკუთარი ქონებრივი ინტერესი და, ერთი შეხედვით, მას სულაც არ უნდა აღეგულებდეს იმ აქციონერის მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა, მიღებული გადაწყვეტილების შედეგად დაზარალდეს. მაგრამ დღეს კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ცალსახადაა გაბატონებული აზრი იმის თაობაზე, რომ საზოგადოების მეწილე, სააქციო საზოგადოების აქციონერი, საზოგადოების სამართლებრივი წევრობიდან გამომდინარე, თავისი უფლებების განხორციელებისას

²⁴⁹ ვინაიდან კეთილსინდისიერების ვალდებულება უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების ქონებრივ შედეგებს, ეს შედეგებიც მიმართული უნდა იყოს უმცირესობაში მყოფი აქციონერებისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვისაკენ. აქციონერთა/კრედიტორთა და საჯარო ინტერესთა დაცვის შესახებ შევიძლიათ იხ.: OGHZ 10. 03. 2003, Geschäftszahl 160k20/02.

²⁵⁰ ინგლისურ სააქციო სამართალში გაბატონებულია ტერმინი „little Shareholder“.

(და ძირითადად ეს ქონებრივი უფლებების განხორციელებას ეხება. ირიბად აქციონერი ხმის უფლებას საერთო კრებებში მისი ქონებრივი ინტერესის დაფიქსირების გამო იყენებს) მოვალეა, ანგარიში გაუწიოს მისი თანაპარტნიორების ინტერესს. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს პრინციპი, უფრო ზოგადად სამართლიანი სამართლიდან გამომდინარე, მორალური მოვლენაა (ერთი შეხედვით ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენციის პირობებში სააქციო სამართალში დამკვიდრებული ეს პრინციპი, თითქოსდა, უსამართლოდ გამოიყურება). ამიტომ ქართულმა საკორპორაციო სამართალმაც აუცილებლად უნდა გააბატონოს დასავლეთის ქვეყნებში აღიარებული ეს შეხედულება. შესაძლოა განხორციელდეს ერთგვარი ცდა ამ მოსაზრების საკანონმდებლო რეგლამენტაციისა. კერძოდ, შინაარსობრივად დასაშვებია ამ ნორმის ამგვარად ჩამოყალიბება: ის პარტნიორი ვინც, თავისი განზრახვი ქმედებით, რომელიც შესაძლოა, გამოიხატოს ხელმძღვანელობითი ორგანოს წევრზე (წევრებზე) გარკვეული ზემოქმედების განხორციელებაში, ზიანს მიაყენებს საზოგადოების ან მისი მცირე აქციონერის ინტერესს, ვალდებული იქნება, საზოგადოებას ან/და აქციონერს ზიანი აუნახლაუროს.

იმ აქციონერმა, რომელზეც საწარმო გარკვეულწილად დამოკიდებულია, შესაძლოა, ბოროტად გამოიყენოს თავისი ძალაუფლება. ქონებრივი მდგმარეობის გამო მან შეიძლება ისეთი გადაწყვეტილება მიაღებინოს სააქციო საზოგადოების ორგანოს, რომელიც შელახავს საზოგადოების ან აქციონერის ინტერესს. სს „A“-ს ერთ-ერთი აქციონერი გახლავთ ავსტრიული ბანკი „CA“, რომელიც ფლობს აღნიშნულ საწარმოში აქციათა 60%-ს და ამ სააქციო საზოგადოების სესხის გამცემია, ანუ მათ შორის ჩამოყალიბებულია სისტემატური თანამშრომლური ურთიერთობა და, კრედიტების მიღების თვალსაზრისით, სს „A“-ს მის ჰოლდინგურ ბანკთან არანაირი პრობლემა არ გააჩნია. მოხდა ისე, რომ მათი ხანგრძლივი პარტნიორული და თანამშრომლური ურთიერთობის შემდეგ საწარმოს გამოუჩნდა უფრო ხელსაყრელი წინადადება ავსტრიის სხვა ბანკისაგან, რომელიც კრედიტს გაცილებით დაბალ ფასში მისცემდა სააქციო საზოგადოებას და საბოლოო ჯამში ეს ამ საზოგადოებისა და მთლიანად მისი აქციონერების ქონებრივ ინტერესზე აისახებოდა. იმისათვის, რომ სს „A“-ს ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა გაეწყვიტა „CA“ ბანკთან და კრედიტი (სესხი) მომავალი პარტნიორისაგან (ახალი ბანკისაგან) აეღო, საჭირო იყო სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. როდესაც ეს ამბავი სააქციო საზოგადოების 60% წილის მფლობელმა ჰოლდინგურმა ბანკმა შეიტყო, იმთავითვე შეეცადა ჩაეგდო ეს გარიგება და რამენაირად ზეგავლენა მოეხდინა ამ გადაწყვეტილების მიღებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს 9 წევრი ჰყავდა, რომელთაგან უმეტესობას ასევე ჰქონდა გამოტანილი კრედიტი სწორედ ამ ჰოლდინგური ბანკისაგან. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე დიდი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საწარმოს 60% წილის მფლობელმა აქციონერმა (ჰოლდინგურმა ბანკმა), ჩააგდო გადაწყვეტილება და ჩაშალა გარიგება. გადაწყვეტილებაზე გავლენა მრავალი ასპექტით მტკიცდებოდა. პირველ რიგში ჰოლდინგური ბანკი სესხების გაცემას შეუჩერებდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, თავად სააქციო საზოგადოებას, მომავალში მათ შორის

შესაძლო დაძაბული ურთიერთობა აისახებოდა გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაზე. გამომდინარე აქედან, სს „A“ იძულებული იყო, ხელი აეღო თავის ჩანაფიქრზე და უფრო ხელსაყრელი გარიგება ჩაეგდო.²⁵¹ ზემოაღნიშნული შემთხვევა მოწმობს, თუ როგორ შეუძლია ქონებრივი ზემოქმედების მოხდენა იმ პარტნიორს, რომელზეც საწარმოს გარკვეული ფინანსური თუ ქონებრივი მდგომარეობაა დამოკიდებული. ისმის ლოგიკური კითხვა: არ იმოქმედა კი პოლდინგურმა ბანკმა საზოგადოებისა და აქციონერების წინააღმდეგ, როდესაც მან გარიგება ჩააგდო და, ასე ვთქვათ, აზარალა სს „A“? რა თქმა უნდა, იმოქმედა. უნდა დაეკისროს თუ არა ამ პირს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა? ასეთ შემთხვევაში უნდა დადგეს ამ აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხი. იგი დაინტერესებული იყო ამ გარიგების ჩაშლით. მას გააჩნდა საკუთარი ქონებრივი ინტერესი, ამიტომ იმოქმედა საზოგადოებისა და ზოგადად აქციონერების წინააღმდეგ. თუკი სს „A“ ახალ შემოთავაზებულ წინადადებას მიიღებდა, გაცილებით ხელსაყრელი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საწარმო უეჭველად მოგებას ნახავდა, რაც საზოგადოებისა და მისი აქციონერების ქონებრივ მდგომარეობაზე აისახებოდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აქციონერებს შეუძლიათ მოსთხოვონ მას ზიანის ანაზღაურება. მტკიცების ტვირთი კი ამ შემთხვევაში (სსსკ 102-ე მუხლიდან გამომდინარე) მთლიანად მოსარჩელეზე იქნება, რომელმაც ზემოაღნიშნული გარემოება როგორც ფაქტობრივად, ისე სამართლებრივად უნდა დაასაბუთოს და დაადასტუროს. ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სათანადო მუხლის ჩვენ მიერ მოყვანილი შესაძლო საკანონმდებლო რეგლამენტაცია (მაგალითად იქ, სადაც საუბარია პარტნიორის პასუხისმგებლობაზე, ვთქვათ მე-3 მუხ.), სწორედ წინამდებარე შემთხვევას აგვაცილებს თავიდან. ასე რომ, შიძლება გაკეთდეს ერთგვარი რეზიუმე სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა ქონებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით: უმთავრესი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს არის ის, რომ ქონებრივი კეთილსინდისიერების ვალდებულება დამახასითებელია სააქციო საზოგადოებისთვისაც. ეს ვალდებულება უმთავრესად უნდა დაიცვან საწარმოს „დომინანტმა აქციონერებმა“. რაც შეეხება მცირე აქციონერებს, მათ წინაშე ასეთი ვალდებულება არ წარმოიშვება.²⁵² სწორედ იმიტომ არის აქტუალური ასეთი კეთილსინდისიერების პრინციპი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზემოთ მოყვანილი და აგრეთვე სხვა ამგვარი შემთხვევები. საკითხი შესაძლოა, შეეხოს სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციასაც, სადაც ასევე შესაძლებელია, რომ საწარმოს უდიდეს აქციონერთა ქონებრივი ინტერესი დადგეს საზოგადოების ლიკვიდაციისას მისი ქონების განაწილების დროს, საზოგადოების ინტერესზე უფრო მაღლა (შეიძლება, რომ, მაგალითად, სს-ის ერთ-ერთი კრედიტორი თავად იყოს ამ საწარმოს აქციონერი და საზოგადოების ლიკვიდაცია ხელს აძლევდეს მას ქონების მიღებაში). ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნული მაგალითებიდან დავინახეთ, რომ

²⁵¹ ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: კროპფ, პარტნიორის პასუხისმგებლობა, გვ. 249-261.

²⁵² იხ.: NJW 41. Jahrgang, 1988, S. 1582.

სააქციო საზოგადოების წევრები (დამფუძნებელი, პარტნიორები), გარდა ქონებრივი შენატანებისა, შესაძლოა პასუხისმგებელი იყვნენ საზოგადოების წინაშე. თუმცა, რასაკვირველია, ზემოთქმულიდან გამომდინარე, „უმცირესობაში მყოფ პარტნიორთა დაცვა არ გულისხმობს უმრავლესობაში მყოფ პარტნიორთა ბატონობისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის უკანონოდ გამოცხადებას“.²⁵³ უმცირესობის დაცვა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოების ერთიანი ობიექტური ინტერესის საფუძველით, რომლის მიზანიც საზოგადოების რენტაბელური საქმიანობა და მისი განვითარება იქნება.²⁵⁴

ერთი სიტყვით, თქმა იმისა, რომ სხვა არანაირი ქონებრივი პასუხისმგებლობა, გარდა შენატანის განხირციელებისა, პარტნიორს არ ეკისრება – არ შეიძლება. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მაგალითებიდან პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროთ არა მხოლოდ „უდიდეს აქციონერებს“, არამედ მცირე აქციონერებსაც, თუკი ისინი ერთმანეთში მოილაპარაკებენ და საზოგადოების წინააღმდეგ ერთობლივად (მათი ხმები გარიგების საფუძველზე „შეიკვრება“) განზრახ იმოქმედებენ.²⁵⁵ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მცირე აქციონერთა პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც მცირე აქციონერთა ხმის „შეკვრა“, ანუ ხმათა ამგვარი ერთობა შემთხვევით ხდება. ამიტომ იმ დროს, როცა მცირე აქციონერებს რეალურად და გულწრფელად უნდოდათ საზოგადოების რეაბილიტაცია, გაჯანსაღება, ანუ თავიანთი მოქმედებით ისინი საწარმოს ინტერესების საკეთილდღეოდ მოქმედებდნენ და არანაირად არ ათვითცნობიერებდნენ იმ შესაძლო შედეგს, რაც საბოლოო ჯამში დადგა, პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უდიდეს აქციონერთა პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ისინი, ძირითადად, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებზე ახორციელებენ ზეგავლენას და ამით საკუთარ ინტერესს ბევრად უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე თვით საზოგადოებისა და სხვა აქციონერთა თუ კრედიტორთა ქონებრივ ინტერესთა სფეროს.

§81.3. ქონებისა და საწესდებო კაპიტალის ურთიერთმიმართება

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწესდებო კაპიტალი არ არის საზოგადოების ქონების იდენტური ცნება. მიუხედავად იმისა, რომ

²⁵³ რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000 წ., 7-8 მარტი, გვ. 95. უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვის თაობაზე ასევე შეგიძლიათ იხ.: გ. ბახუტაშვილი, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000 წ., 7-8 მარტი, გვ. 117-126; მ. მემარნიშვილი, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000 წ., 7-8 მარტი, გვ. 127-131.

²⁵⁴ იხ.: კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, გვ. 95.

²⁵⁵ შეად.: NJW 41. Jahrgang, 1988, S. 1581.

იგი სააქციო საზოგადოების, ერთგვარად, შემადგენელი ნაწილია, საწესდებო კაპიტალი მაინც გამოყოფილია საზოგადოების ქონებისაგან და წარმოადგენს გამოთვლად სიდიდეს (ამ სიტყვის ფართო გაგებით). ამიტომ, თავისთავად, იურიდიულ მეცნიერებასა და დოქტრინაში ორი განსხვავებული ტერმინი დამკვიდრდა, კერძოდ: საწესდებო (ძირითადი) კაპიტალი, რომელსაც „საზოგადოების გრძელვადიან ნიადაგსაც“ ეძახიან²⁵⁶ და საზოგადოების ქონება.

საზოგადოების ქონება კორპორაციის ფაქტობრივი ქონებაა. იგი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი წარმატებითა და რენტაბელობით წარმართავს საწარმო თავის სამეწარმეო საქმიანობას.

შესაძლებელია, რომ საზოგადოების ქონება საწესდებო კაპიტალზე ნაკლებიც აღმოჩნდეს. ძირითადად კი, როდესაც აქციები მისი ნომინალური ღირებულებითაა გაცემული, ქონება და საწესდებო კაპიტალი იდენტურ სიდიდეებს წარმოადგენენ. ე.წ. „Überpari-Emission“-ის დროს, ანუ როდესაც აქციისათვის უფრო მაღალი ღირებულებაა გადახდილი, ვიდრე ნომინალური, დარჩენილი თანხა (დანამატის, ანუ აჯიოს (Agio) სახით) საზოგადოების ქონებას გაზრდის და არა საწესდებო კაპიტალს. ეს დანამატი ჩაითვლება საზოგადოების კანონისმიერ რეზერვებში. სააქციო საზოგადოების დაწყებითი ქონება კი მის რეგისტრაციამდე იცვლება, შეიძლება მოიმატოს ან დაიკლოს. საწესდებო კაპიტალი საზოგადოების პასივის მხარეს დგას (იგი, ასე ვთქვათ, „ხელშეუვალია“). რაც შეეხება ე.წ. „Unterpari-Emission“-ს (ნომინალურზე ნაკლებ ღირებულებას, მას სხვაგვარად ასევე Disagio-ს ეძახიან²⁵⁷), აქ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ აქციათა გაცემა მათ ნომინალურ ზღვარზე ნაკლებ ფასში დაუშვებელია, რადგან იგი საწესდებო კაპიტალის შევსების (მინიმალურ) მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს (ამაზე ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი).

საზოგადოების ქონება (ეკონომიკური ტერმინოლოგიით „საზოგადოების კაპიტალი“) არის საზოგადოებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა. იგი არ არის მყარი თანხა და საზოგადოების ეკონომიკური, საბაზრო მდგომარეობის შესაბამისად მერყეობს.²⁵⁸

§§1.4. მოკლედ აქციათა ნომინალური და რეალური ღირებულების შესახებ

აქვე აღვნიშნავდით მცირე საკითხს აქციათა ნომინალური და რეალური ღირებულების შესახებ: როგორც ვიცით, აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამი უნდა წარმოადგენდეს საწესდებო კაპიტალის ციფრს (მაგალითად 25000 ლარს). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწესდებო კაპიტალსა და საზოგადოების ქონებას

²⁵⁶ სწორედ ასე მოიხსენიებს ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო საწესდებო კაპიტალს. იხ.: OGHZ 25. 06. 1996, Geschäftszahl 40b2078/96h, S. 4.

²⁵⁷ Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 881.

²⁵⁸ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II. გამოც., (1998), გვ. 64.

შორის დამოკიდებულებისას უნდა განვასხვაოთ, კერძოდ, აქციის ნომინალური ღირებულება (რითაც იგი, ვთქვათ, თავდაპირველად გაიცა (განთავსდა)) და მისი რეალური („შინაგანი“) ღირებულება, რომელიც პრაქტიკაში, უმეტეს შემთხვევაში საბირჟო (საბაზრო) კურსიდან გამომდინარეობს (და რომელიც, რასაკვირველია, შესაძლოა, მეტიც აღმოჩნდეს მის ნომინალურ ღირებულებაზე).

§2. სანივთო შესატანები

შესავალი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი გამოყოფს ფულად და არაფულად შესატანებს. ავსტრიული სამართალი მას Sachgründung-ს უწოდებს, რომელშიც მოიაზრება, როგორც ფულადი, ისე არაფულადი შენატანები ერთად. მათ შორის დიფერენციაცია არსებობს და ამიტომაც გერმანული იურიდიული ტერმინოლოგიით მას ჰქვია, ერთი მხრივ, Bargründung ანუ საზოგადოების დაფუძნება ფულადი შესატანების მეშვეობით და, მეორე მხრივ, Sacheinlagen/Sachübernahme, ანუ მას სხვა ქონებრივ შენატანებს დავარქმევდით. თავის მხრივ, აქ ისინი გამოყოფენ, კერძოდ, არაფულადი სიკეთის გადაცემას საზოგადოებისთვის (Sacheinlage) და უშუალოდ „საზოგადოების მიერ არაფულადი საშუალებების მიღებას“ (რომელიც სამართლებრივად საზოგადოების მიერ აქციათა გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებული არ არის ანუ ე.წ. Sachübernahme).

შესატანის ცნებისა და ფულადი შესატანის განხორციელების შესახებ აღნიშნულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლში. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები, საზოგადოების კაპიტალური ბუნებიდან გამომდინარე, თავიანთ მონაწილეობას საზოგადოებაში სწორედ რომ განსაზღვრული შესატანების განხორციელებით ადასტურებენ. ამ შესრულებას კი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შესატანს უწოდებს.²⁵⁹ აქვე გვინდა დავძინოთ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი კარგად განასხვავებს ასევე ორ ერთმანეთის გვერდით მდგარ ტერმინს: ეს გახლავთ – შესატანი და შენატანი. პირველი აღნიშნავს ჯერ კიდევ საზოგადოებისათვის გადაუცემელ ქონებას (ანუ მხოლოდ პარტნიორთა ვალდებულებით დატვირთულ ქონებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვალდებულებას ქონების გადაცემის შესახებ), ხოლო მეორე კი – უკვე გადაცემულ ქონებრივ (მატერიალურ ან/და არამატერიალურ) სიკეთეს (შენატანი, ანუ ის, რაც უკვე შეტანილია).

²⁵⁹ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II. გამოც., (1998), გვ. 50.

§2.1. შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება (შესატანის განხორციელების ხელშეკრულება)²⁶⁰

ა) შეტანის ხელშეკრულების კორპორაციული ხასიათი

საერთოდ აღიარებულია, რომ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აქციონერები თავიანთი შესატანების განხორციელებას ისახავენ მიზნად (ფულადი თუ არაფულადი შესატანების სახით), წესდების ნაწილს შეადგენს. გამომდინარე აქედან, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შეთანხმება, რომლითაც ფუძნდება ქონებრივი შესატანის განხორციელების ვალდებულება, ხელშეკრულებას წარმოადგენს.²⁶¹ რადგან ეს შეთანხმება ასევე წევრთა უფლებამოსილება-მოვალეობათა ერთობლიობის წარმოშობის წინაპირობას განსაზღვრავს, იგი კორპორაციული სამართლის ნაწილიცაა.²⁶² სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ იგი წესდების კორპორაციულსამართლებრივი ნაწილია.²⁶³ თავად შესატანის განხორციელების ხელშეკრულებაც (გარიგებაც) წესდების ნაწილს ქმნის. იმისათვის, რომ იგი (ხელშეკრულება შესატანის განხორციელების შესახებ) ნამდვილი იყოს, თავისი არსებითი შინაარსით წესდებაში უნდა აისახებოდეს (დადგინდეს). სწორედ ეს წარმოადგენს გაბატონებულ მოსაზრებას იურიდიულ ლიტერატურასა და თეორიაში. სხვაგვარად ფიქრობს მხოლოდ პროფ. რიტერი, რომლის მიხედვითაც „შესატანის გარიგება“, ანუ შეტანის განხორციელების ხელშეკრულება წარმოადგენს, კერძოდ, საზოგადოებრივ- (ორგანიზაციულ) სამართლებრივ აქტს (ანუ მხოლოდ კორპორაციულ-სამართლებრივ ხელშეკრულებას), და მასში არ ჩანს წესდების ნაწილი.²⁶⁴ თუ რა არის ამ განსხვავების ქვაკუთხედი, გამოკვეთილად არ ჩანს. ჩვენი აზრით, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების ამგვარი გარიგება წესდების ნაწილია, ხოლო თავად წესდება კი, რა თქმა უნდა, სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებასთან ერთად კორპორაციულსამართლებრივი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარიგებაა, სადაც, თავის მხრივ, შედის წინამდებარე ხელშეკრულებაც. აღსანიშნავია ასევე, რომ ალფონს კრაფტი ამ შეთანხმებას უპირატესად კორპორაციულსამართლებრივ გარიგებად მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც იგი იმ წინაპირობებს არეგულირებს, რომლებიც საზოგადოების წევრობას განაპირობებენ.²⁶⁵

თუკი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ შესატანის განხორციელების შესახებ აღნიშნულია წესდებაში და გარიგებაც, რომელიც მას ეხება, გაერთიანებულია და გაბნეულია წესდების ნორმა-დებულებებში.

²⁶⁰ ე.წ. Einlagevertrag.

²⁶¹ Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 213.

²⁶² Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 212.

²⁶³ Röhricht in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 139, Rn 14.

²⁶⁴ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 212.

²⁶⁵ იხ.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 213-214.

ბ) პარალელი შეტანის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის გარიგებას შორის

თავისი სამართლებრივი შინაარსით „შეტანის ხელშეკრულება“ არ გვევლინება ნასყიდობის გარიგებად, იგი წარმოადგენს თავისებური სახეობის კორპორაციულსამართლებრივ ვალდებულებით (მაველდებულებელ) ხელშეკრულებას.²⁶⁶ თუმცა წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება არ იყოს „საზოგადოების ხელშეკრულების“ იდენტური. ამასთან დაკავშირებით არსებობს გაბატონებული მოსაზრება, რომლის თანახმად, შესატანის განხორციელების შეთანხმების (გარიგების) სახით, საქმე გვაქვს „საზოგადოების ხელშეკრულების არადამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილთან“.²⁶⁷ ამ გარიგებას ასევე „კორპორაციულ დამხმარე გარიგებას“ უწოდებენ.²⁶⁸ თუმცა სხვა მოსაზრების თანახმად, იგი არა საზოგადოების ხელშეკრულების ნაწილს, არამედ მხოლოდ დამფუძნებელთა შორის დადებულ გარიგებას წარმოადგენს. წესდებაში კი მხოლოდ მისი საჯაროობის მიზნიდან (საფუძვლიდან) გამომდინარე აისახება.²⁶⁹

გარიგება დადებული იქნება თვით დამფუძნებელთა შორის. შესატანის განხორციელების ხელშეკრულება აფუძნებს, ერთი მხრივ, შესატანთა განხორციელების მოვალეობას, მეორე მხრივ კი - ამისათვის საზოგადოების წევრობის (უფლებამოსილებათა) შექმნის ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ამ ხელშეკრულებას განიხილავენ, როგორც ცალმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებად და არა როგორც ორმხრივ ხელშეკრულებად.²⁷⁰ მოკლედ რომ ითქვას, შესატანის განხორციელების მავალდებულებელი გარიგების სამართლებრივი ბუნების და იურიდიული შემადგენლობის შესახებ დღესაც არ არსებობს ცალსახა, მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია. ამიტომ, როგორც ითქვა, გარკვეული მოსაზრების შესაბამისად, საუბარია დამოუკიდებელ, თავისთავად და წესდებისაგან თავისუფალ გარიგებაზე, რომლის ხასიათი სხვადასხვაგვარად განიმარტება. აქ მნიშვნელოვანია ერთსულოვნების დამკვიდრება იმ მიმართებით, რომ საქმე გვაქვს თავისებური ხასიათის ცალმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებასთან, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ინფერენტსა და ჩვეულებრივ დამფუძნებლებს შორის იდება. სადავოდ რჩება კითხვა: დევს კი მასში მარტო კორპორაციულსამართლებრივი მოწესრიგება ან არაორგანიზაციული ნორმა, რომელიც წესდებაში მხოლოდ მისი საჯაროობის მიზნიდან გამომდინარე აისახება?!“²⁷¹

²⁶⁶ იხ.: BGH NJW 19. Jahrgang, 1966, S. 1311-1314. (მართალია, ეს გადაწყვეტილება შპს-ს ეხება, მაგრამ მას სს-ის შესატანის ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაც, ჩვენს შემთხვევაში, იგივე დატვირთვა აქვს.); ასევე, BGHZ 45, 338, 339, 345. უუთითებ: Röhrichrt in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 138, Rn. 13.

²⁶⁷ Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 224, Rn. 8; Röhrichrt in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 138-139, Rn. 13.

²⁶⁸ Bayer in Schmidt/ Lutter, AktG, Komm., S. 402, Rn. 8.

²⁶⁹ Kraft in KölnerKomm. zum AktG, §27, Rn. 8. უუთითებ: Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 224, Rn. 8.

²⁷⁰ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 212.

²⁷¹ Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 602, Rn. 16.

ეს გარიგება დამფუძნებელს ავალდებულებს სწორედ შენატანთა განხორციელებაში, მაგრამ, თავის მხრივ, ჯერ არ მოიცავს შესატანის განხორციელებას (შესრულებას).²⁷² აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვს უფრო მეტად განხორციელების (შესრულების) სხვადასხვაგვარ მოქმედებებს, რომელიც უკვე სამოქალაქო კოდექსის სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით წესრიგდება.²⁷³ მაგალითად, მოძრავი ნივთების დროს – შეთანხმება და გადაცემა, უძრავი ნივთების (ვთქვათ მიწის ნაკვეთის) დროს – საკუთრების უფლების გადაცემა და მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში²⁷⁴ და სხვა. თუმცა, პირველი შემთხვევის დროს, საკითხის სამართლებრივი რეგულირება, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, განსხვავებულია. სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი (სჯულება) მისდევს გაიუსის ინსტიტუციათა სისტემას, ანუ იგი არ განეკუთვნება პანდექტიკის ბრწყინვალე შემოქმედების ნიმუშს და ამიტომ მთლიანად არის აგებული ინსტიტუციურ სისტემაზე, რაც, თავის მხრივ, აცლის მას ზოგადი ნაწილის არსებობის სილაზათეს. შეთანხმება და გადაცემა მისდევს რომის სამართალში დამკვიდრებულ ტიტულუსისა და მოდუსის პრინციპს (გერმანულისაგან განსხვავებით, ავსტრია, როგორც ჩანს, ტრადიციებისადმი ერთგულ ქვეყნად დარჩა და არ აღიარა აბსტრაქციის პრინციპი).²⁷⁵ ამ შემთხვევაში განასხვავებენ კორპორაციულ შეთანხმებას (ანუ კორპორაციულ ტიტულსა) და გადაცემას, ანუ მოდუსს – შექენის გზას. საფუძველში მას უდევს შესატანის განხორციელება, ხოლო სამართლებრივად კი მას წინამდებარე ორი ელემენტი ადასრულებს. ამ შემთხვევაში ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება განაპირობებს შესატანის განხორციელებას. თავად ეს პროცესი კი საზოგადოებისათვის კონკრეტული ქონების გადაცემაში გამოიხატება, რაც მას სწორედ რომ სანიეტოსამართლებრივ ბუნებას სძენს. ქართულმა სამოქალაქო სამართალმა ამ საკითხთან მიმართებით, ერთგვარად, შერეული სისტემის გზა აირჩია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი განსაზღვრავს: „ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემქენს

²⁷² Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 212.

²⁷³ იხ.: Röhrich in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 139-140, Rn. 15; Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 602, Rn. 17; Bayer in Schmidt/Lutter, AktG Komm., S. 402, Rn. 9; ასევე შესაძარებლად მაგ.: Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 224, Rn. 9.

²⁷⁴ ერთ-ერთი ბოლო დროინდელი ცვლილება, რომელიც სამოქალაქო კოდექსში შევიდა, შეეხო სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭირო აღარ არის ნასყიდობის (უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის) ხელშეკრულების გაფორმება სანოტარო წესით. ასეთ დროს საკმარისია მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, ანუ მათ შორის გარიგების დადება წერილობითი ფორმით (მათი ხელმოწერები) და, შესაბამისად, ამ გარიგების საჯარო რეესტრისათვის წარდგენა, რათა რეესტრმა განახორციელოს ამ გარიგებით განსაზღვრულ პირზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია (სარეესტრო ჩანაწერი). ავსტრიის სამოქალაქო სჯულების მიხედვით, სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის არსებობა, რა თქმა უნდა, ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა.

²⁷⁵ იხ.: Bydlinski, Grundzüge des Privatrechts, S. 80-81.

ნივთი“. ზოგადად, ნივთის გადაცემად ითვლება ნივთის ჩაბარება შემძენისათვის პირდაპირ მფლობელობაში. მართალია, აქ საუბარია ნივთზე, მაგრამ ქართული სამოქალაქო კოდექსი ნივთებად არა მარტო მატერიალურ ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც აღიარებს (მოთხოვნებსა და უფლებებს. სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი),²⁷⁶ განსხვავებით გერმანული სამართლისაგან (თუმცა ავსტრიული სამოქალაქო კოდექსი ნივთებად ყველაფერს აღიარებს, რაც „პირებისაგან არის განსხვავებული და ადამიანთა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი“).²⁷⁷ ჩვენ შემთხვევაში მესაკუთრე სწორედ რომ შესატანის განმახორციელებელი პირია (ანუ აქციონერი. შეიძლება მას ამ ეტაპზე მომავალი აქციონერიც ვუწოდოთ), რომელიც ვალდებულებას იღებს გარკვეული შესატანუნარიანი ქონება გადასცეს საკუთრებაში საზოგადოებას. ასე რომ, მხოლოდ სამართლებრივი შეთანხმება ამ დროს საკმარისი არ არის, რადგანაც მას უნდა მოჰყვეს შესატანად განკუთვნილი ობიექტის გადაცემა საზოგადოებისათვის. ვფიქრობთ, სანამ შენატანი საზოგადოებას სრული საკუთრების უფლებით არ ეკუთვნის, მანამ არც შესატანის განხორციელების ხელშეკრულებაა დასრულებული. ამიტომაც იგი დროშია გაბნეული. სრულდება იმით, რომ საზოგადოება ტიტულუსისა და მოდუსის ერთობლიობით იძენს საკუთრების უფლებას შენატანზე (განსაზღვრულ ქონებაზე). ხოლო საფუძვლად კი ამას პარტნიორთა შორის შეთანხმებული კორპორაციულად მავალდებულებელი გარიგება უდევს, რასაც „შესატანის განხორციელების ხელშეკრულება“ ვუწოდებთ.

ასე რომ, ზოგადი წესის მიხედვით, მხოლოდ ამგვარი მოქმედებების განხორციელების შემდეგ ისმება საკითხი პირზე აქციონერის (მინიჭების) შესახებ.

გ) მოიცავს თუ არა შეტანის გარიგება საპასუხო ქონებრივ ქმედებას?

საზოგადოების ხელშეკრულების მსგავსად „შეტანის ხელშეკრულება“ არ განეკუთვნება ორმხრივი მავალდებულებელი გარიგებების, სინალაგმატური ხელშეკრულებების კატეგორიას. ორმხრივი ხელშეკრულებების დროს მხარეთა მოქმედებების საპასუხო, ექვივალენტურ შესრულებასთან გქვავს საქმე.²⁷⁸ ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, საზოგადოების პარტნიორის მოქმედებას (Leistung) შესატანის განხორციელების თაობაზე უნდა დაპირისპირებოდა საზოგადოების მხრიდან საპასუხო მოქმედების განხორციელება, მაგალითად, მისთვის საზოგადოების მხრიდან რაიმე ექვივალენტური (უფრო მატერიალური) მოქმედების შესრულება. თუმცა საზოგადოების აქციონერს, მისი წილის პროპორციულად, აქვს საზოგადოების მოგებაზე უფლება. მიუხედავად ამისა, ეს არ აძლევს შეტანის ხელშეკრულებას ორმხრივი ხელშეკრულების სამართლებრივ შინაარსს. ასეთის დაშვების შემთხვევაში საზოგადოება აუცილებლად ვალდებული

²⁷⁶ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 46.

²⁷⁷ ABGB § 285.

²⁷⁸ შეად.: Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 464.

იქნებოდა აქციონერისათვის საპასუხო ექვივალენტური მოქმედების შესრულებაზე, მაგალითად, დივიდენდის გაცემაზე. მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, დივიდენდის (მოგების) უპირობოდ გაცემის ვალდებულება საზოგადოების მხრიდან არ არსებობს და ასეთი შეთანხმება ბათილია.²⁷⁹ ასე რომ, მართალია, თითქოსდა რეალურად საზოგადოების დამფუძნებელი, შეტანის ხელშეკრულების დროს, ქონებრივი ობიექტის განხორციელებისას საზოგადოების წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში, საზოგადოებისაგან იღებს მისი (საწარმოს) მოგებიდან კუთვნილი აქციების პროპორციულ წილს, მაგრამ სამართლებრივად ეს არ არის ორმხრივი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი რეჟიმი. აქციონერის (მომავალი აქციონერის) მოქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ საზოგადოების დაფუძნებას (ჩამოყალიბებას). შესაბამისად, მისი მოქმედება მხოლოდ ცალმხრივ ხასიათს ატარებს, რადგანაც მიმართულია საზოგადოების შექმნის სავალდებულო პირობისკენ, საზოგადოებისათვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნისაკენ, რომელიც, თავისთავად, არანაირ საპასუხო მოქმედებას საწარმოს მხრიდან არ მოიცავს და, აქედან გამომდინარე კი, არ წარმოადგენს ორმხრივ ხელშეკრულებას. ამასთან, დამფუძნებლის ეს მოქმედება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შექმნის უშუალო განმსაზღვრელიც არის და ემსახურება კაპიტალის (საზოგადოების ქონებრივ) მდგრადობას.²⁸⁰ ამიტომ ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „თავისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ნორმები კაპიტალის შენარჩუნების (საწესდებო კაპიტალის მდგრადობის)²⁸¹ შესახებ, უნდა მოიცავდეს პარტნიორისათვის ისეთ შესრულებას (ქმედებას), რომელიც არ გამოიხატება საზოგადოების მხრიდან საპასუხო (ექვივალენტურ) მოქმედებაში. თავის მხრივ ამ მოქმედებამ ეკონომიკურად არ უნდა შეამციროს საზოგადოების ქონება.“²⁸²

ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების ხელშეკრულებიდან გამომდინარე (საზოგადოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული) მოქმედებების განხორციელება, სინალაგმატური ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით,

²⁷⁹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.1 მუხლის ბოლო წინადადება.

²⁸⁰ ვფიქრობთ, სწორედ აქედან გამომდინარე საუბრობენ „რეალური კაპიტალის შევსების ძირითად პრინციპზე“. იხ.: Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 598, Rn. 5; ასევე, Röhrich in GrossKomm. zum AktG, §27, Rz. 2f. ვუთითებ: Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 401, Rn. 3.

²⁸¹ ამ შემთხვევაში საუბარია „სს-ის შესახებ“ კანონის 52-ე პარაგრაფზე (შესატანის უკან მოთხოვნის დაუშვებლობის თაობაზე).

²⁸² იხ.: OGHZ 25. 06. 1996, Geschäftszahl 40b2078/96h. საზოგადოების მხრიდან დამფუძნებლისათვის, ამ უკანასკნელის მიერ შეტანილი შენატანის საპასუხოდ ექვივალენტური ქმედების განხორციელების შესაძლებლობა რომ დაგვეშვა, მაშინ მივიღებდით იმ შედეგს, რომ საწესდებო კაპიტალი ვერასოდეს შეივსებოდა, ხოლო საზოგადოების ქონება კი მუდმივი „მერყეობის“ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, ნორმა კაპიტალის შენარჩუნების თაობაზე თავის მიზანს დაკარგავდა. გამომდინარე აქედან, პარტნიორის ეს ქმედება (შესატანის განხორციელების თაობაზე) არ განიხილება ორმხრივ ხელშეკრულებად. წინამდებარე გადაწყვეტილების ზემოთ მოყვანილ მსჯელობასთან შედარების საფუძველზე კი გავაკეთებთ შემდეგი სახის დასკვნას: გადაწყვეტილებაში მოყვანილი „შესრულება“ ეს არის საზოგადოების მხრიდან დამფუძნებელი პარტნიორისათვის წევრობის დათმობის ტოლი და არა შესატანის სანაცვლოდ ექვივალენტური შესრულების (მომსახურების) განხორციელების ადეკვატური.

განკუთვნილია მხოლოდ საერთო საკორპორაციო მიზნის მისაღწევად და ისინი არანაირ ფასეულ (ღირებულ მატერიალურ-სამართლებრივ) თანასწორობას არ უნდა ქმნიდნენ.²⁸³ შესატანის განხორციელების უზრუნველყოფა ხელსაყრელია თვით შესატანის განმახორციელებელი პირისათვის, სააქციო საზოგადოების წევრისთვის იმდენად, რამდენადაც აქციონერს მოგების მიღების შესაძლებლობას ანიჭებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააქციო საზოგადოების წევრის მოქმედება ისევე საკუთარი თავისთვის არის განკუთვნილი (საერთო საკორპორაციო მიზნის მიღწევით აქციონერი (საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორი), უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (მოგების მიღებაზე) ზრუნავს). ამიტომ, ამ შემთხვევაში, საუბარი ორმხრივ ხელშეკრულებაზე, ვფიქრობთ, არასწორი უნდა იყოს.

დ) ხელშეკრულების ფორმის შესახებ

„შესატანის ხელშეკრულება“ (Sacheinlagevertrag) ფორმათავისუფალია. ამგვარი ხელშეკრულების (შეთანხმების) დადებისას არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს წერილობითი ფორმის სავალდებულობა. თუმცა სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციისას, როდესაც, ვთქვათ, ქონებრივი შესატანის საგანს წარმოადგენს უძრავი ნივთი (ან სხვა ისეთი ქონება, რომლის შესახებაც დადებულ გარიგებას აუცილებლად სჭირდება სავალდებულო სპეციალური ფორმა), შესატანის განხორციელების ხელშეკრულებაც დადებული უნდა იყოს შესაბამისი წერილობითი ფორმის დაცვით. ასე, მაგალითად, თუ ქონებრივი შესატანის საგანია მიწის ნაკვეთი – შესატანის განხორციელების ხელშეკრულებისათვის აუცილებლად საჭიროა რთული წერილობითი, სანოტარო ფორმა. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: მამაკაცი ახორციელებს საზოგადოებაში შესატანს, რომელიც მისი და მისი მეუღლის თანასაკუთრებას წარმოადგენს (ვთქვათ, ბინა მდებარე ქ. თბილისში, რომელიც მათი თანაცხოვრების პერიოდშია შექმნილი).²⁸⁴ ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა შესატანის განხორციელების ხელშეკრულების დროს სავალდებულო უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ობიექტს შეტანაუნარიანობის კატეგორია (ხარისხი) ეკარგება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ

²⁸³ Wieland, Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, S. 464.

²⁸⁴ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს ბინა საჯარო რეესტრში ორივე მეუღლეზე იქნება აღრიცხული. როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის სახელზეა ბინა გაფორმებული და, შესაბამისად, აღრიცხული საჯარო რეესტრში, რეესტრის უტყუარობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ამ უძრავი ქონების მესაკუთრეც მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. ამიტომ, ამ შემთხვევაში მეორე მეუღლის სავალდებულო თანხმობის გაცემა საჭირო აღარ უნდა იყოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოც, უმეტესწილად, იმ პრაქტიკას მისდევს, რომ დაიცვას მესამე პირთა ინტერესი, ხოლო უფლებაშელახულ მხარეს კი, რა თქმა უნდა, ეძლევა რეგრესის წესით შესაძლო ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. შეად.: სუსდპ №3კ/932-02, 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება. ამ საკითხის შესაღარებლად ასევე შევიძლიათ იხ.: ო. ზოიძე, კომენტარი 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, გვ. 199-220. ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, (სარედაქციო კოლეგია: რ. მიგრიაული, ო. ზოიძე, ზ. ჭეჭელაშვილი), თბ. 2004 წ.).

გარიგება ნების გამოვლენის სისრულის გარეშე სამართლებრივ შედეგს ვერ იძენს. ამიტომ, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მეუღლეთა თანხვედრი ნება აუცილებელია.

§2.2. ფულადი შესატანი

ფულადი შესატანის განხორციელება, არაფულადი (სანივთო) შენატანისაგან განსხვავებით, მრავალ ეტაპს არ მოიცავს.

ფულადი შესატანის დროს თანხა შესაძლებელია, განისაზღვროს ნებისმიერი ვალუტით, მაგრამ საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში ეს თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით და ფიქსირდება ის კურსი, რაც მას შეტანის დროს ჰქონდა.²⁸⁵ ავსტრიული კანონმდებლობა აქციონერს (საზოგადოების დამფუძნებელს) ამ დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას უყენებს: გადახდა უნდა შესრულდეს გადამხდელის (შემტანი პირის) საბანკო ანგარიშის (კონტოს) მეშვეობით. ამიტომ ბანკი აქ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს და ერთგვარად გარანტის როლშიც გამოდის.

საერთოდ, ფულადი შესატანების განხორციელება (თუკი მხოლოდ ამ უკანასკნელითაა შევსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი) წარმოადგენს საწარმოს ე.წ. ჩვეულებრივი დაფუძნების სახეობას. გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე დამფუძნებლის ნაცვლად საკრედიტო დაწესებულებამ დაფაროს ღირებულება (შესატანი თანხა). მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ე.წ. Strohmangründung-თან, ანუ საზოგადოების დაფუძნება შუამავლის მეშვეობით. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქ შესაძლოა, წარმოიშვას ორი საკითხი, კერძოდ:

- ერთ შემთხვევაში აქციებს ბანკის მიერ გადახდის შესრულების მეშვეობით მიიღებენ დამფუძნებელნი, ან
- აქციები შესაძლოა, თავდაპირველად თავად საკრედიტო დაწესებულებამ მიიღოს (მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დამფუძნებელი პარტნიორის ადგილსა და სტატუსს საზოგადოებაში ბანკი დაიკავებს. განსაზღვრული დროის შემდეგ იგი აქციებს საჯარო გაყიდვისათვის წარადგენს (განათავსებს). შესაძლებელია, რომ ამ დროს აქციის ფასი (საბაზრო ფასი) უკვე მეტი იყოს საწყისზე, მაგრამ ეს არ კრძალავს ბანკის მიერ მათ გაყიდვას. აღსანიშნავია ის, რომ დამფუძნებელი პარტნიორები ამ აქციებს თავდაპირველ ნომინალურ ფასში მიიღებენ.

აქციათა ღირებულების ნახევარზე მეტი უნდა განხორციელდეს (გადახდილი იყოს) მაშინათვე, ანუ წესდების ხელმოწერისთანავე – ამბობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.5 მუხლი. განსხვავებულ მოთხოვნას აყენებს ავსტრიული კანონი „სააქციო საზოგადოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, თითოეული აქციისათვის გადახდილი უნდა იყოს მისი 1/4 მაინც.²⁸⁶

²⁸⁵ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 46.

²⁸⁶ öAktG § 28a (1).

§2.3. არაფულადი შესატანი

ა) არაფულადი შესატანის მატერიალურ-სამართლებრივი დახასიათება

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.3. მუხლის ძველი რედაქცია ამბობდა: „შესატანი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით“. ამ უკანასკნელში არაფულადი შესატანი მოიაზრებოდა. 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებითა და დამატებებით ეს წესი მცირედ შეცვლილია. კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას კაპიტალი შესაძლოა, შეივსოს მხოლოდ ფულადი საშუალებით. თუმცა კანონი არ აკონკრეტებს სააქციო საზოგადოებაზე ვრცელდება ეს დანაწესი თუ მხოლოდ შპს-ზე. ვფიქრობთ, კანონის განმარტებიდან გამომდინარე, ეს დებულება ყველა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაზე ვრცელდება (სს-ის ჩათვლით). ამიტომ გამოდის, რომ სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი მხოლოდ ფულით უნდა შეივსოს და იგი 15 000 ლარს უნდა შეადგენდეს. რაც შეეხება, ზოგადად, საწესდებო კაპიტალის ფორმირებას, ანუ მინიმალური საწესდებო კაპიტალის, საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შექმნას, იგი შესაძლოა შეიქმნას „აგრეთვე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების სახით“. მაგრამ გამონაკლისს შეადგენს სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა. ქვემოთ ეს საკითხები უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი ავსტრიის საკორპორაციო სამართალთან მიმართებით. მიგვაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი შეხედულება შესაძლოა არასწორი გამოდგეს.

ავსტრიის კანონმდებლობა არაფულად შესატანებს „სხვა ქონებრივ“ შესატანებს უწოდებს და იგი ორგვარ მნიშვნელობას მნიშვნავს:

– აქციონერის მხრიდან ქონებრივი შესატანის შესრულებას, რომელიც მას საზოგადოებისაგან აქციის გადაცემის ვალდებულებასა და გარანტიას ანიჭებს, და,

– „საზოგადოების მხრიდან ქონებრივი სიკეთის მიღებას“, რაც, თავის მხრივ, აქციათა გაცემის ვალდებულებას სამართლებრივად არ უკავშირდება, ანუ ამ შემთხვევაში არ დგება საკითხი საზოგადოების მხრიდან პირზე უფლება-მოსილებათა (საზოგადოებაში წევრობის უფლების) გადაცემის შესახებ.

ძირითადად, „სხვა ქონებრივი“ შესატანები მაშინ გვხვდება, როდესაც მათი მეშვეობით ხდება წევრობის შექმნა და აქციათა მიღება. ამიტომ არ უნდა აგვერიოს ის გარემოება, როდესაც ერთ-ერთი აქციონერი თავისი ნებით, უსასყიდლოდ საზოგადოების ვალდებულებას კისრულობს. ამით იგი არ ახორციელებს შესატანს, რომელიც მას შემდგომ აქციის მიღების შესაძლებლობას მიანიჭებს, არამედ ერთგვარად დგება სააქციო საზოგადოების სამსახურში და მას საზოგადოების წევრობის გამოთხოვის (მოთხოვნის) უფლება არ ეძლევა.

ბ) სანივთო შესატანების განმარტებისთვის

უნდა აღინიშნოს, რომ არაფულადი შესატანის საგნის თაობაზე მრავალი აზრი არსებობს და ამაზე ერთიანი სრულყოფილი შეხედულება დღესაც არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა, ამ საკითხთან მიმართებით, რასაკვირველია, მაინც პოულობს კონსენსუსს.

დასაწყისშივე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ქონებრივ შესატანებს დადგენილი (განსაზღვრული) ეკონომიკური ღირებულება უნდა გააჩნდეთ, ანუ კერძო სამართლებრივ ბრუნვაში შესაძლებელი უნდა იყოს მათი რეალური ფასის დადგენა.

პირველად თვით „სხვა ქონებრივი“ (არაფულადი) შესატანის დეფინიცია განსაზღვრა 1884 წ. გერმანულმა კანონმა,²⁸⁷ რომელმაც, პრინციპში, საფუძველი ჩაუყარა ამ საკითხთან დაკავშირებით გაუთავებელ ბჭობას მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შორის. ამ დეფინიციის განსაზღვრის ქვაკუთხედი იყო ის, რომ კანონი არაფულად შესატანად აღიარებდა ყოველ გადაცემად საგანს.²⁸⁸ საერთოდ, იურიდიული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ქონებრივი ღირებულების უფლებებიც შეიძლება წარმოადგენდეს სანივთო შესატანის საგანს. მასში იგულისხმება ის, რომ არაფულად შესატანს განეკუთვნება არა მხოლოდ გადაცემადი მოძრავი და უძრავი ნივთები, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლებები, როგორცაა: საავტორო, საპატენტო, სალიცენზიო უფლებები, გამოყენების უფლებები, გადაცემადი კონცესია,²⁸⁹ წევრობის ისეთი უფლებები, როგორცაა აქციები (სს-ში) ან წილები (შპს-ში), პერსონალურ (ამხანაგური ტიპის) საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება, ასევე გადაცემადი მოთხოვნები, გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებიდან (თუმცა ამ საკითხის ქვემოთ უფრო ვრცლად განხილვისას დავინახავთ, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი შესაძლოა არც არსებობდეს), ინტელექტუალურ-სამართლებრივად დაცული „საფაბრიკაციო“ (საქარხნო) უფლება, ნოუ-ჰაუ, ხელშეკრულების წინადადებიდან (ოფერტიდან) გამომდინარე უფლებები, რომლის მიღებამაც საზოგადოებას რაიმე ქონებრივი სარგებელი შეიძლება მოუტანოს და ა.შ.²⁹⁰ ამიტომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს სამოქალაქო სამართალში ბრუნვაუნარიან ობიექტებს მიაკუთვნებდნენ და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად შესაძლებელი იყო მათი რეალური ღირებულების დადგენა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ „მეწარმეთა

²⁸⁷ იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 145-146.

²⁸⁸ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 213.

²⁸⁹ ე.წ. übertragbare Konzession. მოკლედ რომ ვთქვათ, გადაცემადი კონცესია (ნებართვა, დათმობა) არის რაიმე წარმოების განხორციელების უფლების გამოყენების გარკვეული ფორმა, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული პიროვნული და ობიექტური წინაპირობები, განსაკუთრებით: გამოყენებადობა, საიმედოობა და ა.შ. ამის შესახებ იხ.: Creifelds, Rechtswörterbuch, 17. Auf., Verlag C.H.Beck, München 2002, S. 807.

²⁹⁰ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 213; ასევე, Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 602 ff, Rn. 18 ff; Bayer in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 403 ff, Rn. 10 ff; Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 225, Rn. 10 ff.

შესახებ“ საქართველოს კანონი, შეტანაუნარიან ობიექტებს არქმევს.²⁹¹

შესატანი ქონებრივი ობიექტი (ფასეულობა) მისი მფლობელის სამართლებრივი სფეროდან უნდა გამომდინარეობდეს, რითაც შეტანაუნარიან ობიექტს განსაზღვრული დამოუკიდებლობა და სამართლებრივი წარმოებაუნარიანობა მიეცემა.²⁹² როდესაც საკითხი დგას საზოგადოებისათვის კონკრეტული მოძრავი თუ უძრავი ნივთების გადაცემის თაობაზე, ამ შემთხვევაში დამფუძნებლები ამ ნივთებზე საკუთრების უფლებას გადასცემენ საზოგადოებას²⁹³ და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უნდა განხორციელდეს იმ ნორმების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად. ამის შემდეგ კი საზოგადოება თავად ხდება ამ ქონების შეუზღუდავი მფლობელი, მესაკუთრე თავისი სამართლებრივი ბუნებით უძრავ ნივთებს უთანაბრდება ასევე აღნაგობის უფლება, ამიტომ ეს უკანასკნელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ შესატანად.²⁹⁴

საინტერესოა საკითხი, იყო თუ არა შესაძლებელი არაფულად შესატანად მიჩნეულიყო, მაგალითად, ჯერ კიდევ უცნობი (არასახელგანთქმული) კომპოზიტორის ოპერეტა. ავსტრიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ ასეთ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც მიუთითა: ვინაიდან ეს ნაწარმოები უფრო სამომავლო შესრულების კატეგორიას განეკუთვნება და მას ამჟამად (საზოგადოების დაფუძნებისას) რეალური ღირებულება არ აქვს, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქონებრივ შესატანად, თუნდაც იგი, მართლაც, ხელვინების შესანიშნავი ნიმუში იყოს და შემდგომში მან დიდი წარმატება მოიპოვოს და საკმაო ღირებულებაც შეიძინოს.²⁹⁵ რაც შეეხება საფაბრიკო-საქარხნო უფლებას და ე.წ. *Herstellungsverfahren*-ს, ანუ რაიმე ნივთის დამზადებას (უფრო სწორად, ნივთის დამზადების სფეციფიკურ წარმოებას), აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, იქნება თუ არა შესაძლებელი ამ უფლებისაგან რეალური ნივთის (მაგალითად, პროდუქციის) დამზადება. ხოლო თუკი ამგვარი წინაპირობების ფაქტობრივი დადგენა შეუძლებელი გახდება, მაშინ მას, რა თქმა უნდა, არ ექნება ქონებრივი ღირებულება და არ მიიჩნევა შესატანად. შესატანად მიჩნეულ მოთხოვნებს მხოლოდ ისინი განეკუთვნებიან, რომელთა შეფასებაც შეიძლება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ამბობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ ვის მიმართ არსებობს ეს მოთხოვნა, ვინაიდან იგი შესაძლოა, თვით საზოგადოების მიმართაც არსებობდეს.

²⁹¹ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 48.

²⁹² M. Lutter, *Kapital, Sicherung der Kapitalaufbringung und Kapitalerhaltung in den AG und GmbH Rechten* EWG, Berlin 1997, S. 128.

²⁹³ შეად.: ლ. ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, თ. ლილუაშვილი 75 წლისათვის მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომც. „ჯისიი“, თბ. 2003, გვ. 13.

²⁹⁴ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II გამოცემა, თბ. 1998, გვ. 52-53. ასევე იხ.: Kraft in *Kölner Kommentar zum AktG*, (1988), S. 216; Heidinger in *Spindler/Stilz, Komm. zum AktG*, S. 227, Rn. 26 და ა.შ.

²⁹⁵ OGH, *Judikatur* 2189, 304, 1979, OGH Bl.

გ) მოკლედ საქართველოს კანონის ბოლოდროინდელი ცვლილების თაობაზე

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა, როგორც ითქვა, დააკონკრეტა ქონებრივ შესატანთა კატეგორია. კერძოდ, კანონი ხმარობს სიტყვებს „სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების სახით“, ანუ იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რას მიიჩნევს კანონი ქონებრივი შესატანის საგნად, უნდა მივმართოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლს, რომელიც იძლევა ქონების განმარტებას და რომლის მიხედვითაც, „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე“, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა არის შესაძლებელი. მატერიალური ქონებრივი სიკეთე სუბსტანციურად ხელშესახები სიკეთეა, მაგალითად, ავტომანქანა, მიწის ნაკვეთი და ა.შ. ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დათქმა, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, არანაირ სირთულეს არ მოიცავს. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლს, აქ განსაზღვრულია არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცნება, რომლის თანახმადაც, „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოთხოვოს სხვა პირებს რაიმე“. ვფიქრობ, რომ სამოქალაქო კოდექსის ეს დანაწესი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონისთვის. ამ უკანასკნელის მიხედვით გამოდის, რომ ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნებიც შესაძლოა მივიჩნიოთ შეტანაუნარიან ობიექტად, მაშინ, როდესაც ამან შეიძლება გარკვეული პრობლემებიც შექმნას. როდესაც ქვემოთ განვიხილავთ საკითხს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების შეტანაუნარიანობის შესახებ, ეს პრობლემა უკეთესად წარმოჩინდება.

დ) ფრენშიაზინგის საგანი, როგორც ქონებრივი შესატანი

ფრენშიაზინგის საგანი²⁹⁶ შესაძლებელია, მივიჩნიოთ შეტანაუნარიან ობიექტად, რადგანაც ამ ხელშეკრულების ძირითადი დანიშნულება სწორედ რომ მატერიალური სარგებლის მიღებაა. ამ შემთხვევაში საწარმოს შემუშავებული აქვს საქმიანობის გარკვეული სპეციფიკური პროგრამა, რომელიც უკვე აპრობირებულია და რომელსაც საწარმოსათვის მოაქვს განსაზღვრული მატერიალური სარგებელი. ამიტომ მას უკვე გააჩნია ეკონომიკური ღირებულება, რაც, თავისთავად, მის შეტანაუნარიანობაზე მეტყველებს. ვფიქრობთ, რომ „Mc'Donald“-ს,

²⁹⁶ „ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი უფლებები – სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიშნულები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღების ხელშესაწყობად“. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბ. 1998, გვ. 124.

რომელსაც აქვს ასეთი პროგრამა, თუკი იგი მოისურვებს კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებაში პარტნიორად მონაწილეობას, არ გაუჭირდება თავისი ეს უფლება განახორციელოს გარკვეულ ეკონომიკურ ღირებულებად მიჩნეულ შესატანად.

მოკლედ რომ ვთქვათ, არაფულად შესატანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამარტო სანივთო (მაგალითისთვის – იპოთეკა, აღნაგობა და სხვ.), არამედ ვალდებულებითსამართლებრივი უფლებებიც (ქირავნობის, იჯარის, თხოვების და ა.შ. უფლებები).

ე) საწარმო, როგორც ქონებრივი შესატანი?!

დიდი მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, როდესაც არაფულადი (სანივთო) შესატანის სახით გამოიყენება საწარმო.²⁹⁷

²⁹⁷ ამ შემთხვევაშიც, ჩემი აზრით, გადაწყვეტია საწარმოს როგორც ქონებრივი წარმონაქმნის, შეძლებისდაგვარად, განსაზღვრა. არის იგი ამ შემთხვევაში სამართალურთიერთობის ობიექტი? როგორც ზემოთ ითქვა, „საწარმოს“ ლეგალური დეფინიცია არ არსებობს და სამართლებრივად იგი ძალზე „საეჭვო“ ცნებას წარმოადგენს: ერთი მხრივ მისი „ცნება“ განსაზღვრავს „ხანგრძლივი ვადით შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც დამოუკიდებელ ეკონომიკურ ქმედებას ახორციელებს, ამასთან იგი შესაძლებელია არც იყოს ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობაზე“, ხოლო სხვა მხრივ, „საწარმო არა მხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობას (ქმედების განხორციელებას), არამედ ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოს გულისხმობს“. იხ.: Gahleitner, Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, S. 4. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავსტრიის მეწარმეთა კოდექსმა სიტყვა Kaufmann შეცვალა და იგი ხმარობს ტერმინს „Unternehmer“, რაც, პირდაპირი მნიშვნელობით, მეწარმეს ნიშნავს. ძალიან საინტერესოა თვით მეწარმეთა (საწარმთა) კოდექსის პირველი პარაგრაფისა და გერმანული სავაჭრო კოდექსის პირველი პარაგრაფის შედარება. დიდი დებატები მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრიელებს შეენარჩუნებინათ სავაჭრო კოდექსის ტერმინი Kaufmann და გერმანული (1998 წლის რეფორმის შედეგად) ჩამოყალიბებული განსაზღვრება შემოეღოთ, რომელიც გერმანიის სავაჭრო კოდექსის პირველ პარაგრაფშია მოცემული (ამ განსაზღვრებაში მოცემული არ არის საწარმოს ცნება). თუმცა, როგორც ჩანს ავსტრიელებმა „უღალატეს“ ტრადიციას და საწარმთა (სავაჭრო) კოდექსის პირველი პარაგრაფი, გერმანული სავაჭრო კოდექსისაგან, განსხვავებულად ჩამოაყალიბეს. შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიელებმა „დაადგინეს“ კიდევ საწარმოს ცნება. მეწარმეთა კოდექსის პირველი პარაგრაფი ეხება მეწარმესა და საწარმოს (Unternehmer und Unternehmen). აქ ნათქვამია: მეწარმე არის ის, ვინც საწარმოს საქმიანობას ახორციელებს (Unternehmer ist, wer ein Unternehmen betreibt). UGB §1 (1). შეად.: გერმანული სავაჭრო კოდექსის მიხედვით კი, კომერსანტი (ვაჭარი) არის ის პირი, ვინც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს (Kaufmann, im Sinne dieses Gesetzbuches ist, wer ein Handelsgewerbe betreibt). dHGB §1 (1). შემდეგ მოდის თავად საწარმოს განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც, საწარმო არის ყოველი ხანგრძლივად შექმნილი ორგანიზაცია დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის (ქმედების) განხორციელებისა, თუნდაც იგი მოგების მიღებაზე ორიენტირებული არ იყოს. ასე რომ, ავსტრიელებმა „უარყვეს“ გერმანული Kaufmann-ის თეორია და გეზი საწარმთა სამართლისაკენ აიღეს. როგორც ვხედავთ, მთლიანად შეიცვალა ავსტრიული სავაჭრო კოდექსის პირველი პარაგრაფი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, ძირითადად, განსაზღვრული სავაჭრო გარიგებების ჩამონათვალს (9 პუნქტიან კატალოგს) უკავშირებდა. ამავე დროს მეწარმეთა კოდექსს შემოქმედებული ეკონომიკური საქმიანობის (wirtschaftliche Tätigkeit) და არა კომერციულად მოწყობილი საწარმოს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის ტერმინი (gewerbliche Tätigkeit). ასე რომ, მეწარმეთა კოდექსიდან ამოღებულია ტერმინი „Handel“, რაც კომერციულ

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი ამბობს, რომ ამგვარ შესატანად საწარმოს გადაცემა საზოგადოებისათვის შესაძლებელია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ-ერთ პარტნიორს ქონებრივ შესატანად საწესდებო კაპიტალში საწარმო შეაქვს (მაგალითად, ინდივიდუალური საწარმო). იბადება კითხვა: ხომ არ იგიველება ეს მდგომარეობა საწარმოს რეორგანიზაციის პრობლემასთან, ვინაიდან ამ ურთიერთობებს შორის გარკვეული იდენტურობაც არსებობს?

იდენტურობის მიუხედავად, ავსტრიული სამართალი ამ საკითხს საწარმოს დაფუძნების კიდევ ერთ განსხვავებულ სახეს უკავშირებს, რომელსაც ჰქვია საწარმოს (საზოგადოების) დაფუძნება გარდაქმნის მეშვეობით (და საზოგადოების ამგვარი დაფუძნება არ უნდა გავაიგიოთ ჩვენ მიერ უკვე ზემოთ ნახსენებ დაფუძნების კვალიფიციურ სახეობასთან). ასე რომ, ეს საკითხი, ძირითადად, გარდაქმნამდე დაიყვანება და მიიჩნევა, რომ საქმე გვაქვს მაინც საწარმოს თავისებურ რეორგანიზაციასთან, ოღონდ, შესატანის განხორციელების სამართლებრივი შეხედულების თვალსაზრისით და კუთხით.

ვ) მომსახურების გაწევა, როგორც სანივთო შესატანი?

საერთოდ, საყოველთაოდ უკვე აღიარებულია, რომ რაიმე მომსახურების გაწევის ვალდებულება არ შეიძლება მივიჩნიოთ შესატანად (2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებმა უფრო დააკონკრეტა ეს საკითხი და, როგორც აღინიშნა, იმპერატიულად დაადგინა, რომ სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა არ შეიძლება მიჩნეულ იყოს შეტანაუნარიან ობიექტად). უფლებები, გამომდინარე ე.წ. მომსახურების ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება ჩაითვალოს შესატანაუნარიან საგნად, ვინაიდან, თავისი სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენს

(სავაჭრო) საქმიანობას (ქმედებას) ნიშნავს. ასე მივიდა ავსტრიული კანონმდებლობა „ვაჭრიდან (კომერსანტიდან) მეწარმემდე“ (Vom Kaufmann zum Unternehmer) იხ.: Dehn Wilma: Vom Kaufmann zum Unternehmer in: Juristische Blätter, Jg. 126, Heft 1, Jan. 2004, S. 5-10. ვუთითებ: Gahleitner, Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, S. 8. ცვლილებები შევიდა ასევე მომდევნო პარაგრაფებში, რომლებიც ე.წ. Istkaufmann, Sollkaufmann,, Voll- und Minderkaufmann, Musskaufmann, Fiktivkaufmann შეეხებოდა. მათ ნაცვლად კოდექსი ორ ტერმინს ხმარობს: ერთი მხრივ ეს არის „Unternehmer kraft Rechtsform“, ანუ მეწარმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ძალით, რომელშიც მოიაზრებს სს-ს, შპს-ს, კოოპერატივს, ორმხრივ სადაზღვევო კავშირებს, შემნახველ საღაროებს, ევროპის ეკონომიკურ ინტერესთა კავშირს (ე.წ. EWIV), ევროპულ სს-ს (ე.წ. SE) და ევროპულ კოოპერატივებს (UGB §2), ხოლო მეორე მხრივ, ეს გახლავთ „მეწარმე რეგისტრაციის ძალით“, ანუ Unternehmer kraft Eintragung (UGB §3). ავსტრიაში განხორციელებული სამეწარმეო სამართლის რეფორმა ძალიან საინტერესო ელემენტებს მოიცავს. მათი განხილვა არ წარმოადგენს ამ ნაშრომის კვლევის მიზანს, თუმცა, ინფორმაციული თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამის თაობაზე ორიოდე სიტყვა გვეთქვა. აქვე დავძენთ, რომ ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, შესატანის განხორციელების დროს საწარმო სწორედ რომ სამართალურთიერთობის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ, მითუმეტეს, რომ ავსტრიული კანონმდებლობა უფრო იძლევა ამის შესაძლებლობას, ვიდრე, ვთქვათ, ქართული ან გერმანული. ამასთან, გვეჩვენება, რომ აღნიშნული რეფორმით ავსტრიული სამეწარმეო სამართალი უფრო დაუხალავდა ქართულს (მაგალითად, მსგავსება კანონების სათაურში: განა „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სისტემატიზირებული თვალსაზრისით კოდექსი არ არის?!).

არაფულადი შესატანის სათანადო ობიექტს.²⁹⁸ საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს მომსახურების გაწევის ვალდებულება შესატანუნარიან ობიექტს? საქმე იმაშია, რომ მომსახურების გაწევასაც შესაძლოა, რაიმე ღირებულება გააჩნდეს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი უფრო დაფუძნების ხარჯების კატეგორიას განეკუთვნება და საზოგადოების რეგისტრაციამდე უკვე მოიხმარება. წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი საზოგადოებას შესატანად სთავაზობს რაიმე მომსახურების გაწევას და სარეგისტრაციოდ საჭირო ყველა დოკუმენტის შეგროვებას ჰპირდება. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია ამ მოქმედებათა თავისუფალი განხორციელება, მაგრამ ისინი ჩაითვლებიან კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების ხარჯებში, რომელიც მას შემდგომ აუნაზღაურდება. მომსახურების გაწევის ვალდებულება ამ შემთხვევაში განეკუთვნება უფრო საზოგადოების დაფუძნების ხარჯების ანაზღაურების კატეგორიას.

ბ) ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლება, როგორც სანივთო შესატანი

საინტერესოა საკითხი, შესაძლებელია თუ არა არაფულად შესატანად წარმოვიდგინოთ, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება. როდესაც ა-სა და ბ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბ-ს ვალდებულება ა-ს მიმართ შეადგენს 10000 ლარს (ანუ სახეზე გვაქვს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა). ა-მ გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთი კაპიტალური ტიპის საზოგადოების, მაგალითად, სს „ლობატ ჯორჯია“-ს დაფუძნებაში. მაგრამ ამ დროისათვის მას არ გააჩნია 8000 ლარი, რაც პარტნიორთა შიდა შეთანხმებით უნდა შეადგენდეს ა-ს კუთვნილ წილს მომავალ საწარმოში. ა-მ გადაწყვიტა, გამოიყენოს მასა და ბ-ს შორის მოქმედი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და ამბობს, რომ მას ბ-ს მიმართ აქვს 10000 ლარის მოთხოვნის უფლება. გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნის უფლება, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლისა, წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, შესაძლებელი უნდა იყოს მისი ერთგვარად ეკონომიკური ღირებულების დადგენაც. ხოლო თუკი მისი ეკონომიკური ღირებულება დადგინდება, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით (მუხ. მე-3), იგი უნდა ჩავთვალოთ შეტანაუნარიან ობიექტად. საკითხი აქ შეიძლება ასეთი კუთხით დაისვას: შესაძლებელია თუ არა ობიექტად მივიჩნიოთ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა? რა თქმა უნდა, თავად ურთიერთობას ასეთად ვერ მივიჩნევდით, მაგრამ, სამაგიეროდ, ხომ შეიძლება მივიჩნიოთ მოთხოვნის უფლება ამგვარ ობიექტად? თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ბოლოდროინდელი რედაქციის განმარტება ამის შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში ა-ს მოთხოვნა 10000 ლარის ოდენობით არ შეიძლება ვადიაროთ შესატანუნარიან ობიექტად. მართალია,

²⁹⁸ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 214.

ხელშეკრულება მოქმედია, მისი ბათილობის საკითხი არ დგას და ბ-ს ვალდებულებაც ა-ს მიმართ ზუსტად განსაზღვრულ თანხაში გამოიხატება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ თანხას უფრო ფიქციის მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საზოგადოების დაფუძნების მომენტში „ხელშესახები“ ღირებულება არ აქვს. წარმოვიდგინოთ, რომ ბ-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ გადასცა ა-ს 10000 ლარი. მართალია, მოთხოვნის უფლება რეალურად არსებობს, მაგრამ რამდენად რეალურია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა მაშინ, როდესაც ბ-ს შესაძლოა არც რაიმე ქონება გააჩნდეს? მაშინ აღმოჩნდებით იმ პრობლემის წინაშე, რომ ა ბ-საგან მოთხოვნას რეალურად ვერ დაიკმაყოფილებდა და საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შესატანი ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა. ეს უკანასკნელი კი კრედიტროთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა, რაც, კანონის მიხედვით, აუცილებლად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის განმარტებას თუ გავეყვებით, მაშინ ასეთი მოთხოვნა თავისუფლად განხორციელდება შესატანად და იგი, შესაბამისად, შეტანაუნარიან საგნად მიიჩნევა. თუმცა ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი კაზუსი ამის რეალურ საშუალებას არ იძლევა. ამ საკითხთან მიმართებით აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ასევე, რომ, მაგალითად, ბარცი სავაჭრო გარიგებას, თავისი ერთობლიობით (პასივებითა და აქტივებით), შეტანაუნარიან საგნად მიიჩნევა. ასე, ვთქვათ, კლიენტურა შესაძლებელია ჩაითვალოს შეტანაუნარიან საგნად, „გუდვილი“ და სხვ.²⁹⁹ მოკლედ, ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება უსასრულო დისკუსია გაიმართოს და მოყვანილ იქნეს უამრავი მაგალითი. საბოლოოდ, საქართველოში, ეს მაინც ქართული სასამართლო პრაქტიკის გასაანალიზებელი და დასამკვიდრებელია.

ავსტრიული სამართალი ნაწილობრივ შეტანაუნარიან ობიექტად აღიარებდა ასევე მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს (მომსახურების გაწევას). თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი წლის განმავლობაში აქაც ერთიანი აზრი არ არსებობდა. ასეთი ერთიანი აზრი არ არსებობდა არც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მომსახურების გაწევის ვალდებულებიდან გამომდინარე, გარკვეულ მოთხოვნებს შეტანაუნარიან ობიექტად მიიჩნევდნენ, გარკვეულს კი არა. ამ პრობლემასთან მიმართებით საინტერესოა, რომ თუკი საკითხი აქციონერის (საკუთარი) მომსახურების გაწევას ეხებოდა, ასეთი მოთხოვნა საზოგადოებისთვის არ მიიჩნეოდა შეტანაუნარიან ობიექტად, ხოლო, თუკი საქმე ეხებოდა დამფუძნებლის მოთხოვნას მომსახურების გაწევაზე მესამე პირის მიმართ, მაშინ ასეთი უფლება შეტანაუნარიან საგნად მიიჩნეოდა.³⁰⁰ დღეს მოქმედი რედაქცია, როგორც ავსტრიის, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონებისა ცალსახად განსაზღვრავენ, რომ მომსახურების გაწევიდან გამომდინარე მოთხოვნები არ შეიძლება წარმოადგენდეს ქონებრივი შესატანის

²⁹⁹ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 214-215.

³⁰⁰ იხ.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 217; ამის შესახებ ასევე: Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 609, Rn. 33, 34, 35.

საგანს.³⁰¹ კანონის ამგვარი ფორმულირების საფუძველს ავსტრიის ფედერაციაში წარმოადგენს 1996 წლის ევროკავშირის საზოგადოების სამართლის ცვლილების კანონი, კერძოდ, კაპიტალის (საწესდებო კაპიტალის) სახელმძღვანელო პრინციპის მე-7 არტიკლი, რომელმაც განსაზღვრა, რომ საწესდებო კაპიტალი უნდა შეივსოს აუცილებლად ქონებრივი საგნებისაგან, რომელთა რეალური ეკონომიკური ღირებულების დადგენა არის შესაძლებელი. ამიტომ ავტსრიელებმა აირჩიეს ქონებრივი შესატანის (შეტანაუნარიანი საგნის განსაზღვრის) ე.წ. პიზიტიური დებულების გზა³⁰² და კანონის ეს ნორმაც სრულ შესაბამისობაში მოიყვანეს ევროსამართალთან.³⁰³

„მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილებაც ამ კუთხით მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს. შეიძლება თამამად ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მისი კანონის ზემოთ განხილული ნორმა სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი ევროპის საბჭოს საზოგადოების სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებთან. ალბათ, ქართველმა კანონმდებელმაც კანონის ეს ცვლილება სწორედ ზემოთ განხილული მოსაზრებების გამო განახორციელა.

თ) ჯერ არარსებული ნივთები და სამომავლო მოთხოვნები, როგორც ქონებრივი შესატანები

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ არარსებული ნივთები არ შეიძლება მივიჩნიოთ არაფულადი შესატანის საგნად, ვინაიდან სამართლებრივად ისინი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ კატეგორიას არ განეკუთვნებიან³⁰⁴ (ისინი ჯერ კიდევ სუბსტანციურადაც კი არ არსებობენ, რომ, მაგალითად, შესაძლებელი იყოს მათი ეკონომიკური ღირებულების დადგენა მაინც). მაგრამ ეს მოსაზრება არ წარმოადგენს ერთადერთს. თეორიული საფუძვლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ აქციონერმა არაფულად შესატანად ისეთი ნივთის განხორციელება დაივალდებულოს, რომელიც ჯერ სახეზე არ გვაქვს. მაგალითად, კვაზოვსკი მიიჩნევდა, რომ აქციონერმა, რომელსაც ეკუთვნის უფლება ნივთის ნაყოფზე (ვთქვათ, საკუთრების უფლება), შესაძლებელია, შესატანად განახორციელოს ნაყოფი (მაგალითად, მოსავალი) და საზოგადოებას გადასცეს. ასე რომ, იგი მოსავალს (ნაყოფს) მიწის ნაკვეთის გარეშე, რომელზეც ეს ნაყოფი იზრდება,

³⁰¹ იხ.: öAktG §20, Abs. 2; dAktG §27, Abs. 2. მომსახურებიდან გამომდინარე მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს ასევე საზოგადოების მხრიდან ქონებრივი სიკეთის მიღების საგანს, ანუ ე.წ. Sachübernahme-ს.

³⁰² Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 532.

³⁰³ ავსტრიული კანონის ეს ნორმა ასევე სრულად შეესაბამება გერმანული „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის 27-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 ნაწილებს.

³⁰⁴ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 216-217. თუმცა დროთა განმავლობაში ის მოსაზრებაც განვითარდა, რომ წესდების დამტკიცების მომენტისთვის ასეთი ნივთები შესაძლებელია მივიჩნიოთ შეტანაუნარიან საგნად, თუკი ისინი საწარმოს (საზოგადოების) რეგისტრაციაზე დადგომის მომენტისათვის უკვე იარსებებენ (წარმოდგებიან). იხ.: Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 604, Rn. 23.

შესატანუნარიან ობიექტად თვლიდა.³⁰⁵ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომავალ აქციონერს არ ეკუთვნის მიწის ნაკვეთი, მაგრამ გააჩნია უფლება, მიიღოს მასზე არსებული ნაყოფი. ჩვენი აზრით, ასეთი შემთხვევა არ უნდა მივიჩნიოთ სწორად, ვინაიდან იგი უფრო სამომავლო შესრულების კატეგორიას განეკუთვნება და საზოგადოების დაფუძნების მომენტისათვის რეალური ეკონომიკური ღირებულება არ აქვს. თუმცაღა შეიძლება არსებობდეს ასევე საპირისპირო მოსაზრებაც: საქმე იმაშია, რომ პარტნიორმა შესაძლებელია თავისი შესატანი სწორედ ვალდებულებით უზრუნველყოს. ავიღოთ, მაგალითად, რომ მას დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება X მხარესთან. მაგრამ ეკუთვნის ნივთის ნაყოფისაგან შემოსავლის მიღების უფლება. საიჯარო გარიგებიდან დამოუკიდებელი ექსპერტი შეაფასებს სამომავლო ნაყოფის (მაგალითად, მოსავლის) ღირებულებას, შესაძლო ნორმალური რისკის გათვალისწინებით და დაადგენს მის საბაზრო ფასს. ასე რომ, საზოგადოების დაფუძნების მომენტისათვის მისი ეკონომიკური ღირებულების დადგენა შესაძლებელი იქნება. ამ შემთხვევაში დამფუძნებელი ვალდებულებითსამართლებრივი აქტით (საიჯარო ხელშეკრულებით) უზრუნველყოფს შესატანის განხორციელების ვალდებულებას. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ კანონსაწინააღმდეგო აქ არაფერია. როდესაც საზოგადოება რეგისტრაციას გაივლის და გარკვეული დროის განმავლობაში ზემოთ ხსენებული პარტნიორი შესატანს არ განახორციელებს, სხვა დანარჩენ პარტნიორებს უფლება მიეცემათ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნორმის გათვალისწინებით, შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, შემდგომი გადაუხდელობის შემთხვევაში, პარტნიორი საზოგადოებიდან გარიცხონ (მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.5 მუხლის მე-2 აბზაცი). ავსტრიული სამართალი ამ შემთხვევისათვის აყენებდა შემდეგ მოთხოვნას: ამგვარი საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე, სამეურნეო შემოსავლის უფლება (ნაყოფის მიღება) სადაზღვევო კომპანიაში იქნეს დაზღვეული. წარმოვიდგინოთ, რომ სექციის შედეგად მოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანდა, მაშინ გარანტის როლში ერთეუბა უკვე სადაზღვევო კომპანია, რომელიც აანაზღაურებს ზარალს. ასე რომ, ჩვენ მიერ ნახსენები დამფუძნებლის შესატანის ვალდებულების უზრუნველყოფა ეჭვქვეშ აღარ დგება, თუმცა ეს მოქმედება (დააზღვევს თუ არა იგი სამომავლო ნივთს), ჩვენი აზრით, მხოლოდ პარტნიორის სურვილიდან გამომდინარე მოქმედებაა. მიგვაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ შეტანუნარიან ობიექტად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქონებრივი შესატანი განხორციელებული უნდა იქნეს სრულად. ეს პრინციპი დამკვიდრებულია ავსტრიულ სამართალში. მიგვაჩნია, რომ იგი ჩვენთანაც უნდა გაბატონდეს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.5 მუხლი ამბობს, რომ „შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს“. კანონის ამ ფორმულირებიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ როგორც ფულადი, ისე არაფულადი (ქონებრივი)

³⁰⁵ Quassowski in F. Schlegelberger/L. Quassowski, Kommentar zum Aktiengesetz, (1939), §20, Anm. 4.

შესატანი შესაძლოა განხორციელდეს ნაწილობრივ, ანუ მისი ნახევრი საწარმოს რეგისტრაციისათვის უნდა განხორციელდეს. ეს დებულება არასწორად მიგვაჩნია. თუკი ნაციონალური კანონმდებლობიდან ამოვალთ, ვფიქრობ, სავალდებულო უნდა იყოს კანონით დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის სრულად შევსება საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის მაინც. ხოლო თუკი წესდებით ამ მინიმალურზე მეტი საწესდებო კაპიტალია გათვალისწინებული, მაშინ წესდებით უნდა განისაზღვროს შესატანის დარჩენილი ნაწილის განხორციელების ვადა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების ჩადება საწესდებო კაპიტალში.³⁰⁶ თუმცა ზემოთ მოყვანილი შემთხვევა არ უნდა გავაიგივოთ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აღებულ ქონებასთან. ჩვენს მაგალითში, არაფულადი შესატანის შემტანი მისი (მოსავლის) მესაკუთრეა. საკუთრების უფლება მოსავალზე სწორედ ამ პირს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამ მოსავლის ჩადება საწესდებო კაპიტალში არ შეიძლება. ქონებრივი შესატანი (ხოლო მოსავალი (ჯერ არარსებული ნივთი) ქონებრივ შესატანთა კატეგორიას განეკუთვნება) ავსტრიული სამართლის მიხედვით, წესდების ხელმოწერისთანავე უნდა იქნეს განხორციელებული. ხოლო რადგანაც მოსავალი ქონებრივ კატეგორიას განეკუთვნება, იგი საზოგადოების დაარსებისას უკვე სუბსტანციურად (ნივთობრივად) უნდა არსებობდეს. ამიტომ მომავალი ნივთის (ჯერ არარსებული ნივთის) განხორციელება საწესდებო კაპიტალში, კიდევ ერთხელ ვიტყვით, დაუშვებელია.

ო) ნივთის დათმობის უფლება, როგორც შესატანი

არაფულადი შესატანის საგანი შესაძლოა, ასევე იყოს „ნივთის გადაცემა გამოყენებისთვის“,³⁰⁷ (ანუ ნივთის გამოყენების, ნივთით სარგებლობის უფლების დათმობა ე.წ. *Gebrauchsüberlassung, Nutzungsrecht*³⁰⁸). არ არის აუცილებელი, რომ აქციონერმა საზოგადოებას ნივთი საკუთრებად (საკუთრების უფლებით) გადასცეს. აქედან გამომდინარე, ქონებრივი შესატანის საგნად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, საზოგადოებისათვის სავაჭრო ადგილების დროებითი გადაცემა (დათმობა) გამოყენებისათვის. ამ შემთხვევაში კი შესატანის საგნის შეფასებისას (ღირებულების დადგენისას) მნიშვნელოვანია, განისაზღვროს გადაცემული ნივთის გამოყენების ხანგრძლივობა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელი არ არის, შემტანი პირი ნივთის მესაკუთრე იყოს. ამ შემთხვევაში იგი შესაძლებელია არამესაკუთრეც იყოს (მაგრამ აუცილებელია გააჩნდეს ნივთის პირდაპირი მფლობელობის უფლება) და კანონით მინიჭებულ ფარგლებში იგი აუცილებლად

³⁰⁶ იხ.: ქსნგ „რუდულას წყლის“ საქმესთან დაკავშირებით, 4. 04. 2001 წ.

³⁰⁷ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 217.

³⁰⁸ Schiemer/Jabornegg/Strasser, Kommentar zum AktG, §20 Rz 12. ვუთითებ: Talos/ Schrank, *ecolex*, 2004, 12, S. 948. ამის შესახებ ასევე: Heidinger in Spindler/Stilz, *Komm. zum AktG*, S. 228-229, Rn. 31; Röhrich in *GrossKomm. zum AktG*, (2004), S. 151 ff, Rn. 51 ff; Pentz in *MünchKomm. zum AktG*, (2000), S. 607-608, Rn. 31; Bayer in *Schmidt/Lutter, AktG, Komm.*, S. 405, Rn. 15.

უნდა იყოს უფლებამოსილი პირი ნივთის სათანადო განკარგვისათვის.

თუკი შესატანი საგანი რამდენიმე პირს ერთად ეკუთვნის (ე.წ. Gesamthand), მაშინ ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ერთად გამოვიდნენ საზოგადოების დამფუძნებლებად და აქციათა რიცხვიც შესაბამისად გაინაწილონ (ეს შეთანხმება საზოგადოებისთვისაც ნამდვილია, თუკი იგი წესდებაში იქნება წარმოდგენილი).

რაც შეეხება საზოგადოების მიმართ სამომავლოდ წაყენებულ მოთხოვნებს, მაგალითად, სამომავლოდ მოგების მოთხოვნას და სხვა, ისინი, ყოველმხრივ აღიარებული შეხედულების თანახმად, არ მიიჩნევიან არაფულადი შესატანის საგნად.

§§2.4. მსჯელობები შესატანის განხორციელებლობის შესაძლო ქონებრივ-სამართლებრივი შედეგის შესახებ

სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას მეტად მნიშვნელოვანია საკითხი პარტნიორის მხრიდან შესატანის განხორციელებლობისა და მისი შედეგების შესახებ. შენატანის განხორციელება, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საზოგადოების დამფუძნებლის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მომავალი (და არა მხოლოდ მომავალი, არამედ რეგისტრირებული) საწარმოს წინაშე. პარტნიორის ეს მოვალეობა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების შექმნას. კაპიტალური საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე, მისი შექმნის ძირითადი ქვაკუთხედი საზოგადოებისათვის აუცილებელი (პასუხისმგებლობაუნარიანი) კაპიტალის შექმნაა, რაც კრედიტორთა გარანტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად გვევლინება. სწორედ ამიტომ სამეწარმეო კანონმდებლობა მეტად სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მე-3 მუხლში განმარტავს არა მხოლოდ შესატანის შეტანის უპირობო ვალდებულებას პარტნიორის მხრიდან, არამედ ამ უკანასკნელის მიერ შესატანის შეუტანლობის ან ამ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შესაძლო შედეგებსაც განუსაზღვრავს პარტნიორებს. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეასრულებს, შესაძლოა, მის მიმართ დადგეს მეტად მძიმე შედეგი, რაც მის საზოგადოებიდან გარიცხვასაც არ გამორიცხავს. ზემოთ უკვე იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ არაფულადი შესატანი უნდა განხორციელდეს წესდების ხელმოწერისთანავე.³⁰⁹ რაც შეეხება ფულად შენატანს, „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონი, ისევე როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, რომ შესაძლებელია მისი ნაწილ-ნაწილ განხორციელებაც, ანუ ფულადი შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე,³¹⁰ ხოლო დარჩენილი ნახევარი კი – საზოგადოების რეგისტრაციის შემდგომ, წესდებით ზუსტად განსაზღვრული დროის განმავლობაში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.5 მუხლი ადგენს: შესატანის ნახევარი უნდა

³⁰⁹ öAktG §28a (2).

³¹⁰ ავსტრიული კანონმდებლობა ღირებულების 1/4-ის გადახდას ავალებს დამფუძნებელს: öAktG §28a (1).

განხორციელდეს (შეტანილ იქნეს) წესდების ხელმოწერისთანავე. ძველი რედაქციის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორი გადააცილებდა შესატანის შეტანის ვადას, ყოველ პარტნიორს შეეძლო, წერილობით მოეთხოვა მისთვის ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გაეფრთხილებინა საზოგადოებიდან მისი შესაძლო გარიცხვის თაობაზე. დამატებითი ვადა განისაზღვრებოდა სულ ცოტა ერთი თვით. ხოლო ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი, რომელმაც გააჭიანურა გადახდა, კარგავდა წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც.

2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონში არსებითად არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ დამატებითი ვადა, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო ერთ თვეზე ნაკლები, კანონიდან საერთოდ ამოვარდა და იგი თავად პარტნიორთა გადასაწყვეტი (დასადგენი) გახდა.

როგორც ზემოთ მოყვანილი ნორმიდან ჩანს, საქმე ეხებოდა სწორედ კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში პარტნიორის მიერ შესატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევას საზოგადოების წინაშე. წინამდებარე მე-3.3 მუხლი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზოგად ნორმას წარმოადგენს, რაც ნიშნავს მის გამოყენებას შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსათვის, ამიტომ იმ სამართლებრივ მაგალითს, რომელიც ამ საკითხის გასაშლელად ქვემოთ გვინდა მოვიყვანოთ, თანაბარი მნიშვნელობა ექნება როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვისაც.³¹¹

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში, სამეწარმეო-სავაჭრო საქმიანობაში საწარმოთა ურთიერთობისას ერთ-ერთი გადმწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების უტყუარი კაპიტალის პრეზუმციის პრინციპს.

³¹¹ აქვე დაეძინა, რომ ამ ნორმის საკანონმდებლო მოცემულობა გარკვეულწილად შეიცვალა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებული ახალი ცვლილების შედეგად. თუმცა შესატანის შეუტანლობის ან ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგების მიმართ, კანონის აღრინდელი და დღევანდელი მოცემულობა, პრინციპში, ერთნაირ მნიშვნელობას ატარებს. მითუმეტეს, როდესაც საქმე პარტნიორთა მხრიდან შესატანის განხორციელების დარღვევისათვის სხვა პარტნიორისათვის განხორციელებულ გაფრთხილებას და შესატანის დამატებით ვადაში შეუტანლობას ეხება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კანონში დადგენილი ახალი ნორმა შეტანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის ისეთ შესაძლებლობასაც გეთავაზობს, რომლის დროსაც საერთოდ არ იქნება საჭირო ამ პარტნიორის გაფრთხილება და მისთვის დამატებითი ვადის დადგენა. იხ.: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.5 მუხლის მე-2 აბზაცის მოცემულობა: „თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის წესდებით ან ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულ ვადას, დანარჩენი პარტნიორები უფლებამოსილი არიან, მას გადახდისათვის განუსაზღვრონ დამატებითი ვადა“. ასე რომ, პარტნიორებმა ასეთი დამატებითი ვადა შესაძლებელია სულაც არ განსაზღვრონ და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. ამიტომ კანონის ასეთმა რედაქციამ შესაძლოა შექმნას ამ უფლების ბოროტად გამოყენების საფრთხე რეალური მექანიზმი. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწორედ ზემოთ აღნიშნული მაგალითის განხილვა და, შესაბამისად, კანონის მიერ უფრო გასათვალისწინებელი საკანონმდებლო ნორმის შემოღება, რომელიც, ერთი მხრივ, დაიცავს რეალური კაპიტალის შევსების პრინციპს, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავიდან აგვაცილებინებს პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებული უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს.

ნიშანდობლივია, რომ პარტნიორი ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ გარანტიად გამოდის, რადგანაც უშუალოდ მასზეა დამოკიდებული ამ პასუხისმგებლობის ბედი. თუ იგი კეთილსინდისიერად შეასრულებს ვალდებულებას და მთლიანად შეიტანს შესატანს, საწარმოს კრედიტორებთან ურთიერთობაში საზოგადოება „პირნათლად“ წარსდგება, ხოლო თუ არ შეიტანს, შესაძლოა გარიგება, რომელიც საწარმომ დადო (ან დებს), კონტრაქტის მესამე პირებისათვის მიუღებელი აღმოჩნდეს. რატომ? იმიტომ, რომ მათთვის ამ გარიგებათა შესრულების გარანტია უშუალოდ საზოგადოების კაპიტალიდან (ქონებიდან) მომდინარეობს. თუკი გარკვეული ვალდებულება ვერ შესრულდება, მაშინ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ვალდებულების უზრუნველყოფა, შეძლებისდაგვარად, სწორედ საზოგადოების ქონებიდან მოხერხდება.

საკითხის თვალსაჩინოებისათვის ზემოთ მოყვანილი პრობლემა შეიძლება პრაქტიკული კუთხით განვიხილოთ.

ერთ-ერთმა რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 27 თებერვალს რეგისტრაციაში გაატარა შპს „ქსილოტრანსი“.³¹² საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 200 000 ლარით. საწარმოს დაფუძნებისას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, დადგინდა პარტნიორთა მიერ შესატანის განხორციელების ვალდებულება. საზოგადოების ყოფილმა პარტნიორმა (რომელიც სასამართლოში დავის წარმართვისას იურიდიულად ჯერ კიდევ გარიცხული არ იყო საზოგადოებიდან) პ. ხაძიპაპასმა შესატანი სრულფასოვნად არ განახორციელა, კერძოდ, მას დარჩენილი ჰქონდა 6000 ლარის ოდენობის შესატანი, რაც მან არ შეასრულა.

2002 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა შპს „ქსილოტრანსი“-ს პარტნიორთა კრება, რომელმაც წარმოშვა საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში განსახორციელებელი სავალდებულო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების რეგისტრაციის აუცილებლობა. კერძოდ, საზოგადოებიდან გაირიცა მისი ერთ-ერთი პარტნიორი პ. ხაძიპაპასი, ხოლო მისი წილი, შესაბამისად, გადანაწილდა საზოგადოების სხვადასხვა პარტნიორზე. გარიცხვის საფუძველად პარტნიორთა კრების ოქმში მითითებული იყო ის, რომ ხაძიპაპასს დარჩენილი ჰქონდა შესატანის განხორციელება, რაც მისი მხრიდან არ შესრულებულა და ამიტომ კრება იღებდა გადაწყვეტილებას მისი საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე. ამ შემთხვევაში საწარმოს პარტნიორები ემყარებოდნენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.5 მუხლს, რომლის მიხედვითაც, კრებას ასეთი გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა, წესით, უნდა ჰქონოდა.

გარიცხულმა პარტნიორმა მანამ, სანამ მისი საზოგადოებიდან გარიცხვა სასამართლო წესით დარეგისტრირდებოდა (იგი გარიცხული იყო მხოლოდ დე-ფაქტო, პარტნიორთა კრების მიერ), კომპანია „ქსილოტრანსი“-ს წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი, რომელშიც მოითხოვდა საზოგადოების პარტნიორად დაბრუნებას მისი 6%-ანი წილის უფლებით (გარიცხულ პარტნიორს სწორედ საწესდებო კაპიტალის 6% ეკუთვნოდა). პირველი ინსტანციის

³¹² იხ.: სენაკის რაიონული სასამართლოს №56/5/ბ-226 საქმის მასალები.

სასამართლომ გარიცხული პარტნიორის სასარჩელო განცხადების მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი აღდგენილ იქნა საზოგადოების წევრად. ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებდა, რომ, მართალია, პარტნიორთა კრება უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება იმ პარტნიორის გარიცხვის შესახებ, რომელმაც საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, მაგრამ აპელირება გააკეთა იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოების პარტნიორებმა დაარღვიეს თვით გარიცხვის პროცედურა, ანუ პარტნიორებმა გვერდი აუარეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.5 მუხლის მეორე აბზაცის მოთხოვნას და სათანადოდ არ გააფრთხილეს პარტნიორი მის მიერ დარჩენილი შესატანის შეტანისა და საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის თაობაზე. შესაბამისად, არ მისცეს მას დამატებითი ერთთვიანი ვადა. მართალია, პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადას, მაგრამ ამის შესახებ აუცილებელი იყო გამაფრთხილებელი წერილის წარდგენა ვალდებულების არაჯეროვნად შემსრულებელი პარტნიორისათვის, რათა მას დამატებით დროში (ერთ თვეში) უზრუნველყო შესატანის განხორციელება. თავის მხრივ, საზოგადოებიდან გარიცხული პარტნიორიც ასევე აპელირებდა იმაზე, რომ, ჯერ ერთი, იგი სათანადოდ არ იყო გაფრთხილებული ამის თაობაზე, და მეორეც, არსებობდა შეთანხმება (გარიგება) მასა და საზოგადოების ძველ დირექტორს შორის, რომ მისი დარჩენილი შესატანი უნდა დაქვითულიყო იმ დივიდენდიდან (მოგებიდან), რომელიც მას წილობრივად ეკუთვნოდა საზოგადოებაში. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ავსტრიის კანონები „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ და „სააქციო საზოგადოების შესახებ“, ისევე როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, კატეგორიულად კრძალავს დივიდენდების უპირობოდ გაცემის შეპირებას. ასეთი შეპირება (გარიგება) მის სამართლებრივ კაუზაშივე (საფუძველშივე) ბათილია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სასამართლომ სრულიად სამართლიანად არ გაიზიარა ხაძიპაპასის არგუმენტი და ამ ფაქტზე აპელირება გადაწყვეტილების გამოტანისას არ გააკეთა.³¹³

ვფიქრობთ, სასამართლო სწორედ დაეყრდნო წინამდებარე მუხლს (მე-3 მუხ.),³¹⁴ მაგრამ აქ მაინც არსებობს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რისი გამოყოფაც საჭიროა. ნაციონალური კანონმდებლობის მე-3.5 მუხლის მე-2 აბზაცი, თავისი სამარტლებრივი შინაარსით, დისპოზიციური ხასიათის ნორმას წარმოადგენს, ანუ „ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოითხოვოს“ ვალდებულების არაჯეროვნად შემსრულებელი პარტნიორისაგან ქონებრივი შესატანის განხორციელება. ამ შემთხვევაში კანონის ნორმა საკმაოდ ლოიალურია, მაშინ, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.5-ე, 54.2-ე მუხლები საკმაოდ მკაცრია და მიანიშნებენ დაზღვეული წერილების შესახებ. განსხვავება, ჩვენი აზრით, ამ ორ ვითარებას შორის სწორედ ის არის, რომ კანონის მე-3.5 მუხლმა შეიძლება გაითვალისწინოს არა დაზღვეული, არამედ უბრალო

³¹³ ამასთან დაკავშირებით იხ.: სენაკის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №2/20-03.

³¹⁴ ამ საქმესთან დაკავშირებით ასევე იხ.: ქუთაისის საოლქო სასამართლოს 21.07.2004წ. გადაწყვეტილება №2/ბ-400-04.

წერილიც კი, რომელიც შესაძლოა, გამოკრული იყოს საწარმოს თვალსაჩინო ადგილას (მაგალითად, უცხოურ პრაქტიკაში მეტად მიღებული ფორმაა ასეთი წერილების ოფისის სტენდზე გამოკვრა) და რომლის გაცნობაც პრობლემას არ წარმოადგენს საზოგადოების ნებისმიერი წევრი თუ არაწევრი პირისთვის. ამ შემთხვევაში შეიძლება არგუმენტირება გაკეთებულიყო იმაზე, რომ საზოგადოების პარტნიორებმა სწორედ ასეთი წერილის მეშვეობით მოსთხოვეს ხაძიპაპას ვალდებულების შესრულება, მით უმეტეს, ფაქტობრივად დადგენილი იყო, რომ ამ უკანასკნელს უთუოდ უნდა სცოდნოდა წერილის შინაარსის შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა საზოგადოების მოსაზრება და მიიჩნია, რომ ქონებრივ შესატანთან დაკავშირებით დაირღვა პროცედურა, რაც გარიცხვის საფუძველს არ იძლეოდა. ვფიქრობთ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის წინამდებარე ნორმა სხვაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს და მას უფრო მკაცრი ხასიათი მიეცეს, მაგალითად, ისეთი, როგორც ეს ავსტრიის კანონმდებლობაშია მოცემული (ავსტრიის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ კანონის 66-ე პარაგრაფში გათვალისწინებულია ქონებრივი შესატანის განუხორციელებლობის გამო პარტნიორის გაფრთხილება მისთვის წერილობით შესრულებული გაფრთხილების უშუალო ჩაბარებით და მის მიერ ჩაბარებაზე ხელმოწერით). ამასთანავე ნიშნდობლივია, რომ შესატანის ვადის გადაცილებისათვის, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, პარტნიორს ასევე ეკისრება ზიანის ანაზღაურება და საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულება. გარდა ამისა, საზოგადოების წესდებით შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ე.წ. კონვენციონალური (Konventionalstrafe) საჯარიმო სანქცია შესატანის განხორციელების დაყოვნებისათვის (ავსტრიის „შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის 65-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება). ამიტომ, ვფიქრობთ საინტერესო იქნებოდა, თუკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი თავის მე-3.5 მუხლში გაითვალისწინებდა ევროპულ გამოცდილებას და, შესაბამისად, ჩამოაყალიბებდა წინამდებარე ნორმას, ანუ შესაძლოა გაკეთდეს მე-3.5 მუხლის მე-2 აბზაცის შემდეგი ფორმულირება: „თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადას, ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, დაზღვეული წერილით გააფრთხილოს იგი შესატანის გადახდის შესახებ, დაუნიშნოს დამატებითი ვადა და გააფრთხილოს მისი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის თაობაზე. შესატანის განხორციელების წესდებაში მითითებული ვადის გადაცილებისათვის პარტნიორს ეკისრება ზიანის ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდის ვალდებულება. ამასთანავე, შესატანის განხორციელების დაყოვნებისათვის საზოგადოების წესდებით შესაძლოა განისაზღვროს კონვენციონალური საჯარიმო სანქცია“. თავის მხრივ, კონვენციონალური საჯარიმო სანქცია ნიშნავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამო განსაზღვრული (გარკვეულ თანხაში გამოხატული) ჯარიმის დაწესებას.

ასე რომ, შესატანის დროულ შეტანას, ქონებრივი თვალსაზრისით, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებისათვის. მისი შეუსრულებლობა კი საზოგადოებას აძლევს ისეთ სერიოზულ ბერკეტს, როგორც არის პარტნიორის

გარიცხვა საზოგადოების წევრთა რიგებიდან არა სადავო, არამედ უდავო წარმოების გზითაც (საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ამ საფუძველს საზოგადოების მიერ ურჩი პარტნიორის მიმართ სასამართლოში სარჩელის წარდგენაც კი არ უნდა სჭირდებოდეს). დავძენთ, რომ ზემოთ მოყვანილი საწარმო წარმოადგენდა ინვესტიციას საქართველოში, რომელსაც სამეწარმეო ურთიერთობა, ძირითადად, დასავლეთის ქვეყნებთან ჰქონდა. დავის პერიოდში (ვინაიდან საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში თვალსაჩინო ადგილი ეკავა წინადადებას კაპიტალის შეუვსებლობის შესახებ) აღნიშნულმა საწარმომ რამდენიმე ბიზნესგარიგება ვერ დადო კონტრაქტებთან. ვფიქრობთ, ამისი წინამძღვარი კაპიტალის არამდგრადობა გახლდათ (თუმცა ეს უმნიშვნელო თანხა იყო).

§3. „ქონების (ქონებრივი სიკეთის) მიღება საზოგადოების მიერ“ ე.წ. Sachübernahme ავსტრიულ სამართალში და მისი პროტოტიპი ქართულ ცივილისტიკაში

§§3.1. საზოგადოების მხრიდან ქონების მიღების ცნების განმარტებისთვის

საზოგადოების მხრიდან „ქონების მიღება“ იგივედება არაფულად შესატანთან და ეკონომიკურ ურთიერთობებში ისინი ერთად განიხილება. ტერმინოლოგიურად ამ ორ ინსტიტუტს უფრო ზემდგომი ცნების, „სანივთო დაფუძნების“³¹⁵ ქვეშ მოიაზრებენ.³¹⁶ მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებითა და შინაარსით იგი განსხვავდება არაფულადი შენატანისაგან, რომელსაც საზოგადოების პარტნიორი კისრულობს. აქციონერის მხრიდან ქონებრივი შესატანის განხორციელება აუცილებლად უკავშირდება მისთვის საზოგადოებაში წევრობის (მონაწილეობის) უფლებას და მისთვის აქციის გადაცემას.³¹⁷ სწორედ აქ დევს განსხვავების ძირითადი ქვაკუთხედი ამ ორ ინსტიტუტს შორის, რომელსაც ავსტრიული და გერმანული კანონები გამოყოფენ.

„ქონების მიღებისას“ საზოგადოების მხრიდან არ წარმოდგება პირზე წევრობის დათმობის, მინიჭების (უფლებამოსილებათა გადაცემის) ვალდებულება.³¹⁸ არაფულადი შესატანისაგან განსხვავებით, იგი გამსხვისებისათვის (პირი, რომელიც ქონებრივ ობიექტს გადასცემს საზოგადოებას) არ წარმოადგენს იმ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც იგი სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას აქციებს მიიღებს და ამით საზოგადოების წევრი გახდება.³¹⁹ „ქონების მიღება საზოგადოების მხრიდან (Sachübernahme), ქონებრივი შესატანის განხორციელებისაგან განსხვავებით, სააქციო საზოგადოების მშენებლობისათვის არ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს, იგი მხოლოდ გარეგნული დანამატია. რასაკვირველია, საზოგადოება სამართლებრივად შეიძლება ამის გარეშეც წარმოდგეს. იგი მოიცავს მხოლოდ

³¹⁵ გერმანულად მას ჰქვია „Sachgründung“.

³¹⁶ Hueck, Gesellschaftsrecht, S. 197.

³¹⁷ შეად.: Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 620, Rn. 61.

³¹⁸ შეად.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 226.

³¹⁹ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 222.

ინდივიდუალურსამართლებრივ აქტს“ – ამბობს დიურინგერი.³²⁰ აუცილებელი არ არის, რომ გამსხვილებელი საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი გახლდეთ, რადგან იგი შესაძლოა, მესამე (გარეშე) პირიც იყოს.³²¹ რაც შეეხება აქციონერს, ეს უკანასკნელი ქონებრივ სიკეთეს გაასხვისებს ისე, თითქოს იგი საზოგადოების წევრი არც ყოფლიყო.³²² ასე რომ, „ქონების მიღებას საზოგადოების მხრიდან“ აქციათა გაცემასა და შესატანთა განხორციელებასთან არანაირი სამართლებრივი კავშირი არა აქვს, იგი, უბრალოდ, წარმოადგენს ორმხრივ დამოუკიდებელ გარიგებას საზოგადოებასა და კონტრაჰენტებს შორის, სადაც კონტრაჰენტი შესაძლებელია იყოს როგორც საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი, ისე ყოველი მესამე პირი.³²³ მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი წინამდებარე საკითხს უშუალოდ არ აწესრიგებს, იგი მაინც არ რჩება სამართლებრივი სფეროს მიღმა. ზემოთ განხილული შემთხვევა რეგულირდება, უბრალოდ, სამოქალაქო კოდექსის ნორმებით და ნივთების გადაცემა-დათმობისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმი. თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს, რომ ასეთ შემთხვევებში ეს გარიგება წესდებაში აისახოს, ან წესდებაში დადგინდეს ის ობიექტი, რომელიც ამ გარიგების შედეგად საზოგადოებას გადაეცემა.

§3.2. „მიღების ხელშეკრულების“ სამართლებრივი ბუნების შესახებ

„მიღების ხელშეკრულების“ (Übernahmevertrag) ჩართვა წესდებაში არ გამომდინარეობს საზოგადოების შინაგანი აუცილებლობიდან. იგი საჯარო ინტერესების დაცვას ემსახურება, რათა „შესატანის განხორციელების ხელშეკრულებასთან“ არ გაიგივდეს.³²⁴ ამიტომ დადგენილია, რომ იგი (მიღების ხელშეკრულება) საზოგადოების წესდებაში უნდა აისახოს,³²⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სს-თან დამოკიდებულებაში ბათილად ჩაითვლება.³²⁶ „მიღების ხელშეკრულების“ გათვალისწინება საზოგადოების წესდებაში არ განეკუთვნება კორპორაციულსამართლებრივი ხასიათის აქტს, როგორც ეს შესატანის განხორციელების დროს ხდება ხოლმე. იგი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს უფრო ინდივიდუალურსამართლებრივ აქტს და არ შეიცავს კორპორაციული ბუნების მქონე ელემენტს. „მიღების ხელშეკრულება“, თავის მხრივ, არა

³²⁰ Düringer/Hachenburg/Bing, Kommentar zum HGB, §186 Anm. 15. ვუთითებ: Barz/Klug/Wiedemann/Bronner/Melerovicz/Schilling/Würdinger, Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 222.

³²¹ იხ.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 226.

³²² Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 222.

³²³ შეად.: Bayer in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 409, Rn. 25.

³²⁴ ასევე არ მოხდეს ქონებრივი დოვლათის გადაფასება (მაგალითად, არაფულადი შესატანის შეფასება უფრო მაღალ ფასად, ვიდრე მისი რეალური ღირებულება), დაცული იყოს მომავალი აქციონერების ინტერესები საზოგადოებასთან მიმართებით, აგრეთვე, უზრუნველყოფილი იქნეს კრდოტორთა უსაფრთხოება, არ მოხდეს დაფუძნების სტადიაში მყოფი სს-ის შეცდომაში შეყვანა და ა.შ. იხ.: A. Hueck, Gesellschaftsrecht, München 1998, S. 197.

³²⁵ §20, Abs. (1) იხ.: Kodex des österreichischen Rechts, 23. Auf., Verlag Orac, Wien 2000, S. 219; Doralt in MünchenerKomm. zum AktG, (2000), S. 648, Rn. 134.

³²⁶ Hueck, Gesellschaftsrecht, S. 197.

საზოგადოებრივსამართლებრივი, არამედ ვალდებულებითსამართლებრივი მოვლენაა. მიჩნეულია, რომ იგი უდავოდ ვალდებულებითსამართლებრივი ბუნების მატარებელია.³²⁷ ამიტომ საზოგადოების დაფუძნებისათვის იგი აუცილებელი და საჭირო ელემენტი არ არის. მაგრამ მისი ჩართვა საზოგადოების წესდებაში „მიღების ხელშეკრულების“ ნამდვილობის წინაპირობას განსაზღვრავს.³²⁸ ასე რომ, უნდა განვასხვაოთ და აღვნიშნოთ, რომ მიღების შინაარსი არ გამოიხატება აქციათა „შექმნაში“ (აქციათა გაცემის ვალდებულება), არამედ ფულში ან რაიმე სხვა გაცვლად ფასეულობაში, სიკეთეში მდგომარეობს. „მიღების ხელშეკრულება“, თავისი სამართლებრივი შინაარსით, იგივეა ნასყიდობის, გაცვლის ან სხვა ტიპის სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებებთან და მის მიმართ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოიყენება ის ნორმა-დებულებები, რომლებსაც შეიცავენ ზემოხსენებული გარიგებები. ასე, მაგალითად, ვინაიდან ნასყიდობის დროს გამოიყენება ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ნასყიდობისათვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობები, „მიღების ხელშეკრულების“ დროსაც უნდა მოქმედებდეს იდენტური სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები. რაც შეეხება წინამდებარე ხელშეკრულებისას ნების გამოვლენისა და გარიგების ბათილობის დროს წარმოქმნილ პრობლემებს, ისინიც ზუსტად იმგვარად წესრიგდება, როგორც მათ სამოქალაქო სამართალი არეგულირებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუკი მიღების ხელშეკრულება (აქედან გამომდინარე, მაგალითად, ნივთები, ობიექტები, რომლებიც მიღების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენენ) არ აისახება საზოგადოების წესდებაში, მაშინ სააქციო საზოგადოების მიმართ ქრება ის ვალდებულება, რაც ორმხრივ, საპასუხო შესრულებაში გამოიხატება.³²⁹ ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მივიღებთ იმ შედეგს, რომ დამფუძნებლის, ან სხვა მესამე პირის მხრიდან საზოგადოებისათვის ქონებრივი სიკეთის გადაცემა, უბრალოდ, უსასყიდლო გადაცემის რეჟიმში მოექცევა.

§33.3. „მიღების ხელშეკრულების“ საგნის შესახებ

საზოგადოების მხრიდან ქონების მიღების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი სიკეთე, რომელიც, ძირითადად, ქმნის არაფულადი შესატანის საგანს. პრაქტიკაში უმთავრესად გამოიყენება ის მოწყობილობები (ან ვთქვათ დანადგარები), რომლებიც საჭირო და მომგებიანია საზოგადოებისათვის. რაც შეეხება მომსახურების გაწევის ვალდებულებას, აქაც ის აზრია გატარებული, რაც არაფულადი შესატანის დროს დომინირებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუკი „მიღების ხელშეკრულების“ საგანს წარმოადგენს „აღმოჩენები“ ან საპატენტო უფლებები, მაშინ სახეზე გვექნება სალიცენზიო ხელშეკრულება³³⁰

³²⁷ Kraft in KölnerKomm. zum AktG, §27, Rz. 42; Pentz in MünchKomm. zum AktG, §27, Rz. 65; Röhrich in GrossKomm. zum AktG, §27, Rz. 115, 118. უუთითებ: Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 409, Rn. 27.

³²⁸ Doralt in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 148, Rn. 134.

³²⁹ Hueck, Gesellschaftsrecht, S. 197.

³³⁰ Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 222-223.

(*გ.წ. Lizenzvertrag*).³³¹ „მიღების ხელშეკრულება“ მაშინაც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც საზოგადოება პირს არანაირ სასყიდელს არ სთავაზობს. ამგვარ სტრუქტურას ჰქვია „დაფარული შესატანი“ (*ანუ გ.წ. „verdeckte Sacheinlage“*).³³² ეს უმთავრესად ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოების დამფუძნებელი საზოგადოებას უსასყიდლოდ გადასცემს გარკვეულ ქონებრივ ობიექტს სწორედ იმიტომ, რომ იგი საზოგადოების წევრია. ბუნებრივია, ამგვარი პირი საზოგადოების წევრი რომ არ ყოფილიყო, იგი უსასყიდლოდ საზოგადოებისთვის არაფერს გაიღებდა.

გვინდა აღვნიშნოთ: განსხვავება ქონებრივ შესატანსა და „ქონების მიღებას“ შორის გამოიხატება იმაში, რომ „შესატანის განხორციელების ხელშეკრულებას“ მხოლოდ საზოგადოების დამფუძნებელი დებს, მაშინ, როდესაც „მიღების ხელშეკრულების“ დადება საზოგადოებასთან მესამე პირებსაც შეუძლიათ. მესამე პირი „მიღების გარიგების“ დასრულებისას ავტომატურად არ ხდება საზოგადოების პარტნიორი და ასევე არ მონაწილეობს წესდების დამტკიცებაში. უნდა ითქვას, რომ საზოგადოება პირს, რომელიც ქონებრივ საგანს გადასცემს საწარმოს, რაიმე საფასურს, სასყიდელს უხდის (როგორც ეს დამახასიათებელია სწორედ ორმხრივი მავალდებულებელი გარიგებებისათვის), მაგრამ მას აქციებს არ გადასცემს. საზოგადოების წესდებაში კი, შესაბამისად, ჯერ ის შესატანი იქნება წარმოდგენილი, რომელიც დამფუძნებელმა პარტნიორებმა განახორციელეს, ხოლო შემდგომ კი „მიღების ხელშეკრულების“ შესახებ იქნება მინიშნება.

თუკი დამფუძნებელი თავისი ქონებრივი საგნისათვის საზოგადოებისაგან მიიღებს ნაწილობრივ აქციებს, ხოლო ნაწილობრივ კი – სასყიდელს, მაშინ უკვე სახეზეა *გ.წ. შერეული შენატანი (gemischte Sacheinlage)*.³³³

ქართულ სამეწარმეო სამართალში ეს თვალსაჩინოდ წარმოდგენილი არ არის. როგორც ვახსენეთ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამ შემთხვევაში ძირითადად ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსსა და მის ნორმა-დებულებებს. პრაქტიკა ამის განცალკევების უკიდურეს აუცილებლობასაც ვერ ხედავს, თუმცა საკორპორაციო სამართლის თეორიისათვის ამ ორ ინსტიტუტს, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. თუკი ქართულ სასამართლო პრაქტიკას გადავაგვლებთ თვალს, ვერ ვიპოვნით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სს, დაფუძნების დროს, აქციონერთა ან მესამე პირთა მხრიდან განსაზღვრულ ქონებრივ სიკეთეს იღებდეს და ამის სანაცვლოდ მათ რაიმე სახის სასყიდელს უხდიდეს.

³³¹ ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, II გამოც., თბ. 2002, გვ. 100-130; ასევე იხ.: Creifelds, Rechtswörterbuch, S. 875-876.

³³² R. Bömmert, Verdeckte Vermögensverlagerungen im Aktienrecht, Verlag Heymann, Köln 1989, S. 89.

³³³ იხ.: Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 229-230; ასევე: Bayer in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 410, Rn. 29, 30; Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 622-623, Rn. 67, 68; Heidinger in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 234-235, Rn. 64, 65, 66; და ა.შ.

§4. დასკვნის ნაცვლად

საბოლოოდ, ზემოთ მიმოხილული ქონებრივი საკითხების შემდეგ, შეიძლება მოკლე რეზიუმე გაკეთდეს და აღინიშნოს: იმისათვის, რომ საწარმომ (სს-მ) სრულყოფილი იურიდიული, კორპორაციული პირის სტატუსი შეიძინოს, აუცილებელია მისი სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირება. საზოგადოების რეგისტრაციას, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორების, მესამე პირების და, საერთოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიისთვის. „წინარე საზოგადოების“, ასევე, ქონებრივი შესატანების განხორციელების დროს, ძირითადად, ურთიერთობის მონაწილეები დამფუძნებელი პარტნიორები (ურთიერთშორის) და საწარმოს წევრები და საზოგადოება არიან. მაგრამ მათი ეს ურთიერთობა მიმართულია მესამე პირების ინტერესებისაკენ, ურთიერთობის გატანისაკენ საზოგადოების გარეთ.³³⁴ სწორედ ამიტომ ამას საჯაროსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება ითქვას, რომ იგი *სოციალური პროგნოზირების* ფუნქციის მატარებელიცაა. ამიტომ მიზანშეწონილია აღინიშნოს შემდეგი: „წინარე საზოგადოების“ მნიშვნელობასა და მის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით უნდა დავძინოთ, რომ საზოგადოების რეგისტრაცია არის მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ლეგიტიმური, კონსტიტუციური ფაქტი. მისი მიზანია სამართლებრივ ურთიერთობებში ქონებრივად მონაწილე პირთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა (მისი სოციალური პროგნოზირებისა და კონტროლის ფუნქცია შეიძლება ამაშიც დავინახოთ³³⁵). სწორედ, მესამე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის, ასევე ავსტრიის „ფორმათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონმდებლობის (რეგისტრაციის შესახებ ნორმებს ავსტრიის ფედერაციაში სწორედ წინამდებარე ნორმატიული აქტი შეიცავს) მოთხოვნების შესრულებას.

საზოგადოების დასაფუძნებლად (სამართლებრივად შესაქმნელად), როგორც წესი, საჭიროა მომავალი პარტნიორების მიერ განსაზღვრული (ქონებრივი) შესატანის განხორციელება,³³⁶

³³⁴ ავსტრიულ სამართალში დამკვიდრებულია ტერმინი „Handeln nach Aussen“.

³³⁵ ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საზოგადოების რეგისტრაციით, ერთგვარად, პროგნოზირებადი ხდება, მაგალითად, კრედიტორთა მოთხოვნების შესაძლო დაკმაყოფილების ალბათობა საზოგადოების ქონების ხარჯზე, ქონებრივად მონაწილე პარტნიორთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოების რეგისტრაციით განჭვრეტადი ხდება ის ურთიერთობა და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი, რომელიც საზოგადოებას და მის წევრებს, საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის მყარდება. ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: Bernd Rüthers, *Rechtstheorie, Begriff, Geltung und Anwendung des Rechts*, Verlag C.H.Beck, München 1999, S. 52-53; გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2004, გვ. 45.

³³⁶ თუმცა ყურადღება აუცილებლად გასამახვილებელია იმ ცვლილებათა „კატალოგზე“, რომელიც ამ საკითხთან მიმართებით სულ რამდენიმე ხნის წინ განხორციელდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. კერძოდ, საკითხი ეხება კანონის მე-3.5 მუხლის პირველ აბზაცს, რომლის მიხედვითაც, „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში წერილობით ფორმით დადებული ცალკე ხელშეკრულებით განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შესატანის განხორციელების წესი, ვადა, შესაბამისი წილი და პასუხისმგებლობის მოცულობა დადგენილი წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში“. როგორც

რითაც პირები ამ საზოგადოებაში თავიანთ მონაწილეობას ადასტურებენ და რის თაობაზეც უკვე იყო საუბარი. საზოგადოების დაფუძნებისას განხორციელებული შესატანის განკარგვის უფლება საწარმოს „დაარსებისას“ ეკუთვნის „წინარე საზოგადოებას“, ხოლო მისი (შესატანის) განხორციელების შემდეგ კი ეს ფუნქცია თავად საზოგადოებას ენიჭება. საზოგადოება ხდება ამ ქონების მესაკუთრე. თუ საზოგადოებას არ მიუწვდება ხელი, მაგალითად, არაფულადი შესატანის თავისუფალ გამოყენებაზე, მაშინ, თავისთავად ცხადია, შესატანი განხორციელებულად ვერ ჩაითვლება და საზოგადოებას უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე.³³⁷ შესატანის განხორციელების გზით საზოგადოებას უნდა შეექმნას ისეთი ქონება, რომელიც აუცილებლობისას კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უპირველეს გარანტიას შექმნის. ქართული სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ქონებრივი შესატანის გაფორმება უნდა განხორციელდეს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისათვის გათვალისწინებული წესით. თუ, მაგალითად, არაფულადი შესატანის ობიექტია უძრავი ნივთი, ამას უთუოდ სჭირდება სანოტარო წესით დამოწმება და ობიექტის სახეობის ზუსტად აღნიშვნა, ასევე, იმის დაწვრილებითი აღწერა, თუ ვინ გადასცემს ამ ქონებას და საზოგადოების, როგორც მესაკუთრის, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ხოლო კრედიტორების ინტერესთა დაცვისა და საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც ქართული, ისე ავსტრიული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ განისაზღვროს: საწესდებო კაპიტალის ოდენობა წესდებით; თითოეული პარტნიორის ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით; საწესდებო კაპიტალში შესატანის ფორმა; არაფულადი შესატანის შემთხვევაში მისი სავალდებულო შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ; საწესდებო კაპიტალის გამოქვეყნება პრესაში და ა.შ.³³⁸ თუკი საზოგადოების წესდება არ

წინამდებარე ნორმის მოცემულობიდან ჩანს, დამფუძნებელმა პარტნიორებმა შეიძლება საკუთარი შეხედულებით განსაზღვრონ საწესდებო კაპიტალის შევსების ვადა. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის (ძირითადად ქონებრივ ობიექტებთან მიმართებით) შევსება საზოგადოების რეგისტრაციამდე თვით ამ საწარმოს რეგისტრაციის წინაპირობად აღარ იქცევა. აუცილებელია წესდებაში ან წესდებით დადგენილ შემთხვევაში ცალკე ხელშეკრულებაში აისახოს მხოლოდ საზოგადოების თითოეული დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა და წილი. ასეთი დასკვნა კეთდება კანონის მე-3.5 და მე-5.3 მუხლების განმარტებიდან და შინაარსიდან. ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ცვლილებები, სხვა ხარვეზებთან ერთად, ვერ უზრუნველყოფს საწესდებო კაპიტალის და საზოგადოების მხრიდან კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას. თუმცა მოცემული ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში მსჯელობა სწორედ იმაზეა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალი და რა დატვირთვა აქვს მას საერთოდ კაპიტალური კორპორაციული სახის წარმონაქმნისთვის. გამომდინარე ნაშრომში განვითარებული მოსაზრებებიდან და პოზიციიდან, მიზანშეწონილია კერძოდ ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული მეცნიერული დასკვნების და დასაბუთების გაკეთება. ამ ნაშრომში საუბარი სწორედ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ნორმების შესაძლო სრულყოფაზეა. ამიტომ აქ განხილულია ის შემთხვევა, როდესაც საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ძირითადი ნაწილი მის რეგისტრაციამდე სრულყოფილად უნდა შეივსოს.

³³⁷ იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რასაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გვთავაზობს. შეადარეთ 336-ე სქოლიოში განვითარებული მსჯელობა.

³³⁸ თუმცა, თუკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რეფორმა განხორციელდება, მაშინ, ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ძალაში შევიდეს გარკვეული

შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5.3.1 და მე-5.3.3 მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემებს, ანდა შეიცავდა არასრულყოფილად, მაშინ პარტნიორებს შორის შეთანხმება (ქონებრივი) შესატანის განხორციელების თაობაზე – ბათილად განიხილებოდა. ეს კი შესაძლებელია განხილულიყო საზოგადოების დაშლის საფუძვლადაც, რადგანაც მიიჩნევა, რომ პარტნიორებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას³³⁹ (ნებას, კონსენსუსს, „ინტერესთა სოლიდარობას“, რაც აუცილებელია ასეთ დროს). საწარმოს რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს, თუ მისი რეგისტრაციის მასალებში, ასევე წესდებაში არ არის მითითებული, თუ, მაგალითად, რა სახის მატერიალური თუ არამატერიალური ობიექტია შეტანილი საწესდებო კაპიტალში. პასუხისმგებლობა ასეთი ვითარების დროს ეკისრება დირექტორატს, რომლის თავისუფალ განკარგვასაც უნდა ექვემდებარებოდეს შესატანი³⁴⁰ (ასევე ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონის 41-ე პარაგრაფი). თუ აღნიშნულის მიუხედავად, საგადასახადო ორგანოში, ან სასამართლოში (ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაციას სასამართლოები ახორციელებენ, საქართველოსაგან განსხვავებით) საზოგადოების რეგისტრაცია მაინც მოხდა (როდესაც საზოგადოების წესდება შესატანის შევსებას საწარმოს რეგისტრაციის მომენტისათვის ადგენს), რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება უშეცდომოდ რეგისტრირებულად, საზოგადოების არსებობა ჩაითვლება ნამდვილად, მაგრამ ბათილი იქნება პარტნიორის ვალდებულება შესატანის (ამ შემთხვევაში უფრო არაფულადი შენატანის) შესახებ საზოგადოების წინაშე, თუმცა ის არ განთავისუფლდება საზოგადოების წინაშე ვალდებულებისაგან და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად (მუხლი მე-3), მას დაეკისრება შესატანის განხორციელება ფულით.³⁴¹ ამიტომ, ამ შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივია, სასამართლომ (საგადასახადომ) არ შემდგარად მიიჩნიოს ის გარიგება, რომელიც, მაგალითად, გარკვეული ფართის გადაცემის (უძრავი ნივთის საზოგადოებისათვის გადაცემის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით (ავსტრიაში სანოტარო წესით) დამოწმებული ხელშეკრულების გარეშე იქნა შესრულებული.³⁴² თუმცა, ეს არ უნდა გახდეს აპრიორი საზოგადოების გაუქმებისა.

ცვლილებები. მაგალითად, საზოგადოების რეგისტრაციაზე დადგომის სავალდებულობა და ა.შ.

³³⁹ იხ.: სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2004 წ., გვ. 115. ამ მხრივ ქართული სასამართლო პრაქტიკა, იმ დროს მოქმედი კანონიდან გამომდინარე, უეჭველად სწორი მიმართულებით ვითარდებოდა. თუმცა კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკა, ალბათ, სხვა კუთხით წავა, რაც, ჩვენი აზრით, უფრო მეტი უარყოფითი შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე დადებითი.

³⁴⁰ Canaris, Handelsrecht, (2000), S. 269-270.

³⁴¹ სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2004 წ., გვ. 115.

³⁴² იხ.: სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2004 წ., 111-115.

ნაწილი IV. აქცია, როგორც ქონების სახეობა სააქციო საზოგადოებაში

თავი I. აქცია: კაპიტალის არსებობის თავისებური ფორმა

§1. აქციის რაობა და ფუნქციები

აქციას რამდენიმე ისეთი ფუნქცია აქვს, რომელთა გამოყოფაც საჭიროდ მიგვაჩნია:

- ა) გადაცემის ფუნქცია;
- ბ) გარანტიის ფუნქცია;
- გ) ლეგიტიმაციის ფუნქცია.

1. უფლება, რომელიც განმტკიცებულია ამა თუ იმ აქციაში, შესაძლებელია, სხვა პირს გადაეცეს მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაცემის გზით. აქედან გამომდინარე, გადაცემის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ აქციაზე საკუთრების უფლების გადაცემით პირზე ავტომატურად გადადის უფლება, რომელიც მასშია განმტკიცებული;³⁴³

2. გარანტიის ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ აქციის შეძენით მიღებულ უფლებას ისეთი შინაარსი აქვს, რომელიც დოკუმენტში არის აღნიშნული. ამიტომ არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს ისეთი მოთხოვნები, რომელთაც თვით ამ აქციასთან არანაირი კავშირი (სამართლებრივი ურთიერთობა) არ აქვთ. გარანტიის, ანუ სამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნქცია ფასიანი ქაღალდის მფლობელს აძლევს ასევე შესაძლებლობას, რომ მასში განმტკიცებული უფლება ცესიის მეშვეობით გადასცეს გამოსაყენებლად სხვა პირს;

3. მესამე ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქციაში გამოსატული უფლების რეალიზაცია მფლობელს შეუძლია მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდის წარდგენის შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ზოგადად ფასიანი ქაღალდის ისეთი ფუნქციაა, რომლის მიხედვითაც ემიტენტი მოვალეა, ყოველ მის მფლობელს გადაუხადოს მოთხოვნილი თანხა.

საერთოდ, ვინაიდან აქცია ფასიანი ქაღალდია, მას აქვს ასევე ე.წ. ლიბერაციული ფუნქციაც, რომლის მიხედვით მოვალე, შესაძლოა, გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან ქაღალდის ყოველი მფლობელის სურვილის შესაბამისად. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ზემოთ ნახსენები გარანტიის ფუნქცია იდენტურია ე.წ. ფასიანი ქაღალდის საპრეზენტაციო ფუნქციისა, რაც, როგორც ითქვა, იმას ნიშნავს, რომ ამ უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ ფასიანი ქაღალდის წარდგენის მეშვეობითაა შესაძლებელი. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ფასიანი ქაღალდი ფიზიკურად არსებობს (სუბსტანციურადაა დადგენილი). გამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. papierlose Wertpapiere,³⁴⁴ ანუ ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ფიზიკურად, დოკუმენტურად განცალკევებულად არ არსებობენ. მათ მხოლოდ იურიდიული,

³⁴³ Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (под ред. О. Н. Садикова), Часть I, Москва 1999, ст. 305.

³⁴⁴ C. P. Claussen, Bank- und Börsenrecht, 3. Auf., Verlag C.H.Beck, München 2003, S. 412-413.

სამართლებრივი დატვირთვა გააჩნიათ (მაგალითად, ერთიანი, საერთო მოწმობა³⁴⁵), რომელიც რამდენიმე უფლებას განამტკიცებს, ასეთია მაგალითისათვის ე.წ. გლობალური მოწმობა, გლობალაქცია, რომელზედაც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი).

აქცია, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არის ფასიანი ქაღალდი,³⁴⁶ რომელიც სამოქალაქო სამართალში მოძრავი ნივთების კატეგორიას განეკუთვნება.³⁴⁷ გამომდინარე აქედან, იგი აღიარებულია ნასყიდობის, მიბარების, დაგირავებისა და სხვა სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებების ობიექტად.³⁴⁸ თავის მხრივ, აქცია, როგორც ფასიანი ქაღალდი, საფონდო ბირჟაზე (ბაზარზე) ვაჭრობის სპეციფიკურ ობიექტს წარმოადგენს.³⁴⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ფასიანი ქაღალდის ცნებას იცნობდა ასევე საბჭოთა სამართალიც. თუმცა ტერმინი „ფასიანი ქაღალდი“ გერმანული სამართლიდან შემოვიდა. 1875 წელს უდიდესმა გერმანელმა სამართალმცოდნემ ბერტოლდ ტოლმა შესძინა ამ სიტყვას თავისი ტერმინოლოგიური დატვირთვა და განმარტა, როგორც „სანივთოსამართლებრივი შინაარსის მქონე ყოველგვარი დოკუმენტი“.³⁵⁰ ბრუნერი ამბობდა, რომ „ფასიანი ქაღალდი (აქცია) არის კერძო უფლების მქონე დოკუმენტი, რომლის რეალიზაციაც თავად ამ დოკუმენტის მფლობიდან გამომდინარეობს“.³⁵¹ ამჟამად არსებობს ტერმინ ფასიანი ქაღალდის რამდენიმე განმარტება. მისი მიხედვით, ფასიანი ქაღალდი აღიქმება, როგორც წერილობითი დოკუმენტი, კორპორაციაში (სს-ში) წილის დამამტკიცებელი საბუთი (აქცია), ან ინვესტიცია, რომელიც, თავის მხრივ, იღებს აქციის ან ობლიგაციის სახეს, ან კიდევ – დოკუმენტი, რომელიც განამტკიცებს რეალურ აქტივებზე მოთხოვნის უფლებას.³⁵² უფლება, რომელსაც შეიცავს საერთოდ ფასიანი ქაღალდი (აქცია), შეიძლება სხვა პირს (არამფლობელ პირს) მიენიჭოს მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაცემის მეშვეობით.³⁵³ აქვე აღსანიშნავია ის, რომ

³⁴⁵ ე.წ. Sammelurkunde.

³⁴⁶ Bydlinski, Grundzüge des Privatrechts, S. 248.

³⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, აქცია სწორედ მოძრავი ნივთის კატეგორიას განეკუთვნება, რადგან სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ცალკე მოძრავი ნივთის ლეგალურ დეფინიციას, იგი 149-ე მუხლთან მიმართებით უნდა განიხილოს. იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ. 1999, გვ. 20. ზოგადი ხასიათისაა ავსტრიის სამოქალაქო სჯულდების (კოდექსის) 285-ე პარაგრაფი, რომელიც განსაზღვრავს ნივთის ცნებას (ნივთებად განიხილება ყველაფერი, რაც პირისგანაა განსხვავებული და რაც მისი (პირის) სარგებლობისთვის გამოიყენება. ABGB §285). ეს ნორმა ზოგადი ხასიათის ნორმაა. ხოლო აქციის, როგორც მოძრავ ნივთად აღიარებას კი განმარტავს ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 293-ე პარაგრაფი, რომელიც მოძრავი და უძრავი ნივთების დეფინიციას იძლევა. იხ.: Bydlinski, Grundzüge des Privatrechts, S. 81.

³⁴⁸ იხ.: W. Kastner, P. Doralt, C. Nowotny, Grundriss des österreichischen Gesellschaftsrechts, 5. Auf., Wien 1990, S. 193-202.

³⁴⁹ იხ.: G. Roth, Grundriss des österreichischen Wertpapierrechts, Wien 1999, S. 148-150.

³⁵⁰ Агарков М. М., Учение о ценных бумагах, Москва 1927, ст. 13.

³⁵¹ Агарков М. М., Учение о ценных бумагах, Москва 1927, ст. 14.

³⁵² Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, ст. 304-305.

³⁵³ შეად.: ე. ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2004, გვ. 95. უფრო დაწვრილებით ფასიანი ქაღალდების შესახებ

აქციის ცნებაში ასევე მოიაზრება ის დოკუმენტი (ან ვთქვათ ბარათი), რომელიც განსაზღვრულ სამართალურთიერთობას აფორმებს. ასე რომ, ფასიანი ქაღალდი (აქცია) არის ისეთი დოკუმენტი, რომლის კანონიერი წარმდგენი უფლებამოსილია, მოითხოვოს მასში გამოსატყულები ქონებრივი უფლება, ხოლო ქაღალდის გამცემი კი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება.³⁵⁴ ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური შემადგენლობით, აქციას მიიჩნევენ, როგორც კაპიტალის არსებობის განსაკუთრებულ (თავისებურ) ფორმად, რომელიც თავად კაპიტალის ნაცვლად შეიძლება გადაეცეს პირს. იგი იქნება საბირჟოუნარიანი ქაღალდი და მის უკან ყოველთვის იქნება განმტკიცებული შესაძლო მოგების მიღების უფლება.³⁵⁵

საბირჟოსამართლებრივი მნიშვნელობით „ფასიანი ქაღალდი არის - აქცია, კუქსი, დროებითი მოწმობა, მოგებისა და განახლების მოწმობა, წარმომდგენისა და ინდოსამენტის მეშვეობით გადაცემადი ობლიგაცია, აგრეთვე, სხვა ფასიანი ქაღალდი, თუკი მას საწარმდგენლო ხასიათი გააჩნია“.³⁵⁶

სავაჭროსამართლებრივი თვალსაზრისით, აქცია არის მოწმობა, რომელშიც კერძო უფლება იმგვარადაა განმტკიცებული, რომ მისი (უფლების) გამოყენებისათვის, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, საჭიროა თვით ამ მოწმობის ფლობა.

საერთოდ, ფასიანი ქაღალდების გარიგებები, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ახალი მოვლენაა, ქმნიან ინსტრუმენტულ ბაზისს თვით ამ ფასიანი ქაღალდებისათვის, მაგალითად, აქციებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ემიტენტის (აქციიდან წარმოშობილი) სამართლებრივი ვალდებულება და აქციის (როგორც ფასიანი ქაღალდის) მესაკუთრის უფლებები წარმოდგება ე.წ. საემისიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, იდება ემიტენტსა და უფლების თავდაპირველ კრედიტორს ან ფასიანი ქაღალდის თავდაპირველ მესაკუთრეს შორის.³⁵⁷

ა) საემისიო ხელშეკრულების შესახებ

რას ნიშნავს თავად საემისიო ხელშეკრულება? ზოგადად, საემისიო ხელშეკრულება წარმოადგენს სააქციო სამართლისათვის დამახასიათებელ კატეგორიას.

განასხვავებენ ვალდებულებითსამართლებრივ და სანივთოსამართლებრივ საემისიო ხელშეკრულებებს.

ვალდებულებითსამართლებრივი საემისიო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგება ამა თუ იმ ფასიან ქაღალდში განმტკიცებული კავშირი (მაგალითად, აქციიდან გამომდინარე საზოგადოებაში წევრობის უფლება-მოსილებათა ერთობლიობა). სანივთოსამართლებრივი საემისიო ხელშეკრულება კი უზრუნველყოფს ფასიან ქაღალდში განმტკიცებული უფლების, როგორც ნივთის გადაცემას, თანახმად საქართველოს სამოქალაქო

შეგიძლიათ იხილოთ იგივე სტატია: ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, გვ. 95-105.

³⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II. გვ. 250.

³⁵⁵ შეად.: Н. Ю.Круглова, Компечское право, учебник, Москва 2000, ст. 763.

³⁵⁶ Claussen, Bank- und Börsenrecht, S. 413.

³⁵⁷ იხ.: Claussen, Bank- und Börsenrecht, S. 412-414.

კოდექსის 186-ე მუხლისა, რომლის მიხედვითაც, „მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი“.

ფასიანი ქაღალდისაგან წარმოშობილი (მისგან გამომდინარე) ვალდებულება არ წარმოდგება მხოლოდ ამ დოკუმენტის (მაგალითად, აქციის) დაბეჭდვით, მისი მხოლოდ ფიზიკური არსებობით, როგორც ამას ითვალისწინებდა ე.წ. კრეაციის თეორია.³⁵⁸ საპირისპირო და, ჩვენი აზრით, სრულიად მართებული მოსაზრებაა განვითარებული ე.წ. საემისიო თეორიის³⁵⁹ მიერ. წინამდებარე თეორიის მიხედვით, მხოლოდ ემისიით იქმნება-ყალიბდება უფლებისა და თვით მოწმობის ერთობლიობა. მას შემდეგ, რაც წარმოებული და ხელმოწერილი მოწმობა ემიტენტსა და მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულების მეშვეობით იქნება განთავსებული, წარმოდგება ფასიანი ქაღალდისაგან (აქციისაგან) გამომდინარე სამართლებრივი ვალდებულება, დატვირთვა (ანუ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეიძინოს მან მავალდებულებელი ხასიათი). საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი: კეთილსინდისიერი შემძენი არ იქნებოდა დაცული, თუკი იგი არასაემისიოდ განთავსებულ (განკუთვნილ) ფასიან ქაღალდს შეიძენდა. მაგალითად, ა ყიდულობს ბ-სგან არაგანთავსებულ საწარმდგენლო ობლიგაციას, ან კიდევ აქციას, რომელიც ბ-მ ფასიანი ქაღალდების ბეჭდვით ორგანოში მოიპარა. ა ვერ შეიძენს ვერანაირ უფლებას. ეს თავისთავად ცხადია. ფასიან ქაღალდში განმტკიცებული უფლების გამოყენება სამართლებრივად რამდენიმე ნაბიჯთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი და, მათ შორის - მთავარი, გახლავთ ის, რომ იგი ლეგიტიმური უნდა იყოს. ამიტომ მხოლოდ ფიზიკურად დაბეჭდილი აქცია არა ფასიანი ქაღალდი, არამედ უბრალოდ „ფარატინა ფურცელია“.

ამ თეორიებისაგან დამოუკიდებლად, თუ როდის იწყებს აქცია სამართლებრივ არსებობა-ფუნქციონირებას, მოქმედებს ფუნდამენტური პრინციპი ფასიანი ქაღალდის უფლებამოსილების ერთობლიობის შესახებ: 1. მოთხოვნები, გამომდინარე დადგენილი, მიკუთვნებული უფლებიდან, ანუ ქაღალდისაგან გამომდინარე უფლება, და 2. თვით ამ ქაღალდის განკარგვის უფლებამოსილება, ანუ უფლება ფასიან ქაღალდზე. ორივე ერთობლივად ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს. აქციისაგან გამომდინარე უფლება მისდევს თვით უფლებას ამ ფასიან ქაღალდზე. ამიტომაც აქციის, და, ზოგადად, ყველა სხვა ფასიანი ქაღალდის, გასხვისებისას წარმოუდგენელია უფლება (მაგალითად, აქციიდან გამომდინარე წევრობის უფლება, ვალდებულებითსამართლებრივი საკორპორაციო უფლება) გადავიდეს ა-ზე, ხოლო სანივთო უფლება (საკუთრების უფლება) თვით ამ ფასიან ქაღალდზე კი გადავიდეს ბ-ზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს ბირჟაუნარიანი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელ ძირითად თვისებას.

³⁵⁸ Schmidt, Handelsrecht, S. 688.

³⁵⁹ ე.წ. Begebungstheorie.

ბ) „მიმოქცევადი ქალაქისთვის“ დამახასიათებელი თავისებურება

საერთოდ, ფასიანი ქაღალდების სამართალში გაბატონებული მოსაზრება არის ის, რომ ფასიანი ქაღალდი გადავაქციოთ ქონებრივ (სანივთო) სამართლებრივ ბრუნვაუნარიან და, ამასთანავე, სავაჭრო მიმოქცევისათვის ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომ ნივთად. ეს კი ხდება მხოლოდ ქონებრივი უფლების მოწმობაში განმტკიცების გზით. აქცია განკუთვნილია სანივთო (ქონებრივი) უფლების მატარებლისათვის. ამიტომაც აქციის, როგორც ფასიანი ქაღალდის, გასხვისებისათვის დამახასიათებელია ის პრინციპი, რაც არსებობს სანივთო სამართალში მოძრავი ნივთების გასხვისებისათვის. შემთხვევით არ გვისხენებია, რომ აქცია განეკუთვნება სამოქალაქო სამართალში მოძრავი ნივთების კატეგორიას. ამას მიუყვართ ცივილისტიკაში დამკვიდრებულ იმ შედეგამდე, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო კოდექსი იცავს კეთილსინდისიერ შემძენს მოძრავი ნივთის მისთვის გადაცემის დროს.³⁶⁰ იგივე პრინციპი უნდა მოქმედებდეს ასევე ფასიანი ქაღალდებისთვის ზოგადად. მაგრამ აქ აქციის (ფასიანი ქაღალდის) მიმართ ვაწყდებით, გარკვეულწილად, სხვაგვარ მიდგომას. მაგალითად, აქცია, მისი პირდაპირი მნიშვნელობით, იწოდება როგორც „მიმოქცევადი ქაღალდი“ (ე.წ. Verkehrspapier).³⁶¹ ამ მხრივ მასში განმტკიცებული უფლება ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს მერყევი (საცილო). ამიტომ ამგვარი მიმოქცევადი ქაღალდებისათვის დამახასიათებელია (შესაბამისად, ცხადია, აქციისთვისაც) Numerus Clausus პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა და შეზღუდა მიმოქცევადი ქაღალდების წრე. ასევეა მოწესრიგებული თვით ამ ქაღალდების გასხვისების პროცედურა, რაც ამცირებს, მაგალითად, ბირჟებზე ან ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს კეთილსინდისიერი შემძენის გარანტიისა და დაცვის უზურნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევებს. ამ დროს პრივილეგიურ მდგომარეობაში ხვდება კეთილსინდისიერი შემძენი და ნივთის (ფასიანი ქაღალდი გვაქვს მხედველობაში) მისგან გამოთხოვის პრაქტიკულად არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს.

§2. აქციის ქონებრივი მნიშვნელობისთვის

ა) ზოგადად

საერთოდ სიტყვა „აქცია“, ძირითადად, სამი მნიშვნელობით იხმარება და სამ კრიტერიუმამდე დაიყვანება:

- ა) იგი აღნიშნავს საწესდებო კაპიტალის წილს;³⁶²
- ბ) იგი წევრთა უფლებამოსილებათა და მოვალეობათა ერთობლიობას გამოხატავს;³⁶³
- გ) აქცია – ეს ფასიანი ქაღალდის დამამტკიცებელი მოწმობაა.³⁶⁴

³⁶⁰ Claussen, Bank- und Börsenrecht, S. 414.

³⁶¹ Claussen, Bank- und Börsenrecht, S. 414.

³⁶² Richter, Handelsrecht, Rechtskurse, III/1 AG, S. 6.

³⁶³ Mader, Kapitalgesellschaften, S. 61.

³⁶⁴ Mader, Kapitalgesellschaften, S. 62.

აქედან გამომდინარე, შეიძლება აქციის, როგორც ქონებრივი წარმონაქმნის, ცნების დადგენაც, რომლის მიხედვითაც, იგი არის ფასიანი ქაღალდი (ქონებრივი ბუნების მატარებელი მოძრავი ნივთი), რომელიც აღნიშნავს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის წილს, ადასტურებს აქციონერის წევრობის უფლებამოსილება-მოვალეობას საწარმოში და აძლევს მის კეთილსინდისიერ მფლობელს საზოგადოების მართვისა და მოგების მიღებაში მონაწილეობის უფლებას (საკორპორაციოსამართლებრივ უფლებას).

აქციას, სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან განსხვავებით, გააჩნია ასევე შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

აქცია, სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან განსხვავებით, „საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში ყველაზე უკეთ ასრულებს რეგულირებად ფუნქციას (ანუ ხელს უწყობს კაპიტალის თავისუფალ გადასვლას ეკონომიკური ურთიერთობის ერთი სფეროდან მეორეში)“;³⁶⁵

აქცია – ეს ყველაზე გავრცელებული ფასიანი ქაღალდია (დასავლეთის ქვეყნებში მისი ემისიის მოცულობა 20-ჯერ აღემატება საკორპორაციო ობლიგაციების ემისიას);³⁶⁶

აქცია – ეს „ლიკვიდური ფასიანი ქაღალდია (უმრავლეს შემთხვევაში იგი მაღალი ლიკვიდურობის ხარისხით გამოირჩევა)“;³⁶⁷

აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელსაც სავალდებულო რეკვიზიტები აქვს;

იგი, როგორც ფასიანი ქაღალდი განუყოფადია, თუმცა სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს აქციის კონსოლიდაცია, დანაწევრება;³⁶⁸

აქცია ყველასათვის ხელმისაწვდომი ფასიანი ქაღალდია,³⁶⁹ თუმცადა საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობის გამო, ჯერ-ჯერობით ამას ვერ ვიტყვით.

აქცია განამტკიცებს მისი მფლობელის წილის უფლებას სააქციო საზოგადოების ქონებაზე, თუმცა, თავად აქციონერს ეს ქონება საკუთრების უფლებით არ ეკუთვნის. მისი მესაკუთრე მხოლოდ საზოგადოებაა. ფულადი თუ არაფულადი ქონებრივი სიკეთეები, რომლებსაც დამფუძნებელი პარტნიორები საზოგადოების დაფუძნებისას ახორციელებენ, სრულფასოვნად გადადის სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, მფლობელობა-სარგებლობა-განკარგვაში. აქციონერს არ აქვს სანივთოსამართლებრივი უფლებები სააქციო საზოგადოების აქტივებზე და, მითუმეტეს, იგი არ არის ამ აქტივების მესაკუთრე. ლიკვიდაციისას აქციონერს აქვს უფლება მთელი ქონების წილზე, და არა მხოლოდ საწესდებო კაპიტალზე. ნიშანდობლივია, რომ აქციონერი არის მხოლოდ ფასიანი ქაღალდის მფლობელი, მაგრამ

³⁶⁵ Кашанина, Корпоративное право, ст. 418.

³⁶⁶ Кашанина, Корпоративное право, ст. 418-419.

³⁶⁷ Кашанина, Корпоративное право, ст. 418-419.

³⁶⁸ Кашанина, Корпоративное право, ст. 418-419.

³⁶⁹ H. Würdinger, Aktienrecht und das Recht der verbundenen Unternehmen, 4. Auf., Verlag C. F. Müller, Heidelberg 1981, S. 138.

უშუალოდ საზოგადოების ქონების განმკარგავი იგი, რა თქმა უნდა, არ არის. სააქციო საზოგადოების საკუთრება გაპიროვნებულია თავად საწარმოზე. მას განკარგავენ მთლიანად აქციონერები, საერთო კრება, დირექტორთა საბჭო და ა.შ. აქციონერის საკუთრების უფლების ობიექტი გახლავთ თვით აქცია (როგორც დამოუკიდებელი სუბსტანცია). ამიტომ აქციონერს მხოლოდ მისი გაყიდვა, გაჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლია.

ბ) წილი, როგორც ბირჟაუნარიანი ქაღალდი: განსხვავება წილსა და აქციას შორის

მართალია, აქცია ფასიანი ქაღალდია და იგი ბრუნვაუნარიანი დოკუმენტია, მაგრამ საინტერესოდ გვეჩვენება, თუ როგორ არის მოწესრიგებული საკითხი შპს-ის წილის დროს? არის თუ არა იგი ფასიანი ქაღალდი? საერთოდ აღიარებულია, რომ შპს-ის წილის გასხვისება მის მესაკუთრე საზოგადოების წევრს თავისუფლად შეუძლია, ანუ მას აქვს უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი კუთვნილი წილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული: მაგალითად, საზოგადოების წესდებით პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ საზოგადოების წევრის მიერ საკუთარი წილის განკარგვა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოების შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში წილის ნასყიდობის გარიგება ბათილად შეიძლება ჩაითვალოს. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საწარმოს (შპს-ის) ესა თუ ის წილი ბირჟების მეშვეობით იყიდება. საყოველთაოდ აღიარებულია ასევე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფასიანი ქაღალდები, ძირითადად, ბირჟაუნარიანი ობიექტები, მოძრავი ნივთებია. ხოლო თუკი შპს-ის წილის გასხვისება სავსებით შესაძლებელია საფონდო თუ სხვა ტიპის ბირჟებზე, მაშინ იგი, მისი (წილის) ბირჟებზე კოტირებაუნარიანობის ხარისხიდან და ბუნებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ როგორც ფასიანი ქაღალდი. ქართველი იურისტები, როგორც ზემოთ ითქვა, ფასიანი ქაღალდების ცნებაში გულისხმობენ ისეთ დოკუმენტს, რომლის კანონიერი წარმდგენი უფლებამოსილია, მოითხოვოს მასში გამოსატული ქონებრივი უფლება (ფულის ან ნივთის გადაცემა და ა.შ.), ხოლო ქაღალდის გამცემი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებაში თითქოსდა „ჯდება“ შპს-ის წილი, მიგვაჩნია, რომ იგი მაინც არ განეკუთვნება წმინდა ფასიან ქაღალდს. ჯერ ერთი, ფასიანი ქაღალდი გამოირჩევა დამოუკიდებელი ავტონომიური ხარისხით. იგი არის ფიზიკურად გამოსატული განცალკევებული ხელშესახები ობიექტი, ანუ, მაგალითად, აქცია დამოუკიდებელი დოკუმენტია, რომლის სუბსტანცია თავად ამოწმებს და ადგენს თუ ვინ არის მისი მფლობელი, ადგენს მისი მფლობელის უფლებამოსილებებს სააქციო საზოგადოებაში, შესაძლებლობას ანიჭებს მის წარმდგენს, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა გარიგებებში, გაყიდოს, გაცვალოს გააჩუქოს და ა.შ. აქცია, როგორც დამოუკიდებელი ხელშესახები დოკუმენტი, სუვერენულად მონაწილეობს და ბრუნავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. რაც შეეხება შპს-ის წილს, იგი,

ძირითადად, საზოგადოების სამეწარმეო რეესტრიდან ჩანს, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ შპს-ის წილსა და აქციას შორის განსხვავება მათ საზოგადოებრივ (საჯარო) ფუნქციაშიც (დანიშნულებაში) მდგომარეობს. შპს-ის წილი საზოგადოების სამეწარმეო რეესტრიდან დგინდება, მაშინ, როდესაც აქცია ამის დამოუკიდებელი მატარებელია. ქართულ რეალობაში შპს-ის წილი არ გამოიხატება რაიმე დამოუკიდებელი დოკუმენტით. ამასთანავე, სს-ის კაპიტალი გამოხატულია აქციებში (ფასიან ქაღალდებში), ამიტომაც მასზე (სს-ზე) სახელმწიფოებრივი კონტროლის მრავალი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში, ეს შეეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ბრუნვაზე; ამგვარი კონტროლი არ ხორციელდება შპს-ის მიმართ. აქციები ძალზე მარტივად ბრუნავენ სამოქალაქო ურთიერთობებში. ვფიქრობთ, რომ შპს-ის წილი ამგვარ სიმარტივეს მოკლებულია. გარდა ამისა, სს-ის საწესდებო კაპიტალი გამოხატულია აქციებში, რომლებიც თავისუფლად გაიტანება სავაჭროდ ისე, რომ აქციათა მფლობელები ხშირად იცვლებიან და ყოველი ახალი აქციონერის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელი არ არის, მაშინ, როდესაც შპს-ის წილის ყოველი გასხვისება სანოტარო წესით დამოწმების გარდა, მოითხოვს მისი თითოეული ახალი შემძენის დარეგისტრირებას სამეწარმეო რეესტრში. ვფიქრობთ, რომ აქციებთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი მაგალითი უფრო ფასიანი ქაღალდისათვის მახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

§2.1. აქცია, როგორც უფლებამოსილებათა ერთობლიობა

ა) „აქციათა მიღების განმარტება“, როგორც უფლებამოსილებათა ერთობლიობის განმტკიცების წინაპირობა

„აქციათა მიღებით სააქციო საზოგადოება უკვე დაარსებულია“.³⁷⁰ ამ დებულებას ითვალისწინებს ავსტრიის კანონი „სააქციო საზოგადოების შესახებ“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი („აქციათა მიღება“) ფართო და გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. მას (ამ ნორმას), ასე ვთქვათ, „სიცხადის შემცველი“ დანიშნულება აქვს.³⁷¹ საქმე იმაშია, რომ საზოგადოების რეგისტრაციამდე გაცემული (დარიგებული, განთავსებული) აქციები ბათილია. მაშ, რასთან გვაქვს საქმე? წესდების დამტკიცებასთან ერთად დამფუძნებელი პარტნიორები კისრულობენ სწორედ შესატანთა განხორციელების ვალდებულებას და, აქედან გამომდინარე, უკვე შემდგომ ისმება საკითხი საზოგადოების მხრიდან მათზე აქციათა საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე. ასე რომ, სააქციო საზოგადოების დაფუძნების სტადიაზე აქციონერები (დამფუძნებელნი) აფორმებენ ჯერ ე.წ. „აქციათა მიღების განმარტებას“ (ავსტრიული და გერმანული სამართალი მას *Übernahmeerklärung*-ს უწოდებს), რაც ორი მნიშვნელობით (ორგვარი შინაარსით) უნდა იქნეს გაგებული:

³⁷⁰ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 158, Rn. 1, 2.

³⁷¹ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 158, Rn. 1.

- 1 – აქციონერთა ვალდებულება აქციისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდის შესახებ, და
- 2 – საზოგადოების ვალდებულება მათთვის წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობის გადაცემის (დამტკიცების) შესახებ.³⁷²

შეიძლება ითქვას, რომ წევრობის უფლება პირს აქციის „მიღების განმარტებისას“ და წესდების ხელის მოწერისას ფორმალურად უდგინდება, ხოლო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაციის შემდეგ უკვე ოფიციალურად უმტკიცდება. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა პირი დადგენილი უფლების სრული მესაკუთრე – ძალზე რთულია. მაგალითად, პროფესორი ჰეფერმელი თვლის, რომ დამფუძნებელი პარტნიორი საზოგადოების ამ სტადიაზეც ზემოაღნიშნული უფლების სრული მესაკუთრეა.³⁷³ ჩვენი აზრით, ამგვარი შეხედულება არ არის მართებული. უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებელი პარტნიორი ამ შემთხვევაში უფლების ფორმალური (თუ შეიძლება ითქვას, შეზღუდული) მატარებელია (მესაკუთრეა), ვინაიდან ეს უკანასკნელი საზოგადოების დაფუძნებისას, რეგისტრაციამდე, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მას დაუდგენენ ამგვარ უფლებას, სრულად ვერ გამოიყენებს მას. ისმის კითხვა – რატომ? პასუხი ასეთია: დროის ამ მონაკვეთში აქციათა (როგორც უფლებამოსილებათა ერთობლიობის მოწმობის) გასხვისება არ შეიძლება. არადა, საკუთრების უფლება კონსტიტუციური (პირველ რიგში, საჯაროსამართლებრივი) უფლებაა და სწორედ ამგვარი უფლების შეზღუდვა გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ ზემოთ ხსენებული პირი ამ შემთხვევაში ჩაითვლება შეზღუდულ, „ფორმალურ“ მესაკუთრედ. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ამგვარი აქციონერი ამ პროცესში შეიძლება შეუთანხმდეს (გაურიგდეს) სხვა პირებს ან სხვა დამფუძნებელ პარტნიორებს მხოლოდ სამომავლო ობიექტზე მისი გასხვისებისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში უფლებამოსილებათა გადაცემის შესახებ. ასეთი გარიგება კი აღსრულდება მაშინ, როდესაც საზოგადოება რეგისტრაციას გაივლის და მას იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭება (ანუ აქედან ნათლად ჩანს, რომ წინარე საზოგადოების პროცესში დამფუძნებლებს შესაძლებლობა აქვთ, პირობადებული გარიგებები დადონ კონტრაქტებთან და შეიძლება ითქვას, გააფორმონ კიდევ „წინარე ხელშეკრულება“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად).

ბ) მიღების განმარტება, როგორც კორპორაციული აქტი

ეხლა მივუბრუნდეთ კვლავ ზემოთქმულს. დღეს არსებობს ერთიანი შეხედულება იმის თაობაზე, რომ წესდებაც და „აქციათა მიღების განმარტებაც“ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგებიან. როგორც უკვე არაერთგზის თქმულა, წესდება, სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებასთან ერთად, კორპორაციული აქტია. ჩნდება კითხვა, რა სამართლებრივი ბუნების მქონეა „მიღების განმარტება“? კითხვას მოკლედ გავცემთ პასუხს: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის

³⁷² Röhrich in GroßKomm. zum AktG, (2004), S. 27, Rn. 67.

³⁷³ Hefermehl in: Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 55-56.

გაცვლით ხელშეკრულებასთან, არამედ კორპორაციის წარმოშობისათვის საჭირო სპეციფიკურ შეთანხმებასთან, რასაც შეიძლება კორპორაციული, ანდაც ორგანიზაციული ხელშეკრულება (Körperschaftsvertrag) ეწოდოს.³⁷⁴ რაც შეეხება წესდების დამტკიცებისა და „მიღების განმარტების“ გარიგებითსამართლებრივ მოწესრიგებას, იგი პრინციპულად მისდევს სამოქალაქო კოდექსის ნორმა-დებულებებს კერძო ავტონომიის, ნების გამოვლენის, მისი განმარტების, ნების გამოვლენის ნაკლოვანებების შესახებ. ამიტომ, სანამ სააქციო საზოგადოება, როგორც სრულყოფილი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე საწარმო და როგორც იურიდიულ პირი (სრულფასოვანი კორპორაციული სტრუქტურა), ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს, სააქციო ბარათები (ან დროებითი მოწმობები) ჯერ არ ანიჭებენ დამფუძნებლებს წევრთა სრულ უფლებებს (მათი სრულფასოვანი გამოყენების შესაძლებლობას) სააქციო საზოგადოებაში, ისინი ამ ეტაპზე, ერთგვარად, აღგენენ სააქციო საზოგადოებაში წევრთა უფლებების გაცემის ვალდებულებას. საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ კი აქციონერები საზოგადოების სრული წევრები ხდებიან და მათზე შესაბამისად უკვე შეუზღუდავად გადადის კანონმდებლობით გათვალისწინებული ე.წ. Mitgliedschaftsrechte (ანუ განსაზღვრულ საზოგადოებაში წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობა).³⁷⁵ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ასე დეტალურად არ განსაზღვრავს წინამდებარე საკითხს. ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, „მიღების განმარტების ხელშეკრულება“ შეტანილია წესდებაში, გაერთიანებულია მასში. ასე რომ, „აქციათა მიღების განმარტების“ მომენტი ასევე წარმოადგენს საზოგადოების წესდების დამტკიცების მომენტსაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ზემოთ ხსენებული ეხება საზოგადოების მხრიდან თითოეულ დამფუძნებელზე აქციათა გადაცემის (შესაბამისად, დამფუძნებელთა მხრიდან მათი მიღების) მოვალეობას, აქედან გამომდინარე – პარტნიორთა მხრიდან შესატანთა განხორციელების უზრუნველყოფის ვალდებულებას და შესაბამისი რაოდენობის აქციების მესაკუთრედ გახდომას. ამით უკვე წესრიგდება სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება დამფუძნებელ პარტნიორებსა და თვით საზოგადოებას შორის. ხოლო რაც შეეხება სააქციო საზოგადოების ორგანიზაციას, მის მომავალ ფუნქციონირებას, მისთვის „მიღების განმარტებას“ შემდგომ უკვე მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ეკარდი კომენტარში: „სააქციო საზოგადოებაში წევრთა უფლებები იურიდიულად წარმოდგება საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით, ხოლო

³⁷⁴ Bronner in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 312. შესაძლოა ასევე, რომ „აქციათა მიღების განმარტება“ შესატანის განხორციელების ვალდებულების დენტურ კატეგორიად მივიჩნიოთ. თუმცა იგი, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, წესდების დამტკიცებისაგან დამუკიდებელ გარიგებად უნდა იქნეს აღქმული, მაგრამ განხილული უნდა იყოს არა როგორც „თავისთავადი“ (eigenständiges Rechtsgeschäft) გარიგება, არამედ „წესდების აუცილებელი მატერიალური შემადგენელი ნაწილი, რომელიც საბოლოო ჯამში წესდებაში აისახება“. Pentz in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 512, Rn. 55.

³⁷⁵ Fritz, Gesellschafts und Unternehmensformen, S. 375-376.

ვალდებულება ნაკისრი (დათქმული) შესატანების განხორციელების უზრუნველყოფისა კი თავად „მიღების განმარტებიდან“ გამომდინარეობს და შენატანის განხორციელების (შესრულების) შემდგომ მას უკვე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“.³⁷⁶

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქციის ცნებაში ივარაუდება არამარტო მოწმობა (ბარათი) გარკვეულ საზოგადოებაში წევრობის უფლებების შესახებ, არამედ მოიაზრება აგრეთვე თავად წევრთა უფლებამოსილებათა (უფლება-მოვალეობათა) ერთიანობაც.³⁷⁷ შეიძლება ითქვას, რომ რეგისტრაციამდე წევრობის უფლება ფორმალურადაა წარმომდგარი, რეალურ იურიდიულ ძალას კი იგი საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ იძენს. ამიტომ საზოგადოების წევრობის უფლებამოსილების მოწმობა „წინარე სს-ში“ არ წარმოდგება. ხოლო თუკი შეცდომით (ან წინასწარი შეცნობით) მოხდა ისე, რომ წევრთა უფლებების მოწმობები „წინარე საზოგადოებაში“ მაინც გაიცა, ასევე აქციები დარიგდა (განთავსდა), მაშინ საზოგადოების ნებისმიერ დამფუძნებელ-პარტნიორს, მის წევრს შეუძლია, დააყენოს საკითხი წესდების ბათილობის თაობაზე.

§2.2. აქცია, როგორც საწესდებო კაპიტალის წილი

ა) მოძღვრება *გ.წ. Unterpari* და *Überpari-emission-ის შესახებ*³⁷⁸

აქცია სს-ში არის სწორედ ის ქონებრივსამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც ხდება საწესდებო კაპიტალის მოზიდვა და შევსება.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 51.1 მუხლში ამბობს, რომ „სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ აქციას უნდა ჰქონდეს გარკვეული ნომინალური ღირებულება.³⁷⁹ ნომინალური ღირებულების აქციათა სისტემა, ასევე, ნომინალური კაპიტალის სისტემა, ერთგვარად დგას საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შევსებისა და კრედიტორთა წინაშე საწარმოს პასუხისმგებლობის ინტერესის სადარაჯოზე. სწორედ ნომინალური ღირებულების აქციათა ჯამი წარმოადგენს საზოგადოების საწესდებო კაპიტალს. ამიტომ ეს საკითხი ძალიან საყურადღებოა საზოგადოების ძირითადი (საწესდებო) კაპიტალის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. აქციის ნომინალური ღირებულება ემსახურება აქციის მომავალი მესაკუთრის შესატანის

³⁷⁶ Eckardt in: Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S. 256-257.

³⁷⁷ ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, ვთქვათ, საზოგადოების რეგისტრაციამდე ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს (სამომავლო) წევრობის უფლება და, არა, მაგალითად, სააქციო მოწმობა, რადგან „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის 41-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, „ამ პერიოდისათვის გაცემული აქციები ბათილია“.

³⁷⁸ ამის შესახებ იხ.: Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 210-211, Rn. 8, 9; Wagner in Heidel, Aktienrecht, (2007), S. 73 f, Rn. 7 f; Vatter in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 51-53, Rn. 10 ff; Heider in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 262 ff, Rn. 5 ff; ასევე, Heider/Doralt in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 270-271, Rn. 50-55; და ა.შ.

³⁷⁹ გერმანულად მას ეწოდება Nennwert. მაგალითად: Wagner in Heidel, Aktienrecht, (2007), S. 67, Rn. 3; Vatter in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 34, Rn. 1; Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 204, Rn. 11 და სხვ.

განხორციელების ვალდებულებას, როგორც მის უმთავრეს მოვალეობას.

ამ საკითხთან მიმართებით სააქციო სამართალში იკვეთება ასევე ორი საინტერესო პრობლემა: ეს გახლავთ მოძღვრება ე.წ. *Unterpari* და *Überpari-emission*-ის შესახებ. განვმარტოთ თითოეული მათგანი:

აა) Unterpari-emission-ის, ანუ ნომინალურზე ნაკლები ზღვარის შესახებ

პირველი ნიშნავს იმას, რომ აქციათა გაცემა მათ ნომინალურ ზღვარზე ნაკლებ ფასში დაუშვებელია. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და საზოგადოების დაფუძნებისას აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ასეთი შემთხვევის დაშვება პირველ რიგში იმ შედეგამდე მიგვიყვანს, რომ საზოგადოების მინიმალური კაპიტალი, უბრალოდ, ვერ შეივსება (არადა, გაცემულ ნომინალურ აქციათა ჯამი ხომ საწესდებო კაპიტალის გამოთვლის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია). 15 000 ლარის, ანუ მინიმალური საწესდებო კაპიტალის შევსება და მისი არსებობა სს-ის წარმოშობისა და ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა.

ააა) დარღვევის სამართლებრივი შედეგი სს-ის წარმოშობისთვის

აქვე უნდა აღინიშნოს წინამდებარე „მოძღვრების“ დარღვევის სამართლებრივი შედეგის შესახებ: ის აქცია, რომლის ღირებულებაც ნომინალურ ზღვარზე ნაკლებია, ბათილია. თუ რას ნიშნავს ამგვარი ბათილობის შედეგები, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ კანონის დარღვევის რომელი კრიტერიუმებია გასათვალისწინებელი თვით სააქციო საზოგადოებისათვის: საზოგადოების რეგისტრაციამდე გაცემული აქციები ყოველთვის ბათილია. ასე რომ, მას ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი შეიძლება რელატიური იყოს წესდების ნაკლოვანების საკითხთან კავშირში. წესდების დარღვევამ (რაც, თავის მხრივ, აქციათა „არასწორ“ ღირებულებაში გამოიხატება) შეიძლება, მიგვიყვანოს „აქციათა მიღების განმარტების“ საკითხის ბათილობამდე. ეს კი თავისთავად შესაძლოა, გახდეს საზოგადოების არწარმოქმნის წინაპირობა. თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ აქციონერთა მხრიდან „აქციათა მიღების განმარტებით“, რაც მომავალში აქციათა მიღების ვალდებულებაში გამოიხატება, სააქციო საზოგადოება, როგორც „წინარე საზოგადოება“, წარმომდგარია. ხოლო სააქციო საზოგადოება კი სწორედ ამის საფუძველზე აღმოცენდება როგორც სრულფასოვანი იურიდიული პირი. ასე რომ, წინამდებარე დებულების დარღვევა ნიშნავს „წინარე საზოგადოების“ არარსებობას, აქედან გამომდინარე კი, შეუძლებელია თვით სააქციო საზოგადოების წარმოქმნაც.

ბბბ) დარღვევის სამართლებრივი შედეგი აქციისათვის

დარღვევის საფუძველი ზუსტად არ ადგენს საკითხს იმის შესახებ, თუ ამის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი აქციას, როგორ შეეხება: როგორც წვერთა უფლებას, თუ როგორც

ფასიან ქაღალდს? აქ უნდა აღვნიშნოთ ორი პერიოდი: საზოგადოების რეგისტრაციამდელი და რეგისტრაციის შემდგომი.

1. უვე ჰუფერი თვლის: გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება მის ოფიციალურ რეგისტრაციამდე არ წარმოდგარა როგორც სრულფასოვანი კორპორაციული სტრუქტურა, იურიდიული პირი და სრული უფლებაუნარიანობის (ქმედუნარიანობის) მქონე სამართალსუბიექტი, ასევე არ მოქმედებს წევრობის (სრული) უფლებამოსილება სააქციო საზოგადოებაში. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება სწორია, ვინაიდან დროის ამ შუალედში საზოგადოების მხრიდან მომავალ აქციონერზე წარმოდგება მხოლოდ წევრობის უფლებამოსილებათა, ასევე მოვალეობათა გადაცემის ვალდებულება; და როდესაც ეს უკანასკნელი მის ოფიციალურ სტატუსს შეიძენს, მხოლოდ მაშინ დგება საკითხი საწარმოში წევრობის სრული უფლების შესახებ. ასე რომ, ე.წ. Mitgliedschaft-ს აქ ბათილობის საკითხი არ ეხება.

2. რაც შეეხება რეგისტრაციის შემდგომ პერიოდს, აქედან ნათლად გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოების რეგისტრაციასთან ერთად წარმოდგება ოფიციალური იურიდიული პირი და ასევე - წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობაც საწარმოში. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუკი სახეზე არ გვაქვს წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობა სააქციო საზოგადოებაში, მაშინ ბათილობის სამართლებრივი შედეგი, თავისთავად ცხადია, მასზე არ გავრცელდება. ხოლო, როდესაც წევრობის სრული უფლებამოსილება უკვე სამართლებრივად წარმოდგა (საზოგადოების რეგისტრაციასთან ერთად), ბათილობის შედეგი შეიძლება შეეხოს როგორც ამ უკანასკნელს, ისე აქციას, როგორც მოწმობას ფასიანი ქაღალდის შესახებ.

გვგ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ ითვალისწინებს ამგვარი „ნაკლოვანი“ აქციის გაცემისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობას (საერთოდ ამით ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც პირი მოწმობას ფლობს როგორც უფლებამოსილი (კეთილსინდისიერი) მფლობელი (მესაკუთრე), ხოლო თვით სააქციო მოწმობა კი რეალურად არ ადგენს მის წევრობის უფლებას სააქციო საზოგადოებაში, ვინაიდან იგი ნაკლოვანია. იგი ასეთ უფლებას ვერ შეიძენს თავისი კეთილსინდისიერების საფუძვლიდან გამომდინარეც კი. ამიტომ ცხადია, ისმება ზიანის ანაზღაურების საკითხი). პასუხისმგებელი „დაშვებული შეცდომისათვის“, ძირითადად, იქნებიან გამგეობის (დირექტორატის წევრები ან დირექტორი), ასევე ევენტუალურად, შესაძლოა, იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც, აგრეთვე „პირები, რომელთაც სააქციო მოწმობები, მათთვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებისათვის დამოუკიდებლად გასცეს, მაგალითად, პროკურისტები“.³⁸⁰ პროფ. რიტერი კი ამბობს, რომ მოთხოვნის უფლების მფლობელი არის მხოლოდ მოწმობის მფლობელი პირი. ეს უკანასკნელი არის მესაკუთრე, იმ წინაპირობიდან გამომდინარე, რომ იგი მოწმობიდან გამომდინარე

³⁸⁰ Verspary/Sattler, Die kleine AG, S. 35.

უფლების კომპეტენტური პირი იქნებოდა იმ შემთხვევის გათვალისწინებით, სააქციო მოწმობა ნაკლის მქონე (ნაკლოვანი) რომ არ ყოფილიყო, მაგრამ არა, ვთქვათ - ქურდი, ან, მაგალითად, პირი, ვისაც ნივთი გადაცემული (ჩაბარებული) ჰქონდა შესანახად.

ბბ) ნომინალურზე მეტი ფასის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი ამბობს, რომ „აქციის გაცემა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში დაუშვებელია, ვინაიდან ეს ხელს უშლის საწესდებო კაპიტალის სრულყოფილ ფორმირებას“.³⁸¹ ზემოაღნიშნული კანონის ტექსტში პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ მოიაზრება, რომ აქცია შეიძლება მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასად გაიყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აქციისათვის გადახდილი იქნება წესდებით განსაზღვრული მის ნომინალურზე მეტი ღირებულება. გადაჭარბებულ თანხას ე.წ. აჯიო (Agió) ჰქვია, ე.ი. თუკი „აქციის გაცემული ღირებულება“ მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტი აღმოჩნდება, საქმე გვაქვს ე.წ. Überpari-emission-ის მოძღვრებასთან. ხოლო, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, აქციის ნომინალური ფასის გადაცილებულ ღირებულებას დანამატი (Aufgeld) ეწოდება. ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ძალიან ხშირია, როგორც საზოგადოების დაფუძნების (შესატანების მოზიდვის) დროს, ისე მოგვიანებით, მაგალითად, საერთო კრების გადაწყვეტილებით საწარმოს კაპიტალის გაზრდის დროს („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 59).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე შედეგად იწვევს სააქციო საზოგადოების ქონების გაზრდას. საწესდებო კაპიტალი კი არ უნდა აღმატებოდეს აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანამატი საზოგადოების პასივის მხარეს ჩნდება, მაგრამ რეზერვის - (ძირითადად კაპიტალრეზერვის) ქვეშ. უმთავრესად, ეს გათვალისწინებულია კრედიტორთა და მესამე პირთა დაცვის ინტერესებისათვის, ასევე, სააქციო საზოგადოების სრულყოფილი და ხერხემალგამართული საქმიანობისათვის. ამ მოძღვრებას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება არაფულადი შესატანების დროს. მაგალითად, საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ა-მ საზოგადოებას გადასცა ავტომობილი MB E-300-ი, რომლის ღირებულებაც დამოუკიდებელმა აუდიტორმა 27 300 ლარად შეაფასა. გარკვეული ნომინალური ღირებულების აქციების შექენისას დანამატმა შეადგინა, ვთქვათ, 2300 ლარი. ასე რომ, დარჩენილ აჯიოს საზოგადოების რეზერვებში მიეჩინება ადგილი. იგი არა საწესდებო კაპიტალს, არამედ საზოგადოების ქონებას გაზრდის. უნდა აღვნიშნოთ ასევე ის, რომ გადაწყვეტილება აქციის გადაჭარბებული თანხის საზოგადოების რეზერვებში ჩაწერის შესახებ მიღებული უნდა იქნეს დამფუძნებელთა ან აქციონერთა საერთო კრებაზე („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 52.2).

³⁸¹ ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II გამოც., (1998), გვ. 314.

გვ) აქციის „გაცემული ღირებულების“ შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიელი იურისტები აქციის გაცემასთან დაკავშირებით ხმარობენ ასევე ერთ ტერმინს: ე.წ. *Ausgabebetrag*-ს. მისი ქართული შესატყვისი იქნება – „გაცემული ღირებულება“. აქციის გაცემული ღირებულება თავისთავად განსხვავდება აქციის ნომინალური ღირებულებისაგან. მაგალითად, აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 150 ლარს. პირმა განახორციელა შესატანი და წინამდებარე აქციისათვის გადაიხადა არა ზუსტად ნომინალური ღირებულების საფასური, არამედ მეტი, ვთქვათ, 170 ლარი. სწორედ ზემოაღნიშნულ 170 ლარს ჰქვია „გაცემული ღირებულება“, ანუ ივარაუდება, რომ აქცია გაიცა 170 ლარად, მაშინ, როდესაც მისი ნომინალური ღირებულება იყო 150 ლარი. როდესაც ქვემოთ განვიხილავთ „დანამატის“ ცნებას, დავინახავთ, თუ რა ადგილი მიეჩინება აქციის ნომინალური ღირებულების გადამეტებულ 20 ლარს. აქ, უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ „აქციის გაცემული ღირებულება“, თავის მხრივ, მოიცავს მის ნომინალურ ფასსაც. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი არის საზოგადოების დამფუძნებლის მხრიდან თითოეული აქციისათვის შესატანის განხორციელების ვალდებულება, ანუ წევრობის უფლების მოპოვებისათვის გათვალისწინებული ღირებულების (საფასურის) გადახდის მოვალეობა, რომელიც, ძირითადად, „მიღების განმარტებიდან“ გამომდინარეობს. ბოლოს უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქციის ნომინალური ღირებულების ზღვარის დაცვის დროს საჭიროა, მივაქციოთ არაფულად შესატანებს, ვინაიდან „სხვა ქონებრივი“ ღირებულებების შეტანისას შესაძლოა, შეცდომა ადვილად დაიშვას და კანონის მოთხოვნა შეიღახოს. ფულადი შესატანების დროს ასეთი ტიპის დარღვევა გაცილებით უფრო ნათლად ჩანს.

დდ) აქციის საემისიო, საბაზრო, საბალანსო ფასის შესახებ

აქციის ნომინალური ფასის გარდა არსებობს კიდევ მისი *საემისიო* ღირებულება, რომლის მიხედვითაც იგი პირველად გაიყიდება. აქციის საემისიო ფასი, უმეტეს შემთხვევებში, განსხვავდება მისი ნომინალური ღირებულებისაგან, ვინაიდან აქციათა განთავსებას ემიტენტი ახორციელებს, როგორც წესი, საშუაშაველო სადილერო ფირმის მეშვეობით. ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კარგად არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი (ბირჟების სახეობები), მეტად გავრცელებული პრაქტიკაა. ამ დროს დილერი ემიტენტისაგან შეთანხმებულ ფასში შეისყიდის გაყიდვისათვის გამოშვებულ აქციათა პარტიას, რომლის რეალიზაციასაც შემდგომ უკვე ინვესტორთა შორის განახორციელებს (როდესაც ჩვენს ქვეყანაშიც უფრო დაიხვეწება და განვითარდება ფასიანი ქაღალდების საბირჟო-სამართლებრივი წარმოება, ასევე ბირჟების სახეობები, აუცილებელი გახდება სადილერო ფირმების დახმარება, რომლებიც სწორედ წინამდებარე საქმიანობით იქნებიან დაკავებულნი).

განასხვავებენ ასევე აქციის *საბაზრო (საკურსო)* ფასს, რომლის შესაბამისადაც იგი ფასდება (კოტირდება) ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, და კერძოდ: აქციის *საკურსო (საბაზრო)*

ღირებულება ადგენს მოცემული ფასიანი ქაღალდის რეალურ ფასს. მეორადი ბაზარი არის ფასიანი ქაღალდების უკვე რეგულარული გაყიდვის (შესყიდვა-გაყიდვის) მექანიზმი და, თავის მხრივ, ადგენს ინვესტორთა ნდობის ხარისხს მოცემული აქციისადმი. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია აქციის ლიკვიდურობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს მათ რეგულარულ გასვლას (გადასვლას), უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბირჟებზე.

რაც შეეხება აქციის *საბალანსო (საწიგნო)* ფასს, იგი, ძირითადად, დგინდება საწარმოს საფინანსო ანგარიშების დოკუმენტების საფუძველზე.

§3. ცალობითი აქციები ავსტრიული სამართლის მიხედვით

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებს სააქციო საზოგადოებისათვის მხოლოდ ნომინალური ღირებულების აქციათა დარიგებას, ავსტრიის ფედერალური კანონი „სააქციო საზოგადოების შესახებ“ იცნობს ასევე ცალობითი აქციების ინსტიტუტს (ე.წ. Stückaktie).³⁸² ამგვარ აქციებს ასევე ქვოტურ აქციებს უწოდებენ.³⁸³ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალობითი აქციები გაბატონებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში, სადაც, ძირითადად, საწესდებო კაპიტალი სწორედ რომ აქციათა წინამდებარე ფორმითაა წარმოდგენილი. გერმანულ სამართალშიც მოძღვრება ცალობითი აქციების შესახებ ამერიკული სამართლიდან შემოვიდა, ხოლო, შესაბამისად, ავსტრიულში კი - გერმანულის გზით. 1998 წლამდე არც გერმანული და არც ავსტრიული სამართალი არ იცნობდა ცალობითი აქციების ინსტიტუტს. მათი გაცემა სააქციო საზოგადოებებისთვის დაუშვებელიც კი იყო. მაგრამ 1998 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის მე-8 პარაგრაფის პირველი აბზაცის სხვაგვარი ფორმულირება მოახდინა. ზემოაღნიშნულ პარაგრაფში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „აქციები შესაძლოა, დარიგდეს (გაიცეს, განთავსდეს) როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ცალობითი (საცალო) აქციების ფორმით“.³⁸⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება ძალაში მას შემდეგ შევიდა, რაც ევროპის კავშირმა საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისათვის ერთიანი ფულადი მიმოქცევის საშუალების ევროს შემოღების თაობაზე, რომელმაც 2002 წლის 1 იანვრიდან უკვე რეალურად დაიწყო ბრუნვა.

ნომინალური ღირებულების აქციებისაგან განსხვავებით, ცალობით აქციებს არ აქვთ დადგენილი შესაბამისი ნომინალური ფასი (რომელიც წესდებაში ან თვით აქციაზეა დაფიქსირებული).

³⁸² იხ.: B. Treeger-Huber, *Rechtliche Probleme der Stückaktien*, Verlag Lang, Frankfurt am Main; Wien 2004, S. 18. ცალობით აქციებს იცნობს ასევე გერმანული კანონმდებლობაც.

³⁸³ G. Köbler, *Juristisches Wörterbuch – für Studium und Ausbildung*, 12. Auf., Verlag Franz Vahlen, München 2003, S. 11.

³⁸⁴ *Sammlung der österreichischen Bundesgesetze*, Verlag Orac, Wien 1.8.2000, S. 217.

ცალობითი აქციების დროს - ერთი აქცია უდრის ერთ ხმას.³⁸⁵ მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი ემისიის დროს დაცული არ უნდა იყოს აქციის მინიმალური ნომინალური ზღვარი (1 ევრო). ყოველი ცალობითი აქცია საწესდებო კაპიტალში ერთიანი მოცულობით არის წარმოდგენილი.³⁸⁶ წილი კი დგინდება (გამოითვლება) გაცემული აქციების რიცხვიდან. ცალობითი აქციების გაცემის დროსაც, რასაკვირველია, დაცული უნდა იყოს კანონის იმპერატიული მოთხოვნა თითოეული აქციისათვის მინიმალური ნომინალური ღირებულების შესახებ, ანუ აქაც ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები ფასი აქციისათვის არ დაიშვება, ხოლო ნომინალურ განაკვეთზე მაღალი ღირებულება დასაშვებია. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს აღიარებული მოდერება ე.წ. *Unterpari* და *Überpari-emission*-ის შესახებ. საერთოდ, ცალობითი აქციების ინსტიტუტი, ძირითადად, იმიტომ იქნა შემოღებული, რომ გაადვილებულიყო უკვე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალის გარდაქმნა ევრო ვალუტაზე და მისი გამოთვლა. თავისთავად, 1998 წლამდე არსებული სააქციო საზოგადოებების აქციების შეცვლამ ცალობითი აქციებით ავტომატურად გამოიწვია საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა და, შესაბამისად, რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

აღსანიშნავია შემდეგიც: კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ „აქციათა ორივე ფორმის გაცემა სააქციო საზოგადოებაში დაუშვებელია“.³⁸⁷ ამას განაპირობებს თავად კანონის ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაც და, კერძოდ, მისი შემდეგნაირი ფორმულირება „...ან...ან“ (გაცემული ან ნომინალური ღირებულების, ან ცალობითი აქციების ფორმით). მოკლედ რომ ვთქვათ, წესდებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რომელი აქციაა გაცემული: ნომინალური ღირებულების თუ ცალობითი.

ძირითადი მოტივი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ რეფორმას ავსტრიაში, იყო ამერიკულ ფასიანი ქაღალდების ბაზართან ავსტრიის სააქციო საზოგადოებების (საჯარო სს-ის) აქციების განთავსების და მათი მსყიდველობითი კრიტერიუმების მიახლოება, კერძოდ, ავსტრიის საწარმოთა ფასიანი ქაღალდების კოტირება ამერიკულ ბაზარზე.³⁸⁸

§4. აქციათა კლასიფიკაცია

აქციათა კლასიფიკაცია შესაძლოა, მოვახდინოთ ძირითადად, ორი საფუძვლიდან გამომდინარე: პირველი, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათი ფუნქციონირების ხასიათის მიხედვით და მეორე, იმ უფლებათა მოცულობის შესაბამისად, რომლებიც თავად ამ აქციაშია განმტკიცებული.

³⁸⁵ შეად.: Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 204, Rn. 11; Wagner in Heidel, Aktienrecht, (2007), S. 69, Rn. 13; Vatter in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 35, Rn. 4, ასევე, Wagner in Heidel, Aktienrecht, Anwaltskommentar, (2003), S. 39, Rn. 3.

³⁸⁶ ასეთი აქციების ჯამი უდრის საწესდებო კაპიტალის ციფრს.

³⁸⁷ Sammlung der österreichischen Bundesgesetze, Verlag Orac, Wien 1.8.2000, S. 217.

³⁸⁸ ზოგადად, ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, გვ. 39-40.

§84.1. აქციათა ტიპები

ფუნქციონირების ხასიათიდან გამომდინარე, აქციები შესაძლოა დავეყოთ ორ ძირითად სახეობად, რასაც ავსტრიული სააქციო სამართალი აქციათა ტიპებს უწოდებს. კერძოდ, ესენია სახელობითი და წარმომდგენის, ანუ საწარმდგენლო აქციები. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ითვალისწინებს ასევე აქციათა ტიპებს, მაგრამ მათ სხვაგვარად აქციათა სახეებს არქმევს.

ა) წარმომდგენის აქცია

ავსტრიული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ წესდებაში აღნიშნული იყოს აქციები წარმომდგენის თუ სახელობით აქციებად გაიციემა.³⁸⁹ ადრე მოქმედი ნორმის მიხედვით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასევე ითვალისწინებდა საწარმდგენლო აქციების გაცემას სააქციო საზოგადოებაში. მაგრამ 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა უარი თქვა წარმომდგენის აქციებზე. ამიტომ, დღეს მოქმედი დებულების თანახმად, სააქციო საზოგადოებას შეუძლია გასცეს მხოლოდ ერთი სახის (ტიპის) აქცია – სახელობითი აქცია. ასე რომ, ეროვნული კანონმდებლობა უკვე აღარ იცნობს აქციათა ისეთ მეტად გავრცელებულ სახეს, როგორც არის წარმომდგენის აქცია. თუმცა კანონიდან წარმომდგენის აქცია მთლიანად ამოღებული არ არის, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59.2-ე მუხლში ნათქვამია, რომ საერთო კრებას შეუძლია მოახდინოს კაპიტალის გაზრდა ე.წ. ნებადართული კაპიტალის გაზრდის ფორმით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება, სხვა პირობებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს, შეეხება თუ არა და რა მოცულობით შეეხება ეს გაზრდა შეღავათიან ან ჩვეულებრივ აქციებს და წარმომდგენის თუ სახელობით აქციებს. ვფიქრობ, თვალნათელია, რომ წარმომდგენის აქცია, ვინაიდან იგი გაუქმებულია, ამ შემთხვევაში, კაპიტალის მომატების დროს, საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს. შესაბამისად, ეს დათქმა კანონიდან, მასში ცვლილებების განხორციელების გზით, აუცილებლად გასაუქმებელია.

თუკი აქციები მათთვის „მთლიან გადახდამდე“ (ანუ პარტნიორის მიერ აქციისათვის მთლიანი საფასურის, გაცემული ღირებულების გადახდამდე) უნდა გაიციეს, მაშინ სავალდებულო პირობაა, რომ ისინი მხოლოდ სახელობით აქციებად წარმოდგენ (ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-10 პარაგრაფის მე-2 აბზაცი).

წარმომდგენის აქციაზე არ აღინიშნება მისი მფობელის ვინაობა. ამგვარი აქციიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ვინც ამ აქციას ფლობს. მოთხოვნის უფლება წარმოეშვება ნებისმიერ პირს, ვინც წარადგენს ფასიან ქაღალდს. მოვალე, ანუ მოთხოვნის აღმსრულებელი, არ არის ვალდებული, არკვიოს, თუ საიდან და რა გზით მოხვდა მის წარმომდგენთან ფასიანი ქაღალდი. მან ფასიანი ქაღალდი უნდა მიიღოს მოთხოვნის

³⁸⁹ öAktG §8.

შესრულების სანაცვლოდ.³⁹⁰ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის კლასიკური მაგალითია ფული, რომლის მეშვეობითაც მის მფლობელს კანონით დასაშვებ ყოველგვარ ნივთზე შეუძლია საკუთრების უფლების შექმნა. ისინი უზრუნველყოფენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მის შეუფერხებელ ბრუნვას, ამიტომ ჩვენთვის, ერთი მხრივ, გაუგებარია აქციის ამგვარი ტიპის გაუქმების კრიტერიუმები. თუკი დასავლეთის ქვეყნების სადილერო-საბროკერო კომპანიების მსყიდველობით პრაქტიკას დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ საფონდო ბირჟებზე წარმომდგენის აქციები მეტად სწრაფად და ეფექტურად ბრუნავენ. თუმცა ამგვარი სახის ფასიანი ქაღალდს თვით საზოგადოებისათვის თავისი უარყოფითი თვისებებიც გააჩნია და ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ა) მინიმალური მოთხოვნები

საერთოდ აღიარებულია, რომ ყოველმა სააქციო მოწმობამ (ბარათმა) დადგენილი ფორმის მინიმალური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, ე.ი. სააქციო მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ რეკვიზიტებს: უპირველეს ყოვლისა, მოწმობაში მოცემული უნდა იყოს აქციის გამცემის (საზოგადოება) და მისი ნომინალური ღირებულების შესახებ, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ იგი მოცემულ სააქციო საზოგადოებაში წევრობას განამტკიცებს. თავად სიტყვა „აქცია“ შესაძლებელია, არ იქნეს გამოყენებული. მაგრამ თუკი სააქციო საზოგადოებას აქციათა სხვადასხვა სახეობა გააჩნია, მაშინ აქციის სახეობის შესახებ მოწმობაში უნდა იყოს მოცემული. აქცია შემდეგ ხელმოწერილი უნდა იქნეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ. ამ მხრივ, შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული აქციის ჩვენეული მაგალითი:

№0566

სააქციო საზოგადოება „კვების კონცენტრატი“ თბილისი

200 ლარი,-

200 ლარის ღირებულების აქცია

ამ აქციის მფლობელი, წესდების პირობების შესაბამისად, როგორც აქციონერი, წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება „კვების კონცენტრატი“ 200 ლარის ნომინალური ღირებულებით. თბილისი, 1994 წლის ივლისი სს „კვების კონცენტრატი“

სამეთვალყურეო საბჭო
----- (ხელმოწერა)

დირექტორატი

(ხელმოწერა)
თავმჯდომარე

დირექტორი (ან დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე)

ზემოთ მოყვანილი სააქციო საზოგადოება „კვების კონცენტრატი“-ს აქციის ფორმის ნიმუში ამის ნათელი მაგალითია.

დანომვრა – ავსტრიის კანონმდებლობა არ მოითხოვს აქციათა დანომვრას, მაგრამ იგი შემოთავაზებულია ფასიანი ქაღალდების

³⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV წიგნი, II ტომი, თბ. 2001, გვ. 251-252.

შენახვის (და ასევე ნომრის გაცემის, ვთქვათ, საბროკერო კომპანიის მიერ) გაადვილების მიზნით. ესეც ტრადიციულად მიღებულია განვითარებული ქვეყნების სააქციო საზოგადოებათა შორის.

მინიმალური ნომინალური ღირებულება – სააქციო მოწმობის გაცემისათვის დაცული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული აქციის მინიმალური ნომინალური ღირებულების ზღვარი. როგორც ვახსენეთ, ამ ზღვარის დარღვევა სააქციო მოწმობის ბათილობას იწვევს. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააქციო მოწმობაში მისი მინიმალური ნომინალური ღირებულების აღნიშვნა, აქციის ფორმის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია.

დათარიღება – ტრადიციულად, აქციათა გაცემა (განთავსება)³⁹¹ საზოგადოების რეგისტრაციამდე და ასევე ახალი აქციების გაცემა საზოგადოების კაპიტალის გაზრდის წარმოების რეგისტრაციამდე არ შეიძლება. მაგრამ მოწმობის ამონაწერის გაცემა და დათარიღება რეგისტრაციამდე სავსებით შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში ამონაწერს ხელს აწერენ დირექტორები.

ბბ) წარმომდგენის აქციის გასხვისება

წარმომდგენის აქციის გასხვისება ფორმათავისუფალია. თავისი სამართლებრივი ბუნებით ამგვარი ფასიანი ქაღალდის გასხვისებისათვის საკმარისია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმება (როგორც სამართლებრივი საფუძველი - კაუზა) და გადაცემა. ამ პროცესის დროს, ძირითადად, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნორმები მოძრავი ნივთების გადაცემა-გასხვისების შესახებ. კიდევ ერთხელ განვმეორდებით და დავძენთ, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი მისდევს ტიტულუსისა და მოდუსის პრინციპს, რაც (მისი სააქციო კანონმდებლობასთან სუბსიდიური მოქმედების შემთხვევაში) მოცემულია ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 380-ე პარაგრაფში. წინამდებარე ნორმიდან გამომდინარე, საწარმდგენლო აქციის გასხვისებისათვის საკმარისია შეთანხმება და შექმნის გზა (გადაცემა). პირებმა შესაძლოა, გაითვალისწინონ წერილობითი ფორმაც. ვინკულირება წარმომდგენის აქციაზე არ დაიშვება. წარმომდგენის აქციის შექმნით ახალი პირი (შემძენი) იკავებს ძველი აქციონერის ადგილსა და სტატუსს სააქციო საზოგადოებაში და ხდება წევრთა უფლებამოსილების მატარებელი, მისი მფლობელი. აქციები შეიძლება შექმნილ იქნეს როგორც ბირჟაზე, ისე ნებისმიერი პირისაგან, რომელიც მათ გაასხვისებს. წარმომდგენის აქცია ბრუნვის უკეთესი შესაძლებლობით გამოირჩევა, ვიდრე სახელობითი აქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შექმნა და შემდგომი გასხვისება უფრო ადვილია, ვიდრე სახელობითი აქციისა. როდესაც ვსაუბრობთ წარმომდგენის აქციის გასხვისებასა და მის დამოკიდებულებაზე სამოქალაქო კოდექსთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ დროს ასევე უნდა გამოვიყენოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს ეხება (სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხ.).

³⁹¹ გერმანულად მას Aushändigen ჰქვია, ამიტომაც ქართული სიტყვა განთავსება, შესაძლოა, ყველაზე კარგად მიესადაგებოდეს მას.

ამიტომ წარმომდგენის აქციის მფლობელში სწორედ მისი მესაკუთრე უნდა ვივარაუდოთ.³⁹² ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი.³⁹³

საერთოდ, პრაქტიკაში, ამ ბოლო დროს, მრავლად არის შემთხვევები, როდესაც წარმომდგენის აქცია, სახელობით აქციასთან შედარებით, საზოგადოების მიერ ნაკლებად გაიცემა. საწარმდგენლო აქციების გაცემით საზოგადოება ასევე ნაკლებად აკონტროლებს სააქციო კაპიტალის მოძრაობის პროცესსა და ცალკეული აქციონერების ხელში ქაღალდების კონცენტრაციას, განსხვავებით სახელობითი აქციებისაგან.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, წარმომდგენის აქციის გაუქმება არასწორი ნაბიჯი იყო. ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, წარმომდგენის აქცია უფრო ხელსაყრელი ინსტრუმენტია, ვიდრე სახელობითი აქცია. მიგვაჩნია, რომ საქართველოში სს-ბებმა საშუალო კლასი უნდა გააჩინოს და მოაძლიეროს. ჩვენ ქვეყანაში ნაკლებად არის შიდაინვესტირებისა და შიდა ფულადი სახსრების დიდი ოდენობით მოზიდვის რეალური შესაძლებლობა. ამ მხრივ, სახელობითმა აქციებმა შესაძლოა „დააფრთხოს“ ინვესტორი. სხვა სიტუაციაა ავსტრიისა და გერმანიის ფედერაციებში, სადაც ბოლო წლების განმავლობაში უფრო დიდი ინტენსივობით გაიცემა სახელობითი აქციები. ამ ქვეყნებში, პირიქით, ერთგვარად „ებრძვიან“ უცხო კაპიტალის შემოდინებას და ზრუნავენ იმაზე, რომ გააკონტროლდეს საზოგადოების საკუთარი აქციონერების წრე და შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს სხვა წევრის, უცხო კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში.³⁹⁴ ამიტომ ამ მიდგომას უფრო პოლიტიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს, ვიდრე მატერიალურ-სამართლებრივი.

ბ) სახელობითი აქციები

სახელობითმა აქციამ, როგორც საწარმოს დაფინანსების ინსტრუმენტმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა კაპიტალის ბაზრის გლობალიზაციის პირობებში შეიძინა. ევროპაში გაცილებით განვითარებული იყო ვინკულირებული სახელობითი აქციების გაცემა საოჯახო, სადაზღვევო ან დამხმარე (Nebenleistungsgesellschaft)

³⁹² თუმცა, რა თქმა უნდა, ქურდი, ანუ არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვერასოდეს გახდება აქციის მესაკუთრე.

³⁹³ რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანული BGB-ს რეცეფციის შედეგს წარმოადგენს, ამიტომ შეიძლება ეს საკითხი შეადაროთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (სჯულებების) 1006-ე პარაგრაფს. ამასთან დაკვირვებით იხ.: Medicus in Rebmann/Sacker/Rixecker/Medicus, Münchener Kommentar zum BGB, (2004), S. 1174-1175; Bassenge in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, (2003), S. 1456.

³⁹⁴ საინტერესოა, რომ, მაგალითად, ყველა აქცია, რომელიც ამერიკულ (იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატები) სააქციო ბაზარზეა ჩარიცხული, სახელობით აქციებს წარმოადგენს (ე.წ. „Registered Shares“). აქ წარმომდგენის აქციები სავაჭრო ბრუნვისათვის (ბირჟებზე) არც დაიშვება. ამიტომ იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც ასევე, როგორც ჩანს, არასასურველია უცხო კაპიტალი და ამ კაპიტალის საზოგადოებისეულ კონტროლს სს მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს (ვინკულირებით, რაც მეტად მიღებული ფორმაა ამერიკაში, საზოგადოება თითქმის მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების აქციონერთა წრეს).

სს-ებში.³⁹⁵ თუმცა დროთა განმავლობაში და კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად ისინი თითქმის ყველა ტიპის სს-ებში გაჩნდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რეგისტრირებული წილების (აქციების) გაცემა სს-ებში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ელექტრონული მექანიზმების განვითარებითაც არის განპირობებული.³⁹⁶ იმ საჯარო სს-ებს კი, რომელთაც სურთ თავიანთი წილები საჯარო ვაჭრობისათვის გაიტანონ ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე,³⁹⁷ აუცილებლად ე.წ. registered share, ანუ რეგისტრირებული სახელობითი ფასიანი ქაღალდები უნდა ჰქონდეთ განთავსებული.³⁹⁸ თავისთავად ცხადია, ნიუ-იორკის ბირჟაზე სს-ის სახელობითი აქციის კოტირება საწარმოს პოტენციურ ინვესტორებთან დიდ უპირატესობას ანიჭებს.

ა) სახელობითი აქციის განმარტებისთვის

საზოგადოების წესდებაში მოცემული უნდა იყოს აქციები სახელობით აქციებად არის გაცემული (განთავსებული) თუ არა. ყველაზე გავრცელებული შემთხვევები, როდესაც შეიძლება ასეთი სახის აქცია გაიცეს, შემდეგია:

1. როდესაც აქციონერის მხრიდან შესატანი სრულყოფილად, მთლიანად არ არის განხორციელებული (ამ შემთხვევაში მათ სხვაგვარად Teileingezahlte Aktie, ანუ ნაწილობრივად გადახდილი აქციები ეწოდება).³⁹⁹ ეს ნორმა მხოლოდ ფულადი შესატანების მიმართ მოქმედებს.⁴⁰⁰ გამომდინარე იქიდან, რომ არაფულადი შენატანები მთელი თავიანთი მოცულობით მაშინვე უნდა განხორციელდეს, ამ დროს აქციათა გაცემა შესატანთა სრულ გადახდამდე დაუშვებელია.⁴⁰¹ ამ შემთხვევაში სახელობითი აქციების გაცემით უზრუნველყოფილი იქნება შეტანაზე ვალდებული პირის იდენტიფიკაცია და მისი ვალდებულების სრულად შესრულების მოთხოვნა;

2. ე.წ. ვინკულირებული აქციის გაცემა (ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონი, 62-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლი);

3. ავსტრიული სამართალი იცნობს ასევე ისეთი შინაარსის მქონე აქციას, რომლის მფლობელს სამეთვალყურეო საბჭოში წევრების წარდგენის (წარგზავნის) უფლება აქვს. აქ ნიშანდობლივია ის, რომ ამგვარი აქცია ყველა შემთხვევაში ვინკულირებულია;

4. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ამბობს, რომ სახელობითი აქციები გამოიყენება იმ დროსაც, როდესაც უმეტესწილად იქმნება საკონცერნო საწარმოები და აქციათა საკონტროლო პაკეტის მქონე

³⁹⁵ Frank A. Schäfer in Happ, Aktienrecht, (2007), S. 560.

³⁹⁶ Schäfer in Happ, Aktienrecht, (2007), S. 560-561.

³⁹⁷ NYSE – New York Stock Exchange.

³⁹⁸ Schäfer in Happ, Aktienrecht, (2007), S. 561.

³⁹⁹ Verspary/Sattler, Die kleine AG, S.13.

⁴⁰⁰ იგულისხმება მისი მოქმედება ავსტრიის ფედერალურ რესპუბლიკაში, რადგანაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოში ამ მხრივ სხვაგვარი სიტუაციაა.

⁴⁰¹ Schäfer in Happ, Aktienrecht, (2007), S. 562.

საზოგადოებები. ისინი როგორც წესი, ამ დროს ფლობენ სახელობით აქციებს.⁴⁰²

სახელობითი აქცია განეკუთვნება საორდერო ფასიანი ქაღალდების კატეგორიას. სახელობითი აქცია გაიცემა გარკვეული მფლობელის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელის მონაცემები კი რეგისტრირდება სააქციო საზოგადოების სპეციალურ რეესტრში. ამ შემთხვევაში აქციონერად აღიარებულია მხოლოდ ის მფლობელი, რომლის შესახებაც საზოგადოების წიგნში შესაბამისი აღნიშვნაა გაკეთებული დროისა და შექნილი აქციების რაოდენობის მითითებით. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ სახელობითი აქციის ფლობა პარალელურად დაკავშირებულია საზოგადოების წიგნში (სააქციო რეესტრში) შემქმნის რეგისტრაციასთან.⁴⁰³ არსებობს მოსაზრება, რომ, თუკი ამგვარი აქციის მფლობელი პირი არ არის დარეგისტრირებული, იგი აქციის მესაკუთრედ ვერ ჩაითვლება (თუმცა შესაძლოა საწინააღმდეგო მოსაზრების განვითარებაც, რასაც ქვემოთ დეტალურად შევეხებით).

საერთოდ აღიარებულია, რომ წარმომდგენისა და სახელობითი აქციები ერთსა და იმავე უფლებებს ადგენენ. თავის მხრივ სახელობითი აქცია შესაძლოა, იყოს ვინკულირებული და არავინკულირებული. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.1 მუხლი, ავსტრიული კანონისაგან განსხვავებით, ადგენს, რომ სააქციო საზოგადოება ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს გასცემს მხოლოდ სახელობით აქციებად. რაც შეეხება სახელობითი აქციის გარდაქმნას წარმომდგენის აქციად, აქ ავსტრიის კანონმდებლობა მოითხოვს საერთო კრების გადაწყვეტილებას.

იმისათვის, რომ სახელობითი აქციიდან გამომდინარე უფლებები შეექმნათ და აქციონერს დაუმტკიცოთ, საჭიროა სააქციო წიგნში (აქციონერთა რეესტრში) რეგისტრაცია, რადგან საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში, როგორც ვახსენეთ, აქციონერად მხოლოდ ის პირი განიხილება, ვინც სააქციო წიგნშია (რეესტრშია) შეტანილი (ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის 61-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი).

ბბ) საზოგადოების მიერ აქციონერთა სტრუქტურის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ

საზოგადოების ქონება, მისი ფართო მნიშვნელობით, აქციებშია გამოხატული. ვინაიდან სახელობითი აქციის შექნით ნათელი ხდება თუ ვის ხელში მოექცევა საზოგადოების ქონება, სახელობითი აქციის გასხვისება, გარკვეული გამონაკლისების გარდა, იძლევა აქციონერთა სტრუქტურის და, აქედან გამომდინარე კი, „საზოგადოების ქონების მფლობელთა“ თავისუფალი შერჩევის შესაძლებლობას ფართო წრის მიერ. ამის საფუძველს კი ნებისმიერ პირს, ძირითადად, ასეთი აქციის გასხვისება ანიჭებს.

სახელობითი აქციები, რომელთა გასხვისებაც საზოგადოების თანხმობაზე დამოკიდებული არ არის, როგორც ითქვა, წარმოადგენენ საორდერო ქაღალდებს. ისინი გასხვისდებიან ინდოსამენტისა და გადაცემის ან ცესიისა (მოთხოვნის უფლების

⁴⁰² ჭანტურია/ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, II გამოც., (1998), გვ. 317.

⁴⁰³ სს-თან მიმართებით. ეს საკითხი ქვემოთ უფრო დაწვრილებით განიხილება.

დათმობის) და გადაცემის მეშვეობით. ინდოსამენტი კი არის აქციის მეორე მხარეს შესრულებული წარწერა ამ აქციის ყოველი ახალი მფლობელის თაობაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდოსამენტი არის გარიგებისამართლებრივი გადაცემის ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე უფლების თავისებური ფორმა. იგი, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შედგება ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული წერილობითი განმარტების (ლათ. „in dosso“) და მოწმობის გადაცემისა და ფორმათავისუფალი შეთანხმებისაგან.⁴⁰⁴ რაც შეეხება ორდერს, იგი არის სერტიფიკატი, რომელიც იძლევა განსაზღვრულ პერიოდში ფიქსირებულ ფასში აქციის ყიდვის უფლებას.

ავსტრიული სააქციო სამართალი ამბობს, რომ საბლანკო ინდოსირებადი სახელობითი აქციები გასხვისდებიან როგორც წარმომდგენის აქციები, შეთანხმებისა და გადაცემის მეშვეობით. საინტერესოა ის მოსაზრება, რასაც ჰაპი ავითარებს. იგი ამბობს, რომ უფლების გადაცემისათვის სააქციო წიგნში რეგისტრაციას არა აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა. იგი მხოლოდ აქციონერის ლეგიტიმაციის ფუნქციას ემსახურება. მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება სწორია. სახელობითი აქცია – ფასიანი ქაღალდია, რომელიც განამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულ სააქციო საზოგადოებაში წევრობის უფლებამოსილებას. წევრობის უფლებამოსილების ერთობლიობა დგინდება, ძირითადად, რეესტრიდან, რადგანაც, თუკი პირი არ არის რეგისტრირებული როგორც აქციონერი, შესაბამისად, მას არ გააჩნია საზოგადოებასთან მიმართებით ლეგიტიმაციის ფუნქცია, მაგრამ იგი აქციის კეთილსინდისიერი და სრულყოფილი მფლობელია. მიგვაჩნია, რომ სახელობითი აქციის გასხვისებასთან მნიშვნელოვანია შემდეგი: სახელობითი აქციის შემქმნის რეგისტრაცია აქციათა რეესტრში გამსხვისებულთან და ყველა მესამე პირთან ურთიერთობაში სავალდებულო არ არის. მიჩნეულია, რომ რეგისტრაცია არასდროს განსაზღვრავს გადაცემის (გასხვისების) წინაპირობებს.⁴⁰⁵ თუმცა, საზოგადოებასთან მიმართებით, მასთან კავშირში მხოლოდ ის განიხილება აქციონერად, ვინც ასეთად არის რეგისტრირებული აქციათა რეესტრში. ამით სახელობითი აქციის მფლობელ პირებს შეუძლიათ მოახდინონ ზეგავლენა მათი ხმის (ხმების) მეშვეობით საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. მათი ვინაობა ადვილად ჩანს აქციათა რეესტრიდან. წარმომდგენის აქციისაგან განსხვავებით, სააქციო საზოგადოების გამგეობას ნებისმიერ დროს შეუძლია ჩაიხედოს აქციათა რეესტრში და შეამოწმოს ხმის უფლებამოსილების მქონე აქციონერთა სტრუქტურა.

სახელობითი აქციის გასხვისების საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა, გარკვეული დასკვნაც გაკეთდეს: ვთქვათ, აქციის გასხვისების დროს მისი მფლობელი არ იყო რეგისტრირებული რეესტრში, მაგრამ ეს მაინც არ უნდა გახდეს ამ აქციის თაობაზე დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი. აქცია, როგორც ფასიანი ქაღალდი, დამოუკიდებელი სუბსტანცია, და როგორც

⁴⁰⁴ ასეთი პრინციპი ყველაზე მეტად შეესაბამება ქართულ სამოქალაქო სამართალს. ეს საკითხი შეგიძლიათ შეად.: Quack in Rebmann/Sacker/Rixecker/Medicus, Münchener Kommentar zum BGB, (2004), S. 801.

⁴⁰⁵ Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, 5. Auf., (2002), §68, Rn3.

საზოგადოებაში წევრობის უფლებამოსილების მატარებელი, სამართლებრივად არსებობდა. აქედან გამომდინარე, მისი გაუქმების არანაირი საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება მისი მფლობელის რეგისტრაციის ფაქტს – ეს მხოლოდ კონსტიტუციური ფაქტია და ემსახურება მხოლოდ აქციონერის ლეგიტიმაციას საზოგადოებასთან მიმართებით. ასე რომ, თავად აქცია სამართლებრივად წარმოდგარია და იგი უნდა განვიხილოთ როგორც „სრულყოფილი“ სამართლებრივი დოკუმენტი. სწორედ აქცია არის ის იურიდიული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ქონებრივ უფლებას, რაც მასშია განმტკიცებული.

აქციაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.2-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ „აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით“. კანონით გათვალისწინებული ეს სხვა ფორმა არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფორმა (მუხლები: 2.43 და 10.3). როგორც პროფესორი ლ. ჭანტურია უთითებს, ამ მხრივ ეროვნული კანონმდებლობა განასხვავებს შიდა და გარე რეგისტრაციას.⁴⁰⁶ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებია როგორც ღია, ისე დახურული სააქციო საზოგადოებების არსებობა. განსხვავება მათ შორის სწორედ რომ აქციათა გასხვისებისა და აქციაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის გამო ხდება. დახურული სააქციო საზოგადოებისათვის განმტკიცებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც, აქციათა რეესტრის წარმოება ხდება თვით საზოგადოების მიერ, ხოლო ღია ანუ საჯარო სააქციო საზოგადოებისთვის რეესტრის წარმოება ხდება, ძირითადად, დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

დახურული ტიპის სააქციო საზოგადოების აქციათა გასხვისება დაშვებულია შემდეგნაირად: აქციათა გასხვისება სანოტარო წესით დამოწმებული დათმობის ხელშეკრულებით და რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით; აქციის გასხვისება აქციის სერტიფიკატზე ინდოსამენტითა და რეესტრში ცვლილების განხორციელებით.

შესაძლებელია, რომ აქციონერზე არ იყოს გაცემული სააქციო მოწმობა (აქციის სერტიფიკატი – როგორც ფასიანი ქაღალდი). მაშასადამე, მისი მდგომარეობა უთანაბრდება შპს-ის პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა მას მისი კუთვნილი წილის გასხვისების შესაძლებლობას ვერ აუკრძალავს. ასეთ დროს გასხვისებისათვის აუცილებელია მხარეთა შორის დათმობის გარიგების დადება, რომელიც სანოტარო წესით დამოწმდება. გამსხვისებელი ნოტარიუსთან წარადგენს ამონაწერს რეესტრიდან, დამოწმებულს რეესტრზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ხოლო იმისათვის, რომ საკუთრების უფლება სრულყოფილად გადავიდეს, აუცილებელია ახალი აქციონერის რეგისტრაცია საზოგადოების აქციათა რეესტრში. ასე რომ, ავსტრიული გასხვისებისაგან განსხვავებით, აქციონერის ლეგიტიმაციის

⁴⁰⁶ ჭანტურია/ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 318.

ფუნქცია ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, თვით საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობაა. საინტერესოა შემდეგი საკითხი: უნდა ჩაითვალოს თუ არა აქციის გასხვისების გარიგება ბათილად იმ შემთხვევაში, როდესაც აქციის მფლობელი არ არის რეგისტრირებული აქციათა რეესტრში. ამ საკითხთან მიმართებაში ქართული სასამართლო პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს. თუკი ქართულ კანონმდებლობას მივყავით, ალბათ, ასეთი გარიგება ბათილად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ღია სააქციო საზოგადოებებს, აქ აქციათა გასხვისება, ძირითადად, სადილერო-საბროკერო კომპანიების მეშვეობით ხორციელდება. 1999 წლის ცვლილებებით შემოღებულია დამოუკიდებელ რეგისტრატორთა მიერ აქციათა რეესტრის წარმოების აუცილებელი წინაპირობა. სააქციო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ რეგისტრატორს შორის ფორმდება დამოუკიდებელი ხელშეკრულება (მას შესაძლოა, ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებაც ვუწოდოთ). ამ დროს აქციის გასხვისების მსურველმა უნდა მიმართოს საბროკერო კომპანიას და დაუდოს სათანადო ხელშეკრულება, რომელშიც ზუსტად იქნება აღწერილი დავალების შინაარსი.⁴⁰⁷ ამ შემთხვევაში ლიცენზირებული ბროკერი ამოწმებს, აქვს თუ არა აქციის გამსხვისებელს ის აქციები, რომელთა გაყიდვაც სურს. იგი ავალებს გამყიდველს, რომ გასაყიდად გამიზნული აქციები საბროკერო ფირმას ნომინალურ მფლობელობაში გადაეცეს, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ დავალების შესრულების პერიოდში ამ აქციებს პირი (კლიენტი) არ გაასხვისებს.⁴⁰⁸

რაც შეეხება აქციების ყიდვა-გაყიდვას ბირჟების მეშვეობით, ეს ცალკე განსახილველი საკითხია და ამაზე აქ არ შევჩერდებით.

გვ) ღონისძიება, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს აქციონერის სტრუქტურაზე

ღონისძიებები, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ წილის მესაკუთრის (აქციონერის) სტრუქტურაზე, შესაძლოა, შემდეგნაირად განისაზღვროს: ა) ღონისძიება, რომელიც ზღუდავს საზოგადოების წილის თავისუფალ გადაცემას; ბ) ღონისძიება, რომელიც საზოგადოების წილის შეძენის სპეციალურ მოტივს აწესებს და გ) იმ მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც საზოგადოების წილის არაკონტროლირებადი შეძენის სრულ შეუძლებლობას განსაზღვრავს. შესაბამისად, ეს ღონისძიებები, შესაძლოა, ერთი საფუძვლის გარშემო გაერთიანდეს. ასეთ საფუძველს კი სახელობითი აქციის გასხვისების მნიშვნელოვანი შეზღუდვა წარმოადგენს.

როგორც ითქვა, წარმომდგენის აქციების გასხვისებისას საზოგადოება ნაკლებად ახდენს საწარმოს კაპიტალის მოძრაობის პროცესს. ამიტომ, ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს იმას, რომ „არასასურველი“ ფიზიკური თუ იურიდიული პირები არ

⁴⁰⁷ ჭანტურია/ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 323.

⁴⁰⁸ ამ საკითხის შესახებ იხ.: ჭანტურია/ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, III გამოც., (2002), გვ. 322-324.

გახდნენ საზოგადოების წევრები (აქციონერები). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხვას წილის გასხვისებას. ამიტომ აქციის გასხვისება ორმხრივ თანხმობაზე, საზოგადოების თანხმობაზე ხდება დამოკიდებული. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი ორმხრივი ნების მონაწილე საზოგადოების მხრიდან არის ღირექტორატი.⁴⁰⁹ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამისათვის კანონმდებლობით დადგენილი ყველაზე ხელსაყრელი ბერკეტი არის სახელობითი აქციების ე.წ. ვინკულირება (ანუ დაკავშირება). არ არსებობს არანაირი ეჭვი იმისა, რომ სახელობითი აქციების ვინკულირებისას (აქციის გასხვისების დაკავშირებისას) საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა პირდაპირ განახორციელოს ზეგავლენა და ჩარევა აქციის გარიგებითსამართლებრივ შეძენასა და გასხვისებაზე. ამით გამგეობას, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეუძლია გააკონტროლოს აქციონერთა წრის ყოველი კერძოავტონომიური ცვლილება.⁴¹⁰

ააა) ვინკულირებული აქციის გასხვისება: საზოგადოების ქონების „არამოსურნეთა“ ხელში ჩაგდების ერთადერთი აღმკვეთი მექანიზმი?!

როგორც ზემოთ ითქვა, სახელობითი აქცია შესაძლოა იყოს ვინკულირებული. საერთოდ, კაპიტალური ტიპის საზოგადოებების სამართალში განმტკიცებულია წევრობის უფლების თავისუფალი გადაცემის პრინციპი. ეს ნორმა მოქმედებს, როგორც წარმომდგენის, ისე სახელობითი აქციების მიმართ. სახელობითი აქციების ე.წ. ვინკულირება ერთგვარად უშვებს აქციათა თავისუფალი გასხვისების (გადაცემის) შეზღუდვას ვალდებულებითსამართლებრივი ქმედებით. ამ თვალსაზრისით, აქციათა ვინკულირება წარმოადგენს ერთადერთ ინსტრუმენტს (რასაც ავსტრიული და ქართული კანონმდებლობა შეიცავს), რომელიც შესაძლებელს ხდის საზოგადოების უშუალო კონტროლს სააქციო საზოგადოების აქციონერთა წრეზე. ვინკულირებული აქციები ასევე წარმოადგენს „დაბატონებული საწარმოს“,⁴¹¹ აქციონერებისა და კრედიტორების დაცვის სანიმუშო ინსტრუმენტს.

საერთოდ, ვინკულირება ნიშნავს, რომ აქცია მხოლოდ საზოგადოების თანხმობის საფუძველზე შეიძლება გასხვისდეს. ეს მოქმედება *დაკავშირებულია* საზოგადოების ნებასთან (თანხმობის გამოვლენასთან). ამ ნორმას, როგორც აღინიშნა, ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლი. აქ იგულისხმება, რომ ეს წესი გამოიყენება მხოლოდ სახელობით აქციასთან მიმართებით და ამგვარი თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს წესდებასა და სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში

⁴⁰⁹ იხ.: „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 52.3.

⁴¹⁰ შეად.: Marcus Hermann, Zivilrechtliche Abwehrmassnahmen gegen unfreundliche Übernahme in Deutschland und Grossbritannien, München 1993, S. 60-61.

⁴¹¹ ვგულისხმობთ სხვა საწარმოს ბატონობის ქვეშ მყოფ საზოგადოებას (ამ შემთხვევაში, ძირითადად, საკონცერნო საწარმოები მოიაზრება). ამ ტერმინს იყენებს ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში ასევე ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო (ამ გადაწყვეტილებაში, (ძირითადად) კონცერნის განმარტებასთან და „საკონცერნო ზეგავლენასთან“ ერთად, საუბარი უმცირესობაში მყოფ პარტნიორებზე და მათი დაცვის გარანტიებზე). იხ.: OGHZ 10. 03. 2003, Geschäftszahl 160k20/02.

რეგისტრაციისას.⁴¹² სააქციო მოწმობაში (ბარათში) მანვენებელი, აღმნიშვნელი სიტყვა „ვინკულირებული (დაკავშირებული) აქცია“ შესაძლოა, ამოღებულ იქნეს. კანონით ეს გათვალისწინებული არ არის. ამიტომ საკმარისია მანვენებელი „აქცია“ ან „სახელობითი აქციის“ წარწერა – დასძინს ჰაპპი.⁴¹³

დღეს გაბატონებული შეხედულების თანახმად, ვინკულირებული სახელობითი აქცია არის საორდერო ფურცელი (და არა ე.წ. Rektapapier, ანუ სახელობითი ფასიანი ქაღალდი. სხვაგვარად მას ჩვეულებრივ პირად ფასიან ქაღალდსაც უწოდებენ) და იგი ინდოსამენტის მეშვეობით გადაიცემა. აქციის გასხვისება საზოგადოების თანხმობასთანაა დაკავშირებული და მასში მხოლოდ გარიგებითსამართლებრივი გადაცემა მოიაზრება. ამგვარი თანხმობა შესაძლოა, გაიცეს გადაცემის წინ ან მას შემდეგ. თანხმობის გაცემაზე კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება. იგი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების არსებითი ინტერესებიდან უნდა ამოვიდეს, მაგრამ არ უნდა უგულვებლყოს აქციის გამსხვისებლის ნება-სურვილი („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლი). რაც შეეხება შემძენის ინტერესს, იგი ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება და მას მნიშვნელობა არ აქვს.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამგეობა (დირექტორატი) გასცემს ან არ გასცემს თანხმობას ვინკულირებული სახელობითი აქციის გასხვისებაზე, მაშინ გასხვისების გარიგება, როგორც წესი, იქნება სამართლებრივი შედეგის მქონე ან არმქონე (ბათილი). აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი აქციის გასხვისებისათვის თანხმობის მიცემა, გამოსატყა, განმარტება საზოგადოების მხრიდან დამოკიდებული არ არის რაიმე სპეციალურ ფორმაზე. დირექტორატის ასეთი განმარტება შედეგიდან გამომდინარეობს, ანუ შესაძლებელია სააქციო საზოგადოების გამგეობამ აქციონერს აქციის გასხვისებისთვის არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, არამედ კონკლუდენტური ქმედებით მისცეს თანხმობა, მაგალითად, შემძენის რეგისტრაციით აქციათა რეესტრში (სააქციო წიგნში) ან განმარტებითი უარით რეგისტრაციაზე (თანხმობის მიცემაზე უარის შემთხვევაში). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარდა საჯარო ფასიანი ქაღალდისა⁴¹⁴ რომელიმე კლასის აქციის გადაცემა შესაძლებელია დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუკი ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. აღნიშნული ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ასევე დავასკვნათ, რომ თავად თანხმობის გაცემის რაიმე სპეციალურ ფორმას საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, ანუ ამ შემთხვევაში, ავსტრიული სამართლის მსგავსად, საზოგადოება მის ქმედებაში ფორმათაუვისუფალია. ნორმა შეიძლება ასევე იმგვარად განიმარტოს, რომ საწარმოს არსებითი ინტერესებისათვის საფრთხის არსებობის

⁴¹² ჭანტურია/ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომენტარი, II გამოც., (1998), გვ. 318.

⁴¹³ Happ in Happ, Aktienrecht, (1995), S. 236.

⁴¹⁴ აქ იგულისხმება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდი.

შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია განმარტოს უარი და განმარტოს იგი წერილობითი ფორმით. ქართული რეალობიდან გამომდინარე, თუკი სააქციო საზოგადოება, თანხმობის გაცემაზე უარს განაცხადებს, იმთავითვე სწორედ წერილობით უნდა დაასაბუთოს მისი უარი, თუნდაც მოკლედ, ანუ ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას, მაგალითად, საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განხილვა-გამჟღავნებას. შესაბამისად, ეს უფრო სწრაფი პროცედურა იქნება თვით აქციონერისთვის, ვინაიდან მას შესაძლებლობა ენიჭება სწრაფად გაასაჩივროს საზოგადოების წერილობითი დოკუმენტი (აქტი) სასამართლოში.

მეტად საინტერესოა ასევე საკითხი, იქონიებს თუ არა თანხმობის გაცემაზე უარი რაიმე შედეგს თვით გასხვისების გარიგებაზე, ანუ ასეთი თანხმობის არქონისა და გარიგების (ვინკულირებული სახელობითი აქციის გასხვისების გარიგების) დადებისას, იქნება თუ არა თავად ეს გარიგება ბათილი მესამე პირისთვის, თუ მას რელევანტული მნიშვნელობა მხოლოდ საზოგადოებასთან მიმართებით გააჩნია? მაგალითად, ვინკულირებული აქციის გასხვისების გარიგება დაიდო სს „X“-ის აქციონერსა და ბ-ს შორის ისე, რომ საზოგადოების თანხმობა გაცემული არ იქნა. იმისათვის, რომ გარიგება, ერთგვარად, აღსრულდეს, ანუ მას მიეცეს სამართლებრივი შედეგი, შეიძენი უნდა დარეგისტრირდეს აქციათა რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საზოგადოებაში ხმის უფლება არ ექნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავსვათ კითხვა: იქნება თუ არა ეს გარიგება მის სამართლებრივ საფუძველშივე ბათილი (არშემდგარი) თუ მიენიჭება მას საცილოდ ბათილი (საცილოდ არშემდგარი) გარიგების კატეგორია. თუკი დავუშვებთ, რომ გარიგება საცილოა, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს საზოგადოების მიერ შემდგომი თანხმობის მიცემის შემთხვევაში, მისი გამოსწორება (Heilung). ამ დროს ვიხელმძღვანელებდით სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმა-დებულებებით. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას გავამახვილებდით სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლზე. ეს მუხლი აწესრიგებს ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას. აქ ნათქვამია, რომ ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან პარალელის გავლების შემთხვევაში, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ კანონის 52.3-ე მუხლში საუბარი სწორედ გასხვისების ნებართვაზეა. შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნებართვის არარსებობის შემთხვევაში გარიგება ბათილია. მაგრამ საკითხავია, უთუოდ ბათილია იგი თუ საცილოდ ბათილი? მიგვაჩნია, რომ ასეთი გასხვისების გარიგება ნაწილობრივად შემდგარია, საცილოდ ბათილია, რადგანაც შეთანხმებისა და გადაცემის საფუძველზე პირი ხდება ნივთის კეთილსინდისიერი შემქენი. ამ ნივთის (აქციის) უკან დგას ის უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რომელიც რეალურად არსებობს (აქცია წარმოადგენს იმის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომ იგი განამტკიცებს წევრობის უფლებამოსილებას გარკვეულ სს-ში). ამ უფლებამოსილების გაუქმების საფუძველს მხარეთა შორის დადებული გასხვისების გარიგება (მისი ბათილობის შემთხვევაშიც კი), რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს. მაგრამ რეალურად თანხმობის

უქონლობისა და შემძენის რეგისტრაციის ფაქტის არარსებობის გამო, ასეთი აქცია არ აძლევს მის ახალ მფლობელს ამ წევრობის უფლებამოსილების გამოყენების რეალურ შესაძლებლობას (ვთქვათ, საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენებისა). ამიტომ მანამდე გასხვისების მავალდებულებელი გარიგება (აქციონერსა და შემძენს შორის) სწორედ საცილოდ უნდა მივიჩნიოთ. საზოგადოების მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში გასხვისების გარიგება სრულყოფილად შედგება. შემძენი დარეგისტრირდება რეესტრში და მის ხელთ არსებული წევრობის უფლებამოსილების რეალური გამოყენების შესაძლებლობა მიეცემა.⁴¹⁵

(1) თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო

საერთოდ, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას მიკუთვნებული ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს, რომ თანხმობას გაცემს მხოლოდ გამგეობა (დირექტორატი). ეს ტრადიციული შემთხვევაა. რაც შეეხება ნაციონალურ კანონმდებლობას, იგი ამბობს, რომ დაკავშირებული სახელობითი აქციის გასხვისებისათვის თანხმობას გაცემს დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით („მეწარმთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლი). ავსტრიის კანონმდებლობა ასეთ იმპერატიულ მოთხოვნას არ იცნობს და აღნიშნავს, რომ ეს საზოგადოების ალტერნატივაზეა დამოკიდებული, ანუ წესდებამ შესაძლოა, გაითვალისწინოს ნებართვის გაცემა მხოლოდ გამგეობის (დირექტორატის) მიერ (უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეც ხდება), ან სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულო თანხმობით ნებართვა გაცეს გამგეობამ. მოკლედ, ავსტრიის კანონის ეს დისპოზიციური ნორმა ითვალისწინებს, რომ წესდებაში შესაძლოა, მოცემული იყოს ამგვარი მოქმედების განხორციელება სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების მეშვეობითაც.

ზოგადად, ვინკულირებული სახელობითი აქცია შეიძლება, ასევე დაშვებული იყოს საბირჟო ბრუნვისთვის (წარმოებისთვის). ამის წინაპირობაა ის, რომ ისინი ატარებენ საბლანკო ინდოსამენტს ან მათთვის გამყიდველის საბლანკო-აღწერილობის მონაცემებს.

(2) გასხვისებისას გადახდის ღირებულების სავალდებულო მონაცემების შესახებ

ამ დროს სააქციო მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს ნაწილობრივი გადახდის ღირებულების თაობაზე. ეს სახელობითი აქციისათვის იმპერატიული მოთხოვნაა.

იმპერატიული ხასიათის ნორმა, რომ შესატანის მთლიან, სრულყოფილ განხორციელებამდე მხოლოდ სახელობითი აქციები გაიცემა, რომელშიც ასევე, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოცემულია ნაწილობრივი განხორციელების ღირებულების შესახებ, უნდა განამტკიცებდეს საზოგადოების შესაძლებლობას, მხედველობაში

⁴¹⁵ არსებობს ასევე საეჭვო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთ შემთხვევაში გარიგების საცილოდ ბათილობა მოქმედებს მხოლოდ საზოგადოების კავშირთან მიმართებით, ხოლო ურთიერთობაში მესამე პირებთან, შექმნა სრულყოფილად შემდგარი. შეად.: Lutter in Kölner Kommentar zum AktG, (1988), §68 Rn 39.

მიიღოს და ზეგავლენა მოახდინოს აქციონერის მიერ დარჩენილ განუხორციელებელ შესატანზე. თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს წინამდებარე მოსაზრებას, ეს კონკრეტული კაზუსის შეფასების საგანია.

რეგისტრაციის შემდეგ სახელობითი აქციები მესაკუთრემ შეიძლება წარმოდგენის აქციებით შეცვალოს იმდენად, რამდენადაც ამას შესაძლოა, წესდება ითვალისწინებდეს, ხოლო თუკი გარდაქმნა (შეცვლა) არ განხორციელდება, სახელობითი აქციები ძალაში რჩება.

დღ) დასკვნის მაგიერ

რაკი დღეს გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ვინკულები სახელობითი აქციაც საორდერო ქაღალდების კატეგორიას განეკუთვნება, მათი გასხვისებისთვისაც ისეთივე წესები გამოიყენება, როგორც სახელობითი აქციების გადაცემისათვის (რა თქმა უნდა, დამატებით საჭიროა საზოგადოების თანხმობა). სააქციო საზოგადოება ახორციელებს აღნიშნულ სააქციო რეესტრში (საზოგადოების წიგნში). მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საზოგადოების წიგნში რეგისტრაცია (აღრიცხვა), როგორც აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეალური გადასვლის (გადაცემის) წინაპირობას. იგი, უმეტესწილად, ემსახურება აქციონერის ლეგიტიმაციის ფუნქციას საზოგადოებასთან მიმართებით.

აქციის ყიდვა-გაყიდვაში მოიაზრება შეთანხმება იმის თაობაზე, რომ აქცია მხოლოდ მასში განმტკიცებული უფლებებით უნდა იქნეს გადაცემული (დაუშვებელია, მაგალითად, აქციის, როგორც ფასიანი ქაღალდისა და წევრობის უფლებამოსილებათა ცალ-ცალკე გადაცემა. ისინი ერთობლიობას წარმოადგენენ). საერთოდ ზემოთქმულში ის სურვილია გამოხატული, რომ წევრობის უფლებამოსილებათა (ასევე მოვალეობათა) ერთობლიობის გადაცემით, რომელიც ახალ აქციონერს უმტკიცდება, მან საზოგადოების აქციონერის ადგილი და სტატუსი დაიმკვიდროს.

საზოგადოების წინაშე გამყიდველი (აქციის გამსხვისებელი) პირის უფლებები, რომლებიც აქციაში განმტკიცებული არ არის, მაგალითად ე.წ. Gläubigerrechte, ანუ კრედიტორთა უფლებები, როგორცაა, ვთქვათ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, აქციის გასხვისებასთან ერთად მყიდველზე ავტომატურად არ გადადის. ასე, მაგალითად შეუძლებელია, მოვითხოვოთ აქციის გამსხვისებლისაგან ის, რომ, ვთქვათ, აქციამ მისი გასხვისებიდან უახლოს დროში დაკარგოს თავისი საბაზრო ან რეალური ღირებულება და ზიანის ანაზღაურება გამყიდველს დაეაკისროთ. აქვე დამატებით გვინდა დავძინოთ, რომ გამყიდველი პასუხს აგებს აქციაში განმტკიცებული უფლების მდგომარეობის, შინაარსის ან მისი მოცულობისათვის და არა აქციის ღირებულების, მისი საბირჟო წარმოებაუნარიანობის, დივიდენდთა სიმაღლის ან ლიკვიდურობის მაღალი ხარისხისთვის, ასევე საზოგადოების ზედავალიანებისთვის და ა.შ.

აქცია წმინდად დეკლარაციული ტიპის ფასიანი ქაღალდია. ამიტომაც შენიშნავს პროფესორი პიტერ მადერი, რომ წევრობა სააქციო საზოგადოებაში პრინციპულად მოწმობის გაცემისაგან

დამოუკიდებლად წარმოდგება⁴¹⁶ (მიგვაჩნია, რომ მთავარი აქ საწარმოს რეგისტრაციის ფაქტია. შეიძლება საზოგადოება დარეგისტრირდეს, მაგრამ ფორმალურად მოწმობები ვერ გაიცეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქციონერი არ არის სააქციო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი). მაგრამ გაერცვლებული შეხედულების თანახმად, აქციონერს უპირობოდ აქვს მასზე სააქციო მოწმობის გაცემის მოთხოვნის უფლებამოსილება (დროებითი მოწმობისა ან შესატანის მთლიანი განხორციელებისას საწარმდგენლო აქციისა, თუკი წესდება სახელობითი აქციის გაცემას არ ითვალისწინებს).⁴¹⁷ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ წევრობის უფლება, ისევე როგორც მისგან გამომდინარე წევრთა უფლებამოსილების გამოყენების უფლება, არ არის დამოკიდებული შესატანის მთლიან განხორციელებაზე. ეს მოსაზრება არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც იმისათვის, რომ პირი სააქციო საზოგადოების სრულყოფილი წევრი გახდეს, მან აუცილებლად უნდა განახორციელოს შესატანი მთლიანად (შესაძლოა რეგისტრაციის შემდეგ რამდენიმე ხანში, მაგრამ შენატანი უნდა შეიტანოს სრული მოცულობით). ძირითადად, სააქციო მოწმობა შედგება „არსებითი (ძირითადი) მოწმობისაგან“, წილობრივი მოგების ბარათის ან კუპონისაგან (რომელიც საზოგადოებაში დივიდენდთა მიღებას ემსახურება), და ე.წ. Erneuerungsschein-ისგან ანუ განახლებული მოწმობისაგან (ტალონისაგან, რომელიც აქციონერს საზოგადოებაში ახალი მოგების უფლების შესაძლებლობას ანიჭებს).⁴¹⁸

და ბოლოს, როგორც აღინიშნა, სახელობითი აქციის უეჭველი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მათი გაცემის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სააქციო კაპიტალის მოძრაობის სისტემატური კონტროლი და ცალკეული აქციონერების ხელში ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციაზე ზედამხედველობა. გარდა ამისა, სახელობითი აქციები ფლობენ ლიკვიდურობის არამაღალ ხარისხს ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, ვინაიდან მათი დარეგისტრირება ახალი მფლობელის სახელზე გარკვეულწილად აფერხებს მათ თავისუფალ მიმოქცევასა და ბრუნვას.⁴¹⁹

§84.2. დროებითი მოწმობა

1. სააქციო ბარათების გარდა, სააქციო სამართალი იცნობს აგრეთვე ე.წ. დროებით მოწმობებს.⁴²⁰ დროებითი მოწმობები არის წილთა მოწმობები, რომელთაც საზოგადოება აქციონერებს ანიჭებს აქციათა გაცემამდე. უმეტესწილად, ისინი აქციონერების წილთა უფლებებს განამტკიცებენ. როგორც „სამომავლო აქციები“, დროებითი მოწმობებიც ფასიანი ქაღალდებია ისე, რომ აქციონერის უფლებების სამართლებრივი მდგომარეობა (მოქმედება) მათ მფლობელობაზეა დამოკიდებული. აქციონერებს დროებითი მოწმობების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუკი ეს

⁴¹⁶ Mader, Kapitalgesellschaften, S.62.

⁴¹⁷ Mader, Kapitalgesellschaften, S.62.

⁴¹⁸ ასეთი სახის ტალონები, უფრო მეტად, სადაზღვევო სს-ბებში გაიცემა უფრო მაღალი სადაზღვევო პრემიის მისაღებად.

⁴¹⁹ Кашанина, Корпоративное право, ст. 422.

⁴²⁰ გერმანულად მას Zwischenscheine ეწოდება.

წესდებით არის გათვალისწინებული. დროებითი მოწმობები აღირიცხება (რეგისტრირდება) საზოგადოების წიგნში (აქციათა რეესტრში).

ძირითადად, დროებითი მოწმობები მაშინ გაიცემა, როდესაც აქციებმა შემდგომში წარმომდგენის სახე უნდა მიიღონ, მაგრამ მათი (საწარმდგენლო აქციების) გაცემა ჯერ არ შეიძლება, ვინაიდან აქციონერებს შესატანი მთლიანად არ განუხორციელებიათ.⁴²¹ ქართულ რეალობაში ზემოთქმულს აღარ ენიჭება მნიშვნელობა, რადგანაც წარმომდგენის აქციები გაუქმებულია, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებში მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ.

საერთოდ აღიარებულია, რომ ამგვარი ტიპის მოწმობების გაცემა მაშინ ჰპოვებს თავის სამართლებრივ გამოხატულებას, როდესაც სააქციო ბარათები (წარმომდგენის ან სახელობითი აქციები) „მოსამზადებელ ეტაპზე“ იმყოფებიან. მიიჩნევა, რომ, როგორც „სამომავლო აქციას“, დროებით მოწმობას იმავე მოცულობის შინაარსი უნდა გააჩნდეს, რაც სხვა აქციას. მათი შინაარსიდან უნდა დგინდებოდეს, რომ დროებითი მოწმობები აქციონერის სამომავლო წილთა უფლებებს განამტკიცებენ.

2. ავსტრიისა და გერმანიის ფედერალური კანონები „სააქციო საზოგადოების შესახებ“ პირდაპირ მოითხოვენ, რომ დროებით მოწმობებს სახელობითი სახე მიეცეთ (ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-10 პარაგრაფის მე-4 აბზაცი, გერმანიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-10 პარაგრაფის მე-3 აბზაცი). წინამდებარე ნორმა უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან სამომავლო ფასიანი ქაღალდის მფლობელის ვინაობის დადგენას, ვინაიდან მათზე აღინიშნება მფლობელის სახელი, გვარი, შექმნის თარიღი.

დროებითი მოწმობების გასხვისება ხდება ისევე, როგორც სახელობითი აქციებისა, ე.ი ან ინდოსამენტის ან ცესისა და გადაცემის მეშვეობით. ისინი ხომ საორდერო ფასიანი ქაღალდების კატეგორიას მიეკუთვნებიან.⁴²²

3. დროებითი მოწმობებისთვისაც მოქმედებს დებულებები აქციათა მინიმალური ნომინალური ღირებულების დაცვის შესახებ. სახელობითი აქციისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ მოწმობაში არც იყოს აღნიშნული განხორციელებული შესატანის ღირებულების თაობაზე. დროებითი მოწმობა შეიძლება, რამდენიმე წილის უფლებას განამტკიცებდეს (წარმოადგენდეს).

4. დროებითი მოწმობის გაცემის დროის მონაკვეთი. ავსტრიის საზოგადოებათა სამართალი დროებითი მოწმობების გაცემას დროის გარკვეულ პერიოდს უკავშირებს. კერძოდ, დროებითი მოწმობის გაცემა სააქციო საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. მანამდე გაცემული დროებითი მოწმობა ბათილია, – ამბობს ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონის 34-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი. იგივე დათქმა მოქმედებს საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, ანუ სანამ არ დარეგისტრირდება გაზრდილი

⁴²¹ იხ.: Richter, Handelsrecht III/1, AG, S. 10.

⁴²² Heider in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 280, Rn. 42.

კაპიტალის განხორციელება, მანამდე მათი გაცემა დაუშვებელია (§191).

დროებითი მოწმობა – საორდერო ქაღალდია. მთლიანი გადახდა არ ქმნის იმის წინაპირობას, რომ ასეთი მოწმობა გაიცეს. საქართველოში არსებულ სააქციო საზოგადოებათა უდიდეს ნაწილს გაცემული ჰქონდა სწორედ ასეთი დროებითი მოწმობები წილის მოწმობების, სერტიფიკატებისა და ა.შ. სახით.

დროებითი მოწმობა ერთგვარად ადგენს გარდამავალ პერიოდს აქციების ჩამოყალიბებას (შექმნას და მათ გაცემას (განთავსებას) შორის. დროებითი მოწმობაც, ისევე როგორც აქცია, განეკუთვნება ფასიანი ქაღალდების კატეგორიას, ამიტომ მისი საბირჟო წარმოება სავსებით დასაშვებია უნდა იყოს.

§§4.3. სააქციო მოწმობის შემადგენელი ნაწილი: მოგების წილის მოწმობა, „გლობალაქცია“

ძირითადი სააქციო მოწმობა – ერთგვარი „მოსასხამია“, რომელშიც ასევე მოიაზრება ე.წ. „დანამატი ქაღალდები“ (Nebenpapiere). დღეს აქცია ერთიანი ქაღალდის სუბსტანციას ქმნის, მაგრამ მასში დამატებითი ქაღალდებიც უნდა ვივარაუდოთ.⁴²³ ავსტრიული სამართალი (და არა მხოლოდ ავსტრიული, არამედ დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა) იცნობს ასევე ე.წ. Gewinnanteilsschein-ს, ანუ მოგების წილის მოწმობას. კანონის იმპერატიული მოთხოვნით არ არის დადგენილი მოგების წილის მოწმობის გაცემა. მაგრამ იგი ტრადიციულად მიღებულია სააქციო საზოგადოებებში, როდესაც მათ სააქციო მოწმობები უკვე გაცემული აქვთ. მოგების წილის მოწმობა განამტკიცებს აქციონერის უფლებას დივიდენდების მიღების თაობაზე. მოგების მოწმობა მოგების მიღებაში განმტკიცებული დოკუმენტია. მხედველობაშია ფასიანი ქაღალდი, რომელიც საწარმდგენლო ან სახელობით სახეს ატარებს და ფასიანი ქაღალდების გასხვისების საყოველთაოდ განმტკიცებულ პრინციპს ემორჩილება.⁴²⁴ განვრცობითად მას შეიძლება ასევე ვუწოდოთ მოგების წილის მიღების უფლების მოწმობა. მისი გაცემის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს წესდებაში. ხოლო თუკი ამგვარი მოწმობა გაცემული არ არის, მაშინ დივიდენდი გაიცემა აქციის წარდგენის მეშვეობით. ეს საზოგადოების სურვილზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ე.წ. „განახლების მოწმობას“ (Erneuerungsschein-ს), იგი, ისევე როგორც მოგების წილის მოწმობა, განეკუთვნება დამატებითი სააქციო ქაღალდის კატეგორიას და ემსახურება ახალი მოგების წილის (Gewinnanteilsschein) შექმნას. მას სხვაგვარად „ტალონსაც“ უწოდებენ. ამგვარი ტალონი, გაბატონებული შეხედულების თანახმად, არ წარმოადგენს საწარმდგენლო ქაღალდს, იგი სალეგიტიმაციო ფურცელია.

ავსტრიული სამეწარმეო სამართალი გამოყოფს ასევე გაერთიანებულ აქციას (მას უწოდებენ „გლობალური აქცია“-ს - Globalaktie). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან შეიძლება

⁴²³ Richter, Handelsrecht, Rechtskurse, III/1, AG, S.7.

⁴²⁴ Lutter in KölnerKomm. zum AktG, §221, Rn. 254 f; Ziehe, BB 1984, 2210, 2211. ვუთითებ: Happ, Aktienrecht, (2007), S. 592.

გააერთიანოს ყველა ან რამდენიმე აქცია ერთ მოწმობაში. აგრეთვე შესაძლებელია, რომ აქციები ერთდროულად რამდენიმე თანამესაკუთრეს ეკუთვნოდეს.⁴²⁵ ამ შემთხვევაში საზოგადოებამ შეიძლება, გასცეს „გლობალური აქცია“, სადაც, შესაბამისად, გაერთიანდება წინამდებარე აქციებიდან გამომდინარე აქციონერთა უფლებამოსილებანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „გლობალაქცია“ არის ბარათი, რომელიც რამდენიმე სამართლებრივად დაყოფილ სააქციო უფლებას განამტკიცებს. საერთოდ, სამეწარმეო სამართალში განმტკიცებულია აქციათა დაყოფის დაუშვებლობის პრინციპი (დაუშვებელი და ბათილია, მაგალითად, მმართველობის უფლების (ვთქვათ, ხმის უფლება, გასაჩივრების უფლება) გამოცალკევება წევრობის უფლებისაგან). ნიშანდობლივია ასევე, რომ აქციის გადაცემა სხვადასხვა ცალკეულ მოწმობაზე, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს ნებისმიერ დროს შეუძლია, არ წარმოადგენს აქციის დაყოფას და, ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ამგვარი მოქმედების განხორციელება ყოველთვისაა შესაძლებელი. „გლობალაქციისათვის“ მოქმედებს პრინციპულად იგივე დებულებები, რაც სააქციო მოწმობათა შესახებ. თავისი მიზნიდან გამომდინარე, „გლობალური აქცია“, უბრალოდ, მიანიშნებს იმაზე, რომ იგი რამდენიმე (მრავალ) სააქციო უფლებას განამტკიცებს. ერთ ასეთ „გლობალაქციაში“ შესაძლოა, შეჯამდეს (გაერთიანდეს) მრავალი ცალკეული მოწმობა. ხოლო საზოგადოების მიერ გაცემული „გლობალური აქციების“ რიცხვი (ჩამონათვალი) წესდებაში შეიძლება მოცემული არც იყოს. აქციონერს შესაძლებლობა ენიჭება, ამ „გლობალური აქციის“ დაბრუნების სანაცვლოდ მოითხოვოს ბარათი თავისი ცალკეული აქციების შესახებ. ხოლო ამ აქციათა დაბეჭდვისა და გაცემის (ვინაიდან შესაძლოა, მრავალი ცალკეული აქცია იყოს გასაცემი) ხარჯები თვით საზოგადოებას ეკისრება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესაძლებელია, ჩვენ ასეთ „გლობალაქციას“ არამატერიალური (არამატერიალიზებული) ფასიანი ქაღალდიც დავარქვათ. ეს, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების სააქციო სამართალში მოქმედებს. მაგრამ იგი კონტინენტური ევროპის სამართალშიც ნელ-ნელა მკვიდრდება. პირველად იგი ჰოლანდიამ აღიარა, შემდეგ, 1995 წელს, გერმანიამ ფედერალურ კანონში „ფასიანი ქაღალდების შენახვისა და შექმნის შესახებ“ მატერიალური დოკუმენტების ნაცვლად შემოიტანა გლობალური სერტიფიკატების პრინციპი. ხოლო გერმანიის გავლით იგი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ ავსტრიის 1997 წლის ფედერალურ კანონშიც დამკვიდრდა.

§4.4. აქციათა სახეები

ა) შესავალი

ნორმები აქციათა სახეების (კლასის) შესახებ, ძირითადად, წევრობის უფლებას ეხება. წევრობის უფლებამოსილება შეიძლება სხვადასხვა შინაარსით ჩამოყალიბდეს. აქციამ შესაძლოა,

⁴²⁵ ამის თაობაზე იხ.: Heider in MünchKomm. zum AktG, (2000), S. 279, Rn. 38, 39; Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 218, Rn. 19, 20; Vatter in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S. 66-68, Rn. 36 ff; და ა.შ.

სხვადასხვა უფლებები განამტკიცოს. ეს პრინციპი მოქმედებს როგორც სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას, ისე აქციების ყოველი შემდგომი გაცემისას (წარმოშობისას) და სააქციო უფლებების შეცვლისას. ამიტომ აქცია ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონის მე-11 პარაგრაფის აზრით, სწორედ წევრობის უფლებას ეხება. ეს ნორმა ადგენს უშუალოდ წევრობის უფლებასთან დაკავშირებულ უფლებას და არა სხვა უფლებას (რომელიც, მაგალითად, აქციონერის პიროვნებასთანაა კავშირში).

აქცია, რომელიც ერთნაირ უფლებებს განამტკიცებს, აქციის ერთ სახეობას (კლასს) წარმოადგენს. სხვადასხვა სახეობის აქციები წარმოადგებიან წევრობის უფლებამოსილება-მოვალეობათა სხვადასხვა ხარისხიდან, რომელნიც უმეტესწილად, აქციონერის ძირითად უფლებებს შეეხებიან. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, ცალკეულმა აქციამ შესაძლოა, აქციის განსაკუთრებული სახეობა წარმოადგინოს. აქციათა სხვადასხვა სახეობის თაობაზე მოცემული უნდა იყოს წესდებაში. ხოლო რაც შეეხება აქციათა მომავალ (ან შემდგომ) გაცემას ან აქციონერთა უფლებების შეცვლას, ეს მთლიანად საერთო კრების კომპეტენციაში შედის. ამ მხრივ საინტერესოა თვით მე-11 პარაგრაფის შინაარსი, რადგანაც ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები სწორედ ამ პარაგრაფიდან მომდინარეობს. აქციის ცალკეულმა კლასმა შესაძლოა უზრუნველყოს სხვადასხვა უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი მოგებისა და საზოგადოების ქონების განაწილებას ეხება. უნდა ითქვას, რომ ქართული კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ითვალისწინებს შეხედულების ამ კუთხეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ საკითხის ვრცელი თეორიული მიმოხილვა ნათელს მოჰფენს კანონის განმარტებას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ერთნაირი და/ან სხვადასხვა უფლების მიმნიჭებელი აქციები, ძირითადად, საწარმოს მოგებისა და საზოგადოების ქონების განაწილების საკითხებთან მიმართებით ყალიბდებიან და განიხილებიან. ამიტომაც შემთხვევით არ იქნა ნახსენები, რომ ეს უმეტესად აქციონერის ძირითად უფლებებს უკავშირდება, ხოლო საზოგადოების წევრის ძირითადი უფლება კი (საზოგადოების სამეწარმეო ხარისხიდან და კაპიტალური ბუნებიდან გამომდინარე) აქციონერის სანივთო (ქონებრივ) უფლებას ეხება.

ნიშანდობლივია ასევე ის ფაქტი, რომ 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.1-ე მუხლს დაემატა შემდეგი წინადადება: ერთი კლასის აქციათა მფლობელებს თანასწორი უფლებები აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ჩვეულებრივი აქციის მქონე აქციონერებს საზოგადოებაში არ შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებული უფლებები გააჩნდეთ. რასაკვირველია, იგივე დანაწესი მოქმედებს უპირატესი აქციების მიმართაც.

ბ) ახდენს თუ არა აქციონერის ქონებრივ მდგომარეობაზე საზოგადოებაში „განსხვავებული“ სტატუსი

აა) აქციონერთა „თანაბარი მოპყრობის“ შესახებ

ტრადიციულად, განასხვავებენ ჩვეულებრივ აქციას, როგორც წევრობის უფლებამოსილება-ვალდებულებათა ჩვეულებრივ

შემთხვევას და პრივილეგირებულ (უპირატეს) აქციას, რომელიც, სხვა აქციებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობით ხასიათდება. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უპირატესი აქციის ფლობა განსაკუთრებულ, უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობას ანიჭებდეს აქციონერს (ვიდრე, ვთქვათ, ჩვეულებრივი აქცია). კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა სამართალში განმტკიცებულია ე.წ. „Gleichbehandlung der Aktionäre“-ს, ანუ აქციონერთა ერთნაირი, თანაბარი სამართლებრივი მოპყრობის პრინციპი.⁴²⁶ ეს პრინციპი, შესაძლოა ითქვას ასევე, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი,⁴²⁷ ეყრდნობა როგორც ავსტრიის კონსტიტუციას (ავსტრიის კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი აბზაცი), ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონს.⁴²⁸ ფართო მნიშვნელობით თანასწორობას სწორედ კონსტიტუცია უზრუნველყოფს (თანასწორობა კანონის წინაშე).⁴²⁹ რაც შეეხება საკორპორაციო სამართალში თანასწორობის პრინციპს, იგი ეფუძნება საზოგადოების წინაშე ყველა აქციონერის (პარტნიორის, მეწილის) თანაბარ მდგომარეობას გარკვეული, მაგალითად, აქციიდან გამომდინარე უპირატესობის გათვალისწინებით.⁴³⁰ გარკვეული პრივილეგია, როგორც ვახსენეთ, ძირითადად, აქციონერის სანივთო (ქონებრივ) უფლებებს შეეხება, ამიტომ პრივილეგირებული აქციის მფლობელი პირი სარგებლობს, მაგალითად, უფრო მაღალი დივიდენდის მიღების უფლებით, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციის დროს დარჩენილი ქონებიდან მოთხოვნის (კრედიტორთა შემდეგ) უპირატესი დაკმაყოფილების უფლებით („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.1 მუხ.). მაგრამ ყოველივე ეს არ აყენებს მას ჩვეულებრივი აქციის მესაკუთრე აქციონერზე მაღლა. აქციის ამ ორივე სახეობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი, უპირატესი და არაპრივილეგირებული თვისებები. ამიტომაც, ამ ორი კლასის აქციიდან თუ რომლის ფლობაა „უკეთესი“ - ეს, უბრალოდ, კონკრეტული შეხედულების საკითხია. შემთხვევით არ ამბობს პროფ. ტ. კაშანინა, რომ „აქციათა კლასიფიკაცია დამოკიდებულია ასევე აქციიდან გამომდინარე უფლებათა მოცულობის ხარისხზე“.⁴³¹

⁴²⁶ Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 798.

⁴²⁷ შეად.: B. C. Funk, Einführung in das österreichisches Verfassungsrecht, 9. Auf., Verlag Leykam, Graz 1996, S. 281; ასევე იხ.: P. Bosek, P. Pani, Grundzüge des Verfassungsrechts, 2. neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1998, S. 93; Harald Stolzlechner, Einführung in das öffentliche Recht, Verlag Manz, Wien 1999, S. 185.

⁴²⁸ GG Art. 3.

⁴²⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-14 მუხლი.

⁴³⁰ Creifelds, Rechtswörterbuch, S. 609.

⁴³¹ Кашанина, Корпоративное право, ст. 422.

ბბ) საზოგადოებაში „სტაბილური“ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ

პრივილეგირებული აქციის⁴³² გაცემა, თითქოსდა, „უკეთესად“ უზრუნველყოფს საზოგადოების ქონების სტაბილურ მიღებას მისი მესაკუთრის მიერ, იმდენად, რამდენადაც მის მფლობელს აქვს უპირატესი უფლება პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი ქონებრივი „ამბიცია“ და მიიღოს სტაბილური დივიდენდი მყარად განსაზღვრულ ფასად. ამასთანავე, საზოგადოების ლიკვიდაციის დროსაც საზოგადოების დარჩენილი ქონებიდან მას აქვს უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. ამიტომ იმ პირს, რომელსაც რენტაბელურ საწარმოში მხოლოდ გარკვეული, მყარად განსაზღვრული თანხის მიღება აინტერესებს დივიდენდის სახით, პრივილეგირებული აქცია გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.⁴³³ ეს უპირატესობა აუცილებლად უნდა იყოს ასახული საზოგადოების წესდებაში. საერთოდ, ფასიანი ქაღალდების იერარქიის კატალოგში უპირატეს აქციებს უჭირავთ, ასე ვთქვათ, შუალედური მდგომარეობა ჩვეულებრივ აქციებსა და ობლიგაციებს შორის. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ისინი, როგორც წესი, არ აძლევენ მის მფლობელს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებას (ხმის უფლებას). თუმცა მასში დევს ის შინაარსიც, რომ თუკი აქციონერი არ გამოიყენებს თავის შეღავათიან უფლებებს, მას შეიძლება მიენიჭოს კიდევ ხმის უფლება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.2-ე მუხლი). მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ პრივილეგირებული აქცია გარდაიქმნას ხმის უფლების მქონე აქციად მაშინ, როდესაც უპირატეს აქციაზე არ იქნება დივიდენდი გაცემული კანონითა და წესდებით განსაზღვრული წესით. ეს წესი კი დაწვრილებით უნდა იქნეს მოცემული წესდებაში.

ამ საკითხთან მიმართებით, ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსხვავება იკვეთება ქართულ და ავსტრიულ სამართალს შორის. ეს უკანასკნელი კანონის მე-12 პარაგრაფის პირველ ნაწილში ამბობს, რომ „ყოველი აქცია უზრუნველყოფს ერთ ხმას“.⁴³⁴ მაგრამ აქვე აღნიშნავს: უპირატესი აქციები, ამ ფედერალური კანონის ნორმების შესაბამისად, *შესაძლოა*, გაიცეს ხმის უფლების გარეშე.⁴³⁵ როგორც ვხედავთ, ფედერალური კანონი ამ შემთხვევაში იმპერატიულად არ მოითხოვს, რომ პრივილეგირებულ აქციას არ უნდა ჰქონდეს ხმის უფლება. ეს თავად საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება რამდენიმე ხმის უფლებას, იგი დაუშვებელია, ანუ ერთი აქცია არ უნდა განამტკიცებდეს რამდენიმე ხმის უფლებას (ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონის მე-12 პარაგრაფის მე-2 აბზაცი).

⁴³² პრივილეგირებულ აქციას ხმის უფლების გარეშე მოიხსენიებენ, როგორც „დაფინანსების პიბრიდულ ინსტრუმენტს ერთი მხრივ, ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივ აქციას და ობლიგაციას შორის“. Theodor Baums, *Vorzugsaktien, Ausgliederung und Konzernfinanzierung*, Arbeitspapier, S. 1. ხელმისაწვდომია შემდეგ მის: <http://www.jura-uni-frankfurt.de/>

⁴³³ Köbler, *Juristisches Wörterbuch – für Studium und Ausbildung*, S. 11.

⁴³⁴ öAktG §12 (1).

⁴³⁵ „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის მე-12 პარაგრაფის პირველი აბზაციის მე-2 წინადადება.

პრივილეგირებული აქციების გაჩენა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომპრომისის გამონახვაზე დამოკიდებული: ერთი მხრივ, ახალ ინვესტორთა მოზიდვის სურვილი და, მეორე მხრივ კი, იმ პირისთვის, რომელიც ამგვარ აქციას შეიძენს, ხმის უფლების არმიკუთვნება. ამით საზოგადოება თავიდან აიცილებს ამ პირის მიერ საწარმოს საქმიანობის კონტროლს. ასე რომ, უპირატესი აქციები ხმის უფლების გარეშე შესაძლებლობას აძლევს სააქციო საზოგადოებას, გაზარდოს კაპიტალი, მაგრამ არ დაუშვას სხვა პირთა ჩარევა საწარმოს ცხოვრებაში. ამის „სანაცვლოდ“ ინვესტორებს სთავაზობენ გარკვეულ პრივილეგიებს. უპირატესი აქციის მფლობელს მიეცემა გარანტირებული შემოსავალი ფიქსირებული დივიდენდის სახით.

ავსტრიის კანონმდებლობა ამბობს, რომ პრივილეგირებული აქცია ქმნის აქციის განსაკუთრებულ სახეობას (§11) ისე, რომ სხვადასხვა აქციის სახეობები წარმოდგებიან იქიდან გამომდინარე, თუ როგორაა შედგენილი (ჩამოყალიბებული) წევრობის უფლებები და მოვალეობები სააქციო საზოგადოებაში. ხოლო სხვადასხვაგვარი უფლების შინაარსი წესდებაში უნდა აისახოს.

სააქციო ბარათი (მოწმობა, სერტიფიკატი – მას სხვადასხვანაირად შეიძლება ვუწოდოთ) თავისი აღნიშვნის მეშვეობით ნათლად უნდა არკვევდეს, რომ იგი პრივილეგირებულ აქციას განამტკიცებს. ავსტრიული სამართალი მოითხოვს ასევე, რომ სააქციო ბარათში მითითებული იყოს უპირატესი აქცია ხმის თუ ხმის უფლების გარეშეა წარმოდგენილი.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.1 მუხლის პირველი აბზაცი ამბობს, რომ „სააქციო საზოგადოება გასცემს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ სახელობითი ფორმით“, განსხვავებით ავსტრიულისაგან, სადაც უპირატესი აქციები შესაძლოა, წარმოდგენის ფორმითაც გაიცეს (თუმცა ამ განსხვავებას მნიშვნელობა აღარ ენიჭება იმდენად, რამდენადაც ქართული კანონმდებლობის მიხედვით წარმოდგენის აქციის გაცემა სააქციო საზოგადოებაში გაუქმებულია). აქვე დავძენთ, რომ თუ პრივილეგირებული აქციიდან გამომდინარე უპირატესობა გაუქმდება (ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი უპირატესობის ჩამორთმევას აქციონერისათვის),⁴³⁶ ანდა თუკი ისინი ჩვეულებრივ აქციებად გარდაიქმნება, მაშინ აუცილებელია საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა.⁴³⁷ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პრივილეგირებულმა აქციამ სააქციო საზოგადოების აქციონერს მიანიჭოს ხმისა და, შესაბამისად, საერთო კრებებში მონაწილეობის უფლება. ამას ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.2-ე მუხლის ბოლო წინადადება, სადაც ნათქვამია: „პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას საერთო კრებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდება ან ამ აქციების ემისიის პროსპექტი ითვალისწინებს ერთ პრივილეგირებულ აქციაზე ერთი ხმის მინიჭებას პრივილეგირებულ აქციაზე დივიდენდების გაუცემლობისა“. გამომდინარე აქედან, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნა: თუკი სააქციო საზოგადოების წესდებით

⁴³⁶ იხ.: öAktG §117.

⁴³⁷ იხ.: öAktG §146 მე-2 აბზაცი.

იმთავითვე გათვალისწინებულია, რომ პრივილეგირებული აქციის მფლობელი პირი არ გამოიყენებს საწარმოს მოგების შემთხვევაში მის ამ უფლებას და არ მიიღებს საზოგადოებისაგან დივიდენდს, იგი უფლებამოსილი ხდება მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებებში ხმის უფლებით.

ნიშანდობლივია, რომ ავსტრიის „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ფედერალური კანონის 114-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი ამბობს, „ყოველი აქცია უზრუნველყოფს ხმის უფლებას“.⁴³⁸ ამასთანავე, კანონი აღნიშნავს, რომ ხმის უფლება (მისი იურიდიული მოქმედება) იწყება შესატანის სრულყოფილი განხორციელების შემდეგ (ამავე პარაგრაფის მეორე აბზაცის პირველი წინადადება). ეს, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა სააქციო სამართალში. ამ საკითხის გასაშლელად მოვიყვანოთ ერთ ასეთ მაგალითს. სასამართლომ სამეწარმეო რეესტრში გაატარა სს „ავსტრიის მინერალური წყლები“. წესდებაში პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ შესატანის 1/4 განხორციელდებოდა წესდების ხელმოწერისთანავე, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი წესდების რეგისტრაციიდან 3 თვის შემდეგ. საწარმოს დამფუძნებელ-პარტნიორებმა შესატანი განახორციელეს მთლიანად, გარდა საზოგადოების ერთი პარტნიორისა (პირობითად მას A დავარქვათ). საწარმოს რეგისტრაციიდან ორი თვის შემდეგ ჩატარდა აქციონერთა კრება, რომელმაც მიიღო საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ კრებაში ხმის უფლება არ მისცეს A-ს, რომელმაც შემდგომ კრების ოქმი სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა საზოგადოების აქციათა 38%-ის მფლობელს და მის გარეშე კრება უფლებამოსილი არ იყო, ასეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიეღო. ავსტრიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და აღნიშნა: მოსარჩელე წარმოადგენს აღნიშნული საზოგადოების წევრს. მას კრების ჩატარების მომენტისათვის არ ჰქონდა სრულყოფილად განხორციელებული შენატანი. არც წესდებაში ყოფილა დათქმა იმის თაობაზე, რომ საზოგადოების აქციონერს, რომელიც სრულყოფილად არ განახორციელებს შესატანს, ხმის უფლება ეძლევა მის მიერ ნაწილობრივი შესატანის განხორციელების მომენტიდან. მაგრამ მოსარჩელეს მაინც ჰქონდა უფლება მიეღო მონაწილეობა საერთო კრებაში ხმის უფლებით. მაგრამ, არა იმ მოცულობით (ანუ 38%), რა მოცულობითაც წესდების შესაბამისად მისი წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა საწარმოში, არამედ მის მიერ განხორციელებული შესატანის პროპორციულად. გამომდინარე აქედან, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის 114-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი განსაზღვრავს, რომ ყოველი აქცია უზრუნველყოფს ხმის უფლებას. ამავე პარაგრაფის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება ამბობს, რომ ხმის უფლების მოქმედება იწყება შესატანის სრულ განხორციელებასთან ერთად. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ წესდებამ შესაძლოა გაითვალისწინოს, რომ შესატანის სრული განხორციელება არ იყოს აუცილებელი

⁴³⁸ იხ.: öAktG §114 (1).

წინაპირობა იმისათვის, რომ აქციონერს საზოგადოებაში ხმის უფლება მიენიჭოს. მაგრამ, თუკი წესდება ასეთ დათქმას არ ითვალისწინებს მაშინ მოქმედებს ამავე პარაგრაფის მე-4 წინადადება, რომელიც ამბობს: თუკი წესდება არ ითვალისწინებს წინამდებარე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მე-2 და მე-3 წინადადებებში მოცემულ შინაარსს, მაშინ აქციონერის ხმის უფლება საზოგადოებაში გამომდინარეობს მის მიერ განხროციელებული იმ შესატანის პროპორციულად, რომელიც მან საზოგადოებაში უკვე განახორციელა.⁴³⁹ ასე რომ, წინამდებარე კაზუსიდან გამომდინარე სასამართლო უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე აქციონერი არ იყო წარმოდგენილი კრებაზე 38%-ის ხმის უფლებით, არამედ 28%-ით, წესდებით გათვალისწინებული ქვორუმი არ ყოფნიდა და, შესაბამისად, იგი არაუფლებამოსილი იყო მიეღო ასეთი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ადგენს პრივილეგირებული აქციების რაოდენობრივ ფარგლებს. განსახვავებით ავსტრიული და გერმანული სამართლისაგან. საქართველოში ნებისმიერ სააქციო საზოგადოებას შეუძლია შეუზღუდავად გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. ავსტრიული სამართლის მიხედვით, პრივილეგირებული აქციები ხმის უფლების გარეშე შესაძლებელია გაიცეს საწესდებო კაპიტალის 1/3-დე.⁴⁴⁰ რაც შეეხება გერმანულ სამართალს - „სააქციო საზოგადოების შესახებ“ გერმანიის ფედერალური კანონის 139-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, ასეთი სახის პრივილეგირებული აქციები შეიძლება გაიცეს საწესდებო კაპიტალის ნახევრამდე.⁴⁴¹

გ) ჩვეულებრივი აქციის შესახებ

ჩვეულებრივი აქციები მის მფლობელს ანიჭებენ ხმის უფლებას საერთო კრებაზე. შესაბამისად, უზრუნველყოფენ საზოგადოების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობას, ასევე რეზერვების შევსებისა და შეღავათიან აქციებზე დივიდენდების გაცემის შემდეგ საზოგადოების წმინდა მოგების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას, ხოლო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში – დარჩენილი ქონების იმ წილის მიღების უფლებას, რაც პროპორციულია იმ აქციათა რაოდენობისა, რომელსაც აქციონერი ფლობს.

ამგვარი აქციიდან შემოსული მოგების მოცულობა კი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საწარმოს წარმატებით საქმიანობაზე და სხვა არაფრით არ არის გარანტირებული.

პრაქტიკაში გაცილებით მაღალი დივიდენდები გაიცემა ჩვეულებრივ აქციებზე, ვინაიდან კორპორაციის მოგების გაფართოება, როგორც წესი, არ აისახება და ზეგავლენას არ ახდენს შეღავათიანი აქციებიდან გამომდინარე დივიდენდების მოცულობაზე.

⁴³⁹ იხ.: OGHBL “Judikatur in Handelssachen”, 1990, 32 Band, S. 578.

⁴⁴⁰ öAktG §115 (2).

⁴⁴¹ გერმანულ სამართალში ხმის გარეშე პრივილეგირებული აქციების ცნების შესახებ იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (1999), S. 685-689.

ჩვეულებრივი აქციის მესაკუთრენი, ძირითადად, თავად გვევლინებიან საწარმოს მფლობელებად და საზოგადოების პირველდაწყებითი კაპიტალის შემკვსებებად (ჩამომყალიბებლად). სააქციო საზოგადოების შემდგომი საქმიანობით ისინი იგებენ კაპიტალის გაზრდით (როგორც წესი, აქციათა მსყიდველობითი ფასი იზრდება) და დივიდენდების მოზღვავებით. ამიტომაც არის, რომ კაპიტალის მრავალჯერადი გაზრდის პერსპექტივა განაპირობებს ინვესტორთა მოთხოვნილებასა და ინტერესს სწორედ ჩვეულებრივი აქციებისადმი (რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ინვესტორი თვალყურს ადევნებს საწარმოს მომგებიან და წარმატებით საქმიანობას). მაგრამ სამეწარმეო საქმიანობა დიდ რისკთანაა დაკავშირებული და სააქციო საზოგადოების არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში ჩვეულებრივი აქციების მფლობელმა აქციონერებმა შესაძლოა, თავიანთი კაპიტალიც კი დაკარგონ. ამიტომაცაა, რომ ჩვეულებრივ აქციებში ჩადებულ კაპიტალს სხვაგვარად მერყევ (სარისკო) კაპიტალსაც უწოდებენ.

ჩვეულებრივი აქციის მესაკუთრე ყოველთვის ბოლო ადგილზე აღმოჩნდება ხოლმე, როდესაც საკითხი აქტივების მოთხოვნასა და საწარმოს მოგებას ეხება. პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საზოგადოების გადაწყვეტილებით ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები მკვეთრად მცირდება ან კიდევ საერთოდ არ გაიცემა. ხანდახან დივიდენდების გაცემა ხდება არა ფულადი სახით, არამედ აქციებით. ამას, ძირითადად, ახორციელებენ სწრაფადგანვითარებადი და რენტაბელური სააქციო საზოგადოებები, რომლებიც კორპორაციის მოგებას მაშინათვე „საქმეში აბრუნებენ“.

ბოლოს გვინდა დავძინოთ შემდეგი: დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაწყებითი საწარმოები უმეტესწილად გასცემენ ჩვეულებრივ აქციებს, ვინაიდან ფიქსირებული თანხის დაწესება და გაცემა შედავათიან აქციებზე ერთგვარად შეიძლება საზოგადოების საქმიანობის მამუხრუჭებულ ძალად გადაიქცეს.

§5. აქციის უკან მდგარი უფლების „ბოროტად გამოყენების“ ქონებრივი საკითხისათვის

ა) საზოგადოებიდან ქონების „გატანის“ ინსტიტუტი ქართულ რეალობაში

როგორც ზემოთ ითქვა, აქცია აღნიშნავს წილს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. ხშირად დაიშვება შეცდომა, როდესაც პირს გააჩქს აქციის შესაბამისი ქონება საზოგადოებიდან, ანუ მისი კუთვნილი წილი აქციების პროპორციულად იგი მოითხოვს მისთვის საწარმოს ქონების მიკუთვნებას. ასე მაგალითად, ქართული რეალობიდან გამომდინარე, სასამართლოებს მიაჩნდათ, რადგან პირს ეკუთვნის გარკვეული აქციები საზოგადოებაში, იგი უფლებამოსილია, გავიდეს სააქციო საზოგადოებიდან და აქციების სანაცვლოდ მიიღოს საზოგადოების ქონება. გავიმეორებთ, რომ საზოგადოების ქონება და საწესდებო კაპიტალი – ეს სხვადასხვა ცნებაა. მართალია, საწესდებო კაპიტალიც საზოგადოების კუთვნილებაა, მაგრამ იგი მაინც უფრო ვიწრო გაგებით გამოიყენება. ამით იმის თქმა გვსურს, რომ აქციათა „დაბრუნებით“

(რაც არასწორად არის გაგებული ქართული მართლმსაჯულების მიერ) მას თან არ უნდა გაეაყოლოთ საზოგადოების ქონება (მაგალითად, ავეჯი, შენობა-ნაგებობები და ა.შ.). აქციას თან მიჰყვება წევრობისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება და არა მთელი საზოგადოების ქონება. ამ საკითხის თვალსაჩინოებისათვის ჩვენი პრაქტიკიდან ერთ საინტერესო მაგალითს მოვიყვანთ:⁴⁴² 1996 წელს ერთ-ერთი რაიონის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა სს „სამშენებლო ტრესტი №2“ და მას მიენიჭა შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი. 2002 წლის აგვისტოში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა ასევე შპს „სამშენებლო ტრესტი №2“ და, შესაბამისად, მიაკუთვნა მას სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის სხვა ნომერი. წინამდებარე დადგენილებაში სასამართლოს მიერ აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნდა სწორედ სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის რეორგანიზაციის შედეგად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში, რომლითაც რეგისტრაციაში გატარდა შპს „სამშენებლო ტრესტი №2“, არაფერი იყო ნათქვამი, თუ რა ბედი ეწია უკვე არსებულ სააქციო საზოგადოება „სამშენებლო ტრესტი №2“-ს, ანუ გარდაქმნის შედეგად მან შეწყვიტა თავისი არსებობა, თუ დარჩა, როგორც სააქციო საზოგადოება და მას მხოლოდ ცალკე გამოეყო შპს „სამშენებლო ტრესტი №2“. მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლოს მიერ განხორციელებული ახალი საზოგადოების რეგისტრაცია დამყარებული იყო მხოლოდ სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის რეორგანიზაციაზე. მაგრამ რეორგანიზაციის პირობები, რასაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14.6 მუხლი, სასამართლოს მიერ განხორციელებული რეორგანიზაციის დროს დაცული არ ყოფილა. თუკი ჩავთვლით, რომ სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ს გამოეყო აქციონერთა გარკვეული ჯგუფი და მათ დააფუძნეს საწარმოს სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მაშინ მისი საფირმო სახელწოდება მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს უკვე არსებული საზოგადოებისაგან, რათა მათ საქმიანობას ხელი არ შეშლოდა და მესამე პირებთან ურთიერთობისას აღრევა არ გამოეწვია. ამას მოითხოვს სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-6.7 მუხლი. ასე რომ, სასამართლოს რეგისტრაციის დროს ყოველივე ზემოაღნიშნული არ გაუთვალისწინებია.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2004 წლის 22 ნოემბერს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომელშიც მიუთითა, რომ შპს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის დაფუძნების დროს საქმე გვექონდა არა რეორგანიზაციასთან, არამედ კუთვნილი აქციების სანაცვლოდ ქონების ნატურით მიღებასთან, რაც 2004 წლის 29 სექტემბრის სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის აქციონერთა კრების მსჯელობის საგანი გახდა და ამ უკანასკნელმა აღნიშნული დაადასტურა. მიგვაჩნია, რომ ასეთი შემთხვევის დროს სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება, სადაც სამართლებრივად დაასაბუთებდა იმ გარემოებას, თუ რატომ მოხდა ხარვეზით რეგისტრირებული

⁴⁴² ამასთან დაკავშირებით იხ.: თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს №2/5-55 საქმის მასალები.

საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში გატარება და რატომ არ არსებობდა მისი (საწარმოს, როგორც ხარვეზით რეგისტრირებული საზოგადოების) გაუქმების საფუძველი.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ ნატურით გაყოფა, რასაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი, განსხვავდება ამავე კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალის შემცირებისაგან. კერძოდ, კანონის მე-14.6 მუხლი განსაზღვრავს, რომ ნივთობრივ გამოყოფას კანონი საწარმოს ნატურით გაყოფად არ მიიჩნევს და არც უშვებს. ასე რომ, თუკი სასამართლომ განახორციელა არა რეორგანიზაცია, არამედ ნატურით გაყოფა, ამ უკანასკნელის დადგენილებით რეგისტრაციის უფლება მას არ გააჩნდა. ხოლო რაც შეეხება საწესდებო კაპიტალის შემცირებას, რა თქმა უნდა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასეთ შესაძლებლობას სს-თვის უშვებს მე-3 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ საწესდებო კაპიტალი შესაძლოა შემცირდეს მისი მინიმალური ნომინალური კაპიტალის ოდენობამდე. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში შინაარსობრივად აქციონერებმა სწორედ საწესდებო კაპიტალი შეამცირეს. ასეთ შემთხვევაშიც კი შემცირებული ქონება ჯერ მათი საკუთრება უნდა გამხდარიყო და დარეგისტრირებულიყო მათ სახელზე, ხოლო შემდეგ ახალი საზოგადოების დაფუძნებისას ეს ქონება უნდა ჩადებულიყო ახალი საწარმოს კაპიტალში. იმისათვის, რათა პირმა საზოგადოებაში განახორციელოს ქონებრივი შესატანი, მას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს საკუთრების უფლება (სანივთო უფლება) ამ უძრავ ქონებაზე.

მოწინააღმდეგე მხარე აპელირებდა იმაზე, რომ დღიდან სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის დაფუძნებისა, მის სამეწარმეო რეესტრში სხვადასხვა წლებში განხორციელდა მრავალი ცვლილება. მათ შორის – 2002 წლის 16 აგვისტოს ცვლილება, რომელიც რეალურად წარმოადგენდა აქციონერთა ჯგუფის გასვლას სააქციო საზოგადოებიდან და მათი აქციების სანაცვლოდ ქონების მიღებას და არა საზოგადოების რეორგანიზაციას (ნატურით გაყოფას). აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ში არანაირი ცვლილებები არ განხორციელებულა. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ შპს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის დადგენილებაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რა ბედი ეწია უკვე არსებულ სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ს, ამ საკითხზე დადგენილებაში მსჯელობა არც ყოფილა იმდენად, რამდენადაც სს „სამშენებლო ტრესტი №2“-ის სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა მხოლოდ რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის შემცირება, გასული აქციონერების მიერ აქციების სანაცვლოდ ქონების გადაცემის ხარჯზე. დანარჩენი პუნქტები კი დარჩა უცვლელად, ანუ სააქციო საზოგადოების იურიდიული სტატუსი დარჩა უცვლელად.

მიგვაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია არ იყო დამაჯერებელი. სააქციო სამართალი, რომელიც გარკვეულწილად ცდილობს ფეხი მოიკიდოს, როგორც სამართლის დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა ქართული საკორპორაციო სამართლის წიაღში, განამტკიცებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს - როგორც ვახსენეთ, ამგვარი კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში საზოგადოების ქონება განყენებულია იმ ქონებისაგან, რომელიც

საზოგადოების წევრებს ეკუთვნით, ანუ სააქციო საზოგადოების ქონება ცალკე კატეგორიას წარმოადგენს, ხოლო თვით ამ საზოგადოების წევრისა (აქციონერისა) კი – ცალკეს. სწორედ ამიტომ კონტინენტალური ევროპის სამართლის ქვეყნებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ქონება მკაცრად იქნეს შენარჩუნებული და საზოგადოების წევრ-აქციონერები ვალდებულნიც კი არიან უზრუნველყონ თვით ამ საზოგადოების ქონების სტაბილურობა (ეს გარანტირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონითაც⁴⁴³), რათა განხორციელდეს ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი სააქციო სამართალში, რომელსაც კრედიტორთა დაცვის გარანტია და მათ წინაშე საზოგადოების პასუხისმგებლობაუნარიანობის განმტკიცება ჰქვია. სწორედ აქედან გამომდინარეობს აქსიომა: კაპიტალური ტიპის საზოგადოება, განსხვავებით ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისაგან, ქონებრივ ურთიერთობებში კრედიტორთა წინაშე დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით, ხოლო აქციონერთა ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას შესატანთა სრული განხორციელება წარმოადგენს. სწორედ ამ შესატანების მოცულობით განისაზღვრება აქციონერთა პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე და ასევე მათი წილი საწესდებო კაპიტალში. ისინი თავიანთ ქონებას გადასცემენ საზოგადოებას და სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე და არა მის წევრებს. მართალია, აქციონერებს აქვთ გარკვეული წილი (აქციები) ამ საზოგადოებაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წევრი ისე გამოიყენებს ამ ქონებას, როგორც მას სურს. ამის შემზღვეველი ნორმები მრავლად არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონში.

ბ) ქონების „გატანა“; როგორც აქციონერის ქონებრივი ინტერესის დაცვის უკიდურესი აუცილებლობა?

საქართველოს პირობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც აქციონერი, უკიდურესად მძიმე და მოუქნელი საგადასახადო გარემოდან გამომდინარე, ყველანაირად ცდილობს, გადაარჩინოს თავისი ქონებრივი ინტერესი საწარმოში. ამისათვის იგი იწყებს ყველა გზის ძიებას. უზარმაზარი ობიექტები, რომელთაც პრივატიზაციის შედეგად ყიდულობდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა აქციების, წილების მეშვეობით, ყველაზე მეტად დაზარადა სწორედ ამ მოუქნელი სისტემის გამო (მხედველობაშია, ძირითადად, საქართველოს ძველი საგადასახადო სისტემა). ამიტომ აქციონერებმა, რომლებსაც დიდი წილები ჰქონდათ ამა თუ იმ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, დაიწყეს გამოსავლის ძიება, რათა როგორმე გადაერჩინათ თავიანთი ქონება (აქციები) იძულებითი აუქციონებისა და მუდმივი ზარალისაგან. აქციონერები ყურადღებას ამახვილებდნენ ასევე საწარმოს ლიკვიდაციაზეც. მაგრამ ლიკვიდაცია, ხანგრძლივი პროცედურის გარდა, საკმაოდ მძიმე დაბეგვრის რეჟიმში ექცევა და უფრო ხშირად მცირე აქციონერებისთვის არ არის მისაღები. ამიტომ ქართულმა რეალობამ გამოსავალი იპოვა საერთო კრებებზე

⁴⁴³ მეწარმეთა შესახებ კანონი, მუხლი 57.2 (ქონების მოვლის ვალდებულება).

შენატანის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში. თუმცა დასავლეთის ქვეყნებში გაბატონებული ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის თანახმად, სააქციო საზოგადოების ბუნებისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, შენატანის უკან დაბრუნება, როგორც წესი, ატიპური მოვლენაა, რადგან შესაძლებელია აქციების თავისუფალი გასხვისება მხოლოდ საფონდო ბირჟის საბროკერო-სადილერო კომპანიების მეშვეობით განსაზღვრული გადასახადის გადახდის საფასურად. მაგრამ 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებებმა და დამატებებმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესაძლებელი გახდა, თავად სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვაც, ისიც კანონით მკაცრად დადგენილი საფუძვლების არსებობისას. მაგრამ ეს გზაც, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელი აღმოჩნდა აქციონერებისათვის, რადგანაც გაკოტრების პირას მისულ საწარმოს არანაირი შესაძლებლობა (ფულადი მასა) არ გააჩნდა იმისათვის, რომ აქციები გამოესყიდა. გამოსყიდვა შესაძლებელი იყო აქციის ნომინალურ ან ნომინალურზე უფრო დაბალ ფასად, თუმცა საზოგადოებებს ეს თანხაც არ ჰქონდათ. ამ რეალობიდან გამომდინარე, ქართული სასამართლო პრაქტიკა ცოტა სხვა გზით წავიდა (თუმცა ეს პრაქტიკა ნელ-ნელა იცვლება და თანდათანობით უფრო კარგად ყალიბდება. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

გ) რეორგანიზაცია, ქონებრივი შენატანის უკან დაბრუნება თუ კაპიტალის შემცირება?

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.3 მუხლის თანახმად, შენატანის უკან დაბრუნება სააქციო საზოგადოებაში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში, ხოლო საწესდებო კაპიტალის შემცირება კი უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში. ამავე კანონის მე-3.6 მუხლის თანახმად, კაპიტალის შემცირებისას იგი კვლავ უნდა შეივსოს მინიმალურ ოდენობამდე (თუკი, რა თქმა უნდა, შემცირებამ საწესდებო კაპიტალი კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ოდენობაზე ქვემოთ დაიყვანა). გარდა ამისა, აუცილებელია, გამოყენებული იყოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლი. კერძოდ, ეს მუხლი ადგენს აქციონერთა კრების მოწვევის წესებსა და პროცედურებს, აკონკრეტებს კრების მიერ გადასაწყვეტი საკითხების წრეს და ა.შ. საწესდებო კაპიტალის შემცირებაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, კრებაზე დამსწრე 2/3-ზე მეტი აქციათა მფლობელი ხმების რაოდენობით. თუ შენატანის საბალანსო ღირებულება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტია, ეს საკითხიც კრების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.6-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტი). მთავარი აქ ისაა, რომ შენატანის უკან დაბრუნებისას ეს რეჟიმი არ განიხილება რეორგანიზაციად და, მიუხედავად მსგავსებისა, უბრალოდ, წააგავს მას. ეს უკანასკნელი არის საწარმოს გაყოფა. სხვაობა მათ შორის, ჩვეულებრივ, იმით გამოიხატება, რომ საწარმოს გაყოფისას იყოფა ბალანსი, კრედიტორთა, დებიტორთა მოთხოვნები და სხვ. შენატანის უკან დაბრუნებისას კი ბალანსი რჩება საწარმოსა და მის

ვალდებულებებთან ერთად დარჩენილი აქციონერების განკარგულებაში.⁴⁴⁴ როგორც ითქვა, ნატურით გაყოფა, რასაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი, განსხვავდება ამავე კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალის შემცირებისაგან. კერძოდ, კანონის მე-14.6 მუხლი განსაზღვრავს, რომ ნივთობრივ გამოყოფას კანონი საწარმოს ნატურით გაყოფად არ მიიჩნევს და არც უშვებს. ასე რომ, თუკი სასამართლომ არა რეორგანიზაცია, არამედ ნატურით გაყოფა განახორციელა, ამ უკანასკნელის დადგენილებით რეგისტრაციის უფლება, ზემოთ მოყვანილი პრაქტიკული მაგალითიდან გამომდინარე, მას არ გააჩნდა. ხოლო რაც შეეხება საწესდებო კაპიტალის შემცირებას, რა თქმა უნდა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასეთ შესაძლებლობას სააქციო საზოგადოებისათვის უშვებს მე-3 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ საწესდებო კაპიტალი შესაძლოა, შემცირდეს მისი მინიმალური ნომინალური კაპიტალის ოდენობამდე. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში შინაარსობრივად აქციონერებმა განახორციელეს სწორედ საწესდებო კაპიტალის შემცირება. ასეთის დაშვების შემთხვევაში კი თავისთავად ცხადია, რომ შემცირებული ქონება, ჯერ მათი საკუთრება უნდა გამხდარიყო და დარეგისტრირებულიყო მათ სახელზე, ხოლო შემდეგ ახალი საზოგადოების დაფუძნებისას ეს ქონება უნდა ჩადებულიყო ახალი საწარმოს კაპიტალში. ხოლო იმისათვის, რათა პირმა საზოგადოებაში განახორციელოს ქონებრივი (სანივთო) შესატანი, მას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. თუკი დავუშვებთ, რომ ადგილი აქვს აქციონერთა ჯგუფის გასვლას სააქციო საზოგადოებიდან და მათი აქციების სანაცვლოდ ქონების მიღებას, მაშინ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მიგვანიშნებს 53.1 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, აქციების გამოსყიდვა არ შეიძლება, თუ გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს. წინამდებარე (მხედველობაშია „სამშენებლო ტრესტი №2“) შემთხვევაში კი აქციონერთა გამსვლელი ჯგუფის განცხადების მიხედვით, ეს თანხა წარმოადგენდა 28%-ს. ამის შედეგად აქციონერებმა მიიღეს 273 000 ლარის ყოველგვარი ვალდებულებით დაუტვირთავი ღირებულების ქონება, რაც დაუშვებელია. ამავე კანონის მე-3.6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის შემცირება იმ შესატანის უკან დაბრუნების გზით იმ შესატანის მიმართ, რომელიც პარტნიორთა პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვრავს, შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან მხოლოდ 12 თვის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში: 1. არ ჩანდა, იყო თუ არა გამოქვეყნებული შემცირებული კაპიტალის შესახებ, და 2. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო 57.2-ე მხულით გათვალისწინებული მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამ დროსაც, თუკი აქციონერთა ჯგუფის გასვლის შესახებ განმარტებას სამართლიანად ჩავთვლით, დარღვეულია ამისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ

⁴⁴⁴ მიგრიაული/ზოიძე/ჭეჭელაშვილი, ქართული კერძო სამართლის კრებული, გვ. 146.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი არც აქციათა რეალურ გამოსყიდვას ჰქონია, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹-ე მუხლი ამ პროცედურისათვის განსხვავებულ წესს ადგენს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ 57-ე მუხლში განმტკიცებულია ასევე ქონების შენარჩუნების (მოვლის) ვალდებულებაც. უნდა აღინიშნოს, რომ სააქციო საზოგადოების შესახებ ნორმა-დებულებები, რომლებიც კაპიტალის (საზოგადოების ქონების – საფონდო კაპიტალის) უზრუნველყოფას ემსახურებიან, გაცილებით მკაცრია, ვიდრე შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები. სააქციო საზოგადოებაში საერთოდ აკრძალულია იმ ქონების და/ან ფულადი თანხის უკან დაბრუნება, რომელიც აქციონერმა შეიტანა სააქციო საზოგადოების კაპიტალში. ეს, ამ კანონის ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებით, კერძო ნორმაა, რომელსაც ცალსახად უპირატესი იურიდიული ძალა უნდა გააჩნდეს, ვიდრე წინამდებარე საკანონმდებლო აქტის მე-3 მუხლს. 57.2-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს: ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდი. სწორედ ზემოაღნიშნულს განამტკიცებს ასევე 57.2-ე მუხლის პირველი წინადადება: „არ შეიძლება მიეცეთ აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა“.⁴⁴⁵ როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ის შესატანები, რომლებიც აქციონერებმა შეიტანეს საზოგადოებაში, ხდება სწორედ სააქციო საზოგადოების საკუთრება და მათი უკან დაბრუნების მოთხოვნა აქციონერებს არ შეუძლიათ. აქციონერს შესაძლებლობა აქვს, მხოლოდ გაასხვისოს თავისი აქცია და მიიღოს ამისათვის შესაბამისი საზღაური. ეს კი აქციის სპეციფიკით არის განპირობებული და სწორედ ამისათვისაა შექმნილი ფასიანი ქაღალდების რეგულირებადი სპეციალური ბაზარი.

დ) ქართული სასამართლო პრაქტიკის ახლებურად ჩამოყალიბების და „ქონების გადასვლის“ შესახებ

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, გარკვეულწილად, შეიცვალა ამ საკითხთან მიმართებით. ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელმაც გარკვეულწილად შეცვალა მანამდე არსებული მიდგომა. სააქციო საზოგადოება „X“-ის ერთ-ერთმა პარტნიორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა საზოგადოების ქონების ნატურით გაყოფა იმ საფუძვლით, რომ იგი ამ საწარმოს საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელია, მაგრამ წლების განმავლობაში საწარმოსაგან დივიდენდი არ მიუღია, მაშინ, როდესაც, მისი მტკიცებით, საზოგადოებას გარკვეული სახის მოგება გააჩნდა და სრულიად შესაძლებელი იყო, რომ მას მისცემოდა გარკვეული საზღაური მისი კუთვნილი აქციების (5%-ის) სანაცვლოდ, ანუ საზოგადოების ქონებას გამოყოფოდა მთავარი ობიექტისაგან ცალკე არსებული პავილიონი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, ზემდგომმა ინსტანციამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 14.6 და 54.6-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითება

⁴⁴⁵ ეს კი თავისთავად ქონების მოვლის (შენარჩუნების) ვალდებულებას ნიშნავს.

არასწორია. აქციონერის მიერ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონება და ფულადი თანხა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, ხდება საზოგადოების საკუთრება, ხოლო მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენება უმართებულა.⁴⁴⁶ ამრიგად, უნდა ითქვას, რომ აქციონერს წილის მიღების უფლება აქვს საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, ასევე – საწესდებო კაპიტალის შემცირებისას, რაც შესაძლებელია საწარმოს წესდებაში ცვლილებების შეტანის გზით. საზოგადოების ქონება, მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში, ნაწილდება საწარმოს აქციონერებს შორის მათი კუთვნილი აქციების პროპორციულად. ამრიგად, სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული კაზუსი შეესაბამება იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, აქციონერს მისი აქციების წილის პროპორციულად მიეცემა ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საწესდებო კაპიტალის ლეგალური და რეგისტრირებული შემცირება და, შესაბამისად, აქციონერები ითხოვენ არა შენატანის უკან დაბრუნებას, არამედ საწარმოს ნატურით გაყოფას. თავის მხრივ, საწარმოს ნატურით გაყოფის საკითხი უნდა დაისვას აქციონერთა საერთო კრებაზე. მხოლოდ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი, გადაწყვიტოს, გაიყოს თუ არა საწარმო ნატურით. საერთო კრებაზე აქციონერთა შორის ასეთი კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, ნიშნავს ამ საკითხის ჩავარდნას და, შესაბამისად, საწარმო ნატურით აღარ გაიყოფა. რაც შეეხება შენატანის უკან დაბრუნებას, ეს საკითხიც უმეტესწილად საერთო კრების კომპეტენციაში შედის. ამიტომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე, იმდენად, რამდენადაც სწორედ ეს ორგანოა უფლებამოსილი საბოლოოდ გადაწყვიტოს თუ რა არის *საწარმოს პოლიტიკურ-ქონებრივი ინტერესი*. რაც შეეხება აქციონერის სურვილს, რომ იგი აღარ იყოს ამა თუ იმ სააქციო საზოგადოების წევრი და მოითხოვოს ამ საწარმოდან გასვლა, ეს, რა თქმა უნდა, მისი დამოუკიდებელი ნებაა, მაგრამ საწესდებო კაპიტალში მისი წილის პროპორციული ქონება, ჩვენი აზრით, მას არ უნდა მიეცეს. ერთადერთი, რითიც იგი შესაძლოა დაკმაყოფილდეს, არის საზოგადოების მიერ მისი კუთვნილი აქციების გამოსყიდვა. სხვა შემთხვევაში მას სრული უფლება აქვს, გაასხვისოს თავისი კუთვნილი აქცია სხვა აქციონერზე ან მესამე პირზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწორედ ამის აღნიშვნა იყო მთავარი. არანაირი ქონება მას საზოგადოებიდან არ მიეცემა, ეს დაუშვებლად მიგვაჩნია.⁴⁴⁷

⁴⁴⁶ იხ.: სუსგ 2003 წლის 15 ოქტომბერი, №ას 117 815 03; ეს საკითხი ასევე შეგიძლიათ შეად.: სუსგ №3კ/409-03 (2003 წლის 7 მაისი).

⁴⁴⁷ საინტერესოა, რომ ავსტრიული სააქციო სამართალი ცალკე აწესრიგებს „ქონების გადასვლას“ სხვა პირებზე (ე.წ. Vermögensübertragung). კერძოდ, საქმე ეხება ავსტრიის „სს-ის შესახებ“ ფედერალური კანონის 235-238-ე პარაგრაფებს. ზოგადად, ამ ნორმების მიხედვით, შესაძლებელია, სს-მ გაასხვისოს თავისი „მთლიანი“ ქონება, ანუ გაასხვისოს სს-ის საკუთრებაში არსებული, ვთქვათ, გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფი (მაგალითად, გარკვეული ნივთის მწარმოებელი საამქრო და სხვ.). მაგალითად, 237-ე პარაგრაფი შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც სს-ის მიერ გასხვისდება საზოგადოების მთლიანი ქონება. წინამდებარე პარაგრაფში ნათქვამია, რომ სს-ის მიერ საზოგადოების მთელი ქონების გადასაცემად, საჭიროა საერთო კრების გადაწყვეტილება.

§6. აქციიდან გამომდინარე უფლებები

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ აქციამ შესაძლოა, აქციონერს სხვადასხვა უფლება დაუდგინოს. ამ სხვადასხვა უფლების მიკუთვნებაში (განმტკიცებაში), ძირითადად, იგულისხმება: ა) სანივთო (ქონებრივი) უფლებები; ბ) მმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება; გ) კრედიტორთა უფლებები და დ) სხვა (განსაკუთრებული) უფლებები. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, ეს ჩამონათვალი სრულყოფილად უკავშირდება აქციონერის უფლებებს. მაგრამ, ვინაიდან ჩვენი განხილვის საგანია

ნიშანდობლივია, რომ ამ დროს საკითხი არ უნდა შეეხებოდეს ამავე კანონის მეცხრე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებს, კერძოდ, საწარმოთა შერწყმას (Verschmelzung). ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე კაპიტალის 3/4-ის უმრავლესობა (öAktG §237 (1)). სს-ის წესდებას შეუძლია განსაზღვროს ხმის უფლების მქონე კაპიტალის უფრო დიდი ოდენობა ამ გადაწყვეტილების მიღებისას და, ამასთანავე, დაადგინოს სხვა კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, რომ სს-ის შესახებ კანონის ძველი რედაქციის თანახმად, ქონების გადასვლა აუცილებლად უკავშირდებოდა საზოგადოების ლიკვიდაციას, ანუ საზოგადოების მთელი ქონების გადასვლით საზოგადოება ავტომატურად ლიკვიდირებულად ითვლებოდა. იხ.: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 938. თუმცა წლების განმავლობაში ეს პრინციპი შეიცვალა და კანონმა შესაძლებელი გახადა საზოგადოების ქონების გასხვისება ისე, რომ ეს საწარმოს ლიკვიდაციას ავტომატურად არ იწვევს. სს-ის ლიკვიდაციამდე ამ პროცედურას მხოლოდ მაშინ მივყავართ, როდესაც საზოგადოების მთელი ქონების გასხვისებით საწარმოს ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში გამოიყენება კანონის 203-ე პარაგრაფის დანაწესი, რომელიც საზოგადოების არსებობის შეწყვეტის საერთო საფუძვლებს ადგენს. ნიშანდობლივია ასევე, რომ უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების ქონების გასხვისებით ცვლილებები შედის წესდებაში, იმდენად, რამდენადაც იცვლება საწარმოს საქმიანობის საგანი. შეად.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (1999), S. 778. მაგალითად, სს-მ გაასხვისა მის საკუთრებაში არსებული იარაღების მწარმოებელი საამქრო და, შესაბამისად, იგი საქმიანობის სხვა მიზანს მისდევს, ანუ საქმიანობის საგანი ახლებურად განისაზღვრა და იგი არა იარაღების წარმოებას, არამედ ვაჭრობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა სავალდებულოა. აღსანიშნავია, რომ ქონების გასხვისებით (გადასვლით) არ უნდა „შეირყეს“ სს-ის არსებობისათვის გათვალისწინებული ქონება (ამ შემთხვევაში საუბარი საზოგადოების მინიმალურ საწესდებო კაპიტალზეა). ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება მართლაც მთელ მის ქონებას ასხვისებს, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება კანონის 203-214-ე პარაგრაფები საზოგადოების არსებობის შეწყვეტის შესახებ (öAktG §203-214; dAktG §262 ff). ნიშანდობლივია, რომ ასეთი ქონების გადასვლის შემთხვევები, ძირითადად, გამოიყენება, როდესაც ხდება ე.წ. Betriebspaltung, ანუ საწარმოს დანაწევრება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთი კითხვა ისმის: თუკი საწარმომ გაასხვისა ის ქონება, რომელიც საწესდებო კაპიტალს შეადგენს (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმას, რომ საზოგადოებას არ აქვს ის ფულადი მასა, რომელიც საწესდებო კაპიტალს უზრუნველყოფს, ანუ ქონება (ვიწრო გაგებით) მხოლოდ არაფულად ობიექტებს წარმოადგენს, ხოლო ამ უკანასკნელით კი განსაზღვრულია საწესდებო კაპიტალი), შეწყვეტს თუ არა იგი ფუნქციონირებას? ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა გავარკვიოთ ის გარემოება, თუ რამდენად შესწევს უნარი საზოგადოებას გააგრძელოს შემდგომი არსებობა და არ მოექცეს ფატორივი ლიკვიდაციის რეჟიმში. ამასთანავე, საწესდებო კაპიტალი, კანონის თანახმად, მაშინათვე უნდა შეივსოს. თუკი ეს წინაპირობები სახეზე არ გვაქვს საზოგადოების ქონების გადაცემა (გასხვისება) უტოლდება მისი არსებობის შეწყვეტას და სს-ის შესახებ 204-ე პარაგრაფის მიხედვით (ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი), საზოგადოება სარეგისტრაციო აღრიცხვაზე (ლიკვიდაციის რეგისტრაცია) უნდა დადგეს.

აქცია, როგორც ქონების სახეობა საზოგადოებაში, ვფიქრობთ, ამ უფლებებს შეიძლება აქციიდან გამომდინარე უფლებებიც ვუწოდოთ.

ა) ზოგადი (საყოველთაო) წევრობის უფლება

სააქციო საზოგადოების წევრობის შინაარსში ჩადებულია აქციიდან გამომდინარე მრავალი უფლება, რომელიც ან კანონის ნორმებიდან მომდინარეობს, ან თავად წესდებაშია მოცემული. წესდებაში აღნიშნული დებულებები აქციიდან გამომდინარე უფლებების შესახებ კი არ უნდა არღვევდეს კანონმდებლობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართლისათვის დადგენილ წესებს, არამედ ერთგვარად უნდა ავსებდეს მათ და დამხმარე საშუალების როლს ასრულებდეს. ამიტომაც აღფონს კრაფტი გვთავაზობს აქციიდან გამომდინარე უფლებათა კატალოგის სხვაგვარ ჩამონათვალს. იგი განასხვავებს, ერთი მხრივ, სანივთო (ქონებრივ) და მმართველობის უფლებებს; და მეორე მხრივ, – ძირითად და დამხმარე უფლებებს, რის შემდეგაც აღგენს სხვა (განსაკუთრებულ) უფლებებსა და კრედიტორთა უფლებებს.⁴⁴⁸

(1) ქონებრივი უფლებები

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სანივთო (ქონებრივ) უფლებებს განეკუთვნებიან: აქციონერის დივიდენდის მიღების უფლება, საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობის უფლება და ე.წ. Bezugsrecht, ანუ უპირატესი (პრივილეგირებული) უფლება. შემთხვევით არ მოგვიყვანია ზემოთ მაგალითი აქციათა „გატანის“ შესახებ, როდესაც ვახსენებდით, რომ აქციონერს გააჩნია იმდენი (ზუსტად განსაზღვრული) სანივთო უფლება საზოგადოებაში, რამდენიც კანონმდებლობითაა მოცემული. ამიტომ შეიძლება ითქვას კიდევ, რომ აქციონერის სანივთო უფლებებთან მიმართებით ერთგვარად მოქმედებს Numerus Clausus პრინციპი.

(2) მმართველობის უფლებები

მმართველობის უფლებაში მოიაზრება: პირველ რიგში ისეთი აქციიდან გამომდინარე უფლება, რომელიც განამტკიცებს აქციონერის ხმის უფლებას საზოგადოებაში (ძირითადად, ეს დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის კონტროლთან), სიტყვის უფლება ანუ საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, გასაჩივრების უფლება, ასევე რიგი უმცირესობათა უფლებებისა.

განსხვავება ქონებრივ და მმართველობის უფლებებს შორის, ძირითადად, გამომდინარეობს მხოლოდ აქციაში განმტკიცებული უფლების შინაარსიდან, და არა აქციონერისათვის ამ უფლების მნიშვნელობიდან ან მოცულობიდან.⁴⁴⁹

⁴⁴⁸ Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 311-312.

⁴⁴⁹ Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 311-312.

(3) ძირითადი და დამხმარე უფლებები⁴⁵⁰

აღფონს კრაფტი დასძენს, რომ აქციონერისათვის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარეობს – აქციიდან გამომდინარე უფლებათა ორი ჯგუფი, კერძოდ: ძირითადი უფლება, რომელშიც იგი მოიაზრებს სანივთო (ქონებრივ) უფლებებს – დივიდენდების მიღების უფლებას, საზოგადოების ლიკვიდაციის დროს აქციონერის მონაწილეობის უფლებას, მაგალითად, ქონების განაწილებაში, ასევე ხმისა და უპირატესობის უფლებას. რაც შეეხება სხვა დანარჩენ უფლებებს, მათ იგი დამხმარე უფლებებს უწოდებს.⁴⁵¹

ძირითადი უფლებების მოცულობა დაფუძნებულია თითოეული აქციონერისათვის მიკუთვნებული აქციის ნომინალურ ფასზე. ამის საპირისპიროდ კი დამატებითი უფლებები (გამონაკლისს წარმოადგენს აქ უმცირესობათა უფლებები) პრინციპულად ყოველი აქციონერისთვის თანაბარია (მისი აქციის ღირებულების სიდიდის გაუთვალისწინებლად).

უვე კუფერი არ ეთანხმება აქციიდან გამომდინარე უფლებათა ამგვარ დაყოფას და აქციონერის ძირითად და დამხმარე უფლებებს სანივთო (ქონებრივ) და მმართველობის უფლებებში აერთიანებს. ფუნდამენტურ განსხვავებას მათი ერთმანეთისაგან განცალკევებისას ვერ ხედავს.⁴⁵²

(4) სხვა (განსაკუთრებული) უფლებები

სააქციო სამართალში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა, გარდა ყველა აქციონერისათვის კანონის ან წესდებით მიკუთვნებული საყოველთაო (ზოგადი) წევრობის უფლებისა, წესდება ცალკეულ აქციონერს ან საზოგადოების წევრთა ცალკეულ ჯგუფს განსაკუთრებულ უფლებებს უდგენს.

შინაარსობრივად ცნებას „განსაკუთრებული უფლებანი“ შესაძლოა, საყოველთაო წევრობის უფლებისაგან გამოცალკევებული დებულებანიც (მომწესრიგებელი ნორმები) დაერქვას. მათ შეიძლება ასევე ისეთი უფლებებიც ეწოდოს, რომელთა ჩამორთმევაც უფლებამოსილი პირის (აქციიდან გამომდინარე უფლების მესაკუთრე პირის) თანხმობის გარეშე შეუძლებელია. ხოლო თუ რომელი წარმოადგენს აქციონერის განსაკუთრებულ უფლებას, ეს შესაძლებელია, წესდების შინაარსიდან ან კანონიდანაც გამომდინარეობდეს.

(5) კრედიტორთა უფლებები

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქციიდან გამომდინარე სანივთო (ქონებრივი) უფლებები შეიძლება კრედიტორის უფლებებად გარდაიქმნას. ამიტომაც არის განმტკიცებული სააქციო სამართალში პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ესა თუ ის აქცია ყოველთვისაა კრედიტორის უფლების მატარებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი აქცია კრედიტორთა უფლებებსაც იცავს და განამტკიცებს მათ. ეს ხდება რამდენიმე შემთხვევის დროს: დივიდენდების მიღების უფლებისას საერთო კრების მიერ

⁴⁵⁰ თუმცა უკვე უახლესი შეხედულების თანახმად, ადრინდელი დაყოფა აქციონერის ძირითად და დამხმარე უფლებებად აღარ არის რელევანტური. იხ.: Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 223, Rn. 9.

⁴⁵¹ Kraft in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S. 311-312.

⁴⁵² იხ.: Hüffer, Aktiengesetz, Kommentar, (2006), S. 54 f, Rn. 3 f.

განაწილების გადაწყვეტილების დადგენის მეშვეობით (მაგალითად, რენტაბელური საზოგადოების მიერ წლის ბოლოს შესაძლებელია განაწილდეს მოგება დივიდენდების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ დივიდენდის მფლობელი და, შესაბამისად, მოთხოვნის უფლების მესაკუთრე სწორედ ის აქციონერია, რომელსაც დივიდენდი ეკუთვნის. ამიტომ, თუკი საზოგადოება მას უარს ეტყვის დივიდენდის გაცემაზე, მაშინ აქციონერი იკავებს კრედიტორის ადგილს საზოგადოებასთან მიმართებაში); სალიკვიდაციო პროცესის დროს საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების დადგენისას (და შეფასებისას) და პრივილეგირებული უფლებისას კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების რეგისტრაციით სამეწარმეო რეესტრში. ხოლო, თუკი ეს უფლებები კრედიტორთა უფლებებად გარდაიქმნებიან ისე, რომ განამტკიცებენ მოთხოვნის უფლებას საზოგადოების მიმართ, მაშინ აქციონერი იმ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რა მდგომარეობაშიც ანალოგიურ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ყველა სხვა კრედიტორი აღმოჩნდებოდა. მისი სამართლებრივი მდგომარეობა კი საზოგადოების ორგანოებზე დამოკიდებული აღარ იქნება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები თითქმის ამომწურავია. წინამდებარესთან არ უნდა გაავივივოთ ის შემთხვევა, როდესაც აქციონერი საზოგადოების დამოუკიდებელი კრედიტორია. მაგალითად, ამ უკანასკნელსა და საზოგადოებას შორის დაიდო დამოუკიდებელი გარიგება, რომელიც აქციონერს ანიჭებს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში იგი საზოგადოების დამოუკიდებელი კრედიტორია და მისი ეს უფლება არ გამომდინარეობს აქციიდან გამომდინარე უფლების ტრანსფორმაციის შედეგიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ეს კრედიტორის უფლება მის მფლობელობაში არსებულ აქციასთან არანაირ სამართლებრივ კავშირში არ არის. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ კრედიტორის უფლება არ წარმოადგენს საზოგადოების წევრის უფლებამოსილებათა ერთობლიობის შემადგენელ ნაწილს.⁴⁵³ იგი მისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა.⁴⁵⁴

ბ) უფლებათა ტრანსფორმაციის და აქციათა გამოსყიდვის შესახებ

შესაძლებელია აქციიდან გამომდინარე რომელიმე უფლებამ აქციონერისათვის სხვა უფლება წარმოშვას. მაგალითად, საერთო კრებაზე რომელიმე ისეთი გადაწყვეტილების მიღებამ (ანუ საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებამ – მმართველობითი უფლებამ), რომელიც აქციონერის ინტერესის შელახვას იწვევს, მას მიანიჭოს საზოგადოების მხრიდან მისი აქციის სავალდებულო შესყიდვის უფლება (ანუ ქონებრივი უფლება წარმოშვას). ამ თვალსაზრისით, შეიძლება, მოყვანილ იქნეს კონკრეტული მაგალითი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან და განიხიროს კიდევ ეს

⁴⁵³ Heider in MÜchKomm. zum AktG, (2000), S. 289, Rn. 18; Brändel in GrossKomm. zum AktG, (2004), S. 289, Rn. 12.

⁴⁵⁴ Ziemons in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 224, Rn 10.

გადაწყვეტილება.⁴⁵⁵ კომპანია „X“ იყო ერთ-ერთი ქართული ბანკის სს „Y“-ის აქციონერი და ფლობდა ამ საზოგადოებაში 2127 ჩვეულებრივ აქციას. 2000 წელს ჩატარდა ბანკის აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების წესდებაში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის თაობაზე. უმცირესობაში მყოფი აქციონერი, კომპანია „X“ არ დაეთანხმა და მხარი არ დაუჭირა ამ კრებაზე გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას, რადგანაც მიიჩნია, რომ ისინი არსებითად ლახავდნენ აღნიშნული კომპანიის ინტერესებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გადაწყვეტილებები ლახავდნენ კომპანიის, როგორც სს „Y“-ის აქციონერის ინტერესებს. საბოლოო ჯამში, კრებამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება (იგი უფლებამოსილი იყო) წესდებაში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე. თავის მხრივ, წინამდებარე ცვლილებები (უპირველეს ყოვლისა, კომპანია „X“-ის ინტერესებიდან გამომდინარე) აწესებდა შეზღუდვებს აქციათა გასხვისებასთან დაკავშირებით. ამიტომ აქციონერმა (კომპანია „X“-მა) მიიჩნია, რომ ეს ცვლილება უშუალოდ ეხებოდა მისი აქციიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებას. მისი მოსაზრების თანახმად, აქციათა გადაცემაზე შეზღუდვების დაწესებით კომპანიის (აქციონერის) უფლება, თავისუფლად განეკარგა მის კანონიერ საკუთრებაში არსებული აქციები, აშკარად ილახებოდა და მისი ქონებრივი ინტერესები უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მიერ სრულად იქნა იგნორირებული. გამომდინარე აქედან, უმცირესობაში მყოფ აქციონერს, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹-ე მუხლის თანახმად, ჰქონდა უფლება საზოგადოებისათვის მოეთხოვა მისი კუთვნილი აქციების შეფასება და გამოსყიდვა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს უფლება სწორედ მმართველობითი უფლებიდან წარმოშობილი ქონებრივი უფლებაა, ანუ რადგანაც აქციონერმა საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, მას კანონი ანიჭებს შესაძლებლობას გავიდეს საზოგადოებიდან და მოითხოვოს საწარმოსაგან მისი აქციების შესყიდვა. სასამართლომ სრულიად სამართლიანად გამოიტანა გადაწყვეტილება უმცირესობაში მყოფი აქციონერის სასარგებლოდ და სს „Y“-ს დაევალა აქციების გამოსყიდვა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი (მუხ. 53¹), ისევე როგორც „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონი,⁴⁵⁶ ასეთ შემთხვევაშიც (სხვა შემთხვევებთან ერთად)⁴⁵⁷ უშვებს საზოგადოების მიერ „საკუთარი აქციების“ გამოსყიდვას.⁴⁵⁸

⁴⁵⁵ ამასთან დაკავშირებით იხ.: სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001 წ., 11 ნოემბერი, გვ. 1247-1254.

⁴⁵⁶ öAktG §65 (1), 6.

⁴⁵⁷ სხვა ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებს აგრეთვე „სს-ის შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის 65-ე პარაგრაფი.

⁴⁵⁸ საერთოდ, საკუთარი აქციების შესყიდვის ინსტიტუტი, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში განვითარდა და მას ამ ქვეყანაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. თუმცა, საზოგადოების მხრიდან საკუთარი აქციების შესყიდვის მექანიზმი ასევე ჩამოყალიბდა ავსტრიულ და გერმანულ სააქციო სამართალში და აქაც თავისებური განვითარება ჰპოვა. ნიშანდობლივია, რომ ამერიკული სააქციო სამართლისაგან განსხვავებით, ავსტრიული სამართალი, პრინციპში კრძალავს საკუთარი აქციების შესყიდვას საზოგადოების მიერ, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი, ძირითადად, შესატანების უკან

დაბრუნებას უკავშირდება, რაც ავსტრიული სამართლის მიხედვით აკრძალულია (öAktG §52). მაგრამ „სს-ის შესახებ“ კანონი მაინც უშვებს გამონაკლისებს, რომლებიც კანონში კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და მკაცრად რეგლამენტირებული. იხ.: Richter, Handelsrecht, Rechtskurse, III/1, AG, S. 49. სწორედ ასეთ გამონაკლისებს შეიცავს „სს-ის შესახებ“ კანონის 65-ე პარაგრაფი. საკუთარი აქციების შექმნას ეხება ასევე კანონის 65a, 65b, 66-ე და მომდევნო პარაგრაფები. ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი აქციების შექმნას უთანაბრდება ასევე აქციების დაგირავებაც (öAktG §65b). საკუთარი აქციების შესყიდვა (გამოსყიდვა) გარკვეული მოტივებით არის განპირობებული. ასეთი მოტივების დასაბუთება, ძირითადად, საზოგადოების მენეჯმენტის საქმეა, თუმცა მოტივებისათვის საფუძვლები უკვე კანონით არის დადგენილი (öAktG §65). ასე რომ, საკუთარი აქციების შექმნა, ერთი მხრივ, ადგენს კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის დამოუკიდებელ და აუცილებელ ინსტრუმენტს, ხოლო, მეორე მხრივ, მას შეუძლია გარკვეული ზეგავლენა იქონიოს მესაკუთრეთა სტრუქტურაზე (იგულისხმება აქციონერთა სტრუქტურა). იხ.: Gerhardt Eberstadt, Rückkauf eigener Aktien – Ein wichtiges Element zur Stärkung des Finanzplatzes Deutschland, WM 1996, S. 1809. ამასთანავე, სულ უფრო და უფრო ისმის საკითხი საკუთარი აქციების შექმნის ლიბერალიზაციის თაობაზე. ამიტომ საკუთარი აქციების „შექმნის ლიბერალიზაცია და ამით საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, განსაკუთრებით შეიმჩნევა საჯარო სააქციო საზოგადოებებში“. იხ.: Thomas Talos, Zum Entwurf eines Aktienrückerwerbsgesetzes, eolex, Fachzeitschrift für Wirtschaftsrecht, 1999, S. 470. მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი აქციების შექმნის ინსტრუმენტი, ერთგვარად, წარმოადგენს ზოგადად აქციათა კურსის გაზრდის საშუალებასაც. საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შექმნას აქვს აქციათა საკურსო ღირებულების რეგულარული ზრდის ფუნქციაც. იხ.: Skog, Der Erwerb eigener Aktien: Reformbestrebungen in den EU-Mitgliedstaaten, ZGR 1997, 306, 328. ვუთითებ: Talos, eolex, 1999, S. 470. საზოგადოება, რომელსაც, დივიდენდების გაცემის ნაცვლად, აქვს თავისუფალი (ქონებრივი, ფულადი) საშუალებები აქციათა შესაძენად, უადვილებს აგრეთვე აქციონერს, რომ მან თავისი აქციის ღირებულების ზრდაში მიიღოს მონაწილეობა (ე.წ. shareholder value). იხ.: Talos, eolex, 1999, S. 470. მნიშვნელოვანია, რომ დღესდღეობით ამ ე.წ. shareholder value-თი არა მხოლოდ საწარმოს ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ ამით მხედველობაში მიიღება აგრეთვე წილის მესაკუთრის (აქციონერის) ინტერესიც. მაგალითისათვის მოვიტანთ საკუთარი აქციების გამოსყიდვის ერთ შემთხვევას, რომელიც აქციის კურსის ზრდასთან არის დაკავშირებული. სს-ის „X“ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საკუთარი აქციების შესყიდვის (შექმნის) თაობაზე. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 100 000 ლარს შეადგენს, რომელიც დაყოფილია გარკვეული ნომინალური ღირებულების აქციებად. საზოგადოებამ შეისყიდა საკუთარი აქციების გარკვეული რაოდენობა (მაგალითად 5%). შესაბამისად, ამ 5%-ის (მაგალითად, პირობითად ავიღოთ 100 აქციის) მფლობელი აქციონერები გავიდნენ სს-იდან. დარჩენილი აქციონერების ქონება კი იზრდება (მაგალითად, ათი ერთეულიდან ერთი აქცია ხომ უფრო დაბალი ფასის მქონე იქნება, ვიდრე ცხრიდან ერთი?). ამიტომ საკუთარი აქციების გამოსყიდვა საზოგადოების მხრიდან, შეიძლება ითქვას, დამატებითი ბერკეტი საწარმოს ხელში, რათა მან, ერთი მხრივ, გააუმჯობესოს და გაზარდოს საზოგადოებაში დარჩენილი აქციონერების ქონებრივი მდგომარეობა, მეორე მხრივ კი, უკეთესად მოახდინოს კონტროლი აქციონერთა წრეზე. საკუთარი აქციების გამოსყიდვა შესაძლებელია ასევე ბირჟების მეშვეობითაც. ასე რომ, shareholder value, ძირითადად, აღწერს საწარმოს მართვას აქციონერთა ქონების ზრდასთან (მაქსიმიზაციასთან) დაკავშირებით. როგორც ითქვა, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში საკუთარი აქციების შექმნა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაშინ, როდესაც ავსტრიული (და გერმანული) სამართალი ამას, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გამონაკლისებს, რომლებიც კანონშია მოცემული, პრინციპში კრძალავს. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, იგი ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც სს-ს შეუძლია გამოსყიდოს აქციები. ეს არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹ მუხლი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების აქციონერს შეუძლია მოსთხოვოს საზოგადოებას მისი კუთვნილი აქციის გამოსყიდვა საბაზრო ფასად და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქციონერი არ ეთანხმება საერთო კრებაზე

მიღებულ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მის არსებით ინტერესებს ლახავს. სხვა შემთხვევებს კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა არც კრძალავს, იმდენად, რამდენადაც ამაზე დათქმა კანონში საერთოდ არ არსებობს. ამიტომ, გამოძინარე იქიდან, რომ კანონმა აუცილებლად დეტალურად უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების მხრიდან საკუთარი აქციების გამოსყიდვის პირობები და პროცედურა, ვინაიდან 53¹ მუხლი კონკრეტულად აწესრიგებს ასეთივე შემთხვევას, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ეს აკრძალულია. თუმცა 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით ქართულმა კანონმა ზოგადად გაითვალისწინა საკუთარი აქციების გამოსყიდვა. კერძოდ, საუბარია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹ მუხლის მე-10 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებას უფლება ეძლევა საფონდო ბაზარზე შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს საკუთარი აქციები. ასეთ აქციებს კანონი სახაზინო აქციებს არქმევს. მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ, რა თქმა უნდა, საწარმოს წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული. კანონის ეს დამატება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებად უნდა ჩაითვალოს, რაც უდავოდ დადებითი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკური რეალობისთვის. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ კარგი იქნებოდა გადმოგველო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი პრინციპი, რომელიც შეუზღუდავად იძლევა შესაძლებლობას საზოგადოებამ ნებისმიერ დროს გამოსყიდოს საკუთარი აქციები. ამ თვალსაზრისით აქციათა კურსის ზრდით ბევრი აქციონერი დაინტერესდება. ამასთანავე, ამ პროცესში მუდმივად საზოგადოების ფართო ფენაც უნდა იყოს ჩაბმული. თუკი მოსახლეობა დანახავს, რომ აქციათა კოტირების ხარისხი მაღალია და ყოველდღიურად იგი მოგების იმ შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს მოგება საბანკო კრედიტზე (საკრედიტო პროცენტზე) მაღალიც იყოს, მაშინ მასში უეჭველად ბევრი ადამიანი ჩაერთვება. ამისათვის კი საჭიროა, რა თქმა უნდა, საქართველოში ბირჟების რეალურად ამოქმედება, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაზე ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დათქმა საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით საჭიროა დროში შეიზღუდოს, ანუ კანონით განისაზღვროს ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სს შეძენილ საკუთარ აქციებს კვლავ გაყიდის. მოკლედ, რომ ვთქვათ, „საზოგადოების მხრიდან საკუთარი აქციების შექმნა სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალის გაცემის (აქციონერებზე) არაპირდაპირი ფორმა, რომლის დროსაც აქციონერს, თავისი აქციების გაყიდვის მეშვეობით, ნებისმიერ დროს ეძლევა კვლავდაფინანსების არსებითი უპირატესობა. რაც შეეხება კაპიტალის შენარჩუნებას და კრედიტორთა დაცვას, ამ შემთხვევაში იგი უმნიშვნელოა, იმდენად, რამდენადაც არ აქვს მნიშვნელობა სს მის მოგებას დივიდენდების სახით გაცემის თუ საკუთარი აქციების შესაძენად გამოიყენებს.“

იხ.: Talos, ecolex, 1999, S. 470. როგორც წესი საკუთარი აქციების შექმნაში სასყიდლიანი შექმნა იგულისხმება, თუმცა ავსტრიული კანონი, რა თქმა უნდა, უშვებს უსასყიდლო შექმნასაც (§AktG §65 (1), 2). ნიშანდობლივია, რომ კანონი, საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შექმნის ზღვარს აწესებს, კერძოდ, იგი არ შეიძლება აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალის 10%-ს. კანონი, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შემთხვევების გარდა, ასევე ითვალისწინებს საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შექმნის სხვა საფუძველსაც. მაგალითად: საკუთარი აქციების გამოსყიდვა „მოსალოდნელი მძიმე პირდაპირი ზიანის თავიდან ასაცილებლად“; უფლებამონაცვლეობისას; უმცირესობაში მყოფი აქციონერების ასანაზღაურებლად და სხვ. და ბოლოს, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ავსტრიულ და გერმანულ სამართალში, საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის დროს, აუცილებლად იცავენ ზოგადად განმტკიცებულ პრინციპს: „დაუშვებელია საკუთარი აქციებით ვაჭრობა“. იხ.: Talos, ecolex, 1999, S. 472. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ საკუთარი აქციების შექმნა ავსტრიულ სამართალში არა ჩვეულებრივი, არამედ მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაა. საკუთარი აქციების შექმნა მხოლოდ ისეთი სს-ისთვის არის დასაშვები, რომელთა აქციებიც ღია ვაჭრობისთვის არის დაშვებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე შეგიძლიათ იხ.: Franz- Josef Leven/ Leonhard Helm: Der Erwerb eigener Aktien – Ein notwendiges Instrument der Unternehmensfinanzierung. ხელმისაწვდომია შემდეგ მის.: <http://www.dai.de/internet/dai./dai-2-0.nsf.....> ამ პრინციპს ქართული კანონიც განამტკიცებს. ამასთან ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ 2006 წელს

ავსტრიული სამართლის მიხედვით, ეს პრინციპი მოქმედებს, ძირითადად, მცირე აქციონერთა უფლებების დასაცავად. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლი განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების აქციონერთა უფლებებს (ასევე მოვალეობებს), ანუ აქციიდან გამომდინარე უფლებებს. აქციონერის მიერ სასამართლოში საერთო კრების გასაჩივრების უფლება ასევე უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობით (მუხლი 53.3.3). „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3-ე მუხლის მიხედვით, რომელიმე სახის (კლასის) აქციის გადაცემა შესაძლოა, დამოკიდებული იყოს საზოგადოების სავალდებულო თანხმობაზე. რა თქმა უნდა, ასეთი თანხმობის შესახებ უნდა აღინიშნოს საწარმოს წესდებაში და აქციათა სერთიფიკატზე. ხოლო წესდებაში ასეთი აღნიშვნის შეტანისათვის აუცილებელია უპირველეს ყოვლისა საზოგადოების ყველა იმ აქციონერის თანხმობა, რომელიც ასეთი სახის აქციებს ფლობს. გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა (მუხლი 53¹) განიმარტა იმგვარად, რომ წესდებაში ისეთი ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, როგორცაა აქციების გასხვისების შეზღუდვა, ლახავს კომპანია „X“-ის აქციიდან გამომდინარე ქონებრივ (სანივთო) უფლებას, რადგანაც საზოგადოება აწესებს შეზღუდვებს გასხვისებაზე ისე, რომ არ განსაზღვრავს აქციების კლასს, რომელზედაც ასეთი წესი ვრცელდება. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ სასამართლომ აქციონერი „X“-ის ინტერესების არსებითი შელახვა პირდაპირ დაუკავშირა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას ყველა აქციონერის წერილობით თანხმობას. ხოლო სადავო არ არის, რომ ასეთი წერილობითი თანხმობის მიუცემლობა, თავისთავად, სს „Y“-თვის მისი უფლებების შელახვას გამოიწვევდა.

საინტერესოა, რომ ავსტრიის სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი,⁴⁵⁹ რომელიც მცირედით ჰგავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ წინამდებარე საქმეს. კერძოდ, ერთ-ერთი ავსტრიული სააქციო საზოგადოების წესდების მე-5 პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოებას გაცემული ჰქონდა წარმომდგენის აქციები. საწესდებო კაპიტალი 15 მლნ. ავსტრიულ შილინგს შეადგენდა, რომელიც დაყოფილი იყო 1000 ავსტრიული შილინგის ნომინალური ღირებულების მქონე აქციად. ერთ დღეს საერთო კრებაზე დადგა საკითხი წარმომდგენის აქციების სახელობით აქციებად გარდაქმნის

ევროპის კავშირმა შეცვალა ადრე მოქმედი საზოგადოებათა სამართლის დირექტივა (2006/68/EG = ABL. EU Nr. L. 264v 25. 9. 2006, S. 32-36), რომლის მიხედვითაც საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შექმნის დასაშვებობის ჩარჩოები უფრო ლმობიერი გახდა. თუკი ადრე საერთო კრება იძლეოდა ასეთ უფლებას გამგეობისათვის მხოლოდ 18 თვემდე ვადით, ეხლა ეს ვადა 5 წლამდეა გაზრდილი (თუმცაღა ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა კანონმდებლობამ შესაძლებელია უფრო მოკლე ვადაც დაადგინოს). 10%-ანი შეზღუდვაც დაწესებული აღარ არის, რაც საზოგადოებას აძლევს უფლებას იმდენი საკუთარი აქცია შეიძინოს, რამდენსაც მისი „გადახდისუნარიანი კაპიტალი“ (ausschüttungsfähiges Kapital) შეწევდა (Art. 19 Abs. 1 Unterabsatz 1 Cit „b“ KapRiLi). თუმცა წევრ-სახელმწიფოთა სამართალმა შეიძლება პროცენტული შეზღუდვაც დაუშვას (განსაზღვროს), რის ნათელ მაგალითსაც ავსტრიული და გერმანული სააქციო კანონმდებლობა წარმოადგენს. ამის თაობაზე მაგ.: Bezenberger in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S. 810, Rn. 13.

⁴⁵⁹ იხ.: OGHZ 17.05.1967, Geschäftszahl 10b38/67.

და, შესაბამისად, საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, აქციათა გასხვისება დამოკიდებული (დაკავშირებული) ხდებოდა საზოგადოების სავალდებულო ნებართვაზე, ანუ ისინი იღებდნენ ე.წ. ვინკულირებად ხასიათს. საზოგადოების ერთ-ერთი უმცირესობაში მყოფი აქციონერი არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მხარი არ დაუჭირა მას და, გამომდინარე იქიდან, რომ საერთო კრებამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე საკითხზე, გაასაჩივრა იგი (კრების გადაწყვეტილება) სასამართლოში. პირველმა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გამო, იმდენად, რომდენადაც კრების მოწვევის ფორმალური პროცედურა სრულიად შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, კრება უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე და, შესაბამისად, აქციონერის პრეტენზია უსაფუძვლოდ მიიჩნია. თუმცა ავსტრიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და დასძინა, რომ „ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საზოგადოების უბრალო მართვის აქტთან, არამედ საქმე ეხება აქციონერის ფუნდამენტური უფლებების შეცვლას საზოგადოებაში.“⁴⁶⁰ აქციათა გასხვისების შეზღუდვის დაწესება ლახავს აქციონერის იმ ძირითად (ქონებრივ) უფლებას, რომელიც მან საზოგადოების დაფუძნებისას მოიპოვა, ანუ ამ გადაწყვეტილებით აშკარად იზღუდებოდა აქციონერის ქონებრივი ინტერესი საწარმოში. ამიტომ საერთო კრება, ასეთ შემთხვევაში, უნდა დაფუძნებოდა საწარმოს აქციათა ყველა მფლობელის ნებას. კვალიფიციური უმრავლესობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, არ ნიშნავდა ყველა აქციონერის ნების გამოვლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამიტომ თვალნათელია, რომ აქციონერს ესპობა აქციის უკან მდგარი ქონებრივი უფლების რელიზაციის სრული შესაძლებლობა. გამომდინარე აქედან, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებულ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოში.

მართალია, ავსტრიული კანონი „სააქციო საზოგადოების შესახებ“ იცნობს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვას,⁴⁶¹ მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამაზე მსჯელობა არ ყოფილა. ეს გამოწვეული იყო ალბათ იმ გარემოებით, რომ თავად მოსარჩელეს (კასატორს) არ დაუყენებია ასეთი მოთხოვნა სასამართლოში. თუმცა ჩვენთვის, ერთგვარად, მაინც გაუგებარია სასამართლოს არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს საკითხი არა „საზოგადოების მართვის აქტს“,⁴⁶² არამედ აქციონერის ძირითად ქონებრივ უფლებებსა და მათ შეცვლას

⁴⁶⁰ OGHZ 17.05.1967, Geschäftszahl 10b38/67.

⁴⁶¹ როგორც აღინიშნა, კანონი მას „საკუთარი აქციების“ შეძენას უწოდებს და ამ პროცედურას გარკვეულ წინაპირობებს უქვემდებარებს. იხ.: öAktG §65 ff.

⁴⁶² ამ შემთხვევაში იგულისხმება საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, ანუ თუ რისკენ არის მიმართული საწარმოს აქტი (მოქმედება): მიმართულია იგი საზოგადოების კორპორაციული მართვისაკენ თუ უბრალოდ აქციონერის ან თუ იმ უფლების შეცვლისაკენ. როგორც სასამართლოს განმარტებიდან ჩანს, ეს აქტი არ არის წმინდად კორპორაციული მართვის აქტი. ამ შემთხვევაში საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა არა საწარმოს მართვას (მისი ვიწრო გაგებით), არამედ შიდაორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლას ითვალისწინებდა.

ეხებოდა (და აქედან გამომდინარე, აქციის ყველა მფლობელის ნება იყო გადაწყვეტი). მიგვაჩნია, რომ ყველა აქტი საზოგადოების ქონებრივი მართვის სფეროსაკენ არის მიმართული. საზოგადოებას იმიტომ სჭირდება აქციის გასხვისებაზე საზოგადოების ნებართვის დაწესება, რომ ეს სავალდებულო თანხმობა უფრო ეფექტური (ან არაეფექტური) იქნება საწარმოს მართვისათვის.⁴⁶³ ამიტომ აპელირება იმაზე, რომ ამ შემთხვევაში აქციონერის ფუნდამენტური ქონებრივი უფლება ილახება საზოგადოებაში და სავალდებულოა ყველა იმ აქციონერის ნების გამოვლენა გადაწყვეტილების მიღებისას, რომლის აქციასაც შეეხება ეს გადაწყვეტილება, მიზანშეუწონლად გვეჩვენება. შესაბამისად, ამგვარი საფუძვლით კასაციის დაკმაყოფილება ალბათ მთლად სწორი არ უნდა ყოფილიყო.

გ) აქციათა სავალდებულო გაყიდვის დაწესება, როგორც ქონებრივი ბერკეტის ბოროტად გამოყენება?!

ა) მოკლედ აქციათა სავალდებულო გაყიდვის თაობაზე

2005 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა დამატება, რომელმაც გარკვეული გაუგებრობა და ვნებათა ღელვა გამოიწვია საზოგადოების, მით უფრო იურისტების მხრიდან. საქმე ეხება აქციათა სავალდებულო გაყიდვის პრინციპის დაწესებას, რომლის შესახებაც გვინდა საკუთარი აზრი გამოვთქვათ.⁴⁶⁴

აქციათა გამოსყიდვას გამოსყიდვის საჯარო შეთავაზების გზით⁴⁶⁵ იცნობს ავსტრიული და გერმანული სააქციო სამართალი. გერმანულენოვან ქვეყნებში ეს ინსტიტუტი ინგლისიდან შემოვიდა, სადაც აქციათა სავალდებულო გაყიდვას არეგულირებდა ე.წ. „City Code on Takeovers and Mergers“. სწორედ ამ კოდექსის მაგალითზე თავდაპირველად გერმანიაში 1995 წელს შეიქმნა „კოდექსი“ საწარმოს კონტროლსა და მფლობელობის ქვეშ მოქცევის შესახებ,⁴⁶⁶ რომელსაც თავიდან არ ჰქონდა სავალდებულო, კანონის

⁴⁶³ მაგალითად, აქციონერთა სტრუქტურის უფრო გამკაცრებული კონტროლი, უცხო კაპიტალის შემოდინების შეზღუდვა და ა.შ.

⁴⁶⁴ ამ ნაშრომის სადისერტაციო საბჭოსთვის გადაცემის მომენტისათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გადაწყვეტილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2007 წლის 18 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწვესრიგებელი ნორმა. თუმცა 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ისევ შეიტანა დამატება „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 53⁴-ე მუხლის სახით და კვლავ დაადგინა აქციათა სავალდებულო მიყიდვის პრინციპი. არსებითად ამ საკანონმდებლო ცვლილებით არაფერი შეცვლილა. ამან გამოიწვია ალბათ ის ფაქტი, რომ ეს ნორმა ხელახლა გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სამწუხაროდ სასამართლოს ჯერ კიდევ არ გამოუტანია გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ ამ ნაშრომის გამოქვეყნებისას მიზანშეუწონილად მივიჩნიეთ უცვლელად დაგვეტოვებინა მისი ის შინაარსი, რომელიც საკანონმდებლო დამატებამდე ჰქონდა. ამით, ვფიქრობთ, მომავალში უფრო კარგად აისახება ის რეალობა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში დებატების დროს განვითარდა.

⁴⁶⁵ ე.წ. Tender offer.

⁴⁶⁶ ე.წ. Übernahmekodex.

ძალა.⁴⁶⁷ თუმცა პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ მას კანონის სახე მიეღო და 2002 წელს მიღებულ იქნა კანონი ფასიანი ქაღალდების შექმნის და საწარმოს კონტროლის ქვეშ მოქცევის შესახებ.⁴⁶⁸ ავსტრიის ფედერაციაში არ მოქმედებდა წინამდებარე კოდექსის მაგვარი აქტი, თუმცა პრაქტიკულად საჯარო შეთავაზებებს სისტემატურად ჰქონდათ ადგილი საწარმოთა (სს-თა) შორის, რამაც პრაქტიკულად განაპირობა 1998 წელს „საწარმოს კონტროლსა და მფლობელობის ქვეშ მოქცევის შესახებ“ ფედერალური კანონის⁴⁶⁹ მიღება. ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო შეთავაზებას და ადგენს მის ნებაყოფლობით⁴⁷⁰ და სავალდებულო⁴⁷¹ ხასიათს. თუმცა გერმანულისა და ქართული კანონებისგან განსხვავებით არ ადგენდა ზუსტ პროცენტულ მაჩვენებელს, რომლის საფუძველზეც „დაუფლებული“ საზოგადოების აქციონერი წარუდგენს ნებაყოფლობით ან სავალდებულო საჯარო შეთავაზებას უმცირესობაში მყოფ თანაპარტნიორს.⁴⁷² ავსტრიული კანონი განსაზღვრავს, რომ საჯარო შეთავაზებას მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ერთი (ან კონცერნის შემთხვევაში რამდენიმე) საწარმოს სრული ბატონობისა და მართვა-განკარგვის ქვეშ მოექცევა მეორე საწარმო⁴⁷³. მოკლედ რომ ვთქვათ, აქციათა სავალდებულო გაყიდვის პრინციპის დაწესება უფრო ბირჟების ფუნქციონირებისა და განვითარების მაჩვენებლის შედეგია⁴⁷⁴ (რასაც სამწუხაროდ საქართველოზე ვერ ვიტყვი⁴⁷⁵), და რაც მთავარია ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ დაპატრონებულ საწარმოს მხოლოდ მცირე აქციონერები რჩება, რომლებსაც, პრინციპში, მხოლოდ მინიმალური შესაძლებლობა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ შემთავაზებელი პირის (მაქსიმალური უმრავლესობის) ნებაზე.

⁴⁶⁷ იხ.: M. Schuster, Feindliche Übernahmen deutscher Aktiengesellschaften – Abwehrstrategien des Vorstandes der Zielgesellschaft, Verlag Tenea, Berlin 2003, S. 32-33. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა საჯარო სს იყენებდა ამ კოდექსის ნორმებს. სწორედ ამან განაპირობა მისი კანონმდებლისათვის, როგორც კანონპროექტის სახით წარდგენის მიზანშეწონილობა.

⁴⁶⁸ WpÜG.

⁴⁶⁹ öUbG.

⁴⁷⁰ öUbG 2. Teil (Freiwillige öffentliche Übernahmeangebot).

⁴⁷¹ öUbG 3. Teil (Pflichtangebot).

⁴⁷² მაგალითად, გერმანიის „სს-ის შესახებ“ კანონის 327a პარაგრაფით 95%-ის მფლობელ აქციონერს, „ქეშის“ გადახდის, ფულით დაკმაყოფილების (ე.წ. Barabfindung) გზით, პირდაპირ ეძლევა უმცირესობაში მყოფი აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის შესაძლებლობა. თუმცა 2006 წლის დიდი რეფორმის შედეგად ავსტრიის ფედერაციაში მიღებულ იქნა კანონი მცირე პარტნიორთა გარიცხვის თაობაზე, სადაც გასაღვენად დადგენილი მაჩვენებელი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის 90%-ით განისაზღვრა.

⁴⁷³ ასეთ საზოგადოებას „მიზნობრივ საზოგადოებას“ ეძახიან (ე.წ. Zielgesellschaft). ამას განსაზღვრავს კანონის 22-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი (öUbG §22, Abs. 2).

⁴⁷⁴ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ასეთ ვითარებაში, შემთავაზებელი აქციისთვის, უმეტესწილად, საბაზრო ფასზე მაღალ ფასს სთავაზობს დაპატრონებული საზოგადოების აქციონერს.

⁴⁷⁵ ვფიქრობ, სწორედ ამის შესახებ არის მითითებული ერთ-ერთ სტატიაში, რომელშიც, ასევე, გამოთქმულია აზრი „ამ უფლების რეალიზებისას მცირე წილის მფლობელ აქციონერთა უფლებების შელახვის“ თაობაზე. იხ.: „ჯეკლაკის“ სქმიანობა - საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის განხორციელების არსებული მდგომარეობა, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2006, გვ. 230.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში კანონი ადგენს მუშა-მოსამსახურეთა და მცირე აქციონერთა ინტერესების დაცვას და „თანაბარი მოპყრობის პრინციპს“,⁴⁷⁶ მაინც ამ უკანასკნელს უფრო ფორმალური ხასიათი აქვს, ვიდრე რეალური.⁴⁷⁷

ბბ) სავალდებულო სატენდერო შეთავაზება საქართველოს კანონის მიხედვით

საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი. ამას ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹ მუხლი. ესეც, თავის მხრივ, აქციიდან გამომდინარე ერთ-ერთ ქონებრივ უფლებას უკავშირდება, რომელიც, როგორც ვახსენეთ, იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც, ძირითადად, საზოგადოების მიერ გარკვეული, ამ აქციონერისათვის ყოველად მიუღებელი და მისი ინტერესების შემლახველი გადაწყვეტილება მიიღება, შესაბამისად, აქციონერს არ სურს საზოგადოებაში დარჩენა და ისმება საკითხი საზოგადოების მხრიდან მისი აქციის (აქციების) გამოსყიდვის თაობაზე.⁴⁷⁸ თუმცა 2005 წლის ზაფხულში „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა დამატებები, რომლის მიხედვითაც, კანონმა შემოიღო ისეთი პრინციპები, როგორიც არის: სავალდებულო სატენდერო შეთავაზება (მუხ. 53²), აქციათა სავალდებულო მიყიდვა (მუხ. 53³). ჩვენი აზრით, ამგვარი პრინციპების დამკვიდრება საქართველოს კანონმდებლობაში, გარკვეული მოსაზრებების გამო, მიუღებლად გვეჩვენება.

ჯერ ერთი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53²-ე მუხლი ადგენს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას და, პრინციპში, პირველად შემოაქვს აქციათა „სავალდებულო გაყიდვის“ პირობის დაწესება. კერძოდ, 53²-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუკი ის აქციონერი ან გარკვეული შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი („ხმათა შეკვრის“ საფუძველზე) შეიძენს განსაზღვრულ სააქციო საზოგადოებაში აქციათა 1/2-ზე მეტ ოდენობას, იგი ვალდებულია წამოაყენოს სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის სამართლიან ფასად გამოსასყიდად. როგორც ვხედავთ, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი აქციონერის ხელში აღმოჩნდება აქციათა 1/2-ზე მეტი რაოდენობა, იგი ვალდებული ხდება წარადგინოს სატენდერო შეთავაზება დანარჩენი აქციონერებისადმი. სატენდერო შეთავაზება უნდა განოხრციელდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,⁴⁷⁹ თუმცა ამ ნორმის შინაარსიდან არ იკვეთება

⁴⁷⁶ იხ.: Peter Doralt, Die Unabhängigkeit des Vorstands nach österreichischem und deutschem Aktienrecht – Schein und Wirklichkeit, S. 39. ხელმისაწვდომია შემდეგ მის: <http://www.wu-wien.ac.at/privatrecht/...>

⁴⁷⁷ ამ პრინციპს, ზოგადად, გერმანულენოვან ქვეყნებში საწარმოთა „მტრულ დაბატონებას“ ეძახიან. ამის შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხ.: Schuster, Feindliche Übernahmen, S. 28-36.

⁴⁷⁸ ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განსაზღვრავს, რომ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გულისხმობდეს აუცილებლად *წესდებაში* ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს (ეს უფლებებიც, ჩვენი აზრით, მის ქონებრივ უფლებებს უკავშირდება საზოგადოებაში) და სხვა.

⁴⁷⁹ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 15.

სატენდერო შეთავაზების სავალდებულო ხასიათი. სამაგიეროდ ასეთ ვალდებულებას უკვე „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ადგენს 53²-ე მუხლის იმპერატიული დანაწესით. კანონს, ამ საკითხთან მიმართებით, შემოაქვს აგრეთვე ტერმინი „სამართლიანი ფასი“, ანუ აქციისათვის გადასახდელი, შემოთავაზებული სამართლიანი ფასი, რომელიც დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით ან საბროკერო კომპანიის მიერ დგინდება. ალბათ ივარაუდება, რომ სამართლიანი ფასი, თავის თავში მოიცავს აქციის საბაზრო ფასს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში და, საქართველოს საწარმოთა რეალობიდან გამომდინარე, ეს ფასი უდავოდ დაბალი იქნება. კანონი, გარკვეულწილად, აწესებს კიდევ სამართლიანი ფასის განსაზღვრის მინიმალურ ზღვარს, ანუ სამართლიანი ფასი არ უნდა იყოს ნაკლები იმ ყველაზე მაღალ ფასზე, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 12 თვის განმავლობაში გადაიხადა ამ საზოგადოების აქციაში (მუხ. 53², მე-2 პუნქტი). მართალია, ამ შემთხვევაში საკითხი ეხება გარკვეული აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ საკონტროლო პაკეტის შექმნას საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, მის ხელში გარკვეული ბერკეტების ჩაგდებას გულისხმობს (მაგალითად, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დაწესებული, საკონტროლო პაკეტის ხმის უფლების მქონე აქციონერს (აქციონერებს) შეუძლია მისთვის სასურველი გადაწყვეტილება მიიღოს), მაგრამ ეს ბერკეტი უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების მართვის სფეროს, ანუ ამ შემთხვევაში საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერი, ისევე, როგორც უმცირესობაში დარჩენილი აქციონერი მონაწილეობს საწარმოს მართვაში და მისი ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრაში. მართალია, საერთო კრებებზე, შესაძლოა, უმცირესობაში მყოფი აქციონერის პოზიცია ვერ გავიდეს იმდენად, რამდენადაც მას ხმის უფლების რაოდენობა ვერ მისცემს ამის საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნით მისთვის აქციაზე საკუთრების უფლების „ჩამორთმევა“ მიუღებელი უნდა იყოს. ამასთან ერთად ერთ დეტალზეც გავამახვილებდით ყურადღებას, კერძოდ, კანონის წინამდებარე ნორმა (მუხ. 53²) არ აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც მყიდველი (სატენდერო შემთავაზებელი) და გამყიდველი (უმცირესობაში მყოფი აქციონერი) აქციის გამოსასყიდ სამართლიან ფასზე ვერ შეთანხმდებიან. არადა ეს ძალზე პრინციპული მომენტი. კანონი, ერთი მხრივ, ადგენს იმას, რომ საკონტროლო პაკეტის მქონე პირმა იყიდოს აქციები სამართლიან ფასად (სააუდიტო ან საბროკერო კომპანიის მიერ განსაზღვრული დადგენილი ფასით), მაგრამ, მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუკი ასეთ სამართლიან ფასზე კონსენსუსი ვერ მიიღწევა, კანონი ამ ურთიერთობის მოწესრიგებაზე არაფერს ამბობს. ალბათ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ კანონის ანალოგია და გამყიდველს აუცილებლად მივცეთ სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.⁴⁸⁰ ამასთან საინტერესოა ისიც, რომ კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ კონსენსუსის მიუღწევლობის დროს, როგორ უნდა გაფორმდეს, ან ვინ უნდა მიიღოს ის გადაწყვეტილება

⁴⁸⁰ მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53¹-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით.

(ფასის შეთავაზების ან შეთავაზებაზე უარის შესახებ), რომელიც შემდგომში რაიმე ფორმით დაექვემდებარება გასაჩივრებას.

გგ) სავალდებულო მიყიდვა⁴⁸¹

მეორე პრინციპი, რომელსაც ასევე გვიდგენს კანონი არის 53³-ე მუხლის მოცემულობა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც აქციების შეძენის შედეგად აქციონერის საკუთრებაში აღმოჩნდება სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება ეძლევა გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები ამ კანონის 53²-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს კი ერთადერთი შესაძლებლობა რჩებათ: მიიღონ აქციათა სანაცვლოდ „სამართლიანი ფასი“. კანონის ეს დანაწესიც, ჩვენი აზრით, ღახავს უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესებს. უპირველეს ყოვლისა, იღახება მისი კონსტიტუციური უფლება, რომელიც საჯაროსამართლებრივ ხასიათს ატარებს და გარანტირებულია ქვეყნის ძირითადი კანონით.⁴⁸² მართალია, ამ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად არ ადგენს, რომ 95%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერმა აუცილებლად გამოისყიდოს დანარჩენი აქციები („უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები“, მუხ. 53³, პირველი პუნქტის პირველი წინადადება), მაგრამ ბუნებაში ალბათ არ იქნება შემთხვევა, როდესაც ასეთი აქციონერი ამ უფლებას არ გამოიყენებს. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი), მაგრამ ესეც იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის არის აუცილებელი. ისმის კითხვა: მოიცავს თუ არა აქციის სავალდებულო გაყიდვის დაწესება იმ საზოგადოებრივ აუცილებლობას, რომელსაც კონსტიტუცია ითვალისწინებს? რა თქმა უნდა არა. კონკრეტულ კორპორაციაში შიდა აუცილებლობა (ასეთის დაშვების შემთხვევაშიც კი), არანაირად არ წარმოადგენს საზოგადოებრივ აუცილებლობას, საზოგადოებრივ საჭიროებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონის ამ ნორმათა დანაწესით ეს უფლება უკვე ბევრმა აქციონერმა გამოიყენა მრავალ საწარმოში. მაგალითად, შპს „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ გახდა სს „კასპიცემენტი“-ს 95%-ზე მეტი აქციების (ხმის უფლების მქონე) მფლობელი (მესაკუთრე). შესაბამისად, მისგან 2006 წლის 30 აპრილს სს „კასპიცემენტი“-ს მუშა-მოსამსახურეებმა (მათ აღნიშნულ საწარმოში აქციათა მცირე რაოდენობა ეკუთვნოდათ) მიიღეს წერილი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო აქციათა გამოსყიდვა გარკვეულ ფასად.⁴⁸³ ამის საფუძველი, რა თქმა უნდა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³-ე მუხლი იქნებოდა, რომელიც სს „კასპიცემენტი“-ს აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულ აქციათა გამოსყიდვისათვის საჭირო თანხას ადგენდა. მოკლედ რომ ვთქვათ,

⁴⁸¹ ამასთან დაკავშირებით იხ.: „მეწარმეთა შესახებ“ კანონი 2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით.

⁴⁸² საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლი: საკუთრების უფლება.

⁴⁸³ ეს ფასი თითო აქციისათვის 26 თერთს შეადგენდა.

ასეთ შემთხვევაში აქციის სავალდებულო მიყიდვის პრინციპის დაწესება გაუმართლებელია. ამას ისიც ემატება, რომ სქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მუშა-მოსამსახურეთა აქციებს და მათი დაცვის გარანტიებს. არადა, საქართველოს უმრავლეს საწარმოებში სწორედ მუშა-მოსამსახურეები წარმოადგენენ მცირე აქციონრებს.⁴⁸⁴ უმეტეს შემთხვევაში კი სწორედ ისინი ეწინააღმდეგებიან ხოლმე საწარმოთა წილების (აქციების) ამა თუ იმ პირებზე გასხვისებას. ერთი შეხედვით, საინვესტიციო კლიმატისათვის, გაცილებით მომგებიანია ისეთ საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელსაც ერთი აქციონერი ჰყავს და ინვესტორს საუბარიც მხოლოდ მასთან უხდება. ამიტომ იმ „პრობლემათა“ თავიდან აცილება, რასაც, მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა მხრიდან საწარმოს ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე სასამართლოში დავების წარმართვა ჰქვია, გაცილებით ხელსაყრელია კანონის დღევანდელი დანაწესით. იმ შემთხვევაში, თუკი აქციონერი თანახმა არ იქნება გაყიდოს თავისი აქცია დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ დადგენილ ფასად, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ისიც მხოლოდ აქციათა განსხვავებული ფასის დადგენის მოთხოვნით. ასე რომ, სასამართლოში იგი, აქციათა 95%-ის მფლობელი აქციონერის წინააღმდეგ, თავს ვერაფრით დაიცავს და საკუთრებას ვერ „გადაარჩენს“.

§7. მოკლედ აქციათა გამოშვებისა და განთავსების შესახებ

საყოველთაოდ მიღებულია აქციათა პირველადი და მეორადი ბაზრის გამოყოფა. პირველადი ბაზარი წარმოადგენს აქციათა გაყიდვას მათ პირველ მფლობელებზე. იგი მოიცავს აქციების ახალი გამოშვებისა და მათი პირველადი განთავსების სტადიას. რაც შეეხება აქციათა მეორად ბაზარს, იგი დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთს მოიცავს და მასში, ძირითადად, დაფიქსირებულია აქციათა მიმოქცევა (ყიდვა-გაყიდვა).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ აქციათა გამოშვების უფლება მხოლოდ სააქციო საზოგადოებას გააჩნია. ხოლო, სანამ ეს უკანასკნელი აქციებს განათავსებს, იგი უცილობლად უნდა დარეგისტრირდეს სათანადო ორგანოში.

გაბატონებული შეხედულების თანახმად, აქციათა ემისიის პროცედურა შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

- ა) ემიტენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება აქციათა გამოშვების შესახებ;
- ბ) საემისიო ფასიანი ქაღალდების გამოშვების რეგისტრაცია;
- დ) აქციათა სერტიფიკატების დამზადება (იმისათვის, რომ დაცული იყოს გამოშვების დოკუმენტური ფორმა);
- ე) აქციათა განთავსება;
- ვ) საბოლოო ეტაპი კი არის აქციათა გამოშვების დასრულების შესახებ ანგარიშის რეგისტრაცია.

⁴⁸⁴ საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად მუშა-მოსამსახურეებზე აქციათა გარკვეული (თუმცა, უმეტესწილად, ძალიან მცირე) რაოდენობა გადავიდა.

ემისიის ეს ისედაც რთული პროცესი გაცილებით რთულდება, როდესაც იგი დიდ საჯარო ხასიათს იღებს, ანუ მასში საზოგადოების ფართო ნაწილია ჩართული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ემიტენტმა უნდა დაარეგისტრიროს და გამოუშვას თვით საემისიო პროსპექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს სრულყოფილ მონაცემებს ემიტენტის, მისი ფინანსური მდგომარეობისა და თავად ემისიის შესახებ. აქციათა ემისია (გამოშვება) – ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც შეიძლება, მრავალი ადამიანის ინტერესთა სფეროს შეეხო. ამიტომაც აუცილებელია ყველა საჭირო დოკუმენტის შევსება და წარდგენა შესაბამის ორგანოში. ეს მიზნად ისახავს იმას, რომ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეს, გაეცნოს ემიტენტს და გამოირიცხოს ამ უკანასკნელის მხრიდან გარკვეული სახის ბოროტგანზრახვა, რაც მსოფლიო ბირჟათა პრაქტიკაში არც თუ იშვიათი მოვლენაა. სამეწარმეო სამართალი იცნობს ასევე არაკეთილსინდისიერი ემისიის ცნებას, რომელშიც მოიაზრება საემისიო პროცედურის დარღვევის მოქმედებები. ასეთმა ქმედებამ, შეიძლება გამოიწვიოს ემისიის შეჩერება და მისი ბათილად გამოცხადება. ამ შემთხვევაში აქციები უბრუნდება ემიტენტს, ხოლო ის საშუალებები, რომლითაც ემისია განხორციელდა – მათ ადრინდელ მფლობელებს.

აქციათა განთავსება დაიშვება მხოლოდ მათი ემისიის რეგისტრაციის შემდეგ. განთავსებული აქციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და მათი გაცემის პროსპექტებში მითითებულ რაოდენობას. ემიტენტმა შესაძლოა, განათავსოს აქციების უფრო მცირე რიცხვი, ვიდრე ეს მითითებულია საემისიო პროსპექტში, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს მას. უნდა აღინიშნოს, რომ აქციათა მთლიანი განთავსების დასრულებამდე არ შეიძლება დაიწყოს ე.წ. „ახალი გამოშვების“ აქციათა განთავსება (მსოფლიო პრაქტიკაში აქციათა პირველად ემისიას საზოგადოება ახორციელებს საკრედიტო- (საინვესტიციო) საბანკო მომსახურების ან საბროკერო-სადილერო ფირმების დახმარების მეშვეობით).

საინვესტიციო კომპანიებს, ემიტენტთან შეთანხმების საფუძველზე, უფლება აქვთ, ერთგვარად გამოვიდნენ აქციათა გამოშვების ორგანიზატორებად და გარანტებად. ეს, ძირითადად, ორი სხვადასხვა გზით ხორციელდება: პირველი – საინვესტიციო კომპანია იღებს გადაწყვეტილებას გამოშვებული აქციების მთლიანად შესყიდვის ვალდებულების შესახებ დადგენილ ფიქსირებულ ფასში. ამის უმთავრესი მიზანია აქციათა შემდგომი გასხვისება-გაყიდვა ინვესტორებზე. მეორე – ამ დროს საინვესტიციო კომპანია (ან შესაბამისი სადილერო ფირმა) მონაწილეობს საემისიო პროცესში, მაგრამ აქციათა საკუთარი სახსრებით შესყიდვის არანაირ ვალდებულებას არ კისრულობს. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ სთავაზობს ემიტენტს, რომ მისი დახმარებით შესაძლებელი გახდება ახალი ინვესტორების გამოძახება და აქციათა გასაღება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საინვესტიციო კომპანიებმა, ფონდებმა ან საინვესტიციო შუამავლებმა, მათსა და ემიტენტს შორის განხორციელებული შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება, ჩამოაყალიბონ დროებითი გაერთიანებები

(კონსორციუმები ან სინდიკატები), რათა ერთობლივად გაუკეთონ ორგანიზება ერთი ემიტენტის აქციების განთავსებას.

დასკვნითი თეზისები

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექონდა სს-ში ქონებრივ ურთიერთობებზე, ამიტომ, თემიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გარკვეული თეზისები ჩამოყალიბდეს, რომელთა წარმოჩენაც ნაშრომის თითოეულ ნაწილთან მიმართებით უფრო მიზანშეწონილად მეჩვენება.

ა) პირველ ნაწილთან მიმართებით

1. უნდა ითქვას, რომ სააქციო კაპიტალიზმის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, საქართველო და ავსტრია, პრინციპში, ერთნაირ ისტორიულ კანონზომიერებას ექვემდებარებიან. საქართველოში, ისევე როგორც ავსტრიაში, სს-ბების შექმნის ძირითადი მოტივი საზოგადოებრივი საჭიროებით იყო განპირობებული, ამიტომაც არის, რომ ორივე ქვეყანაში სს-ისადმი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამოჩენილი. გამომდინარე აქედან, საქართველოშიც და ავსტრიაშიც სს-ის დასაფუძნებლად სავალდებულო სახელმწიფო ნებართვის სისტემა (კონცესიის სისტემა) გამოიყენებოდა. ამას, ნათელ ჰყოფენ ის სამართლებრივი დოკუმენტები (წესდებები), რომლებიც იმდროინდელ საქართველოში მოქმედებდნენ. მოქმედების თვალსაზრისით იმდროინდელ წესდებებს (სხვაგვარად მას პრივილეგიებიც შეიძლება დავარქვათ) კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ.

2. ორივე ქვეყანაში სს-ის შექმნის საფუძველი პირთა ქონების გაერთიანების ტენდენცია იყო. ამასთან, სს-ის შემქმნელებად საქართველოში, ისევე როგორც ავსტრიაში, საიმპერატორო (სახელისუფლებო) კართან დაახლოვებული პირები გამოდიოდნენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ავსტრიაში სს-თა ჩამოყალიბების ტენდენცია უკვე მე-18 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, მაშინ, როდესაც საქართველოში მე-19 საუკუნის დასასრულამდე სს-ბები, პრინციპში, არც არსებობდნენ. სს-ში ქონებრივი ურთიერთობის, ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილი სს-ბების ევოლუციაც, ძირითადად, ორივე ქვეყანაში რკინიგზათა მშენებლობებს ემთხვევა, და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია იმ პერიოდის ზუსტი დადგენა, როდესაც საქართველოში პირველი სს შეიქმნა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის დროის მონაკვეთს ემთხვევა.

3. შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიისაგან განსხვავებით, საქართველო, სააქციოსამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების თვალსაზრისით უფრო ჩამორჩენილი ქვეყანაა. იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა ნაციონალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამგვარ ურთიერთობებს მოაწესრიგებდა, მაშინ, როდესაც ავსტრიაში

სისტემატურად მიდიოდა დებატები სააქციო სამართალში ერთიანი ნაციონალური საკანონმდებლო აქტის მიღების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული პოლიტიკური მოტივების გამო, საბოლოოდ ეს შეუძლებელი გახდა. თუმცა ნაშორმის კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ საქართველო სს-ის ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების თვალსაზრისით არც თუ ისე ჩამორჩენილი ქვეყანაა. ძველი ქართული სააქციო სამართლის მიხედვით, არის მცდელობა, ყველა ის ქონებრივი საკითხი მოწესრიგდეს, რომელიც ასევე აქტუალური იყო ძველი ავსტრიული სამართლისათვის.

4. ეკონომიკური ქონებრივი თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმდროინდელ ქართულ წარმოებას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიელებთან. ბათუმში არსებული ხის ყუთების დამამზადებელი საწარმოები (სს) ამის ნათელი მაგალითია.

ბ) მეორე ნაწილთან მიმართებით

1. სააქციო საზოგადოება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ან დაფუძნების ან გარდაქმნის მეშვეობით.⁴⁸⁵ ამ თვალსაზრისით გერმანულენოვანი ტერმინები გარკვეულ სირთულეებს ბადებს: Errichtung, Gründung – ქართულად ისინი შეიძლება ითარგმნოს როგორც დაფუძნება ან დაარსება. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არ იქნება. თუმცა სამართლებრივად დაარსებაში, შესაძლებელია, უფრო სს-ის პირველადი შექმნა ვიგულისხმოთ, ხოლო დაფუძნებაში კი მისი ჩამოყალიბება რეორგანიზაციის გზითაც.

2. დაფუძნებისას უნდა განვასხვავოთ სს-ის ჩვეულებრივი და კვალიფიციური დაფუძნება. საწარმოს შექმნის პირველი სახეობა მეორისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ შეიცავს განსაკუთრებულ (გარკვეული სახის) შეთანხმებებს, რომლებიც წესდებაში აისახება. ეს შეთანხმებები, ძირითადად, პარტნიორებს შორის იდება და ქონებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამასთან, ჩვეულებრივი დაფუძნების დროს, ძირითადად, მხოლოდ ფულადი შესატანების განხორციელებასთან გვაქვს საქმე.

3. კვლევამ გვიჩვენა, რომ სს-ის, როგორც ქონებრივი წარმონაქმნის იურიდიულ რეგისტრაციამდე ორი ძირითადი ეტაპი შეიძლება წარმოჩინდეს: პირველის დროს მხედველობაში მიიღება საზოგადოების წინარე სახელშეკრულებო მდგომარეობა (იგივე „წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება“), რომელიც ვალდებულებითსამართლებრივთან ერთად კორპორაციულსამართლებრივ კატეგორიას (გარიგებას) წარმოადგენს და, მეორე, ეს არის „წინარე საზოგადოება“ (მომავალი სს). მეორე, საწარმოს ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეგისტრაციის სავალდებულო ატრიბუტია (აუცილებელი მდგომარეობაა), ხოლო პირველი კი (როდესაც საზოგადოების ჩამოყალიბებაში ორი ან მეტი პირი მონაწილეობს) დისპოზიციური (თუმცა პრაქტიკიდან გამომდინარე ძალიან ხშირი).

4. კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სს-ის შესაქმნელად გათვალისწინებულ ქმედებათა განხორციელება

⁴⁸⁵ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, ძირითადად, ადგილი ჰქონდა საწარმოთა სს-ის ფორმით ჩამოყალიბებას გარდაქმნის მეშვეობით, რაც სხვადასხვა, წინამდებარე ნაშორში განხილული გარემოებებით, აისხნება

მიმართულია მხოლოდ ერთიანი, ქონებრივ-საკორპორაციო მიზნისაკენ. ამიტომ საზოგადოების მიზანს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი ძირითადი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მიზანი – მოგების მიღება. სწორედ სოლიდარულ, საერთო ინტერესში საზოგადოების ქონებრივი ინტერესი უნდა ვივარაუდოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონებრივად მონაწილე პარტნიორთა ინტერესთა სოლიდარობა საზოგადოების ქონებრივი ინტერესის სფეროსაკენ არის წარმართული. ეს სოლიდარული ინტერესი კი განსაკუთრებით ვლინდება წინარე საზოგადოების დროს.

5. „აქციათა მიღებით“ სს დაარსებულია, მაგრამ არა რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება წინარე საზოგადოება, რომელსაც ფაქტობრივ-სამართლებრივი მდგომარეობა, ფაქტობრივი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წარმონაქმნი ვუწოდეთ. მისი ბუნების შესახებ არც „სს-ის შესახებ“ ავსტრიული კანონი და არც ნაციონალური კანონმდებლობა არაფერს ამბობს. თუმცა საქართველოს რეალობაში არის მცდელობა ეს საკითხი, გარკვეულწილად, საკანონმდებლო დონეზეც მოწესრიგდეს.

6. განსხვავება „წინარე სახელშეკრულებო საზოგადოებას“ და „წინარე საზოგადოებას“ შორის, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ წინარე საზოგადოება ქონებრივ-ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს და, ფაქტობრივად, საკუთარი სახელით გამოდის ურთიერთობებში, განსხვავებით პირველისაგან. ამიტომ წინარე ხელშეკრულების დროს განხორციელებული მოქმედებები, თავისთავად, სს-ის სახელით დადებულად არ ჩაითვლება. მაშინ, როდესაც „წინარე საზოგადოების“ პერიოდის გარიგებათა შედეგები ავტომატურად გადადის რეგისტრირებულ სს-ზე.

7. ნაშრომის კვლევაში ასევე გვიჩვენა, რომ „წინარე საზოგადოება“ არ არის სპს-ის იდენტური წარმონაქმნი, ამიტომ მისი გაიგივება სპს-სთან, როგორც ამას პრინციპში „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ახდენს, მიზანშეუწონელი უნდა იყოს. ფაქტობრივად „წინარე საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელია ყველა ის ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულ სს-ს აქვს, რა თქმა უნდა, იმის გამოკლებით, რომ ეს უკანასკნელი მოკლებულია სახელმწიფო ლეგიტიმაციას, ანუ ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. „წინარე საზოგადოებას“ უნდა გააჩნდეს ქონება და იგი უნდა იყოს ამ ქონების მესაკუთრე. შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს მესაკუთრედ მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრშიც. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება არ დარეგისტრირდება სამეწარმეო რეესტრში, შესაძლებელი უნდა იყოს კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება ჯერ „წინარე საზოგადოების“ ქონებიდან, ხოლო შემდეგ პასუხისმგებლობა განაწილდება დამფუძნებლებზე პერსონალურად, მთელი თავიანთი ქონებით.

8. ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, სს-ის დაფუძნების მსვლელობას უფრო დიდი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით არის გათვალისწინებული. მხედველობაში მიიღება ძირითადად ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. ამიტომ ავსტრიული კანონმდებლობა ავალდებულებს საზოგადოების დამფუძნებლებს რეგისტრაციამდელ ეტაპზე მოხდეს

დაფუძნების მსვლელობის ძირეული შესწავლა და ანგარიშის წარდგენა წერილობითი ფორმით. ამიტომ, ჩემი აზრით, ქართული კანონის ის რეფორმა, რომელზედაც ნაშრომშია საუბარი, უდავოდ პროგრესულ ელემენტებს მოიცავს. მხედველობაში მიიღება ის „სამომავლო ნორმა“, რომელიც ანგარიშის წარდგენას შეეხება. ანგარიში კი, ძირითადად, ქონებრივ საკითხებს უნდა შეიცავდეს. ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია სარეგისტრაციო ვადის გაზრდაც.

9. ვფიქრობთ, რომ „წინარე საზოგადოებას“ აქვს აქტიური და პასიური საპროცესო უნარიანობა. ამიტომ, შესაძლებელია, იგი დამოუკიდებლად წარდგეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში.

10. მნიშვნელოვნად გვეჩვენება ასევე ის ფაქტი, რომ „წინარე საზოგადოება“ უნდა განვიხილოთ მეწარმის ხარისხის მატარებელ სუბიექტად მაშინ, როდესაც იგი სამეწარმეო საქმიანობას განახორციელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში აგრეთვე მიმოვიხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

გ) მესამე ნაწილთან მიმართებით

1. ფულადი თუ არაფულადი საშუალებების მოზიდვა სს-ის შექმნის განმაპირობებელი ელემენტია. მისი არსებობის გარეშე წარმოუდგენელია იმ ქონებრივ-პოლიტიკური მიზნის მიღწევა, რომელსაც სს მისდევს. ამ მხრივ, საზოგადოებას მისმა დამფუძნებლებმა უნდა შეუქმნან ქონებრივი პირობები, რომლებიც კანონის მოთხოვნებს შეესაბამება. საწესდებო კაპიტალის შექმნა სს-ის ქონებრივ-პოლიტიკური მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი საწინდარია. ამიტომ საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერების ძირითადი ვალდებულება არის ის, რომ საზოგადოებასთან ქონებრივ ურთიერთობებში მათ ისეთი ქონება (ძირითადი კაპიტალი) შეუქმნან საწარმოს, რომელიც პასუხისმგებლობის განსაზღვრის ძირითადი გარანტია იქნება. ამ მხრივ ეს უკანასკნელი საწესდებო კაპიტალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად წარმოჩინდა, თუმცა ნაშრომმა დაგვანახა, რომ საწესდებო კაპიტალს, ამასთან ერთად, კიდევ სხვა ფუნქციაც აქვს, რისი უგულებელყოფა არაფრით შეიძლება. ნაციონალურ კანონმდებლობაში განხორციელებული ახალი ცვლილებები საწესდებო კაპიტალის საკითხებთან მიმართებით კი, გარკვეულწილად, უარყოფითად არის შესაფასებელი. კვლევამ გვიჩვენა, რომ ავსტრიული კანონმდებლობა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სს-ის სარეზერვო ფონდის შექმნის ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონშიც გვხვდება „მინიმება“ სარეზერვო ფონდის შესახებ, მაინც უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება, წარიმართოს დისკუსია, რათა ნაციონალურმა კანონმდებლობამ კონკრეტულად გაითვალისწინოს სარეზერვო ფონდთან დაკავშირებული საკითხები: სარეზერვო ფონდის ცნება, სტრუქტურა, შექმნის წესი და ა.შ.

2. ნაშრომში განვიხილეთ ასევე აქციონერთა ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხები. კვლევამ გვიჩვენა, რომ გარდა განხორციელებული შენატანებისა, აქციონერს (აქციონერებს) შესაძლებელია დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა. ამ

პასუხისმგებლობას, ძირითადად, განაპირობებს სს-ის იმ ქონებრივ-პოლიტიკური ინტერესის არასწორად წარმართვა, რისკენაც ზოგადად უნდა იყოს მიმართული საზოგადოების მიზანი. ამ შემთხვევაში სს-ის ქონებრივ-პოლიტიკური ინტერესი არა პირადი, კერძო, არამედ უფრო საერთო-საკორპორაციო ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს. ეს კი უმეტესწილად პარტნიორთა კეთილსინდისიერებაზე არის დამოკიდებული. ამიტომ აქციონერმა (უმრავლესობაში მყოფმა აქციონერებმა, ან უმცირესობამ ხმათა „შეკვრის“ საფუძველზე) არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ მან მხოლოდ საკუთარი ქონებრივი ინტერესი გაითვალისწინოს, ხოლო ამით კი საზოგადოებას ზიანი მიაყენოს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობები, პრინციპში, კონკრეტულ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა პირად ინტერესზეა აგებული, მაინც, საზოგადოებაში სს-ის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გონივრული ანგარიში გაეწიოს საწარმოს სხვა თანაპარტნიორების ინტერესს. თუმცა, როგორც პროფესორი რაღფ კნიპერი დასძენს, ეს არ უნდა გახდეს „უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების ბატონობისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის უკანონოდ“ გამოცხადების საწინდარი.⁴⁸⁶ ამიტომ ქონებრივ ურთიერთობებში სს-ის ქონებრივ-პოლიტიკური ინტერესი გულისხმობს საზოგადოების ისეთი რენტაბელური საქმიანობის და მისი შემდგომი განვითარების შექმნას, რომელიც მხოლოდ საზოგადოების ერთიანი ობიექტური ინტერესით იქნება განპირობებული.

3. საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც ავსტრიული, ითვალისწინებს საწესდებო კაპიტალის შექმნას როგორც ფულადი ისე არაფულადი საშუალებებით. ავსტრიული სამართალი არაფულად შესატანებს სანივთო შესატანებს ეძახის. ამასთანავე, ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, ცალკე რეგულირდება „საზოგადოების მხრიდან ქონებრივი სიკეთის მიღების“ საკითხი (Sachübernahme) და მას, ქართული სამეწარმეო სამართლისაგან განსხვავებით, საკორპორაციოსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

4. ნაშრომში, სანივთო შესატანებთან მიმართებით, მიმოხილულ იქნა ასევე ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლების, როგორც ქონებრივი შესატანის საკითხი. თემაში მოყვანილმა მსჯელობამ გვიჩვენა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე საქართველოში შესაძლებელია საწესდებო კაპიტალში შესატანის სახით ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლების განხორციელება, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელმა, შეიძლება, რეალურად ვერ უზრუნველყოს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

5. ავსტრიული და ქართული სამართლის შედარებამ ასევე გვიჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობა (მაგალითად, მისი ბოლოდროინდელი ცვლილებები), გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, დადებით შეფასებას იმსახურებს. ასეთი იყო ნაშრომის ამ ნაწილში მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხის

⁴⁸⁶ საწარმოს და თანაპარტნიორთათვის ანგარიშის გაწევა ხომ ძირითადად უმრავლესობაში მყოფი აქციონერების საზრუნავია?!

განხილვა, რომელიც შეტანაუნარიანი საგნის განსაზღვრის ე.წ. პოზიტიურ დებულებას ითვალისწინებდა.

6. ქონებრივ შესატანთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ მოხდა ასევე წინადადების დაყენება, რათა „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა გაითვალისწინოს სს-ის რეგისტრაციის მომენტისათვის ქონებრივი (სანივთო) შესატანის სრულად განხორციელების პირობა.

7. ნაშრომში განხილულ იქნა შესატანის განუხორციელებლობის შესაძლო ქონებრივ-სამართლებრივი შედეგის საკითხი. ამასთან დაკავშირებით მიმოხილული და გაანალიზებული იქნა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ ანალიზის საფუძველზე წარმოდგა გარკვეული წინადადება კონვენციონალური საჯარიმო სანქციის შემოღების, დაზღვეული წერილის გაგზავნის შესახებ.

დ) მეოთხე ნაწილთან მიმართებით

1. აქცია სს-ში ქონების თავისებურ სახეობას წარმოადგენს. მისი თავისუფალი მიმოქცევადი თვისებიდან გამომდინარე, იგი აგრეთვე ქმნის იმ ინსტრუმენტალურ ბაზისს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება სისტემატურად ახორციელებს საკუთარი ქონების საჯარო ხელმისაწვდომობას. აქცია ყველა იმ ქონებრივ უფლებას განამტკიცებს საზოგადოებაში, რომელიც მის უკან დგას. ამიტომ აქციის შექმნისას (გაცემისას) აქციონერზე გადადის ის უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ სს-შია სახეზე. აქციონერისათვის წვერის უფლებამოსილებათა ერთობლიობის განმტკიცების წინაპირობას, ძირითადად, უზრუნველყოფს „აქციათა მიღების განმარტება“. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ წვერობის უფლება პირს აქციის „მიღების განმარტებისას“ და წესდების ხელის მოწესრისას ფორმალურად უდგინდება, ხოლო სს-ის რეგისტრაციის შემდეგ უკვე ოფიციალურად უმტკიცდება. აქციათა მიღების განმარტების პროცესში პირი სს-ის წვერობის უფლების ფორმალური, შეზღუდული მესაკუთრეა, თუმცა ეს არ გამორიცხავს მის მიერ ამ პროცესში (აქციასთან დაკავშირებით) გარკვეული გარიგების დადების შესაძლებლობას. აქციათა „მიღების განმარტება“ კორპორაციულსამართლებრივ აქტს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის გაცვლით ხელშეკრულებასთან, არამედ კორპორაციის წარმოშობისათვის საჭირო სპეციფიკურ შეთანხმებასთან, რასაც კორპორაციული, ორგანიზაციული ხელშეკრულება ეწოდა. ამ საკითხთან მიმართებით შეიძლება ასევე ითქვას, რომ რეგისტრაციამდე წვერობის უფლება ფორმალურად არის წარმომდგარი, რეალურ იურიდიულ ძალას კი იგი საზოგადოების რეგისტრაციისთანავე იძენს.

2. აქცია საზოგადოების საწესდებო კაპიტალის წილს განსაზღვრავს. ამ საკითხთან მიმართებით განმარტებულ იქნა მოძღვრება ე.წ. Unterpari და Überpari-emission-ის შესახებ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართული და ავსტრიული სამართალი ამ საკითხებს თითქმის ერთნაირად აწესრიგებს.

3. ნაშრომმა გვიჩვენა, რომ ავსტრიული სამართალი, ქართულისაგან განსხვავებით, იცნობს ცალკობითი აქციის

ინსტიტუტს, რომლის შესახებაც წინამდებარე თემაში ასევე წარმართა მსჯელობა.

4. ქართული სამართლისაგან განსხვავებით ავსტრიული სამართალი იცნობს ასევე წარმომდგენის აქციას, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმებულია. ამ საკითხთან მიმართებით ჩემ მიერ გამოითქვა აზრი, აქციის ამ ტიპის ამ ეტაპზე გაუქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე. ხოლო რადგან კანონის ეს ცვლილება განხორციელებულია და წარმომდგენის აქციაც ამოღებულია, ამიტომ შენიშვნის სახით ჩვენ მიერ დაყენებულ იქნა წინადადება, რომ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების გზით აუცილებლად შესაცვლელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59.2-ე მუხლის ის დანაწესი, რომელიც კვლავ წარმომდგენის აქციაზე მიგვანიშნებს.

5. ნაშრომში განვიხილეთ სახელობითი აქციის გასხვისებასთან დაკავშირებული ზოგიერთი გარიგებითსამართლებრივი ასპექტი. ამ საკითხთან დაკავშირებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ უფლების გადაცემისათვის რეგისტრაციას არ აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა. იგი ემსახურება მხოლოდ აქციონერის ლეგიტიმაციის ფუნქციას სს-სთან მიმართებით. საზოგადოების წიგნში რეგისტრაცია (აღრიცხვა) არ წარმოადგენს საკუთრების უფლების გადასვლის (გადაცემის) წინაპირობას.

6. იმისათვის, რომ პირი სს-ის სრულფასოვანი წევრი გახდეს, აუცილებელია მის მიერ შესატანის მთლიანად განხორციელება.

7. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართული და ავსტრიული სამართალი იცნობს ასევე დროებით მოწმობებს. მათ ავსტრიული სამართალი „სამომავლო“ აქციებსაც უწოდებს და ფასიანი ქაღალდების კატეგორიაში მოიაზრებს. შესაძლებელია აგრეთვე მათი ბირჟებზე გატანა. როგორც წესი, დროებითი მოწმობა, ერთგვარად, ადგენს გარდამავალ პერიოდს აქციების შექმნას და მათ გაცემას (განთავსებას) შორის.

8. კვლევამ გვიჩვენა, რომ აქცია, როგორც ქონების თავისებური სახეობა სს-ში, შედგება ძირითადი სააქციო მოწმობის და დანამატი ქაღალდებისაგან. ამასთან, ავსტრიული სამართალი იცნობს მოგების წილის მოწმობას, რომელიც ტრადიციულად გაიცემა სს-ბებში და განამტკიცებს აქციონერის უფლებას დივიდენდის მიღების თაობაზე. ავსტრიული სამართალი იცნობს აგრეთვე „გლობალურ აქცია“-ს და მასში ყველა ან რამდენიმე აქციის ერთ მოწმობაში გაერთიანებას მოიაზრებს. სხვაგვარად რომ ითქვას, „გლობალაქცია“ არის ბარათი, რომელიც რამდენიმე სამართლებრივად დაყოფილ სააქციო უფლებას განამტკიცებს.

9. აქციათა სახეებთან დაკავშირებით ნაშრომმა გვიჩვენა, რომ ქართული და ავსტრიული სამართალი იცნობს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს. თუმცა უპირატეს აქციებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ავსტრიული სამართალი იმპერატიულად არ მოითხოვს პრივილეგირებული აქციის გაცემას ხმის უფლების გარეშე, რაც, ჩვენი აზრით, დადებითად უნდა შეფასდეს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ადგენს აგრეთვე პრივილეგირებული აქციების გაცემის რაოდენობრივ ფარგლებს, მაშინ, როდესაც ავსტრიული სამართალი უშვებს მათ გაცემას მხოლოდ საწესდებო კაპიტალის 1/3-მდე.

10. ნაშრომში ვრცლად განვიხილეთ სს-იდან ქონების გატანის, დაბრუნების საკითხი, რაც ქართული რეალობისთვის იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ გავაკეთეთ გარკვეული დასკვნები. აქციას თან მიჰყვება წევრობისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება და არა მთელი საზოგადოების ქონება. დაუშვებელია სს-ის ქონების გატანა საზოგადოებიდან, ვინაიდან ამ გზით, ძირითადად, ხდება იმ ქონებრივ-პოლიტიკური ინტერესის იგნორირება, რასაც საზოგადოება უნდა მისდევდეს. ქონების გატანით საზოგადოება, უმრავლეს შემთხვევაში, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რამაც მისი საქმიანობის შეწყვეტაც შეიძლება გამოიწვიოს. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი, ერთგვარად, ხელყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპსაც.

11. ნაშრომში განვიხილეთ ასევე აქციიდან გამომდინარე უფლებათა ტრანსფორმაციის და აქციათა გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართული კანონმდებლობა ავსტრიულის მსგავსად, რა თქმა უნდა, იცნობს საზოგადოების მიერ აქციათა შესყიდვის ინსტიტუტს. თუმცა ავსტრიულ სამართალში ეს პრობლემა უფრო დეტალურად წესრიგდება, რაც ასევე დიდ ყურადღებას იმსახურებს. საკუთარი აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩემ მიერ გამოითქვა აზრი, რომ ქართულმა სამართალმა გეზი უფრო ამერიკულისაკენ უნდა აიღოს, დაადგინოს რა საკუთარი აქციების შესყიდვის სრული თავისუფლების პრინციპი. საკუთარი აქციების შეძენის ინსტრუმენტი კი, ერთგვარად, წარმოადგენს ზოგადად აქციათა კურსის გაზრდის საშუალებასაც. ამიტომ სს-ის მიერ საკუთარი აქციების შეძენას აქვს აქციათა საკურსო ღირებულების რეგულარული ზრდის ფუნქციაც. ავსტრიული სამართალი იცნობს ასევე საკუთარი აქციების უსასყიდლო შეძენასაც, რისი გათვალისწინებაც, ვფიქრობ, ასევე მიზანშეწონილი იქნება საქართველოს კანონმდებლობისათვის.

12. ნაშრომში განვიხილეთ აგრეთვე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ბოლოდორინდელი ცვლილებებისა და დამატებების საკითხი, რომელიც ქონებრივი ბერკეტების ბოროტად გამოყენებას გავუთანაბრეთ. ამ მხრივ აღინიშნა, რომ აქციათა სავალდებულო გაყიდვის პრინციპს, გარკვეული სახესხვაობის გათვალისწინებით, იცნობს ავსტრიული სამართალი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამართლებრივად ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობის მინიჭება უმრავლესობის მქონე აქციონერთათვის, მითუმეტეს საქართველოს პირობებში, მიზანშეუწონელია. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნება (კიდევ ერთხელ) სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაანალიზება.

და ბოლოს, ქონებრივი ურთიერთობა სს-ში, სამეწარმეო საქმიანობის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან შედარებით, ყველაზე უფრო კარგად უზრუნველყოფს ხალხის, საზოგადოების ფართო მასის ინტერესებს. ქონებრივი ურთიერთობა სს-ში იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ იგი საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენის ინტერესს ემსახურება. ამ მხრივ სს-ში გამართული, სწორი ქონებრივი ურთიერთობა სააქციო კაპიტალის დემოკრატიზაციის საწინდარიცაა. ამ უკანასკნელის განვითარება კი განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ქვეყანაში საშუალო სოციალური ფენის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ,

ასევე დემოკრატიული, სოციალური სახელმწიფოს ქვაკუთხედი... თუმცა „ოლიგარქიის ფინანსური სიძლიერის ერთ-ერთ საშუალებასთან ერთად“⁴⁸⁷ ასეთი ურთიერთობა არ უნდა გახდეს მხოლოდ „უმრავლესობის მიერ საზოგადოების სიკეთის აბსოლუტური დაპატრონების საწინდარი“.⁴⁸⁸

„დაახლოებით ორასი წლის წინათ ბლექსტონუნმა სს-ს „პატარა რესპუბლიკა“ უწოდა. როგორც „პატარა რესპუბლიკის“ მოდელი, ეს განსაზღვრება ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. კანონით განსაზღვრული ტრადიციული მოდელი სს-ისა ყველაზე უფრო კარგად შეესაბამება (დემოკრატიული) რესპუბლიკის მმართველობის ფორმას.“⁴⁸⁹ დავფიქრდეთ, იქნებ ქონებრივი ურთიერთობაც ამ კორპორაციაში, სხვა ფორმებთან შედარებით, ასევე სააქციო კაპიტალის დემოკრატიული მოდელის შესაბამისად უნდა წარიმართოს...

⁴⁸⁷ В. И. Ленин, Сочинения, 4-ое изд., т. 22, ст. 216.

⁴⁸⁸ Маркс, Капитал, т. 3, 1949 г., ст. 452-453.

⁴⁸⁹ Alan R. Palmiter, Corporations, Fifth Edition, Aspen publishers, New York 2006, P. 105.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ახვლედიანი, ზ., ვაღდებულებითი სამართალი, გამომც. „სამართალი“, თბ. 1998

ბაქრაძე, გ., მრეწველობის განვითარება თბილისში, კრებულში: თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, სტალინის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბ. 1958

ბახუტაშვილი, გ., აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებთა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000

ბურდული, ი., სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), გამომც. „თობალისი“, თბ. 2007

გამყრელიძე, გ., ხელოსნობა ტფილისში, გამომც. „შრომა“, ტფილისი 1926

გუგუშვილი, პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, VI ტომი, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1979

ეპგვერაძე, ლ., ხელოსნობა საქართველოში XIX ს. II ნახევარში (ამქროების რეორგანიზაცია და განვითარების ტენდენციები), კრებულში: საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების

ისტორიიდან (XIX ს.), ავტორთა ჯგუფი: შ. ლომსაძე, გ. ბერძენიშვილი, მ. მირიანაშვილი და სხვ., გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1973

ზარნაძე, ე., ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2004, გვ. 95-105

ზოიძე, ბ., ქართული სანივთო სამართალი, II გამოცემა, თბ. 2003

ზოიძე, ო., კომენტარი 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე: ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, სარედაქციო კოლეგია: რ. მიგრიაული, ო. ზოიძე, ზ. ჭეჭელაშვილი, თბ. 2004

კნიპერი, რ., უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000

კროპფ, ბ., პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბ. 2003, გვ. 249-261

ლაზარაშვილი, ლ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბ. 2003

ლაზარაშვილი, ლ., სავაჭრო სამართლის განვითარების გზა, ჟურ. „სამართალი“, 1997 წ. №11-12

ლილუაშვილი, გ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბ. 2005

მემარნიშვილი, მ., მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებთა შესახებ“ კანონის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000

მესხია, შ., საისტორიო ძიებანი, II ტომი, თბ. 1983

მიგრიაული, რ., ზოიძე, ო., ჭეჭელაშვილი, ზ. (სარ. კოლ.), ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბ. 2004

მუშკუდიანი, ქ., ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX ს. 90-იან წლებში, კრებულში: საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), ავტორთა ჯგუფი: შ. ლომსაძე, გ. ბერძენიშვილი, მ. მირიანაშვილი და სხვ., გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1973

ქოქრაშვილი, ქ., სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბ. 2001

ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ. 1984

„ჯეპლაკის“ სქმიანობა - საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის ეროვნული პროგრამის განხორციელების არსებული მდგომარეობა, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2006

ჩოხელი, ნ., სვანიძე, ა., პაპუაშვილი, შ., მეწარმეთა შესახებ კანონის რეფორმა, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2005 წ. №1-2

ჭანტურია, ლ., ნინიძე, თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, II გამოც. თბ. 1998

ჭანტურია, ლ., ნინიძე, თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., გამომც. „სამართალი“, თბ. 2002

ჭანტურია, ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, თბ. 2006

ჭანტურია, ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ. 1997

ჭანტურია, ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, თ. ლილუაშვილი 75 წლისათვის მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომც. „ჯისიაი“, თბ. 2003

ძამუკაშვილი, დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, II გამოც., თბ. 2002

ხუბუა, გ., სამართლის თეორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2004

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ირ. აბაშიძე (მთ. რედ.),
ტომი VIII, თბ. 1984

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბ.
1999

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III,
თბ. 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV,
ტომი II, თბ. 2002

სსსგ ვ. გელაშვილის საქმეზე, 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378

სსს 30.10.2006, №2/10/402, 405 გამწესრიგებელი სხდომის
საოქმო ჩანაწერი

სუსდპგ №3კ/932-02, 2002 წლის 9 დეკემბერი

სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1,
2004

სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001
წ., 11 ნოემბერი, გვ. 1247-1254

სუსგ 2003 წლის 15 ოქტომბერი, №ას 117 815 03

სუსგ №3კ/409-03 (2003 წლის 7 მაისი)

ქსსგ „რუდულას წყლის“ საქმესთან დაკავშირებით, 4. 04. 2001

ქსსგ №2/ბ-400-04, 21. 07. 2004

თსს 2005 წლის 16 ივნისის №31/05 განჩინება

თსს 2005 წლის 26 ივლისის №304/05 განჩინება

თსს 2005 წლის 5 აგვისტოს №224/05 განჩინება

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს
№2/5-55 საქმის მასალები

სენაკის რაიონული სასამართლოს №56/5/ბ-226 საქმის
მასალები

სენაკის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის
გადაწყვეტილება №2/20-03

Barz C. H., Klug, U., Wiedemann, H., Bronner, H., Melerovicz, K.,
Schilling, W., Würdinger, H., Grosses Kommentar zum AktG,
3. Auf., I Band, Berlin-New-York, 1973 (ციტირებულია:
Autor in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S..., Rn...)

Baumbach, A., Hopt, K. J., Handelgesetzbuch (Kommentar), 30. neu
bearbeitete Auf., Verlag C.H.Beck, München 2000

Baumbach, A., Hopt, K. J., Handelgesetzbuch, Kommentar mit GmbH &
Co, 33. Auf., Verlag C.H.Beck, München 2008
(ციტირებულია: Autor in Baumbach/Hopt,
Handelgesetzbuch, Komm., (2008), S..., Rn...)

Baums, T., Vorzugsaktien, Ausgliederung und Konzernfinanzierung,
Arbeitspapier, S. 1. ხელმისაწვდომია შემდეგ მის:
<http://www.jura-uni-frankfurt.de/>

Bydlinski, P., Grundzüge des Privatrechts, 4. Auflage, Verlag Manz, Wien
2000

Bosek, P., Pani, P., Grundzüge des Verfassungsrechts, 2. neubearbeitete
Auf., Verlag Orac, Wien 1998

Bömmert, R., Verdeckte Vermögensverlagerungen im Aktienrecht, Verlag
Heymann, Köln 1989

Canaris, C. W., Handelsrecht, 23. Auf., Verlag C. H. Beck, München 2000

Canaris, C. W., Handelsrecht, 24. Auf., Verlag C. H. Beck, München 2008

Claussen, C. P., Bank- und Börsenrecht, 3. Auf., Verlag C.H.Beck,
München 2003

Creifelds, C., Rechtswörterbuch, 17. Auflage, Verlag C.H.Beck, München
2002

Eberstadt, G., Rückkauf eigener Aktien – Ein wichtiges Element zur
Stärkung des Finanzplatzes Deutschland, WM 1996

Eisenhardt, U., Gesellschaftsrecht 13. Auf., Verlag C. H. Beck, München
2007

Fritz, C., Gesellschafts- und Unternehmensformen, Linde Verlag, Wien
2000

- Funk, B. C., Einführung in das österreichisches Verfassungsrecht, 9. Auf., Verlag Leykam, Graz 1996
- Doralt, P., Die Unabhängigkeit des Vorstands nach österreichischem und deutschem Aktienrecht – Schein und Wirklichkeit, იბგ. მის.: [http://www.wu-wien.ac.at/privatrecht/...](http://www.wu-wien.ac.at/privatrecht/)
- Gahleitner, S., Grundzüge des Gesellschaftsrechts für Arbeitnehmervertreter I, Die österreichischen Rechtsformen im Überblick, WRM, 2006
- Gessler, E., Hefermehl, W., Eckardt, U., Kropff, B., Aktiengesetz, Kommentar, Verlag Franz Vahlen, Band 1, §§ 1-75, München 1984 (ცოტირებულის: Autor in Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S...)
- Godin, S., Wilhelmi, H., Kommentar zum AktG, 3. Auf., I Band, Berlin 1968
- Gschnitzer, F., Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 2 neubearbeitete Auflage, Springer-Verlag, Wien/New York 1992
- Happ, W. (Hrsg.), Aktienrecht, Carl Heymans Verlag KG, Köln, Berlin, Bonn, München 1995
- Happ, W. (Hrsg.), Aktienrecht, Handbuch-Mustertexte-Kommentar, 3. neubearbeitete und erweiterte Auf., Carl Heymans Verlag KG, Köln/Berlin/Bonn/München 2007
- Heidel, T. (Hrsg.), Aktienrecht, Anwaltskommentar, Deutscher Anwaltsverlag, Bonn 2003 (ცოტირებულის: Autor in Heidel, Aktienrecht, Anwaltskommentar, (2003), S., Rn...)
- Heidel, T. (Hrsg.), Aktienrecht und Kapitalmarktrecht, 2. Auf., Verlag Nomos, Baden-Baden 2007 (ცოტირებულის: Autor in Heidel, Aktienrecht, (2007), S., Rn....)
- Hermann, M., Zivilrechtliche Abwehrmassnahmen gegen unfreundliche Übernahme in Deutschland und Grossbritannien, München 1993
- Hopt, K. J., Wiedemann, H. (Hrsg.), Aktiengesetz, Grosskommentar, 4. neubearbeitete Auf., I Band, §§ 1-53, De Gruyter Recht, Berlin, 2004 (ცოტირებულის: Autor in GrossKomm. zum AktG, (2004), S..., Rn...)
- Hueck, A., Gesellschaftsrecht, München 1998

- Hüffer, U., Aktiengesetz, Kommentar, 4. Auf., Verlag C. H. Beck, München 1999
- Hüffer, U., Aktiengesetz, Kommentar, 7. Auf., Verlag C. H. Beck, München 2006
- Kalss, S., Burger, C., Eckert, G., Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, Geschichte und Materialien, Linde Verlag, Wien 2003
- Kastner, W., Doralt, P., Nowotny, C., Grundriss des österreichischen Gesellschaftsrechts, 5. Auf., Wien 1990
- Klein, F., Die neueren Entwicklungen in Verfassung und Recht der Aktiengesellschaft, Wien 1904
- Klunzinger, E., Grundzüge des Gesellschaftsrecht, 11. Auf., Verlag Vahlen, München 1999
- Klunzinger, E., Grundzüge des Gesellschaftsrecht, 14. Auf., Verlag Vahlen, München 2006
- Kropff, B., Semler, J. (Hrsg.), Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§ 1-53, Verlag C. H. Beck/Verlag Franz Vahlen, 2. Auf., München 2000 (ციტირებულია: Autor in MünchKomm. zum AktG, (2000), S..., Rn....)
- Kohler, J., Lehrbuch der Rechtsphilosophie, Berlin Leipzig 1909
- Koller, I., Roth, Wulf-Hennig, Morck, W. (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Kommentar, 6. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007 (ციტირებულია: Autor in Koller/Roth/Morck, Handelsgesetzbuch, Komm., (2007), S..., Rn...)
- Köbler, G., Juristisches Wörterbuch, 12. neubearbeitete Auflage, Verlag F. Vahlen, München 2003
- Leven, F.-J., Helm, L.: Der Erwerb eigener Aktien – Ein notwendiges Instrument der Unternehmensfinanzierung. იბგ. მის.: <http://www.dai.de/internet/dai/dai-2-0.nsf.....>
- Lutter, M., Kapital, Sicherung der Kapitalaufbringung und Kapitalerhaltung in den AG und GmbH Rechten EWG, Berlin 1997
- Mader, P., Kapitalgesellschaften, 3., neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1998

- Mayr, R., Lehrbuch der Handelsgeschichte, 3. Aufl., Berlin 1907
- Ostheim, R., Zur Rechtsfähigkeit von Verbänden in österreichischen bürgerlichen Recht, Wien 1967
- Palandt, O. (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch, bear. v. Bassenge, Peter/Brudermüller, Gerd/Diederichsen, Uwe/Edenhofer, Wolfgang/Heinrichs, Helmut/Heldrich, Andreas/Putzo, Hans/Sprau, Hartwig/Thomas, Heinz/Weidenkaff, Walter, 62. neubearbeitete Auflage, Verlag C.H.Beck, München 2003 (ციტირებულია: Autor in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, (2003), S...)
- Rebmann, K., Sacker, F. J., Rixecker, R., Medicus, D., Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 4. Aufl., Band 6, Sachenrecht, Verlag C. H. Beck, München 2004 (ციტირებულია: Autor in Rebmann/Sacker/Rixecker/Medicus, S...)
- Richter, F., Handelsrecht, Rechtskurse, III/1 Aktiengesellschaft, Wien 1997
- Roth, G., Grundriss des österreichischen Wertpapierrechts, Wien 1999
- Roth, G. H., Handels- und Gesellschaftsrecht, Verlag Orac, Wien 2000
- Rüthers, B., Rechtstheorie, Begriff, Geltung und Anwendung des Rechts, Verlag C.H.Beck, München 1999
- Schaube, A., Handelsgeschichte der romanischen Völker des Mittelmeergebietes bis zum Ende der Kreuzzüge, L. 1906
- Schmidt, K., Handelsrecht, 5. neubearbeitete Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln-Berlin-Bonn-München 1999
- Schmidt, K., Gesellschaftsrecht, 4. neubearbeitete Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln-Berlin-Bonn-München 2002
- Schmidt, K., Lutter, M. (Hrsg.), Aktiengesetz, Kommentar, I Band, §§ 1-149, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2008 (ციტირებულია: Autor in Schmidt/Lutter, AktG, Komm., S..., Rn...)
- Schmitz, F. W., Die Umstellung von Inhaber- auf Namensaktien durch deutschen Aktiengesellschaften: Gründe und Rechtsprobleme der aktuellen Entwicklung unter besonderer Berücksichtigung des NaStraG, Verlag TENEA, Berlin 2002
- Schlegelberger, F., Quassowski, L., Herbig, G., Gessler, E., Hefermehl, W., Kommentar zum Aktiengesetz, 3. Aufl., Berlin 1939

- Scholz, F., Kommentar zum GmbH-Gesetz, 6. völlig neubearbeitete Auf., I. Band, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln 1978/1983
- Schubert, W., Die Abschaffung des Konzessionssystems durch die Aktienrechtsnovelle von 1870, Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrechts (ZGR) 1981, S. 285-317
- Schulze, R., Vergleichende Gesetzesauslegung und Rechtsangleichung, ZfRV, 1997, S. 183-195
- Schummer, G., Personengesellschaften, 3. überarbeitete Auf., Verlag Orac, Wien 2000
- Schuster, M., Feindliche Übernahmen deutscher Aktiengesellschaften – Abwehrstrategien des Vorstandes der Zielgesellschaft, Verlag Tenea, Berlin 2003
- Spindler, G., Stilz, E. (Hrsg.), Kommentar zum Aktiengesetz, Verlag C. H. Beck, München 2007 (ცოცორებულის: Autor in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, S..., Rn...)
- Stolzlechner, H., Einführung in das öffentliche Recht, Verlag Manz, Wien 1999
- Strieder, J., Studien zur Geschichte kapitalistischer Organisationsformen; Monopole, Kartelle und Aktiengesellschaften im Mittelalter und zu Beginn der Neuzeit, 1914
- Schwimman, M., Einführung in das Privatrecht, 3. neubearbeitete Auf., Verlag Orac, Wien 1997
- Talos, T., Zum Entwurf eines Aktienrückerwerbsgesetzes, eolex, Fachzeitschrift für Wirtschaftsrecht, 1999
- Talos, T., Schrank, C., Zur Haftung bei überbewerteten Sacheinlagen in Aktiengesellschaften, eolex, Fachzeitschrift für Wirtschaftsrecht, Dezember 2004, 12
- Timm, W., Fallrepetitorium zum Gesellschaftsrecht, Fallsammlung mit Lösungen zum Gesellschaftsrecht, 4. überarbeitete Auf., WS 2002/2003. იბც. მის.: <http://www.uni-muenster.de/jura.deu/GesR-Skript>
- Treger-Huber, B., Rechtliche Probleme der Stückaktien, Verlag Lang, Frankfurt am Main; Wien 2004

Verspay, H. P., Sattler, A., Die kleine AG, eine Rechtsform für das mittelständische Unternehmen, 2. aktualisierte und erweiterte Auf., München 2000

Wieland, K., Handelsrecht, Das Kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, I Band, München und Leipzig 1921

Wilma, D.: Vom Kaufmann zum Unternehmer in: Juristische Blätter, Jg. 126, Heft 1, Jan. 2004

Würdinger, H., Aktienrecht und das Recht der verbundenen Unternehmen, 4. Auf., Verlag C.F.Müller, Heidelberg-Karlsruhe 1981

Zöllner, W. (Hrsg.), bear. v. C. P. Claussen, G. Geilen, C. Kirchner, H. G. Koppensteiner, A. Kraft, M. Lutter, H. J. Mertens, W. Zöllner, Kölner Kommentar zum AktG, 2. Auf., I Band, §§1-75, Köln 1988 (ციტირებულია: Autor in Kölner Kommentar zum AktG, (1988), S...)

Zweigert, K., Kötz, H., Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3. neubearbeitete Auflage, Verlag J.C.B.Mohr (Paul Siebeck), Tübingen 1996

Bundes-Verfassungsgesetz

Grundgesetz

Allgemeines bürgerliches Gesetzbuch vom 1. Juni 1811

Bürgerliches Gesetzbuch vom 18. August 1896

Bundesgesetz vom 31. März 1965 über Aktiengesellschaften (öAktG)

Aktiengesetz vom 6 September 1965 (dAktG)

Gesetz vom 6 März 1906 über Gesellschaften mit beschränkter Haftung (öGmbHG)

Firmenbuchgesetz vom 1991

Handelsgesetzbuch vom 10 Mai 1897

Bundesgesetz über besondere zivilrechtliche Vorschriften für Unternehmen – UGB

Übernahmegesetz vom 1998

Klecatsky, H. R; Morscher, S. (Hrsg.), Die österreichische Bundesverfassung, 8. Auf., Manzsche Verlag, Wien 1997

Kodex des österreichischen Rechts, Bürgerliches Recht, 18. Auf., Verlag Orac, Doralt, W. (Hrsg.), Wien 1997

Kodex des österreichischen Rechts, Handelsrecht, 23. Auf., Verlag Orac, Doralt W. (Hrsg.), Wien 2000

Aktiengesetz, 34. überarbeitete Auf., Deutscher Taschenbuch Verlag, München 2002

Handelsgesetzbuch, Gesellschaftsrecht, Wertpapierrecht, Textausgabe, 70. neubearbeitete Auf., Verlag C. H. Beck, München 1999

Bürgerliches Gesetzbuch, 52. Auf., Deutscher Taschenbuch Verlag, München 2002

OGHZ 24. 04. 1992, Geschäftszahl 10b12/92

OGHZ 25. 06. 1996, Geschäftszahl 40b2078/96h

OGHZ 11. 03. 1996, Geschäftszahl 10b566/95

OGHZ 19. 12. 2000, Geschäftszahl 10ob32/00d

OGHZ 10. 03. 2003, Geschäftszahl 160k20/02

OGHZ 23. 07. 1975, Geschäftszahl 20b356/74

OGHZ 17. 05. 1967, Geschäftszahl 10b38/67

HS, (Hrsg.) von Stanzl, Friedl, Steiner, 1964, N^o4419

BGBL I 2001/97

OGH, Judikatur 2189, 304, 1979, OGH Blatt

OGH 29. 8. 1995, WBL 1996, 81

BGH NJW 19. Jahrgang, 1966, S. 1311-1314

NJW 41. Jahrgang 1988, C.H.Beck'sche VerBuch. München/Frankfurt. S. 1579-1583

NJW 1992, (Heft 29), S. 1824-1826

Statistik des österreichischen Wirtschaftskammer, unter (общ. доб.:)
<http://www.wko.at/statistik/> verfügbar

Palmiter, A. R., Corporations, Fifth Edition, Aspen publishers, New York
2006

Агарков М. М., Учение о ценных бумагах, Москва 1927

Большая советская энциклопедия, 2-ое издание, Том II

Евзлинъ, З., Общепонятный отчетъ Акционерныхъ предприятий и его
значение въ торгово-промышленной жизни, С-Петербург
1901

Ионцев М. Г., Акционерные общества, Москва 2002

Кашанина, Т., Корпоративное право, Москва 1999

Круглова, Н. Ю., Коммерческое право, учебник, Москва 2000

Ленин, В. И., Сочинения, 4-ое изд., т. 22

Маркс, К., Капитал, т. 3, 1949

Садиков, О. Н. (ред.), Комментарий к Гражданскому кодексу
Российской Федерации, Часть I, Москва 1999

Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного
производствъ на закавказь Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896

Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ
1899

Уставъ Акционерного общества закавказского спичечнаго и
льсопильнаго производства, Тифлисъ 1900

Уставъ Акционерного общества маслбойныхъ, мыловаренныхъ и
свчьныхъ заводовъ въ Тифлисъ, Тифлисъ 1900